

პაათა ბუხრაშვილი
PAATA BUKHRASHVILI

საცხოვრისი ქართველი
ირის ყოფასა და
კულტურაში
გველად

DWELLING IN THE LIFE AND CULTURE
OF THE ANCIENT GEORGIANS

თბილისი
TBILISI
2005

ჩემს კაცს, თთოს და უკუღა ქართველს, დაბდებულს
საქართველოს დამოუკიდებლობის აღირების – 1991 წელს,
მოძალის საძიროდ...

წინათქმა

მოცემული მონოგრაფია ჩვენს მიერ მომზადდა ივ ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგის კათედრის მოცემული მონოგრაფია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, მაგრამ 2004 წლის 21 დეკემბრის უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის შესაბამისად საქართველოში „მეცნიერებათა კანცილაფის სამეცნიერო ხარისხი გათანაბრებულია დოქტორის აკადემიურ ხარისხთან“ (მუხლი 89, პუნქტი 9). გამომდინარე აქედან, გადაკეცვიტეთ ნაშრომი წიგნად დაგვესტამბა და მოცემული სახით წარმოგვედგინა სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებისათვის.

ნაშრომის თეორიული და წყაროთმცოდნებითი ბაზა. ნაშრომში მუშაობისას უძირველესად გვყრდნობილით იმ მდიდარ სამეცნიერო ლიტერატურას, რომელიც საცხოვრისის ფენომენის ირველივ არსებობს როგორც ჩვენში, ასევე საბლოკოგარეთ. განსაკუთრებით გვინდა აღნიშნოთ ქართული არქეოლოგიური (ბ. კუჭიშვილის, ალ. ჯავახიშვილი, თო. ჯაფარიძე, გ. გობეგიშვილი, კ. ფიტხელაური, ...) და ეთნოლოგიური (გ. ჩიგაიას, ვ. ბარდაველიძის, ალ. რობაქიძის, რ. ხარაძის, მ. ჩართლაძის, თ. ჩიქოვანის...) სკოლების ბრწყინვალე წარმომადგენელთა ფუნდამენტური გამოკვლევები, რომლებმაც შეადგინეს ჩვენი ნაშრომის თეორიული ბაზა. საბლვარგარეთ მუშაობისას გავეცანით და კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ცნობილ უწოდებელ მეცნიერთა (J. Assman, J. Bergeman, J. Bretschneider, A. Büchner, J. Mellaart, H. Müller-Karpe, E. Noll und R. Struwe, C. Renfrew, P. Bann, K. Schmidt, I. Motzenbäcker, Алексеев В.П., Крупнов Е.И., Кушнарева К.Х., Массон В.М., Мунчаваев. Р.М., ...) გამოკვლევები.

ჩვენი ნაშრომის წყაროთმცოდნებითი ბაზა კი, ძირითადად, შეადგინა იმ საველე მასალამ (აუდიო, ვიდეო, ფოტო) და დღიურებმა, რომელსაც ვაგროვებდით და ვაწარმოებდით წლების განმავლობაში არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და ეთნო-ლინგვისტურ ექსპედიციებში მონაწილეობის დროს. ეს ექსპედიციები კი შემდეგია - VI-VIII 1980; 1981; 1982; 1984; 1986; 1988 – აკად. ს.ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის სეანეთის კომპლექსური ექსპედიცია (ხელ. მჩარიოლანი); V-VI 1985, 1987 – აკად. ა.ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლინგვისტური ექსპედიცია დაღესტანში, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში (ხელ. ვ. კიკილაშვილი); 1983 წლიდან დღემდე – კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელ. აკად. კ. ფიტხელაური); VI-X 1995, 1996, 1997; VI-IX 1999, 2000, 2001; IIIV 2004 – მონერალის (კანადა) უნივერსიტეტისა და კანადის მეცნიერებათა აკადემიის (კავკასი-

ოლოგის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად) ეთნო-ლინგვისტური საველე სამუშაოები ფშავ-ხევსურეთში, მთიულეთ-გუდამაყარში, სვანეთში, რაჭაში, გურიაში.

წარმოდგენილი ნაშრომი ძირითადად მზადდებოდა გერმანიაში, იქაურ კოლეგებთან აქტიური თანამშრომლობის ფონზე, რის საშუალებაც მოგვცა გერმანიის აკადემიური გაცვლების (DAAD) პროგრამით მოპოვებულმა სტიპენდიებმა – IX-XII 1995 წ. - სტიპენდია ჰაიდელბერგის (გერმანია) უნივერსიტეტის წინარე და ძველი ისტორიისა და წინა აბიის არქეოლოგიის ინსტიტუტში (ხელმძღვანელი - პროფ. დრ. ჰარალდ ჰაუპტმანი); IX-XII 2000 წ. – DAAD-ის სტიპენდია ჰაიდელბერგის აღმოსავლეთის არქეოლოგიის და ხელოვნების ინსტიტუტში (ხელმძღვანელი - პროფ. დრ. ვინფრიდ ორტმანი); VI-IX 2003 წ. – DAAD-ის სტიპენდია ჰაიდელბერგის მეცნიერებათა აკადემიის ყარაყორუმისა და შუა აბიის განყოფილებაში (ხელმძღვანელი - პროფ. დრ. ჰარალდ ჰაუპტმანი).

ნაშრომის მეცნიერული სიახლე: - სანამ უშუალოდ განსახილებელ საკითხებზე დავიწყებდეთ მსჯელობას, გვინდა თავიდანვე აღვინიშნოთ, რომ ჩვენს წარმოდგენილ ნაშრომში, ვეცადეთ, კონკრეტული მასალების მიხედვით, გვეჩვენებინა საცხოვრისის ფენომენისა და ოჯახური კულტმსახურების ადგილი ქართველი ერის ყოფასა და კულტურაში. გამომდინარე აქედან, შევისაზღვრო, შეძლებისა-დაგვარად, დაგვეჭირა ის დვრიგა ეროვნულ-სარწმუნოებრივი მდგრადობისა, რომელსაც საუკუნეთა მდინარებაში შესაძლებელი ხდებოდა თემობრივ-სოციალური ერთეულების დაფუძნება. ყოველი-ვე ეს კი, მიგვაჩნია, რომ თავის მხრივ, მოგვიანებით, ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ჩამოყალიბების საფუძველად იქცა.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომი და მასში წარმოდგენილი კვლევა-ძიების შედეგები შესაძლოა გამოყენებული იქნას ქართველი ერის ისტორიის შესახებ მონოგრაფიების ან სახელმძღვანელოების შექმნისას; შესაძლოა და სასურველია მათი გამოყენება უნივერსიტეტებსა და სხვა ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოს ეთნოლოგიის და არქეოლოგიის, როგორც ბოგაძი, ასევე სპეციალური კურსების სწავლების პროცესში. ნაშრომში გადმოცემული თეორიული და პრაქტიკული დებულებების საფუძველზე ჩვენს მიერ უკვე შემუშავებულია და ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახ. უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ასორიოლოგიის სპეციალობაზე იყითხება სალექციო კურსი ჰალეოთნოლოგიაში. ასევე ვიმედოვნებთ, რომ ნაშრომი დააინტერესებს საშუალო სკოლების ბედა

კლასების მოსწავლეებს და ქართველი ერის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

ნაშრომის პრობაცია: ნაშრომის ცალკეული საკითხები მოხსენებების სახით წაკითხულია სამეცნიერო კონფერენციებსა და სესიებზე, როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე საბლვარგარეთის სხვადასხვა სასწავლო თუ სამეცნიერო დაწესებულებებში – 25-28 05. 1991 წ. ჩიკაგოს (აშშ) უნივერსიტეტის კავკასიონლოგთა V კონფერენცია; 15-18 05. 1993 - ჩიკაგოს (აშშ) უნივერსიტეტის კავკასიონლოგთა VI კონფერენცია; 08. 01. 1995 წ. ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის წინარე და ძველი ისტორიისა და წინა აზიის არქეოლოგიის ინსტიტუტში (ხელმძღვანელი პროფ. ჰ. ჰაუპტმანი); ჰალლეს მარგინ ლუთერის უნივერსიტეტში 1998-1999 - 2000 წ.წ.- Fachbereich Kunst und Altertumswissenschaften. Institut für Orientalische Archäologie und Künste. Martin-Luther-Universität Halle-Wittenberg. Konferenz der Deutschen Akademien der Wissenschaften. Aktenzeichen 960.4-248. Forschungsforhaben zum Thema: „Behausungssphänomen im Südkaufasischen Kultursystem in der Epoche des Paläometals“. (ხელმძღვანელი პროფ. ვ.ორგმანი); 4-8 04. 1996 – საერთშორისო არქეოლოგიური კოლოკვიუმი. სიღნაღი-თბილისი; 15-22 1997 – საერთშორიშო სემინარი თემაზე „The Future of the Past in Eastern Europe“ ლომის (პოლონეთი) უნივერსიტეტი; 2003 წ. ჰაიდელბერგის მეცნიერანათა აკადემიაში; 4-10 10. 2004 – კონფერენცია თემაზე - „ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა“ საქართველოს ტექნ. უნივერსიტეტის.

ნაშრომმა ასევე აპრობაცია გაიარა თსუ ისტორიის ფაკულტეტის ეთნოლოგიის კათედრის 2004 წლის 8 დეკემბრის სხდომაზე. დასკვნა ნაშრომზე წარმოადგინა პროფ. ს. ჭანტურიშვილმა.

სამადლობელი – მინდა განსაკუთრებული მალიერების გრძნობით მოვისუნით ჩემი მასწავლებლები (ჭავად. გიორგი ჩიგაია, ჭბ-ნი მიხეილ ჩართოლანი, აკად. კიაბო ფიცხელაური, პროფ. ვინფრიდ ორტმანი, პროფ. ჰარალდ ჰაუპტმანი, აკად. ვ. შამილაძე...), კოლეგები (პროფ. ქ. თუითი, პროფ. ვ. კიკილაშვილი, გ. ცქვიტინიძე, შ. ამიროვი, ად. ბილლი, ს. ვინკელმანი, ფლ. მულფრედი, პროფ. პაულ მანინნგი, ბ. ნიკოლაიშვილი, რ. დოლიძე...) და რესპუბლიკური (საკად. ოსამ ჯაფარიძე, პროფ. სოსო ჭანტურიშვილი, პროფ. გიორგი ქავთარაძე, პროფ. ქევინ თუითი) რომლებთან ურთიერთობისა და მუშაობის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა არა მარტო ამ ნაშრომის წარმოდგენა, არამედ საერთოდ ჩემი პროფესიული საქმიანობა.

რეცენზენტები:
აკადემიკოსი, პროფ. ოთარ ჯაფარიძე
პროფ. სოსო ჭანგურიშვილი
პროფ. გიორგი ქაგთარაძე
პროფ. ქევინ თუითი

საცხოვრისი ქართველი ერის ყოფასა და კულტურაში ძველად

შინაარსი

| | |
|---|-----|
| შესავალი..... | 9 |
| თავი I | |
| ეთნიკური კულტურისა და საცხოვრისის ფენომენის ურთი- ერთმიმართებისათვის | 49 |
| თავი II | |
| საცხოვრისის სამშენებლო ტრადიციის განვითარების მოკლე რეტროსპექტივა ცენტრალური ამიერკავკასიიაში..... | 83 |
| თავი III | |
| საცხოვრისი საქართველოში ძველად..... | 106 |
| ა) საცხოვრისის ფენომენის ადგილი სივრცისეულად დაპირის- პირებულ ცნებათა: „შინ“ და „გარე“; „შინაური“ და „გარეული“ - ფორმირების პროცესში..... | 106 |
| ბ) საცხოვრისი, როგორც კონკრეტული სოციალური ერთეუ- ლის - „ოჯახის“ ყოფის ამსახველი ფენომენი..... | 121 |
| გ) საცხოვრისი - „ოჯახური ფაძლი“..... | 147 |
| დ) „სახლი“ – „ხატი“ საქართველოში ძველად..... | 160 |
| დასკნები | 191 |
| დამოწმებული და გამოყენებული ლიტერატურა..... | 199 |
| Summary..... | 219 |
| ტაბულების აღწერილობა..... | 258 |



ლაგაზება

| | |
|--|-----|
| „...მარჯაპ...“ | 276 |
| რუსული კოლონიალური ცნობიერება და ამიერკავკასიის ეთნოპოლიტიკური რეალობა..... | 288 |

შესავალი

ქართველი ერის (ისევე როგორც ბოგადად კავკასიელ ერთა) მატერიალური და სულიერი კულტურის შესწავლის ისტორია, საბედნიეროდ, ასწლეულებს სწვდება. ჩვენს ხელთა უმდიდრესი სამეცნიერო მემკვიდრეობა, რომელიც წინამორბედთა თავდაუზოგადი შრომითა და დიდი რედუნდანციაში XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დგება, როცა შექმნილი პოლიტიკური და იდეოლოგიური ვითარების პირობებში შემუშავდა და დაინერგა რიგი საკვალიფიკაციო სტეროეტიპისასა, რომელთა ფონზე ხდებოდა ქართველი ერის (და ბოგადად ერის) ისტორიის და კულტურის შესწავლა – გააბრება. ახლა კი (განსაკუთრებით გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან), როდესაც ქართველი ერი კვლავ დაბდგა მორიგი თვითგნახლებისა და თვითდამკვიდრების გზას, შესაბამისად, გადასახლდ-გადასამუშავებელი გახდა მრავალი, აქამდე უქცეველად მიღებულ-გაზიარებული დებულება. ცნობილია, რომ ამგვარ პირობებში ახალი ძალით იჩენს ხოლმე თავს შემოქმედებითი ენერგია, რის დასტურიცაა ქართველი ერის თანამედროვე ყოფა. სწორედ შექმნილმა გარემოებამ გაგვაძედინა ჩვენც, ქართველ მკვლევართა შემოქმედებითი შემკვიდრეობის ფონზე, კვლავ მივბრუნებოდით საცხოვრისის ფენომენის გასაბლვრა-ანალიზს და წინამდებარე ნაშრომის სახით წარმოგენერირება: იგი. თუკი ჩვენი შრომა მკითხველში კიდევ ერთხელ აღმრავს მშობელი ერის ისტორიაში ჩაღრმავების სურვილს, თავს ბეჭდიერიად ჩავთვლით და დიდი სიამორნებით მივიღებთ ყველა არგუმენტირებულ შენიშვნასა თუ კომენტარს.

სანამ უშუალოდ განსახილველ საკითხებზე დაგიწყვებდეთ მსჯელობას, გვინდა თავიდანვე აღვნიშნოთ, რომ როგორც ეს უკვე შენიშნულია - „მოცემული ნაშრომის თავისებურება საკვლევი საკითხისადმი როგორაც მიღებომაში წარმოჩინდება: მასში, ერთის მხრივ, გამოვლენილია საცხოვრისის, როგორც საბოგადოებრივი ყოფის ერთეული უმთავრესი შემადგენლი კომპონენტის ის მხარეები, რომელთა წიაღშიც შესაძლებელია ეთნოსისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ელემენტების ფიქსირება და შესაბამისად, დასახულია ამ ყოფითი ფენომენის (საცხოვრისის) შესწავლის პერსპექტივა და გზები; მეორეს მხრივ, არსებული მრავალრიცხოვანი და მრავლისმეტყველი ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური ფაქტებიდან, კვლევის საყრდენად გამოყოფილია ისეთი, რომელთა ინტერპრეტაციაც, აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, რეა-

ლურადაა შესაძლებელი. ამგვარი მიღომა, ვფიქრობთ, საკვლევ რეგიონში მიმდინარე კულტურული ცხოვრების საინტერესო პანორამას გადაგვიშლის, რაც, გარკვეულწილად, წარმოაჩენს კიდევ აქ ათასწლეულთა მიღმა მიმდინარე ეთნიკურ პროცესებს. იმის მიუხედავად, რომ ქართული ტრადიციული საცხოვრებელი საკმაოდ ფართოდ და ღრმად არის შესწავლილი ეთნოგრაფების მიერ, და გარდა ამისა, არქეოლოგიური კელევა-ძიებების შედეგად დაგროვილი და ნაწილობრივ შესწავლილია დიდადი ახალი ფაქტობრივი მასალა უძველესი ადგილობრივი საცხოვრებლების შესახებ, დღემდე არავის უცდია შეხებოდა მათ ერთობლიობაში, როგორც ეთნოგრაფის კელევის პირველწყაროს.¹

XX ს-ის 80 - 90-იანი წლებიდან, როგორც საქართველოს ფარგლებს გარეთ, ასევე ჩვენშიაც ფეხს იკიდებს და მკვიდრდება სამეცნიერო-კელევითი დარგთაშორისი ინტეგრაცია, რომლის ნათელი დადასტურებაცაა ეთნოარქეოლოგიის, როგორც გამოკვეთილ საისტორიო - საკელევაძიებო მიმართულებად ჩამოყალიბების პროცესი [174; 376; 369; 355; 356;...]. თანამედროვეობამდე, თითქმის საერთოდ არ ხდებოდა ეთნოარქეოლოგიის, როგორც აქცენტირებული დეფინიციის თეორიული და მეთოდოლოგიური განვითარება, რამაც განაპირობა კიდეც არქეოლოგიის ქვედისცი პლინად მიჩნეული ამ დარგის ჩანასახოვან მდგომარეობაში დარჩენა.

გაზიარებულია, რომ ეთნოარქეოლოგიური კელევების მიზანს წარმოადგენს ეთნოლოგიური ინფორმაციისა და მეთოდების გამოყენება არქეოლოგიური დასკვნების შემუშავებისათვის. ჯერ კიდევ, XIX საუკუნის გარიერაჟზე, ა' დე ქუსსიენი საფრანგეთში აღმოჩენილ ქვის იარაღებს, მათ ფორმებსა და ფუნქციებს უდარებდა ამერიკის აბორიგენი მოსახლეობის ყოფაში იმუქამად უუნქციონირებად ნივთებს. იგი მათგებ დაყრდნობით ცდილობდა აქსნის მის მიერ აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთების არსი. დღევანდელი გადმოსახედიდან შეიძლება ითქვას, რომ ა' დე ქუსსიენი იყო პირველი არქეოლოგი, რომელმაც გამოიყენა ეთნოარქეოლოგიური პარალელები; რომელიც უძველეს არქეოლოგიურ ნივთთა ფუნქციების ასახსნელად ეთნოგრაფიულ მონაცემებს ეყრდნობოდა [იხ. 369, 12-13]. XIX საუკუნის დამლევისთვის, ეკოლუციონიზმის იდეების გავრცელებასთან ერთად, დ.ჭ. მორგანისა და ჭ. სპენსერის ნაშრომებში მრავლად ვხვდებით ეთნოგრაფიული პარალელების გამოყენების მაგალითებს. რამდენადც „ევოლუციონიზმი“, იმ პერიოდში გავრცელებულ მიმდინარეობას წარმოადგენდა, მიჩნეული

¹ იხ. აკად. ალ. ჯავახიშვილის რეცენზია ჩვენს ნაშრომზე

იყო, რომ ყოველი ნივთი – უნივერსუმი, ქიმიური ან ბიოლოგიური ფორმა, აგრეთვე სამოგადოება და კულტურა საერთოდ, საფეხურობრივ ეკოლოგიურ პროცესს ექვემდებარებოდა, რომელიც განვითარების სხვადასხვა სტადიას გადიოდა. ამ კონცეფციის თანახმად, მაგალითად, ლ. ჭ. მორგაბია თავის 1877 წელს გამოცემულ წიგნში „ძველი საბოგადოება“, კაცობრიობას და მის კულტურას, ეკოლოგიური განვითარების მიხედვით, სამ საფეხურად – „გელურობად“, „ბარბაროსობად“ და „ცივილიზაციად“ ჰყოფდა.

საერთოდ, აღსანიშნავია, რომ არსებობს ორგვარი მიდგომა კაცობრიობის ისტორიისადმი:

პირველი - კაცობრიობის ისტორიას განიხილავს როგორც ერთიან პროცესს, მიმავალს საფეხურობრივი აღმავალი ხაბით. ისტორიის ამგვარი გაგება გულისხმობს კაცობრიობის განვითარების ერთიან გააბრებას და მას შეიძლება უნიგარუელი, ანუ უნიგარუელ-სტადიალური ხედვა ვუწოდოთ. უნდა ითქვას, რომ ამდაგვარი მიდგომა კაცობრიობის ისტორიისადმი არახალია და მან ჯერ კიდევ მაშინ იჩინა თავი, როცა გამოიყო ძირითადი სტადიები კაცობრიობის ისტორიისა – ველურობა, ბარბაროსობა და ცივილიზაცია (ლ. მორგანი, ა. ფერგულისნი და სხვები); შესაბამისად, სამოგადოების ისტორია დაიყო სამონადირო-შემგროვებლურ, მესაქონლეობის, მიწათმოქმედების და საგაჭრო-წარმოებით პერიოდებად (ა. გიუგრო, ა. სმიტი და სხვ.). ამდაგვარ მიდგომასთან გვაქვს საქმე მაშინაც, როდესაც კაცობრიობის ისტორიაში გამოიყოფა ჯერ სამი და შემდგომ ოთხი მსოფლიო-ისტორიული ეპოქა – ძველაღმოსავლური, ანტიკური, შესასუენებებისა და ახალი (ლ. ბრუნი, ფ. ბიონდო, კ. კელერი).

ამეამად, საბოგადოების ისტორიის უნიგარუელ-სტადიალურ ჭრილში კონცეპტუალური გააბრების ორი ძირითადი სახე არსებობს. ერთია – მარქსისტული, რომლის მიხედვითაც კაცობრიობის ისტორიის განვითარების საფეხურებად გამოიყოფა ხან ხუთი, ხან ექვსი სტადია-ფორმაცია (პირველყოფილ-თემური, აზიაგური, ანტიკური, ფეოდალური, კაპიტალისტური და კომუნისტური). ხოლო მეორე – სახელდებულია საბოგადოების ისტორიის გააბრების პოსტინდუსტრიალურ კონცეფციად (ლ. ბელლი, ო. ტოფულერი, ა. ტურენი, გ. ბერესის კი და სხვ.). პოსტინდუსტრიალისტები კაცობრიობის ისტორიაში შემდეგ სტადიებს გამოიყოფენ: 1. ტრადიციონისალური (აგრარული) საბოგადოება, 2. ინდუსტრიალიზმებული (საწარმოო) საბოგადოება და 3. პოსტინდუსტრიალური (ზეინდუსტრიალური, სერვისული, ინფორმაციული, ტექნოლოგიური და სხვა) საბოგადოება. ჩვენს საისტორიო მეცნიერებაში გაბატონებული იყო ისტორიის უნიგარუელ-სტადიალური გააბრება მის მარქსისტულ, ფორმაციულ ვარიანტში.

და მეორე –თანამედროვე ეტაპზე, პირველის საწინააღმდეგოდ, მიღებულია ისტორიის სხვაგვარი, ცივილიზაციურად სახელდებული გააჩრება. ამ მიღებულის თანახმად კაცობრიობა განიყოფა რამდენიმე დამოუკიდებელ წარმონაქმნად, რომელთაგანაც თითოეულს თავისი დამოუკიდებელი ისტორია გააჩნია. პლურალიზმი ისტორიის ხედვაში, უცილობლად აღიარებს ციკლურობას, რაც განაპირობებებს კიდევ ყოველი ასეთი წარმონაქმნის აღმოცენებას, განვითარებას და, აღრე თუ მაღვე, გარდაუვალ კვლემას.

თითოეული ამდაგვარი ერთეული, ყველაფერს თავიდან იწყებს. ამდენად, ახალს იგი ვერაფერს ქმნის. გამომდინარე აქედან ასეთი წარმონაქმნები სრულიად თანაბარნი და ექვივალენტურნი არიან. არცერთი მათგანი, თავისი განვითარების ღონით, არც უსწრებს და არც ჩამორჩება მეორეს. თითოეული ასეთი წარმონაქმნი ვითარდება, მაგრამ მთლიანობაში კაცობრიობა არც ეროვლუციას და არც პროგრესს არ განიცდის. ამგვარი ხედვის საფუძველზე არსებობენ მრავალი ასეთი ისტორიული წარმონაქმნები, რომელთაც თავთავისი საკუთარი „ისტორიები“ გააჩნიათ. მთლიანობაში კი, კაცობრიობის მთელი ისტორია არის ერთიანი უწყვეტი გამეორება ერთი და იგივე პროცესთა ერთობლიობისა. ე.ი მიმდინარეობს მრავალათვლადი, ციკლური, მუდმივი ბრუნვა.

შაშასადამე, ამ შეხედულების თანახმად, არ არსებობს თანამიმდევრობა, როგორც განსაკუთრებული პროცესი. შესაბამისად, არ შეიძლება საუბარი ადამიანთა საზოგადოების განვითარების სფა-დიებზე და ამასთანავე, მსოფლიო ისტორიის კონქებზე. ისტორიი-სადმი ამგვარ მიღორმას, პლურალისტურ მიღორმას უწოდებენ.

ისტორიის პლურალისტური გაგება დღეს არ აღმოცენებულა. მის სთავეებთან დგანან კ.ა. გობინთ და ჰ. რიკერგო. ისტორიული პლურალიზმის საფუძვლები, მირითადში, ნათლად ჩამოაყალიბა ნ. დანილევსკიმ, და საკუთარ გამოკვლევებში განავითარეს ო. შპენგლერმა, ა. ფოინბა, ლ. გუმელიოვიმა. ეს მოაჩროვნენი, კაცობრიობის ისტორიაში მათ მიერ განსაზღვრულ წარმონაქმნებს სხვადასხვა სახელებით მოიხსენიებენ – ცივილიზაციებად (გობინთ, ფოინბი), კულტურულ-ისტორიულ ინდივიდებად (რიკერგი), ეთნო-სებად, ან სუპერეთნოსებად (გუმელიოვი), რასაც კონცეპტუალური გააჩრებისათვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რადგანაც ყოველ შემთხვევაში ეს მოაჩროვნენი ძირითადში ერთ კონკრეტულ რეალობას, შეიძლება ითქვას, ჯიშს, მოდგმას გულისხმობენ.

მთლიანობაში, კაცობრიობის ისტორია ალბათ უნდა გავიაზროთ, როგორც სულიერი არსების, საზოგადოდ ადამიანის ისტორია, რომელსაც სული უფლისგან ჩაედგა; რომელიც დაიბადა, იზრდე-

ბა, ვითარდება, მწიფებრივი და გარდაცვლება (სახეს იცვლის), რის შემდეგაც გადადის ახალ თვისობრიობაში.

ამგვარი ხედვა კაცობრიობის ისტორიისა მოცემულია წმინდა წერილში, ითანხმული გამოცხადებაში, როცა საუბარია ახალი ცისა და ახალი დედამიწის შობაშე. ეგზიტეციის მიხედვით, აქ საუბარია სულიერ-სხეულებრივ სახეცვლილებაზე, რომელიც გარდაცვალებაში მოისის მისერიაში ხორციელდება. ჩვენ ეთვლით, რომ კაცობრიობის ისტორიის ჭვრეცისას ისტორიკოსის მთელი ყურადღების კონცენტრირება სასურველია მოხდეს დროსა და სივრცეში მუდმივ – ბოგადადამიანურ, სულიერ დირექულებებსა და კატეგორიებზე. ესაა სიკეთის, აბსოლუტური კეთილობისა და მოყვასის სიყვარულის ცნებებისადმი ერთგულება და სამსახური, განსხვეულებული, განხორციელებული ცალკეულ ინდივიდთა (წმინდანთა – რელიგიური ხედვით) ამქვეყნიურ ცხოვრებაში. მთლიანობაში, ყოველივე ეს წარმოადგნს სახეს ადამიანურობისა, რომელიც ცალკეული ხალხების, ეთნოსების, ცივილიზაციების, მოდგმა-ჯილდაგთა (თუ რაც გინდათ ის ვუწოდოთ) სახითაა გამჟალებული დეთოსგანჯმნილ დედაბუნებასთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოთქმულია სხვაგვარი მოსაბრებებიც, რომლის მიხედვითაც, მართალია, სამყარო ჩვენ წარმოგვიდგება როგორც მუდმივად განვითარებადი ფენომენი, მაგრამ განვითარების დინების საწინააღმდეგოდ, მის წიაღში მოედინება მეორე დინება გადაგვარებისა, მორალური და ევოლუციური ენტროპიისა. როგორც აღნიშნავენ (ლ. გუმელევი), მცირერიცხოვანი, ველური ტომები, მცხოვრებნი ცივილიზებული სამყაროს განაპირა მხარეებში, წარმოადგნენ შედეგს დეგრადაციისა. ეს ტომები იმყოფებიან არა სტარტბე, არამედ ფინიშე საკუთარი ისტორიისა, ისინი წარმოადგენ რელიქტებს ძველი ძლევამოსილი ხალხებისა, რომლებიც აღრე, ოდესაც სამყაროს ცენტრში ცხოვრობდნენ და შექმნეს ძველი ცივილიზაციები, რომელთა ნაშთებსაც ამჟამად აფიქსირებენ არქეოლოგები.

როგორც აღიარებს ეთნოგრაფიული მეცნიერება, გოგიერთი ხალხი (ტომი) „იყინება“ პირველყოფილი ველურობის დონეზე, ბოგიერთები კი გადაგვარდებიან და ადამიანური ველურობიდან ცხოველურ ფიზიოლოგიურ მდგომარეობამდე ეცემიან. ამ აზრს ეხმიანება პალეომოლოგთა დასკვნებიც, რომელთა თანახმადაც თანამედროვე ადამიანის უძველეს გენეტიკურ წინაპრებად მიჩნეული ე.წ. ადამიანის მსგავსი მატუნები (შიმპანზე, გორილა, ორანგუტანგი...) უფრო მეტად განვითარებული ყოფილან, ვიდრე მათი თანამედროვე სახეობები – დადიოდნენ ამართულად, გააჩნდათ ნაკლები ცხოველურობა და ა.შ. მაშასადამე, რეგრესი, გადაგვარება შესაძლებელია

ყველა სახის ბოილოგიურ არსებაში, რის გამოც სათურ ხდება პერმანენტული და მუდმივი ევოლუციის უწყვეტობის უქველობაც.

თუკი ამდაგვარ პრიზმაში შევხედავთ თუნდაც რელიგიის ისტორიას, მაშინ გამოდის, რომ რამდენადაც ველური ტომები წარმოადგენებ დეგრადირებულ ნარჩენებს ძველი ხალხებისა, ამდენად, დეგრადაცია მოიცავს ამ ტომების ცხოვრების ყველა მხარეს და მათ შორის სულიერ კულტურასაც ც. ა. აქცენტის მიერ ამდენი მომდევნობას, ან ამაბონის ინდიელთა პრიმიტიული რწმენა-წარმოლენები არა ჩანასახოვან ფორმებს, არამედ აღრეულ ხანაში უფრო განვითარებული რელიგიის გადაგვარების შედეგს წარმოადგენებ [იხ. თ. ბაკსან „На тайных тропах Истории“ Грозный 1995].

თანამედროვე რელიგიათმცოდნეობა კი თავდაყირა აყენებს ყველაფერს, ამგენებს რა, რომ ერთმერთიანობა (მონოთეიზმი) წარმოადგენს განვითარებას პრიმიტიული წარმართული რწმენა-წარმოლენებისა. არადა, შესაძლოა ყველაფერი პირიქითაც ყოფილიყო - ძველი, აღრეული ერთლმერთიანობა, შემდგომში დავიწყებული, „დაჩეხილი“ იქნა; დაცემულმა, გადაგვარებულმა ხალხებმა დაიწყეს თაყვანცემა არა თავად შემოქმედისა, უფლისა თვისისა, არამედ მისი ქმნელი სამყაროსეული სხვადასხვა ელემენტისა; რაც თავისთავად მრავალდმერთიანობას, პოლითეიზმს, წარმართობას წარმოადგენს. ბიბლია გვეუბნება, რომ თავიდან კაცობრიობა ერთიანი იყო და ერთ მამა ღმერთს ეთავყანებოდა. მაგრამ შემდგომში ისინი ისე განვითარებული იყვნენ, რომ იწყეს თავის უფალთან გაცოლება, რის ალეგორიასაც ბიბლიაში ადამისა და ევას მიერ აკრძალული ხილის მიღება წარმოადგენს. ამ ცოდვის (უფალთან თავის გაცოლების) გამო ისინი განიღენენ ედემიდან, დაიქსაქნენ და დანაწევრდენ. დანაწევრდა მათივე ფსიქიკა და სულიერი ერთობა, გამრავლდა პირველცოდვა – მშვიაბრივობა და გარყვნილება; რის ჩამოსარცხადაც უფალმა კაცობრიობას წარღვნა მოუვლინა. გადარჩენილი მართალი ნოეს შთამომავლობა გამრავლდა კავკასიიდან. მაგრამ რამდენადც დიდი იყო საცდური ცოდვისკენ მიღრეკილი კაცთა გულისა, ღმერთმა ახლა უკვე ძე თვისი მხოლოდმობილი, იესო – „შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“ (მრწაში), მოუცვლინა მათ, რათა მას საკუთარი სისხლით გამოიქსყიდა ცოდვანი კაცთა მოდგმისა.

ყველივე ბემოთქმულის მოხმობა დაგვჭირდა იმისა გამო, რომ გვეჩვენებინა ის, თუ რა მრავალფეროვანი და ერთურთისგან განსხვავებულია დამოკიდებულება ბოგადად კაცობრიობის

ისტორიისადმი; ისტორიისადმი, რომლის შემოქმედსაც და განუყოფელ ნაწილს ეთნიკური ერთობები წარმოადგინენ.

ვებრუნდებით მსჯელობას ეთნოარქეოლოგიის შესახებ და გვინდა აღვნიშვნოთ, რომ ეს სახელწოდება, ალბათ, ჯერ კიდევ დასახვეწია, რადგანადაც იგი მთლად სრულყოფილად ვერ უნდა ასახავდეს კვლევის იმ სფეროებსა და მიმართულებებს, რომელთა აღსანიშნავადაც ეს ტერმინი ინერგება ქართულ ჰემბინიგარულ მეცნიერებათა სპექტრში. საფიქრებელია, რომ კვლევის ობიექტთან მიმართუბაში შეუსაბამობის სათავე, თუმთ ამ ხელოვნურად შედგენილი ტერმინის შინაარსობრივ გაუმართაობაშია საძიებელი. იგი ორი სიტყვის – ეთნოსის (Tribus-სალხი) და არქეოლოგიის (Archaeos- ძველი და ლიკა-მცოდნეობა) ხელოვნურად შერწყმის შედეგადაა მიღებული და პირდაპირ თარგმანში „ხალხის სიძველეთმცოდნეობა“-ს ხაზნავს. თავისთავად, სიძველეთმცოდნეობა კი წყრიოთმცოდნეობის ნაწილი გახლავთ, რომელიც, თავის მხრივ, საისტორიო მეცნიერების დამხმარე დისციპლინად მოიაზრება [136,45].

მაშასადამე, სრულიად ნათელია, რომ ცალკე ტერმინი – არქეოლოგია, ქართულად, სიტყვა-სიტყვით სიძველეთმცოდნეობას აღნიშნავს. სწორედ ამგვარი მნიშვნელობით ხმარობდა მას ექვთიმე თაყაიშვილიც, ქართული არქეოლოგიის ერთერთი მესამირკვლე, რომელიც საქართველოს მართულებულად გამოჰყოფდა ამ სფეროდან ცალკე გათხრით არქეოლოგიას - გათხრით სიძველეთმცოდნეობას. ეს თავისთავად მიგვანიშნებს იმაზე, რომ დიდ მეცნიერს გათხრა, სიძველეთმცოდნეობითი მასალების მოძიების ერთერთ ხერხად, წყაროების მოძიების ერთერთ საშუალებად მიაჩნდა მხოლოდ ე.ი. ამ შემთხვევაში მთავარია, ძირეულია წყარო, რომლის მოპოვების ერთერთი ხერხიც არქეოლოგია დღევანდელი გაგებით. თავის მხრივ, კი წყარო, ამჯერად გათხრითი მეთოდებით მოძიებული, მეცნიერის, მკვლევარის მიერ ჩატენებულია კვლევის ძირეული ობიექტის (ხალხის, ერის) შესწავლის საქმეში. კონცეპტუალურად სწორედ ამგვარი მიღეობა ახასიათებს დიდი ივანე ჯავახიშვილის კვლევებსაც; სადაც შესწავლის ძირეულ ობიექტს, რომელიმე ცალკე აღებული სოციალური ერთობა ან პოლიტიკურ-კარტოგრაფიული ერთეული (თუნდაც საქართველო, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) კი არ წარმოადგინს, არამედ მეცნიერის ყურადღების მთავარი საგანი, ჭერეცითი შემცნების სანუკვარი ობიექტია – ერი, ჯიში, რომლის ამქვეყნიური არსებობის სივრცისეულ ნაკვალევსაც მის წიაღმივე არსებული სოციალური ფენები, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური საზღვრები ან კიდევ სხვა ყოფითი მხარეები ნათელჲყოფენ. სწორედ ამისა

გამო უწოდა მან თავის სათაო ნაშრომს – „ქართველი ერის ისტორია“ და ამიცომაც ცდილობდა იგი ამ ფორმით დაემკვიდრებინა ეს სახელწოდება საისტორიო-საკალიფიკაციო ტერმინად. დიდი მეცნიერი პირდაპირ გვეუბნება, რომ „ისტორიკოსის ამოცანაა გაარკვიოს იმ ჰი პოთენციათა სისწორე თუ მცდარობარაც მიღებული აქვს ისტორიის ფილოსოფიას; შეიტანოს ახალი მონაცემების ან კარა ნა კადი, რათა უფრო მართებულად იყოს ჩამოყალიბებული ამ დისციპლინის ესა თუ ის ძირითადი საკითხები, როგორიცაა დადგენა და განსაზღვრა ეროვნებისა, რასობრივი და ნაციონალური განმასხვა- ვებული ნიშნებისა, სახელმწიფოსი და სხვა მისთანა“(189, 392). დიახც, მას კაცობრიობის ისტორია ერების, ხალხების და საბოგადოდ ჯიშების ისტორიად მიაჩნდა და არა საბოგორებცელადი პოლიტიკური ერთეულების (რაც ოდენ ერის, ჯიშის გარემოსთან ადაპტაციის შედეგს წარმოადგენს) ისტორიად. დიდი მეცნიერი საბოგადოების ისტორიას წარმომავლობითი სისხლისმიერი ერთობების, მოდგმათა სივრცეული არსობის რაკუსში ჭვრეტდა.

ახლა, რაც შეეხება ხალხთმცოდნეობით სამეცნიერო დისციპ- ლინას – **ეთნოლოგიას;** ცნობილი ფრანგი სტრუქტურალისტის, კლოდ ლევი სტროსის მიხედვით, კაცობრიობის ისტორიაში წვდომისათვის არ არის საკმარისი ფაქტების, მოვლენებისა თუ ცალკეულ ყოფით ნივთთა თვისისობრიობის დაფიქსირება. აუცილე- ბელია ძირეულად ჩავსწოდეთ მათ არსს და მიზებ-შედეგობრივად გავისიგრძეგანოთ მათი ადგილი საბოგადოებრივ ყოფაში. ამის მიღწევა კი ეთნოლოგის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია. თუ სოციოლოგია შემოიფარგლება მხოლოდ აწმყოს გაგებით, მაშინ იყო ვერ მიაღწევს მიზანს, რადგანაც აწმყო წარსულის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია. ყოველივე, რაც აწმყოში ხდება, უკვე ისტორიის კუთვნილებაა. მხოლოდ ისტორია იძლევა უბოგადეს კანონთა და ღირებულებათა შეალის შესაბამისად აწმყოს ელემენტთა დაყოფის შესაძლებლობას. ამდენად, წარმოუდგენელია ისტორიისა და ეთნოლოგის ურთიერთგათაოშვა. შეუძლებელია ისტორიის არსებობა ეთნოლოგის გარეშე; რამდენადაც, ყველანაირი აღწერითი და დაკვირვებითი ხასიათის კვლევა, ეთნოლოგიური პროფილისაა, იმდენად ყოველი ისტორიკოსისათვის, მაშინაც კი როდესაც იგი საბოგადოების ისტორიის შორეულ ეტაპებს ეხება, ეთნოლოგიური მასალა (თუნდაც გათხრითი მეთოდებით მოძიე- ბული) ამოსავალი ხდება. რაც შეეხება ეთნოლოგისა და ისტორიის მიმართებას, მეცნიერი თვლის, რომ მათ შორის არსებითი სხვაობა არც კვლევის ობიექტში, არც კვლევის მიზანში და არც კვლევის მეთოდში არ შეინიშნება. მათ აქვთ ერთი და იგივე კვლევის ობიექტი

– სოციალური ცხოვრება; ერთი და იგივე მიზანი – ადამიანის უკეთ შეცნობა და ერთი მეთოდი. განსხვავება მთოლოდ ერთშია: ისფორია ყურადღებას სოციალური ცხოვრების ცნობიერი მოვლენების მიმართ წარმართავს, ხოლო ეთნოლოგია უფრო ამ უკანასკნელის არაცნობიერ დირებულებათა კუთხით ამახვილებს თავს ყურადღებას [339, 260-262; 84, 9].

ეთნოლოგიისადმი, როგორც სამეცნიერო დისციპლინისადმი საკვალიფიკაციო მიდგომის მხრივ, ვფიქრობთ, მეტად საინტერესო სურათი გვაქვს თუნდაც გერმანულ საისფორიო მეცნიერებაში. ხალხმთმცოდნეობითი დისციპლინის აღსანიშნავად აქ ორ ტერმინს – Volkskunde-ს (ხალხისმცოდნეობა) – საკუთრივ გერმანელი ხალხის შემსწავლელი მეცნიერება) და Völkerkunde-ს (დანარჩენ ხევი ხალხთა – არაგერმანულთა შემსწავლელი მეცნიერება) ხმარობენ. გერმანული თვითშეფნება აშკარად გამოიცალ კეცებს თავს დანარჩენი სამყაროსაგან. იგი შეიმეცნებს რა საკუთარ მეობას, შეისწავლის და გაისიგრძეგანებს რა საკუთარ ინტერესებსა და სულიერ მოთხოვნილებებს, მხოლოდ ამის შემდეგ, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, სწავლობს დანარჩენ ხალხებს და მათ შესახებ, საკუთარი თვალსაწიერიდან მიღებულ ცოდნას აყენებს საკუთარსავე ინტერესების სამსახურში. საყურადღებოა, რომ ამგვარი დამოკიდებულება, დანარჩენი სხვა წარმომავლობის ერებისადმი, უშუალო განვითარება ძველ ელინთა (რომელთა კულტურის მემკვიდრედაც მიჩნეულია ევროპული ცივილიზაცია საზოგადოდ) დამოკიდებულებისა დანარჩენი ხალხებისადმი. როგორც ცნობილია, ელინი კაცობრიობის თონ ნაწილად ჰყოფდა – ელინად და ბარბაროსად; მისიანად და სხვად, გადამთიელად, ველურად. მაშასადამე, კაცობრიობა ელინის ცნობიერებაში ორ ხარისხსად იყოფოდა: ელინად – პირველხარისხნად და ბარბაროსად – მეორეხარისხოვნად. ვფიქრობთ, ამ სულითაა გაჯერებული დღესაც თანამედროვე საერთოევროპული საზოგადოება.

ბერძნულად – To εύνοις – ხალხს აღნიშნავს; ზნითა და ჩვეულებით გამოყოფილ, გამორჩეულ ერთობას (To εύνοις – ბნე, ჩვეულება ბერძნულად). ბერძენი ზნითა და ჩვეულებით განსხვავებულს ეძახდა ეთნოსს და გამომდინარე აქედან თავს უწოდებდა ელინს; ზნითა და ჩვეულებით განსხვავებულ სხვა ეთნოსს კი ეძახდა ბარბაროსს.

ქართულ ენაში და შესაბამისად, ქართველურ (თამამად შეიძლება ითქვას ბოგადეკვასიურ) შემეცნებაში კი სხვა ხალხის, სხვა ჯიშის, სხვა მოდგმის აღსანიშნავად, წარმომავლობით-ნათე-საური ნიშნით განსხვავებულობაა აღიარებული. ჩვენ კაცობრიობის დანარჩენი ნაწილისგან თავს გამოვიცალ კეცებთ მოდგმის, ჯიშის,

სისხლითნათესაობითი ერთობლიობის საფუძველზე, რაც თავის მხრივ, მნისა და ჩვეულების სხვაობასაც გულისხმობს; თუმცა ჩვენივე მსგავსი მწე და ჩვეულება სხვასაც შესაძლებელია გააჩნდეს. ამდენად, მწე და ჩვევა ჩვენთვის თავის გამოსაცალკევებლად ძირული არ არის („თათარიც ჩვენი მმა არი“- ქართული ხალხური ლექსი); მთავარია სისხლით, ჯიშით სხვაობა. ამის ნათელი მაგალითია „ნათესავით ქართველის“ ცნება, რომელიც ღერძულ ხაბად გასდევს ზოგადქართველური ერთობის მთელი თანაცხოვრების რამდენიმე ათასწლოვან ისტორიას. გამომდინარე აქედან, ქართველი და შესაბამისად, კავკასიელი ადამიანი, უცხოომელთან ურთიერთობას ამავე ნიშნით აგებდა და თვლიდა რა მასაც თვისობრივად მისსავე მსგავსი ნათესაურ-წარმომავლობითი სტრუქტურის წარმომადგენლად, ბერძნული და შესაბამისად, ზოგადინდოვეროპული ცნობიერებისაგან განსხვავებით, აგრერიგად მკვეთრად არ ემიჯნებოდა უცხოელი. იგიც (უცხოომელიც) მისსავე მსგავს ადამიანად მიაჩნდა და თვისობრივად დიდ ბლვარს არ ავლებდა მასთან. მეორეს მხრივ კი, ამგვარი ეწ. ტოლერანტობა უფრო ამძაფრებდა და აძლიერებდა ქართველ კაცში მკვიდრ ჯიშთშეგნებას და სისხლითწარმომავლობით ცნობიერებას. მართალია, იგი შემწყნარებელი იყო სხვათა ცხოვრების წესისა და შესაძლოა, გარკვეულწილად თანაბიარიც კი გამხდარიყო უცხოთა ზნეზვეულებებისა; მაგრამ მეორეს მხრივ, ამგვარი, ერთი შეხედვით, უცხოომოყვაროება (იხ. ვახუშტი ბაგრაგიონი) კი დევ უფრო ამტკიცებდა და ადუდაბებდა სისხლისმიერნათესაურ ერთობას, რომლის წევრადაც ქართველი უცხოომელს იშვიათად თუ გაიხდიდა; ისიც იმ შემთხვევაში, თუ იგი (უცხო), ადგილობრივი თეოკრატიულ-თემობრივი სამყაროს შვილი გახდებოდა და ამგვარად ეზიარებოდა გაქართველების მისტერიას. ქართველმა კაცმა შესაძლოა დროებით, გარკვეულ სიტუაციაში, დაფაროს, დაითკოს კი დევ საკუთარი შეხედულებები და ემოციები და უცხო გარემოში სწრაფად გაშინაურდეს კი დეც. ჩვენს ამ თვისებაზე მიგვანიშნებს ქართული ანდაბა - „სადაც წახვალ, იქაური ქუდი დაიხურე“; თუმცა ქართველი ერთობ მნელად ეგუება თვისობრივი ხასიათის ძირულ ცვლილებებს; „მიუჩვეველს ნე მიაჩვევ და მიჩვეულს ნე გადააჩვევო“ - უთქვამთ ჩვენში.

ამდენად, მოგვაჩნია, რომ სხვათაგან განსხვავებით, ქართველი ტოლერანტია მნისა და ჩვეულების მიმართ, მაგრამ შეურყეველია და მტკიცებ იცავს ჯიშსა და მოდგმას. იგი სხვას მოირგებს, მაგრამ იშვიათად თუ შეირევს ამავე სხვას. ამდენად, ქართველმა შეიძლება დაიხუროს კი დეც სხვისი ქუდი (ისიც დროებით), მაგრამ ეს გადაჯიშებად არ ითვლება მის შეგნებაში. გადაჯიშება იწყება

სისხლის შერევის შემდეგ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამას თვისების მიზანი ახალი ზნე-ჩვეულებების შემორევაც ახლავს თან.

გამომდინარე აქედან, ქართველი (და შესაბამისად კავკასიელი) კაცის სულში, მიღიოდა რა იგი დათმობაზე გარკვეულ ხალხთა ზნე-ჩვეულებათა მიმართ, არასდროს არ ღვივდებოდა სხვისადმი მტრული დამოკიდებულება, რამდენადაც სხვათაგან კავკასიაში მოტანილ ზნე-ჩვეულებებს აქ ფარად ედგა კავკასიელთა სისხლისმიერ-ნათესა-ობითი ჯიშტშეგნება. შესაბამისად, ჩვენში არც უცხოთფობია, უცხოთმოძლეობა გაღვივებულა, რომლის თანამედროვე განვითა-რებასაც ნაციზმი წარმოადგენს და რომლის საცეცებიც აგრე რიგად ფესვებადგმულია ინდოევროპულ სამყაროში. ამის მიზები აქ სისხლითნათესაობითი სისტემების დაბალხარისხოვნებაში უნდა ვეძებოთ, რაც თავისითავად ამ ხალხთა შემეცნებაში ზნე-ჩვეულების უქმნებობაზე აქცენტირებას იწვევდა. ყოველივე ეს შობდა კიდევ ამ ხალხების ცნობიერებაში დოგმატიზმისკენ და ფეციშიზმისაკენ მიღებარებას. ამგვარი ხედვის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ შესასაუკუნეების ევროპაში ინკვიტიციების მძლავრობა, რომლის საფუძველიც რწმენის, კერძოდ კი იესოს მოძღვრების დოგმატურ გააბრებაში მდგომარეობდა. დოგმატიზმით გაჯერებული ხედვის შედეგი იყო აქ მომძლავრებული ფაშიზმიც, რომელმაც საბოლოოდ თანამედროვე საბოგადოებაში ზოგადი ეროვნულობის, ნაციო-ნალიზმის თავისითავადი, კეთილშობილი და ღვთიური გრძნობის დისკრედიტაცია გამოიწვია. დოგმატიზმის გამოვლინებად მიგვაჩნია ამ სამყაროში ერთობ გავრცელებული ერთგვარი ფორმათ - „უნიფორმათმოუკვარებაც“². ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ მიუხედავად აგრე რიგად აყვავებული და მატერიალურად გაფუფუნებული დღევანდელი ევროპული საბოგადოება ერთობ უღმერთო და არაეროვნულია. ყოველივე ეს მრავალგზის აღნიშნავთ თვით დიდ ევროპელ მოაბროვნებსაც.

რაც შეეხება ჩვენეულ, მშობლიურ სამყაროს; როგორც შერაბ კოსტავა ერთობ ხატოვნად აღნიშნავს: „საქართველო (და კავკასია მომდევნობად – პ.პ.) კულტურათა თანანმიმდევრობის და ეკოლუციის წრიული მდინარების ცენტრში იმყოფებოდა. იგი არა მარტო სივრცულ, არამედ დროთა გამყოფსა და განმწერებელსაც წარმო-ადგინდა. ოდითგან, საქართველო თავისი მეობის შენარჩუნებისათვის ბრძოლით უძველეს სამხრეთელ და ახლადფეხადმულ ჩრდილოელ ხალხებს არ აძლევდა აღრევის საშუალებას, რათა არ დარღვეულიყო ხალხების კულტურათა მონაცვლეობის და თანამიმდევრების ურევე.

² ეს საკითხები ცალკე განხილვის საგანად გვესახება.

მსოფლიო კანონი. კულტურულ-ისტორიული მისიის თვალსაბრისით საქართველო უფრო დაფარული სიკეთის ქვეყანაა, რომლის დანიშნულება მის მრავალ საუკეთესო შეიღსაც კი არ ჰქონდა ბოლომდე გაცნობიერებული: ცნობილია ევროპულ ცივილიზაციაში არსებული აზრი კავკასიის უძველესი მისიის შესახებ; სახელდობრ ის, რომ კავკასია ევროპის ხალხთა აკვანია“ (84, 8-9).

აქვე გვახსნდება მსჯელობა მითიური პრომეთეს შესახებ, სადაც ბ-ნი ზეიადი, ჩვეული ხატოვანი ენით და სიღრმისეული ჭვრეცით, გვისურათებს ქართველური (შესაბამისად კავკასიური) მოდგმის სივრცისეულ არსს, – პროფოქართველური (იაფეტური) მოდგმა და მისი ენა „დამდაბლებული“ და დაწუნებული ხდება ქრისტემდე მესამე ათასწლეულიდან, როდესაც ევრაზიაში იწყება ინდოევროპელთა ექსანსია და გაბატონება, რაც ბერძნულ მითოლოგიაში სიმბოლიზირებულია იაპეტოსის ძის – ტიტან პრომეთეს („წინასწარმეტყველური აზრის“) მიჯაჭვით კავკასიონბე და დედამიწაბე ზევსისა და მისი პანთეონის ღომინონებით (პრომეთე – იაფეტური კაცობრიობა, ზევსი – ინდოევროპელი კაცობრიობა)... აյ საქმე გვაქვს ორი სხვადასხვა კულტურის ბრძოლასთან და ურთიერდაპირისპირასთან. სახელდობრ, პრომეთე არ არის ბერძნული ღვთაება, იყი იმ ხალხის ღმერთია, რომელიც ბერძნების მოსვლამდე ცხოვრობდა და მაღალი კულტურის მაგარებელი იყო. ...ასე რომ, კავკასიონბე მიჯაჭველი პრომეთე, ანუ მაღალი ცივილიზაციისა და აზროვნების მაგარებელი კაცობრიობა, არის პროფოქართველური – იბერიული მოდგმა, კავკასიაში ლოკალიზებული, კავკასიაზე მიჯაჭველი. უფრო აღრინდელ ხანაში ეს მოდგმა აღავსებდა არა მხოლოდ კავკასიას, არამედ ხმელთაშეა მღვის აუბს, ჩრდილო და სამხრეთ ევროპას, პირინეებს, ევკოსის არქიპელაგს, მცირე აზიას და ინდოეთამდე აღწევდა... (31, 45). არ დაფიქრავთ და ვიზყვით, რომ გამოიქმული მოსაბრებები პროფოქართველური გენის თვისობრიობის, არსისა და, თუ გწებავთ, მისიის შესახებ სრულად ეხმიანება ჩვენებულ ხედვის, რომელიც აღბათ, ძალაუნებურად არაერთხელ გამოკრთება კიდევ ქვემოთ, გარკვეულ საკითხებზე მსჯელობისას.


ჩვენის მიბანს კი ამ კონკრეტულ შემთხვევაში წარმოადგენს ქართველთა მოდგმის, ჯიშის თვისობრივობის გაანალიზება და მისი, როგორც დანარჩენი კაცობრიობისგან ბუნებრივად გამოკვეთილი ერთობის კერძობითი სახე-ხასიათის, ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში, მეტ-ნაკლებად დასურათხაფება. ამდენად, ჩვენი მიბანია ჩაგვწვდეთ ჩვენს თავისთავადურ სახეს და, აქედან გამომდინარე, იმ მიზეზ-შედეგობრივ ნიუანსებს, რომლებიც განაპირობებენ კიდევ ჩვენსავე ცხოვრებისეულ-ისტორიულ თვითმყოფადობას. პარალე-

ლურად აღვნიშნავთ იმასაც, რომ ყოველ ერს, ისევე როგორც მის შემადგენელ თითოეულ პირს, გააჩნია ხილული, ხელშესახები ცხოვრებაც და უხილავი, გრძნობადი, ზეციური ცხოვრებაც (მაგალითი-სთვის იხილე ფერწერული ხატი „ბეციური საქართველოს დიდება“). ერიც ისეთივე როგანიბმია, როგორც ცალკეული ინდივიდი. ერი იძაღება, იზრდება, ეცება და ხანდახან ქრება კიდეც, აღიგვება პირისაგან მიწისა. დაცემა იწყება განვითარების პირის მიღწევის-თანავე, მაგრამ ამ ორ მომენტს მორის მდებარეობს მონაკვეთი, რომელიც აღსავსეა ამ ერის სიმშვენიერითა და სიდიადითა (260, 310).

ყოველივე გემოთთქმულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ჩვენი ნაშრომის უმთავრეს კვლევით მიმართულებად ქართველთა ეთნოლოგია დავსახოთ და შესაბამისად, მას ერთგვარი „ქართველთმცოდნეობითი“ დაცვირთვაც მივანიჭოთ; რამეთუ მიგვაჩნიარომ ნებისმიერი საისტორიო დისციპლინის უმთავრესი დანიშნულება, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ეროვნული რაობის განსაზღვრა – განზოგადოებაა წინაპართა ცხოვრებაში ჩაღრმავების გზით. მიგვაჩნია, რომ მხოლოდ და მხოლოდ ამის შემდგომაა სრულყოფილდ შესაძლებელი საბოგადოდ ერთიანი საისტორიო პროცესების გასიგრძევანება და შესაბამისად, საკუთარი ადგილის პოვნა მის წიადში.

სანამ შევეღებოდეთ ჩვენი ძირითადი თემის ირგვლივ საუბარსა და მასალის ანალიზს, ვფიქრობთ, აუცილებელია დასაწყისშივე შევთანხმდეთ იმ კონცეპტუალურ მიღვიმაზე, რომლის მიხედვითაც შევეცდებით მსჯელობისას მოხმობილი ცალკეული კულტურული ელემენტების, დირებულებებისა და მოვლენების წარმოსახვა-ანალიზს. მიგვაჩნია, რომ ყოველ ართეფაქტს გარკვეული სივრცისეული განშლა ახსიათებს, რომელიც სამ ვერტიკალურსა (ქვესკნელი, სკნელი, ბესკნელი) და სამ პორიტონტალურ კატეგორიაშია (წარსული, აწმო, მომავალში) განვითარების ვფიქრობთ, ეთნიკური ყოფისათვის დამახსიათებელი მომენტების ანალიზისადმი ამგვარი მიღვომა კარგად ჩანს, მაგალითად, ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთ ცნობილ ეთნოგრაფიულ წერილში „ფშაველი და მისი წესისოფელი“ (იხ. ლიტ.). აქ, მთელი მსჯელობა ფშაველთა ყოფა-ცხოვრების შესახებ გაშლილია სიკვდილ – სიცოცხლის მუდმივი კატეგორიების ფონზე. ავტორი თხრობას იწყებს კონკრეტული პირის (კარახელას) ავადმყოფობასა და გარდაცვალებაზე და მსჯელობას ასრულებს მისი შვილიშვილის დაბადებით. სივრცისეული განმომილების ხილულ ამ ორ კატეგორიას მორის კი გავრცობილია მთელი მრავალფერადოვანი გამმა ფშაველი კაცის ცხოვრებისა,

რომელიც ჩვეული სიღრმისეული წვდომითა და პოეტურობით აქვს ავტორს გადმოცემული. ერთობლიობაში, მთელი მასალა, ფაბულარული აგების მხრივ, გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყერება:



მთლიანობაში, ამ სამი სივრცულ-ყოფითი კომპონენტის (სიკვდილი, ქორწილი, დაბადება) ერთობლიობა³ ქართველთა (ისევე როგორც სხვა ხალხების) ცნობიერებაში ბუნებრივი ტრადიციულობით არის გაპირობებული. ქართველი, როგორც აბორიგენი თავისი მიწისა, რომელიც სისხლხორცულეულად მომდინარეობს ადგილობრივი ფესვებიდან, წინაპრისკენ წარსულის წინგადმოტანით არის მიქცეული. მას უკან მოხედვის არ ეშინია, რადგანაც იგი ინტუიტიურად უშუალოდ გრძნობს თავს დღევანდელი სამშობლოს გენეტიკურ შვილად; ეს განაპირობებს კიდევ მის ტრადიციონალისტურ ბუნებას. გმირმდინარე აქედან, იგი ტოლერანტია, რამდენადაც მასპინძელია თავისი მიწაზე და ცალკეული გამოუვალი სიტუაციების გარდა, არასდროს ამტკიცებს, საკუთარ ადგილობრივ წარმომავლობას.

ყოველივე ბემოთთქმულიდან გამომდინარე, მოცემული ნაშრომის ძირითადი მიზანი ჩვენ ამგვარად გვესახება – ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალის საფუძველზე თვალი გავადევნოთ საცხოვრისის ფენომენს და მის ადგილს სტადიალურად ცალკეულ საზოგადოებრივ ერთეულებში, ამ უკანასკნელთა განვითარებისდა მიხედვით; დავსვათ საკითხი საცხოვრისის, როგორც სივრცუ-

³ გავიხსენოთ, რომ ადამიანი განსაკუთრებით ამ ყოფით მომენტებშია ტრადიციული და მნე-ზეულებებისადმი ერთგული.

ლი აღქმის გამომხატველი ობიექტები რეალობის შესწავლისა და ვაჩვენოთ ამგვარი კვლევის პერსპექტიულობა; შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინოთ საცხოვრისის როლი ეთნიკურ ყოფაში იმ გეოგრაფიული და სოციალ-ეკონომიკური თავისებურებების გათვალისწინებით, რომლებიც კავკასიას და კერძოდ მის ცენტრალურ ნაწილს ახასიათებს.

ფაქტიურად, ჩვენი ამგვარი მიღღოთა კონკრეტული ყოფითი ფენომენისადმი (ამ შემთხვევაში საცხოვრისისადმი), ქართულ საისტორიო მეცნიერებაში ჯერ კიდევ აკად. გ. ჩიგაიას მიერ შემუშავებული და აწ უკვე კარგად აპრობირებული კომპლექსურ-ინგენიერი მეთოდის სივრცულ პერსპექტივაში ერთგვარ გავრცობას წარმოადგენს, რაც უპირველეს ყოვლისა ჩვენში საისტორიო მეცნიერების განვითარების და ამის საფუძველზე დიდხალი ფაქტობრივი მასალის დაგროვების შედეგად გახდა შესაძლებელი.

რაც შეეხება საკვალიფიკაციო ტერმინს, მიგვაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში შედარებით მართებულია ვიხმაროთ გამოთქმა – პალეოთნოლოგია, რომელიც სიგყვა-სიტყვით ძველ ხალხობულენებას ნიშნავს და ალბათ, მეტნაკლებად სრულდა შეესაბამება კვლევის იმ მიმართულებას, რასაც ჩვენ ვადგავართ. მართალია, გარკვეულ წილად, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ეს დასახელება უფრო ისტორიის ასპარეზიდან გამქრალ ეთნიკურ ერთობათა შესასწავლად წარმოებულ კვლევას უფრო მიესადაგება, მაგრამ ქართველური – იბერიული მოდგმა, რომელიც კავკასიის აბორიგენ მოსახლეობას წარმოადგენს, ათასწლეულთა მიღმა გახედვას არ გაურბის და თამამად უსწორებს თვალს შორეულ წინაპართაგან ჩვენსკენ მომართულ მმერას.

*

*

*

„მეცნიერება, როდესაც მას
თან ახლავს ვნება, –
თანაბრად არის პოეზიის
ბეჭთაგონება!“

გალაკტონი

მეცნიერება, უმაღლეს დონეზე, სხვა არაფერია, თუ არა სამყაროთმცოდნება, რომელსაც თავად შემოქმედის ლაბორატორიაში შეჰყავხარ; აბროვნება ერთდღოულად არის ობიექტური სამყაროს, ანუ სულიერი და ფიზიკური რეალობის შემეცნების საშუალებაც და, როგორც სუბიექტური პროცესი, ადმიანის მე-ს გამოხატულებაც“(84,12). ადამიანი, როგორც მაღალი დანიშნულების და თავისუფალი ნების მქონე არსება, უზენაესის მიერაა შექმნილი და მისი პიროვნული თავისუფლება შემოქმედისგან მომდინარეობს. ღმერთმა ადამიანი შეჰქმნა „ხატად თვისად“ და ამდენად, ადამიანი გამორჩეულ, თავისთავად ღირებულებას წარმოადგენს. იმ თრი სუბსტანციიდან (სულიერი და მატერიალური), რომლებიც მთლიანობაში შეადგენს ადამიანის არსებას, უმთავრესი და უპირატესად ფასეულია უკვდავი სული. იგი მისგან მომდინარე გონიერ საწყისთან ერთად ადამიანის პიროვნულობის, ინდივიდუალობის განმსაზღვრულია. ე. ი. თავისთავადობა, დამოუკიდებელი ჭვრეტა სიღრმისეული პროცესებისა, რასაც ვერასტათ ავცდებით კვლევის პროცესში, ბუნებრივია, ნაკლად ვერ ჩაითვლება. პირიქით, ეს უცილობელ პირობად უნდა მიგიჩნოთ და გარკვეულად შინაგანი, პიროვნული თავისუფლების გამოვლინებად უნდა ვაღიაროთ, რამეთუ „ჭეშმარიტად შემოქმედებითი სული ვერ ეგუება ვერავითარ სტატიკურ დოფ-მებს, ვინაიდან შემოქმედება თავად დინამიკაა, იგია თავად დინამიტი სულის სინამდვილე“(31, 413).

ამდენად, ყოველი ჭეშმარიტი მკვდევარი ამ კუთხით მჩერს და აფასებს სხვათა ნაღვაწს, რაც თავისთავად გამორიცხავს რაიმე პიროვნულ დაპირისპირებას კოლეგათა შორის, რამეთუ ყოველი მათგანი „შემოქმედის ლაბორატორიაში“ შესვლას მიესწრაფვის და ამ გზაზე სიარული ხვეწს და სანთლად ჩამოქნის თითოეული მათგანის სულს. ამის ნათელი მაგალითია დიდ მეცნიერ-მამულიშვილთა ბიოგრაფიებიც.

ქართული კულტურის ძირითადი მახასიათებელი, როგორც ამას ხატოვნად და მართებულად აღნიშნავენ, არა ქმედითი, არამედ ჭერებითი ელემენტია(84, 23), რომელიც თავის მხრივ, სამ ფუძემდებლურ პრინციპს ეყრდნობა: ინდივიდუალიზმსნაციონალიზმს (ეროვნულობას) და თეიიზმს (ღმრთივმორწმუნებას). იგი გულისხმობს ქართველი ერის მიერ გავლილი გზის, ერის რაობისა და დანიშნულების, ეროვნული სახელმწიფო ინტერესების გააჩრებას. მისი ფორმირებისთვის უბარმაბარი მნიშვნელობა აქვს ეროვნული არსის საგანმარტოს – წინაპართა სელიერ და კონით მემკვიდრეობას, ისტორიულად ფორმირებულ და ყოფაში გადმოცემულ ტრადიციებს, ჩეკეულებებს, საბოგადოებრივ ინსტრუმენტებს, ჩამოყალიბებულთ გენესის, ჯიშის დათითბოძებულ გარემოსთან ერთგვარ „ბიოცენობში“ შესვლის შედეგად.

ქართველთა ზექ-ჩვეულებებისა და ტრადიციების შესახებ ცნობებს უძველესი პერიოდებიდან ვაწყდებით როგორც უცხოურ (უმეცეს-წილად ბერძნულ-რომაულ), ასევე საკუთრივ ქართულ წერილობით ძეგლებში. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა XVIII ს-ის პირველი ქართველი მეცნიერ-გეოგრაფის, ვახუშტი ბაგონიშვილის დაკვირვება მშობელი ერის ავ-კარგბე. იგი თავის ნაშრომში – „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“, იძლევა რა საკუთარი ერის შესახებ საქართველო ამომწურავ ინფორმაციას, ქართველთა შესახებ პირუთვნელად წერს: „...ზნენი აქუნდათ პირმტკიცებობა, მტერთა ბედა ერთობა, თავისუფლებისთვის მხნედ ბრძოლა, მედგრად დაომა მისთვის, ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა შენება, მაგრება ქუეყანისა, ერთისა ცოლისა ქმრობა, რამეთუ მოიყვანდიან თვის-თვისთა თანასწორთა...ხოლო კაცნი ამის ქუეყნისანი არიან სარწმუნოებით ქრისტიანენი. ხოლო ანაგებითა არიან კაცნი და ქალნი შეენიერნი, ჰაეროვანნი, შავ თვალ-წარბ-თმოსანნი, თეთრყირმიბზი, იშ ათ შავგვრემან და მოყვითან, იშ ათ თვალჭრელ და გრემანი, და მწითურ ანუ თეთრ. ქალთა თმა გარდატევებული და დაწნული. ხოლო კაცთა ყურთა ბედა მოკუეცილნი; წერწეცნი, უმეტეს ქალნი, იშ ათ სქელნი, მხნენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ციხესა ბედა და მხედრობათა შინა კადინიერნი, მკვირცხლნი, მსწრაფნი. სალაშეროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყუარენი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მაძიებელნი ესრეთ, რამეთუ თვისთა სახელთათვის არა რიდებენ ქუეყანისა და მეფესა თვისსა, სტუმართა და უცხოთ მოყვარენი; მხიარულნი, უკეთე ორნი ანუ სამნი არიან, არარა შეიჭირვიან; უუნი, არცა თ სსა და არცა სხვისსა კრძალვენ; საუნჯეთა არა მმესველნი, გონიერნი, მსწრაფლ-მიმხდომნი, მჩემებელნი, სწავლის მოყვარენი... ურთიერთის მიმყოლნი, სიკეთის

დამსწავლელნი და მიმგებელნი, სირცხვილის მიმდევარნი, კეთილ-ბოროტბედ აღრე მიმღრეკნი, თავხელნი, დიდების მოყვარენი, თვალმგებნი და მოთაკილენი...“(152, 44-45)

საკუთარ, ოდინდელ სამკვიდროსთან სისხლხორცუელად შეზრდის შედეგად ქართველთა მოდგმას, ჯოშს ჩამოუყალიბდა თავისეული ყოფა-ცხოვრების სტილი. ეს განსაკუთრებით ნათლად გამომზეურდება ხოლმე მრავალფერადოვან და მრავალსახოვან წეს-ჩვეულებებში, ტრადიციებშით თუ ყოველდღიურ ქცევით ნორმებში. ისინა მნიშნელოვანწილად გაპირობებულნი არიან, ისევ და ისევ, მშობელ გარემოსთან შეგების შედეგად ათასწლეულთა მიღმა ჩამოყალიბებული ბიოკულტურული და სამეცნერო-ყოფითი ურთი-ერთობებით. ეს სამეცნერო-კულტურულ ურთიერთობათა კომპლექტი უძველესი პერიოდიდანვე გვლისხმობდა სოციალური ერთეულის – ოჯახის მიერ მიწის ფლობას სისხლითნათესაობითი პრინციპ ჰების საფუძველზე ჩამოყალიბებული სამართლებრივ-ჩვეულებითი ნორ-მების მიხედვით. თავის მხრივ, ამგვარი ურთიერთობანი შედედაბე-ბულ-შემაგრებული იყო საერთო სათემო სალოცავის, როგორც სათემო მიწის უმაღლესი პატრონისა და განმწერებლის უპირობო აღიარებით. გამომდინარე აქედან, თემის შემადგენელი ყოველი მიწისმფლობელი ოჯახი, ხატისყმბის საფუძველზე, უშუალოდ სალოცავის წინაშე იყო პასუხისმგებელი და შესაბამისად, თემის ყოველი წევრის მორალური სახეც დეთისმოშიშობის ღრმა და კეთილშობილური ნიშნით იყო აღბეჭდილი. შესაბამისად, ჩამოყალიბ-და იმგვარი მორალურ-სულიერი პრინციპ ჰების, რომლის თანახმადაც საერთო სათემო ღირებულებების და შესაბამისად მომმეთა წინა-აღმდევ წასვლა, ხატის წინააღმდევ წასვლის ტოლფასი იყო. ხატისა და თემის შემბლალაგის უმაღლესი სასჯელი კი მოკვეთა, გაძევება იყო, რაც პიროვნებას საკუთარ სისხლთან და ხორცთან – ოჯახთან განშორებასაც უქადა. გამომდინარე აქედან, თემის ყოველი წევრის უმაღლესი მიზანი გახლდათ დეთისმოშიშობის საფუძველზე სამსახური საკუთარი თემ-სოფლისა და შესაბამისად, საკუთარი სამშობლოსადმი. სწორედ ეს დეთისმოშიშობა არის საფუძველი უმაღლესი სიყვარულისა („შიში შეიქმს სიყვარულსა“ – მოთა რუსთველი, XII ს.), რომლის ფონზეც ვითარდებოდა მთელი მრავალფერადოვანი გამმა საერთოქართველური თუ რეგიონა-ლური ბნე-ჩვეულებებისა და ტრადიციებისა, რომლებიც ესოდენ მრავლად შემოინახნენ ჩვენს დრომდე და ამქამადაც ცხოვლად განაპირობებენ ქართველი ერის დღევანდელ ყოფას.

საესებით მართებულადაა აღნიშნული, რომ „ერი ადამიანთა მოდგმის უნიკალური წარმონაქმნია და ამასთანავე კაცობრივი

არსის ინდივიდუალური გამოვლენა. სწორედ ეს განსაზღვრავს მის „მეტაფორიკურ ადგილს“ სამყაროს ბუნებითსა და ადამიანურ წყობაში. არ არსებობს უფრო დიდი ღირებულება, ვიღრე ერად ყოფნის ღირებულება“(75, 16). ინდივიდის მიერ საკუთარი ერი და ეროვნული ყოფიერება ყოველთვის განიცდება და მოიაზრება აბსოლუტურ, უპირობო და თავისთავად რეალობად, მისი პიროვნეული ცხოვრების უზნაეს საზრისად. ყოველი ნორმალური პიროვნება, თუკი იგი გადაგვარებული არ არის, თავს მიაკუთვნებს არა უშუალოდ კაცობრიობას, არამედ გარკვეულ ერს, რამდანადაც, ჩვენი მიმართება სამყაროსა და საერთოდ, „კაცობრივ არსთან“ ჩვენივე ეროვნული ყოფიერებით არის განსაზღვრული და გამუალებული, რითაც სამართლიანად ამაყობს ყოველი ინდივიდი. უნდა აღინიშვნოს, რომ ეს „მიკუთვნება“ არ ნიშნავს თავისუფალ არჩევანს. მეტაფორიკური გაგებით, ინდივიდს მისი ეროვნული ყოფიერება მუდამ მჩბამბარეულად, გარედან ეძლევა“(75,16). ამა თუ იმ ერისადმი პიროვნების მიკუთვნება ბედისწერის გარდევალობაა და არა თავისუფალი არჩევანის შედევი. „მამულიშვილად“, „ერის შვილად“ ყოფნა - ეს ინდივიდის ბედისწერაა“(75, 18). ამდენად მამულისგან განდგომა და ერისგან განცხება ისეთი დანაშაულია, რომლისთვისაც ზნეობრივი თვალსაზრისით პრაქტიკულად სასჯელი არ არსებობს. იგი თვითმკვლელობის გოლფასია. მოღალატისთვის მოკვდინება სსნა უფროა, ვიღრე სასჯელის უმაღლესი ბომა. ამიტომ ძველად დალატი ისჯებოდა არა მოკვდინებით, არამედ სამშობლოდან გაძევებით(ოსტრაკიზმი, თემისგან მოკვეთა).

ერი ადამიანთა ისეთი განსაკუთრებული ერთობაა, რომელიც გარდა გენეტიკურ-წარმომავლობითი და სულიერ-კულტურული ერთიანობისა, საერთო ისტორიული ბედის ერთიანობას ემყარება; ეს უკანასკნელი ილია ჭავჭავაძეს ერის ყველაზე არსებით და განმსაზღვრელ ნიშნად მიაჩნდა: „ყოველი ერი თავის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თავისის სულის ბერიას, თავის ზნეობითსა და გონებითს აღმატებულობას, თავის ვინაობას, თავის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარცომობისა ისე არ შემსჭვალავს ხოლმე ადამიანებს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა.“(„ოსმალოს საქართველო“)... „ერის დაცემა და გათახსირება იწყება მაშინ, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს; როგორც კაცად არ იხსენიება ის მაწანწალა ბოგანო, ვისაც აღარ ახსოვს – ვინ არის, საიდან მოდის და საით მიდის, ისე ერად სახსენებული არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყირომია და თავის ისტორია აღარ ახსოვს“(„დავით აღმაშენებელი“).

მივაკუთვნებოთ რა თავს ერს (კონკრეტულ შემთხვევაში ქართველ ერს) და აქედან გამომდინარე, მის კულტურას, შესაბამისად, დღენიადაგ უნდა ცელილობდეთ, რომ ჩვენი ცხოვრების წესი მეცნიერებას (ცნობიერად ცხოვრება გვაქვს მხედველობაში) და ზნეობას ემყარებოდეს, რომლის უმაღლესია მიზანიც ღვთის, ანუ კეთილობის იდეის მიბაძვა-მიმსგავსებაა(29,32). ამიტომაც იყო, რომ ოდითგან, ყოველი საგანმანათლებლო ცენტრი წმინდა ადგილებთან, ეკლესია-მონასტრებთან არსედებოდა. ჩვენი წინაპრები განასხვავ-ვებდნენ ცნებებს – „განათლება“ და „ცოდნა“, „განათლებული“ და „წიგნიერი“. საგანმანათლებლო ცენტრების წმინდა ადგილებთან დაარსებაც სწორედ გონების (Ratio) განათლებას, გონებაში ღვთიური ნათელის ჩადგომას ისახავდა მიზნად. ეს მხოლოდ და მხოლოდ განვითარობით – თეობისის საშუალებით იყო შესაძლებელი, რის საწინადრადაც ეს წმინდა ადგილები გვევლინებოდნენ. „სიბრძნის სიყვარულისა და სიყვარულისგან აღმრული ვაჟკაცობის კავშირია, სიკვდილისათვის მზადებით, სიცოცხლეშივე უკვდავებისთვის რომ ამზადებს ადამიანს. ვაჟკაცობა და სიბრძნე გზაა გამოცხადებისაკენ, ნათელ-ხილვისაკენ, სულიერი სამყაროს წვდომისაკენ“(მერაბ კოსტავა).

ღვთისმორწმუნებობა ქართული ტრადიციული მსოფლმხედველობის ერთეულითი ბურჯი და ბოგადი გაგებით, ამოსაგალი წერტილია. სამყაროს თეისტური აღქმა საზოგადოების ნორმალური განვითარებისთვის ისევე აუცილებელია, როგორც პაერი აღამიანისთვის – „სარწმუნოება ჭეშმარიტებაა გულისა“ (ილია). როგორც ისტორია და თანამედროვე სინამდვილე გვარწმუნებს, ღვთის უარყოფას, თუნდაც „ნეიტრალურ“ ათებიმს, კანონმიტიურად და გარდუევაბლად მივყავართ უჩნევობასა და ყოველდღიურ უბედურებამდე. ქართველი ერისა და საქართველოს განახლება-აღორძინების უმთავრეს წინაპირობას რწმენითი განათლება, ზნეობისა და სამართლიანობის კრიტერიუმებით ცხოვრება წარმოადგენს. დღეს კი „საკმარისია თვალი გადავავლოთ ცხოვრებას ჩვენი საუკუნის ცივილიზებული კაცობრიობისას, რომ ნათელი გახდება თუ რაოდენ გამწვავდა ცნობიერი თუ ქვეცნობიერი აღქმა დილემისა, რომელიც ამგვარად გამოიკვეთა. . . ან ვაღიაროთ, რომ ღმერთი, უგენავსი რეალურად არსებობს, არსებობს მორალის გაგება, სრულყოფილი ეთიკა, რომლის განხორციელებასაც უნდა მიეღლოთ დადამიანი, რომელსაც სურს აღსრულება თავისი ამსოფლიური მაღალი დანიშნულებისა; ან ვაღიაროთ საპირისპირო: ღმერთი, მორალი, ეთიკა, მხოლოდ ცარიელი სიტყვებია, რომლებიც ერთ მცირე ჯუფს ადამიანებისას მოუგონია მეორე, უფრო დიდი ნაწილის დასათრგუნად და დასამონებლად“(იხ. 32). არადა ძველად,

როდესაც ადამიანი ჯერ კიდევ არ იყო ასე რიგად გამდგარი უფლისა და, შესაბამისად, საკუთარი თაფისგანაც, ბრძენთა ავტორიტეტი, დიდი რელიგიების უძემდებელთა საკრალური პრაქტიკა საჩინოსა ჰყოფდა გზას სიქველისას, ჭეშმარიტებისას, რომელსაც მხოლოდ მლევი ან მორალურად გადაგვარებული თუ შეაქცევდა შეცნეულად ზურგს; ამიტომაც იმ ეპოქაში, როგორც მაშინდელი შექმნილი ფსალტუნ-ლეთისალიდებლები ნათელყოფს, ათეიზმი და უგუნურება სინონიმად ითვლებოდა: „სთქუა უგუნურმან გულსა თვსსა შიგან, არ არს ღმერთი“; თუმცა დღევანდელ ეპოქაში ფსევდოინტელექტუალური „ინტელიგენციისთვის“ უგუნურების სინონიმად რწმენა ქცეულა“ (იქვე).

ქრისტიანული სარწმუნოება (რწმენა ღვთისა საბოგადოდ) ქართული ცნობიერების საფუძველია. ის ორგანულადაა დაკავშირებული პიროვნების რაობის, თავისუფლების და ეროვნულობის ცნებებთან. მართლმადიდებური ქრისტიანობა და ქართული ეროვნულობა განუყოფელია ერთმანეთისგან – „ქრისტიანობამ შეგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნება“ (ილია). სარწმუნოებიდანვე გამომდინარეობს ადამიანის დანიშნულებისა და თავისუფლების იდეა. ადამიანს იმდენად აქვს სოციალური უფლებები და თავისუფლებები, რამდენადაც იგი „ღვთის ხავია“, შექმნილი უფლისგან, და გაბრინია უკვდავი სული. აღმიანის არსი, მისი დანიშნულება და თავისუფლების მიზანი სრულად მხოლოდ სარწმუნოებაში, მისი შეშვეობით ჭეშმარიტების ძიებაში შეიმუნება. ყოველგვარი სხვა გზი თავის მოტყუებაა მხოლოდ და ჭეშმარიტებას გვაშორებს. ადამიანის მისისა და თავისუფლების ამგვარი გაგება, ტრადიციულად არსებობდა საქართველოში და კავკასიაში სამოგადოდ – სულის თავისუფლება ხომ აქ არასდროს ყოფილა შებოჭილი. ცხადია, ინდივიდუალიზმის ქრისტიანულ, ბოგადად სარწმუნოებრივ გაგებას არაფერი აქვს საერთო სხვადასხვა ათეისტურ-რაციონალისტური დოქტრინების ინდივიდუალიზმთან (პიროვნებისა და ადამიანური გონების გააბსოლუტურების პრინციპი პთან), რასაც ლოგიკურად მიღყავართ ადამიანის შინაგან დაცემამდე, რომელმაც უკვე გამოიღო სულიერი საფუძვლების დამანგრეველი შედეგები.

ლიბერალური, რევოლუციური და ბოგადად, ათეისტურ-რაციონალისტური ნიპილიზმის ბეობამ (რაც სრულად გამოიხატა ჩვენში 70-იან კომუნისტურ რეჟიმში და რამაც ყოვლისმომცველი მასშტაბები მიიღო დღევანდელ მსოფლიოში) და შესაბამისმა პროპაგანდამ ეროვნულობაზე, ნაციონალიზმზე უარყოფითი შეხედულება განაპირობა. ნაციონალიზმს, უაღრესად ბუნებრივისა და სამართლიანს, ხშირად აიგივებენ ხოლმე ნაციიზმთან და

ფაშიზმთან; მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელნი ისეთივე ანტიეროვნული მოვლენებია, ისევე იწვევენ ეროვნული ცნობიერებისა და საერთოდ, ერის გადაგვარებას, როგორც სოციალისტური ინტერნაციონალიზმი და კოსმოპოლიტიზმი – ერების შერწყმისა და „მსოფლიო მოქალაქის“ აბსურდული იდეები.

„ისტორიული წარსული, ბუნება ქართველობისა გვაიმედებს, რომ ეს „ნაციონალიზმი“ მუდამ იქნება ჯანსაღი და არასაღროს იგი შოვინიზმად, ფანატიზმად არ გადაიქცევა“ (ვაჟა). „ჩვენში მამულის სიყვარული სხვა თვისებაა. . . იგი იფერობს მხოლოდ წმინდა გრძნობას. ამ გრძნობაში თავის თავის მეტი არა ურევია რა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათოგუნვის სურვილი, ვისიმე გუბედურების წადილი მასში სრულიად არ ჩანს. ჩვენს მამულიშვილებს სურთ წარმატება ჩვენი ეროვნებისა და ვინაობისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეეძლია სიცოცხლე და ადამიანური არსებობა“ (იაკობ გოგებაშვილი). „ვინც თავის გვარტომობას უარპყოფს, ის ვეღარც სხვას გამოადგება, უვარვისი იქნება შინაც და გარეთაც. გიყვარდეთ თქვენი ქართველობა, მაგრამ მოვინისტური გრძნობით კი არა, ესე იგი რომ სხვისი და კლებით რაიმე შესძინოთ თქვენს ეროვნებას. არა! იმ სიყვარულით, რომელსაც სარჩეულად უნდა ედვას მმობის, ერთობის და სიყვარულის სურვილი“ . . . (აკაკი).

შემოქმედმა კაცობრიობა ერებად დაბჭყო და თითოეულ მათგანს ეთნო-მსამარცვლები (ენა, ტერიტორია, საერთო ფსიქოლოგიური მოწყობა, ერთიანობის შეგრძნება...) მიანიჭა. მაცხოვარმა საზოგადოების მოლიერნიურობა განამტკიცა სულთმოფენის სასწაულით, ეკლესიათა ავტოკეფალურობით... კაცობრიობა, ერებად დაყოფილი, იარსებებს ქვეყნიერების აღსასრულადღე ამდენად, ეროვნული მსოფლადქმა დვთის სათხო და მისგან დაშვებული ხედვის წესია. „თვით ბუნება არაა ერთგვაროვანი. ის სხვადასხვა ადგილას სხვადასხვაგვარია და ამის მიხედვით სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ერები სხვადასხვა ხასიათისა და ზნებვეულებისაა... ფერადოვანი კაცობრიობა სხვადასხვა ნაციის ეროვნებისგან არის შემდგარი და თითოეულმა მათგანმა თავისი საკუთარი ელფერი და საკუთარი „რამეობა“ უნდა შეიტანოს, რომ აიგსოს საკაცობრიო ზღვა! თითოეულ კაცს, თავის ნაციასთან შეზრდილს, უფრო ნაყოფიერად შეეძლიან იმუშოთ თავის სამშობლოში, ვიდრე გარეთ. და მართლაც, ვისაც საკუთარი მშობელი არ უყვარს, მას შეუძლია მშობლად სხვა შეიყვაროს?“ (აკაკი).

„მთლიანობაში ქართველობა უნდა იქცეს დიდ მისაბამ ერად, მსოფლიო კულტურის შემდგომი განვითარების ერთერთ მოთავედ, მაღალი იდეების, ფორმებისა და სისტემების შემქმნელად და მიმტანად მსოფლიო ხალხების წმინდა საკურთხეველზე... სწორედ

ქართველი ხალხის ყველაბზე ცნობასრული ინდივიდუალობების გონიერაში უნდა დამკვიდრდეს იდეა ქართველობის დიდ და მისაბაძე ეროვნებად ქცევისა. მათგან დამოკიდებული ჩვენი ხალხის მიერ მისი მისის მართებულად გაგება და ცხოვრებაში რეალიზება. დიდ ერად ქცევა როდი ნიშნავს ეთიკური ნორმების დარღვევას, როდი ნიშნავს გული გვეთქმოდეს სხვისი მიწისა და ქონებისათვის. ჩვენი ეროვნული ენერგია, თუნდაც ქვეუნიონიურად, სხვათა კეთილდღეობისათვის მოგვითმარია და ამიტომ დაუშვებელია ქართველმა ხალხმა თავისი ბედნიერება სხვის უბედურებაზე ააგოს. ამგვარი ბედნიერება ქართველისათვის ბედნიერება არ იქნება, მაგრამ თავისი სანუკვარი მიზნის განხორციელებას იგი ეცდება და გრას დაულოცავს, ვინც თავისი ბედნიერებისა და ძლიერების სასახლეს სხვების დაუზიანებლად ააგებს” (მერაბი).

ძიება დირექტულისა, სიმართლისა, ჭეშმარიფებისა უცილებელი პირობაა კაცობრიობის ისტორიის უბოგადესი კანონმდინერებების შესამეცნებლად. რომ ჩავწევდეთ ამ საიდუმლოს, კაცობრიობის არა მარტო მატერიალურად ხელშესახები ისტორიის უურცლებს, არამედ მისი სულის სიმების გამომახილს უნდა ვეტიაროთ. შემთხვევითი არ არის, რომ უდიდესმა გერმანულმა მოაბროვნებმ ჰაინრიხ ჰაინრიხ ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ მეოთხედში დააყენა საკითხი პოეტიით ისტორიის შექსების შესაბამებლობის შესახებ. ქართულ პოეტიაში ამ პრობლემას ეხმანება დიდი გალაქტიონი თავის ცნობილ ნაწარმოებში „საუბარი ლირიკის შესახებ“, რომლის ერთერთი ტაქტი პერიოდაზად წავუმდღვარეთ ამ თავს. შესაძლოა, რომელიმე ემპირიკოსი მკელევარი არ დაგვეთანხმოს მეცნიერებისა და პოების ურთიერთშეთანხმებაში და მიაჩნდეს, რომ მეცნიერება მხოლოდ და მხოლოდ შიშველ უაქტებსა და ცივ გონებას უნდა ემყარებოდეს; ჩვენ კი ასეთ მკელევარებს შეგახსენებთ, რომ ცივ გონებას თუ ცხელი გული (ზემთაგონება) არ მიუმატე, ვერასძლოს მიიღებ დირექტულ, ფასეულ ნაღვაწს, რომელიც გასცდება აწმყოს ხლართებს და მომავალ თაობებს წარსულთან დაკავშირების საშუალებას მისცემს. არადა ეს უნარი უნდა გააჩნდეს ნებისმიერი ისტორიული ხასიათის ნაშრომს. ეს თვისება განასხვავებს სწორედ ერთმეორისგან „გენიოსთა“ და „კეთილსინდისიერ სწავლულთა“ ნაშრომებს“ (31, 454).⁴ უთუოდ, ამგვარად ჭვრეცდა ქართული

⁴ და რომ ეს მართლაც ასეა, და არა სხვაგვარად ნათელად გვიდასტურებს თუნდაც ოთარ ჭიდაბის ცნობაილი რომანი „ყოველმან ჩემმან მპოვნებლმან“, რომელიც ისტორიულ ჭეშმარიტებაში წვდომისა და ასახვის ღონით ნამდვილად გადასწონის XIX საუკუნის რესეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ შექმნილ საისტორიო-კვლევით ნაშრომებს. უმრავლესობას.

ჰაგიოგრაფიული მწერლობის (ზოგადად მწერლობის) დანიშნულებას, ერის ისტორიასთან მიმართებაში, ივანე ჯავახიშვილიც, გამჭყავდა რა იგი საისტორიო მწერლობის რანგში(იხ. 190). მიზები ამისა ის არის, რომ ისტორიას (მეცნიერებას) თუკი საქმე აქვს კერძო ჭეშმარიტებასთან და ფაქტებთან, (რაც გამომდინარე ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორებიდან შესაძლოა ტენდენციურ ხასიათის აფარებდნენ) პოებია (ანუ მხატვრულ ლიტერატურას ზოგადად) უფრო მეტად ზოგად ჭეშმარიტებასთან არის წილნაყარი (31. 32). უთუოდ:

**„იხილებოდა სული დიადი,
როს სიმაღლეებს სწვდებოდა არსი!“**

გალაკტიონი

*

*

*

უდიდეს კულტურათა წიაღში ჩაღრმავება ადამიანს აძლევს იმის საშუალებას, რომ სულიერად შეერწყას და ზოგადი ჭეშმარიტების დონეზე აღიქვას სამყაროში არსებული სიკეთე და სიყვარული – ღმერთი. განა რა არის სამყარო? იგი ხომ სხვა არაფერია, თუ არა ღმერთის ღვთაებრივი არსების სარკე. ადამიანი, რომელიც გონებით, მკვლევარის თვალით უმზეს სამყაროს, ყოველ მინერალში, ყოველ მცენარეში, ყოველ ცხოველსა თუ ადამიანში ხედავს ღმრთივსულიერი ნაკადის გამოხატულებასა და ანაბეჭდს (161, 15-16); ღმრთივსულიერისა, რომელიც თავად გვევლინება აბსოლუტურ მუდმივობად, სიკვდილისა სიკვდილით დამთრგუნველ ძალად.

„შენი ჭირიმე სიკვდილო, სიცოცხლე ფასობს შენითა“ – აი, რაგვარად სჭვრებდა ყოფა-ცხოვრებისულ პოლუსებს ქართველური ეროვნული სული. ამ დაუსაბამო პოლუსალურ ცნებათა შორის მიმოქცეოდა საერთოეროვნული სულიერი ენერგია; ენერგია, რომლის მახასიათებელი, მერაბ კოსტავას რომ დავესესხოთ, ოდითგან, არა ქმედითი, არამედ ჭვრეტითი ელექტრი იყო. სიკვდილის, გარდაცვალების ამ ბუნებრივი აქტის სიღრმეებში წვდომის საშუალებით მჩერდა და აფასებდა ამქეცენიური სამყაროს სახეს ქართული და საერთოდ, კავკასიური ჯიში. სიგყვა „გარდაცვალება“ ნათლად გადმოსცემს შინაარს ამ ბუნებრივი მოვლენისა, რაც, თავისთავად, ახალ თვისობრივობაში გადასვლას, სახის ცვლას,

მიწად მიქცევას, დედა ბუნებაში დაბრუნებას, შთასვლას აღნიშნავს. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანურობის, კაცობრიობის ისტორია იწყება მაშინ, როცა ადამიანი აფიქსირებს სულ და იწყებს ბრუნვას მასზე, ე.ი. როცა იწყება რიტუალი და სავარაუდოა, რომ უპირველესად ეს იყო დაკრძალვის რიტუალი, ინჟუმცია. ადამიანი უპირველესად მორალური და არა ფიზიოლოგიური მოვლენაა, რომელსაც დეტისგან ბოძებული საშემოს ჭრების, მის სიღრმეებში წვდომის უნარი გააჩნია. ყოველივე ამის შემდეგაა იგი ადამიანი და არა მაშინ, როდესაც ეწ. მაიმუნის მსგავსი ადამიანი თუ ადამიანის მსგავსი მამუნი ბანანის ან მსხლის ჩამოსაგდებად მოკაკულ ჯოხს ან გაჩიქინილ ქვას მოიხელოთებს. არადა, როგორც ამას სულ ახლახან, დმერთსგანდგომილი – მატერიალურობაში ჩაძირული მცოდნეები, წიგნწაკითხული გვამნი გვიქადაგებდნენ (განსხვავებით განათლებულ, წიგნიერებით გონჩი დეთა-ების ნათელჩამდგარ მეცნიერთაგან) ყოველივე სულიერი და შესაბამისად, ადამიანური, მეორად, ეწ. ბედნაშენ მოვლენას წარმოადგენდა. სამწესაროო, მიუხედავად მათ მიერვე ღმრთივ-მორწმუნების ხმამაღალი დეკლარირებისა, რაც ოდენ ამგვარ „მცოდნეთა“ მიერ ხანდისხან სალოცავში შევლითა და სანთლის ანთებით ამოიწურება, ძველი, დიალექტიკურ-მატერიალისტური და ისტორიულ-მატერიალისტური აბროგნების სტროფისები საქართველოში ჯერ კიდევ დასაძლევება.

უმწარესი და უსაშინლესი იყო ტკივილები, რომელიც ყოველმა ქართველმა განიცადა (ცნობიერად თუ არაცნობიერად) უკანასკნელ პერიოდში სამშობლოში მიმდინარე მოვლენებისა გამო.

ხორციელდაც და, რაც მთავარია, სულიერად დიდი ტანჯვა-წამება გამოიარა ქართულმა გენმა, ჯიშმა, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე ეს უცილობლად უნდა გახდეს თვისობრივად ახალი, თავისთავადი, სულიერად და ფიზიკურად თავისუფალი ერის ყოფა-ცხოვრების აღდგენის საწინდარი. სრულიად შემცდარია ის, ვისაც ჰგონია, რომ ვითომდაც ჩაკვდა, ჩანაცლდა ერი სულ-ხორცულად, თითქოს დაიშრიფა მისი ენერგია, ვითომ გბააბნეული მიბოგინობს იგი ისტორიის შარაზე. პირიქით, ქართულმა ჯიშმა, უბარმაზარი, თვისობრივად წმინდა, უმწიკვლო მსხვერპლი გაიღო მომავლისთვის, სულიერი თვითგადარჩენისთვის. ჭეშმაერიგად, „დღეს ჩვენთან არიან ის სულები, საქართველოს თავისუფლების ქომაგნი, საქართველოსთვის მრავალი მათგანი შემდგომში წამებული, საქართველოს თავისუფლების სულის-ჩამდგმელი. . . . და დღეს, დღეს, მეგობრებო, უნდა ითქვას სიმართლე, რამეთუ სიმართლისთვის მოგვავლინა უფალმა ჩვენ, სიმარ-

თლისთვის მოავლინა ქართველი ერი, რათა მან სწამოს ჭეშმარიტი, რათა მან სწამოს დვთის გზის ჭეშმარიტება, რათა მან სწამოს ქრისტიანთვის, რათა იყო გაბრწყინდეს მსოფლიოს ხალხთა წინაშე, ვითარეცა ქომაგი ჭეშმარიტებისა“.(ზეიადი)

ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიცნობიეროთ, რომ დიდწილად სწორედ ზეციური საქართველო განაპირობებს ამქვეყნიური ყოფითი საქართველოს ბეჭს, მის დედამიწიერ ცხოვრებას. სწორედ ამაში მდგომარეობს ქართველი ერის დვთისრჩეულობაც, რაც მისი მისის აღსრულების პროცესში ზეციური (მუდმივი სიკეთის დვთიური სათავე) ჭეშმარიტებისადმი წმინდა შესვერპლის თვითგადებაში ვლინდება.

თავგანწირვამ დავთივკურთხეული იდეისადმი, ნათელი მომავლისთვის, ეროვნული ცხოვრების წესის სიწმინდისადმი, რომლის ახალი გაღლაც თრასწლოვანი მცონარე ძილიდან ერის გამოსაფხილებლად სულმნათმა ბვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავაშ⁵ ეროვნული მოძრაობის ახალი ეფაპის გარიერაკებები ააგვირთეს, განსაკუთრებით 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შემდგომ გაძლიერდა⁶.

ერის ამქვეყნიური ცხოვრებიდან უმეტესწილად საუკეთესონი წავიდნენ ზეციურ საქართველოში (მოგეხსენებათ თავგანწირვა სულით სპეცაქსა და ძლიერის ძალუშს მხოლოდ), რათა გაეძლიერებინათ, განემტკიცებინათ ქართველ წმინდანთა რიგები. შესაძლოა ბევრი მათგანის ვინაობა უცნობიც კი რჩება ამქვეყნიური რიგითი ქართველისთვის, მაგრამ მათ შევახსენებთ, რომ იმ ათა წამებულთაგან ჯალალედინის მიერ, რომელნიც ერთ დღეს შეეწირნენ ქრისტიანულ საქართველოს, პიროვნულად უცნობნი რჩებიან

⁵ მეითხევლს შევახსენებთ ერთ ფაქტს: „წმინდა ილია მართალი საქართველოს მტრებმა 1907 წელს გამოასალმეს სიცოცხლეს; 1937 წელს მისი მკვლელების (ესდეკების) იდეურმა მემკვიდრეებმა - კომუნისტებმა მას დაბადებიდან 100 წლის იუბილე დიდი ბარ-ბეიმით გადაუხადეს; ქართული მართლმადიდებლური ეკლესის სინოდმა კი აქედან 50 წლის შემდეგ 1986 წ-ს, კი გარდაცვალებიდან 80 წლის შემდეგ, დიდი ილია წმინდანად შერაცხა; უფლის გზაზე შემდგარი ეს დიდი მამულაშვილი კი წმინდანი იყო 1907 წლის 20 აგვისტოსვე. „წიწამურში რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა დასრულდა დიდი.“- გალაკტიონი.

⁶ მეითხევლს შევახსენებთ ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას სიტყვებს წარმოთქმულს 9 აპრილის დამეს, სადაც იყო ზუსტად განსაზღვრავს ამ მისტიური დამის აღგილს ქართველი ერის ისტორიაში: „ქართველი ერის ისტორიაში ყოფილა დიდებული წამები და ეს წამი არის ერთერთი უდიდებულესი, როდესაც ქართველი ერი ასე ერთად შეკრული წარსდგა დვთის წინაშე“.

ჩვენთვის, ოღონდ მათ მიერ გადებული მსხვერპლი, მათი თავგანწირვა რწმენისა და მამულისთვის აქ, ამქვეყნიურ ყოფაში აძლიერებს ყოველი ჩვენგანის, ყოველი დღესმყოფის დადებით ენერგიას.

ალბათ, ორასწლოვანი მცონარობის, გაზულუქება-გადაგვარების, ხორცის გათრევის პერიოდში ისე შესუსტდა ზეციური საქართველოს ენერგია, რომ ივერიის გაბრწყინებამ მოითხოვა საუკეთესონი ზგარაკად. ჩვენ კი, აქ დარჩენილებმა, მაქსიმალურად უნდა შევძლოთ დათმენით, ხორციელი თვითგაცემით ცოდვათა გამოსყიდვა.

„სიკვდილის შიში სხვა არაფერია, თუ არა მატერიის დაკარგვის შიში. აი, ამ „დიდი“ შიშით გვებრძების არაკეთილი, ბოროტი ბალა, მატერიალური სულთისმიმე, ეშმაკი სამოგადოდ. რამეთუ ადამიანი, რომელსაც სწამს, რომ მისი ჭეშმარიტი სამზობლო სულების საუფლოა, ხოლო მისი მატერიალური სხეული დროიგითი სამყოფელია მხოლოდ, არ შიშობს მის დაკარგვას. როგორც დიდი შოთა ბრძანებს: „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაბრუჯილობა“.⁷

პირველადი და უმთავრესი საკითხი – ესა სამყაროსა და მარადისობისადმი ჩვენი მიმართება, რომელიც უსათუოდ უნდა დაეკრძოს სულის უკვდავების იდეას... მხოლოდ უკვდავში შეიძლება იშვას მარადისობისა და უკვდავის შესატყვისი საკითხები... სამყაროს სულის უკვდავება კი სულის უკვდავებასთან მიგდახლოვებს. სულის უკვდავობას უშეალოდ უკავშირდება სინდისის, ღვთის ნათელში წვდომის ნიჭი. სინდისი გააბრების აბსტრაქტული თბიექტი როდია, არამედ აქციური, ქმედითი, ცენტრიდანული ძალაა, ტრანსფორმირებული სახით მძინარე მდგომარეობაშიც რომ გამოსცემს ექის, მაგრამ თუ გაიღვია, ვეღარაფერი შეაკავებს მის მფლობელ ადამიანს სიკეთისა და ჭეშმარიტებისაკენ მიმაგალ გზაბეგ(მერაბ კოსტავა). როგორც იოანე ღვთისმეტყველი გვამცნობს: „შიში არა არს სიყვარულთა თანა, რამეთუ სრულმა სიყვარულმა განდევნოს შიში“.

ადამიანი, გამომდინარე თავისივე ბუნებიდან, თავიდანვე სვამს კითხვებს სამყაროს წარმოქმნისა და დასასრულის, ყოფიერების მიმნებისა და ღმერთის შესახებ(349, 10); იმის შესახებ თუ „ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის წავა სადათ“ (ილია). მაშასადამე, თავად ადამიანშია კოდირებული ინტერესი და მისწრაფება ამ ქაკუთხედურ ცნებებში გარკვევისა. ადამიანის გონი გონიერებას ამ საკითხთა გარკვევით იწყებს; ადამიანი ამ ცნებების აღქმით ადამიანობს.

უკვდავება – ეს პრობლემა ადამიანს აწვალებს დასაბამიდან; გაჩნდა რა, შეიმუენა რა მან საკუთარი თავი, პირველი უმძიმესი დარტყმა სიკვდილთან პირისპირ შეხლით მიიღო:

⁷ ნინიკო ხუნდაძე. წერილი შვილს.

„მოყვარეს ჩემსას, ჩემთან რომ იყო ყოველ განსაცდელში, – ეწია ბედი კაცისა!
ექვს დღესა და ექვს დამეს ვტიროდი მის გვამზედ,
მეშვიდე დღემდე არ დამიმარხავს.
შევწუხდი, რა განვიცადე მისი ბედი;
სიკვდილის შიშმა შემი ჰყორო, ამისთვის ვარ გაჭრილი ველად.
ბედი ენქილუსი, ჩემი მოყვასისა, მიმძიმს ფრიად.
როგორ დავჩუმდე – როგორ აღმოვთქვა ესე?!
მოყვარე, ჩემი საყვარელი, მიწად გადაიქცა!
ხომ მეც დავწვები მსგავსად იმისა,
რომ აღარ ავსდგე აღარასოდეს?!”(43, 36)

შეიგრძნო რა სიკვდილით წუთისოფლის ამაოება, ადამიანმა იწყო საკუთარ თაგეში ძიება გზისა წარმავლობის დასათრგუნად. შემეცნება იმისა თუ საიდან მოვიდა, საიდან გაჩნდა სამზეობე, რეალობამ, ყოფამ უკარნახა – წინაპრისგან, საბოგადოდ. არქაული ადამიანი ხომ სახით წარსულისკენ იყო მიმართული. მისი მსოფლხაცი – სამყაროსეული სერათი საფუძველშივე მითოლოგიურია და წარსულის კუთხინილებაა. თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო იგი წარსულსაც ეკუთვნის, მაგრამ ამავე ღროს აწყვოშიც მოქმედებს. და ეს გადასცვლა, ნახტომი ღროისა და სიერცის ერთი სისტემიდან მეორეში, რიცუალში გაცხადებული ინიციაციური სიბრძნით არის შესაძლებელი. თვით სიტყვა „წინაპარი“ ხომ, თავისთვალი, წარსულის წინ გადმოტანას, წარსულში დაბრუნებას აღნიშნავს, რაც ოდენ ტრადიციის, წინაპრისეული ცხოვრების წესის ერთგულებით არის შესაძლებელი.

ადამინმა შეიმეცნა, რომ თვით იგია აწყვოში წინაპართა მსგავსად განმგრძობის სისხლისა, გენისა, ნაგრამის სახით; რომ მან უნდა უპატრონოს წინაპრის ჯიშს და გაისიგრძეგანა ის, რომ როგორც იგი მიპხედავს, ისე მისი ნაგრამი მიპხედავს მის სულსა და ხორცს. იბრძვის რა თავისი შთამომავლობის სიცოცხლისათვის, სულიერი სიწმინდისათვის, წინაპრისეული ცხოვრების წესის უქცეველობისათვის – სამშობლოსათვის (მშობელთა სამკვიდრო-სათვის) საბოგადოდ, იგი შედის უკვდავებაში. სამშობლოსთვის, მამულისთვის, ერისთვის ღვწება უპედავების გზაზე შედგომის ერთადერთი ჭეშმარიტი გზაა. ეს კი ის გზაა, უკვდავების ბილიკით (გავიხსენოთ, რომ ფართოა შარაგზა ცოლგა-წარწყმედისა და ვიწრო და ეკლიანია გზა მაღლისა, სულის გადარჩენისა. – ზეიადი) სელა ის პროცესია, სადაც სიცრუით, ჩალიჩით, მხოლოდ პირადულზე ბრუნვით ვერ ივლი. ეს გზა ღმერთთან, განსაწმენდელთან, უკვდავე-

ბასთან მისასვლელი გზაა, სადაც უსიყვარულოდ, მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრით ვერ მიხვალ.

სამსახური მაჟულისათვის, ერისათვის, სისხლისმიერი ცხოვრების წესის უცვლელობისთვის, ის „უკვდავების ბალახია“, გილგამეშიდან მოყოლებული რომ ეძებს ადამიანი. „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“ – ამ თვალსაზრისით სახელმოხვეჭილი ის კი არ არის, ვისი სახელიც მთელს ქვეყანაზე ცნობილია, არამედ ის, ვინც მოიხვეჭა ჭეშმარიტად საღვთო სახელი, ეზიარა მას, რითაც დაიმკიდრა საუკუნო ცხოვრება. ამით სჯობს იგი „ყოველსა მოსახვეჭელს“. ბრძენი ავთანდილი, როგორც ამას გვიად გამსახურდია აღნიშნავს, პოპულარობის მოხვეჭას არ დასახავდა კაცის უზენაას იდეალად და დანიშნულებად. „სახელი“ იყო მისთვის გზა და ხიდი ღვთაებრივისაკენ, რაც მხოლოდ სიბრძნით, ეთიური სრულყოფით, ვაჟაცობით და მოყვასისადმი თავდადებით მიიღწვა, ვითარცა „შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“, ფილოსოფოსთა ბრძნობის პრაქტიკული აღსრულების შედეგი“ (31, 241).

აქვე დავსძენთ იმასაც, რომ შემოქმედი სული (და მართალ, ჭეშმარიტ, ღვთიურ გზაზე სიარული შემოქმედება და გმირობაა სწორებ) ნათლად, უმწიკვლოდ, სრულად მშობლიურ გარემოში გამოვლინდება მხოლოდ. ყოველი დიდი პიროვნება, რომელიც კი განათლა საკაცობრიო ცის კაბადონზე, პირველ რიგში თავისი ერის, ხალხის ღვიძლი შვილი იყო და შემდგომ საერთოდ კაცობრიობისა. „შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაქტიონი“ მშობელი ერისთვის ქმნიდნენ უსირველეს ყოვლისა; იღვაწეს რა მათ საკუთარი ერისთვის, სამშობლისთვის, შემდგომ განათლენენ, განათლდნენ მსოფლიო შემოქმედთა თანავარსკვლავედში.

ღვთისბოძებული შეგრძნება და გაგება ჭეშმარიტებისა ძეგს ყოველ აღამიანში (349, 14), შინაგანად ყოველი აღამიანი გრძნობს, თუ რა არის კარგი და რა არის ცუდი. საკუთარ თავთან ყველა დაუფარავია. შინაგანი სინდისის გრძნობა, კარგისა და ავის გარჩევის პოტენცია ყოველ ჩვენგანმია უზენაესიდან კოდირებული. რაც უფრო ღიად მოხდება ამ შინაგანი, ღვთისმომადლებული სისხდისის გაცხადება მოყვასის, თანამებამულის (ამ ცნებასთან აზრს კარგავს ყოვალგვარი სოციალური საზომი, რაც განსაკუთრებით უცხო გარემოში კავკასიელთა შეხვედრის დროს გამომქდავნდება ხოლმე – „უკეთუ ორნი ანუ სამნი არიან, არარა შეიჭირვიან“ – ვახუშტი ბაგონიშვილი) სიყვარულის ნიადაგზე, მით უფრო შესრულებული იქნება სახელმწიფოს, როგორც ნაციის, ერის თვითდაცვის მქეანიშმის უზენაესი ფუნქცია – „უზრუნველყოს თავის მოქალაქეთა როგორც საშინაო, ასევე საგარეო უსაფრთხოება“ (177, 12). როგორც

მართებულადაა აღნიშნული: „სახელმწიფო თავდაპირველად უფრო ორგანიზაციაა ერთი ეთნიკური ჯგუფისა და შემდეგ სუმმა იმ დაწესებულებათა, რომლითაც ერთ ქმნის ერთი განსაზღვრული ფორმის საბოგადოებრიობას“ (177, 85). ამასთანავე, „ერთ როგანული კავშირია ადამიანთა შორის... ერთ რჩება უმაღლეს, უდიდეს, უბუნებრივეს და დღეს თითქმის ერთადერთ დიდ ჭურჭლად მთელს კულტურულ საბოგადოებაში. მშილრო კავშირი ერის ნაწილთა შორის მაშინ არსებობს, თუ ამ კავშირის განმამტკიცებელი ცენტრალური ძალა იღწვის შეძლებისა და გვარად ყველა ადგილობრივ ინტერესთა დასაცავად, რამდენადაც საბოგადოდ სახელმწიფოს შეუძლია ასეთი როლის აღსრულება ერისა და საერთოდ კაცობრიობის ცხოვრებაში“ (177, 87). სწორედ ეროვნულ სახელმწიფოშია შესაძლებელი ადამიანის ჭეშმარიგი მიზნის აღსრულება – საკუთარი პოენციის სრული და პროპორციული განვითარება, რომლის უცილობელი პირობაც დვთივმონიჭებული თავისუფლებაა. ადამიანი ბუნების ნაწილია, ამიტომ ის თავისუფლებია მაშინ, როდესაც არაფერი არ ბორკავს მის ბუნებრივ ძალებს. საუკეთესო ადამიანური ქმედება კი ისაა, რომელიც მეტად ეხმიანება სამყაროს ბუნებრივ არსს, ე.ო. რაც უფრო ბუნებრივია ქმედება. ადამიანის ფიზიკური და მორალური ბუნება კი ქმნის ერთ დიდ მთლიანობას და ემორჩილება ერთსა და იმავე სამყაროსეულ კანონებს (259, 144).

საბოგადოებრივ, ნაციონალურ ინტერესებთან პირვნების თავისუფლების ჰარმონიაში მოყვანა, საერთო შეხედულებებისა და ერთიანი რელიგიური მრწამსის აღიარების საფუძველზე შესაძლებელი, რაც, თავის მხრივ, ყოველ ადამიანში უჩენაესის აღიარების კოდირებულ განცდას ემყარება. რამდენადაც სახელმწიფო დაინტერესებულია იმაში, რომ სუვერენიტეტი ერთიანი აზრი, იბრძოლებს იმისთვის, რომ მის შიგნით, ერთ ცხოვრებას ერთი რწმენისა და ღმერთის საფუძველზე ჭვრეტდეს (259, 63-64).

რელიგიისა და მითოსის საკითხებს ჩვენ ქვემოთ უფრო კრიტიკულად შევქებით, ახლა კი აღნიშნავთ მხოლოდ, რომ რელიგია, როგორც შეხედულებათა სისტემა, როგორც დვთაებისადმი (დვთაებებისადმი) სამსახურის სისტემა, ამა თუ იმ ერში, საბოგადოების განვითარების აღრეელ ეტაპებზე იწყებს ფორმირებას. აღბათ მაშინ, როდესაც საწყისი სცენიალური ერთეულები (დიდი მონიგამიური ოჯახები) ყალიბდებიან და მკვიდრდებიან. დამკვიდრება ამგვარი სოციალური ერთობისა ერთ, მხოლოდ მისთვის საჭირო ტერიტორიაზე, სამკვიდრებელზე, მოითხოვდა ამ სოციალური ერთეულის იდეოლოგიურად შემაკავშირებელ შეხედულებათა სისტემას. ეს ის

პერიოდია, როდესაც მითს⁸ ეკვეცება ფრთხები და დინამიკიდან სტატიკაში გადადის. იფი თანდათან ექვემდებარება რაციონალურ განსჯას. რაციონალური განსჯისადმი დაქვემდებარება უმთავრესი ნიშანია რელიგიისა.

აი, ერის ისტორიის სწორედ ამ მონაკვეთში, სამკვიდროზე დამკვიდრების პროცესში ყალიბდება რელიგია, უფრო სწორად, მითოლოგიაში განსხვეულებული სისხლისმიერ-გენეტიკური აბროგნებით შეხედულებებათა შემოქმედებითი სისტემა გარდაისახება ტრადიციულ, მღვრად, ერთიან შეხედულებათა სისტემად, რომლის ერთერთ უმთავრეს უუნქციასაც (ღმრთივსულიერ ძალებთან შენივთებასთან ერთად) მისი აღმსარებლის თვითმყობადობის, თავისთავადობის და ტრადიციულობის დაცვა წარმოადგენდა. ამასთანავე, ეს ამ ერის ინდივიდუალური სახის, სხვისგან განსხვავებულობის დაცვაც იყო. ფაქტიურად, რელიგია, ამა თუ იმ ჯიში ჩასახული, ეროვნულ მოვლენასაც წარმოადგენს. იფი ადამიანისთვის, მითში ირაციონალურად შეგრძნებული და ასახული ღმერთის უდაო არსებობის შეგრძნების გაერთოვნულებული შეხედულებათა სისტემაცაა. ე.ი. რელიგიის ერთერთი უმთავრესი დანიშნულება მისი აღმსარებლის სისხლისმიერი თავისთავადობის, ჯიშის, ეროვნულობის შენარჩუნებაცაა ღმერთის აღიარების საფუძველზე. ამიტომაცა კურთხეული და თანასწორი ყოველი ერთ ღმერთის წინაშე, რაც ნათლადაა გადმოცემული ბიბლიაში უნიტარული ენის, ნაციის შექმნის უსაფუძვლობაში, განუხორციელებლობაში. ამიტომაც გაცხადდა წმინდა ილია მართლის შემოქმედებაში ქართველური (თავის მხრივ, ბოგადსაკაცობროც) ეროვნული უკვდავების ფორმულა ენის, მამულისა და სარწმუნოების ტრადიტიუნისაბული. მთლიანობაში ეს სამება – „მამული, ენა, სარწმუნოება“ და მეორე, ასევე ილიასეული სიგრცელი თება – „აწმყო მობილი წარსულისაგან, მშობელი არის მომავალისა“ – ერთურთთან მიმართებაში იმ კვეთს ქმნიან, რომლის შეაგელშიც ერის ჩაუქრობელი სული დვივის.

როგორც აღიარებულია, ყოველ ერს, ჯიშს საკუთარი, თავისეული მსოფლადქმის ეკრანი აქვს, რომლის სხვათაგან განსხვავებულობაც, უპირველეს ყოვლისა, ამ ერისათვის დამახსიათებელი ფსიქიკური მოწყობით არის გაპირობებული.

⁸ მითი შემოქმედებაა, დინამიკაა. მითი, მთქმელს შეხედულებების ფრთხების გაშლის წებას რთავდა, ჩართავდა მას თავის სამყაროში, საშუალებას აძლევდა პიროვნებას თავისუფლად ემოძრავა მის შიგნით, შემოქმედებითად აღექვა მითი და საკუთარი ფანგაზისამებრ მცირედი ცელილებებიც კი შეეტანა მასში.

თავის მხრივ, ეს ფსიქიკური მოწყობა კი ამ კონკრეტული ჯიშის მშობლიურ სამკვიდროსთან ერთგვარ ბიოცენოზში შესვლით ყალიბდება. ტრადიციულად, ქართველთა წარმოდგენით, მსოფლიო ორ მთავარ ნაწილად იყო დაყოფილი: „ხილულ და უხილავ სოფლად“; პირველს ეკუთხოდა ყველაფერი, რაც კი „საცნაურთა და გრძნობადთა ბუნებათა“ მფლობელი იყო, მეორეს – რასაც კი „გესტასოფლისა ძალთა“ ბუნება ჰქონდა. ღმერთის მიერ შექმნილი ადამიანი კი ამ ორსავე „სოფლის“, „ყოვლისა აგებულისა ბუნებისა“ შემაერთებელი იყო: მას ჰქონდა „საცნაურ და გრძნობად“ ბუნების“ მქონე სხეული და უხილავი, „გესტასოფლის“ ძალთა ბუნებოვანი სული. ამრიგად, იგი იყო ვითარცა პატარა მსოფლიო („მიკროკოსმოსი“) დიდ მსოფლიოში („მაკრომოსმოსში“) (184, 129). ადამიანი – ეს პატარა არსება, შექმნილი ღვთისა მიერ „ხატად თ სა“; ანუ მისი პატარა გული „ჯოჯოხეთის დამტეველი პაწაწინა სამოთხე“ იყო და არის ერთგვარი გამტარი იმ ღმრთივსულიერი ნაკადებისა, რომელთა შეგრძნება იმ ბეშთაგონებით არის შესაძლებელ-ხელმისაწვდომი, რომელიც მოებიას (ზოგად ჭეშმარიტების) ესოდენ ამშვერებს და მეცნიერებისა და ვნების შენივთებით (გალაკტიონი) წარმოიქმნება.

განცდა, გათავისება შესასწავლი გარემოსი აუცილებელი პირობაა წარმატებული კვლევისა. თუ გვიჩნდა შესწავლა ამა თუ იმ ხალხისა, მხარისა და იქ მიმდინარე პროცესებისა, ან წარსულისა, ე. ი. იქ მცხოვრებთა ისტორიისა – ამ მოსახლეობის სისხლის წვისა და ამის შედეგად იქ აკუმულირებული ენერგიისა, უცილობლად უნდა მოხდეს მათ ყოველდღიურ ყოფასთან, მათ სამკვიდროში, ამ ენერგიასთან საფუძვლიანი კონტაქტირება. უმთავრესია შეგრძნება იმ მხარისა, რომლის შესწავლასაც ვესწრაფვით. მკლევარის სხეულმა ჯერ უნდა შეიგრძნოს შესასწავლი ობიექტი და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა განსაჯოს იგი. ადამიანი თავით კი არა, უქებით დადის დედამიწაზე: „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი, მჩის მცუნვარება გარს რომ ავლია“, გალაკტიონს „ცვრიან ბალახზე შიშველი ფეხით“ გავლის შემდეგ აქვს ნაგრძნობი. ცნობილია, რომ ფეხის გულზე თავმოყრილია ადამიანის ნერვული სისტემის ყველა ნასკვი. როდესაც დადიხარ მიწაზე, ენერგია სისხლისა, ძვალ-დვრიგათა, რომლითაც „გაპოხიერებულია“ (აკავი) ეს მხარე, იგრძნობა მაგალის მიერ; ამ გულით – ფეხის გულით შედის მასში, გაივლის შიგანს (მატერიას – მიწიერს), ავა დვიძლში – სისხლის წარმომქმნელ ორგანოში (371, 27), შემდეგ გულში და ბოლოს თავში, Ratio-მდე აღწევს. თუკი ჩვენ, რომელიმე ხალხის, მხარის შესწავლა, შეგრძნება გვინდა, უშეალოდ უნდა ვიყოთ მათთან. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ჩავწვდებით ამ

მხარის სულსა და გულს. უპირველესად ჩვენ კაცობრიობის, მის შემადგენელ ნაირსახეობათა ხორციელი, სხეულიებრივი, ფიზიკური სახე – მატერიალური მხარე კი არ უნდა გვაინტერესებდეს (რაც მეორადია), არამედ მათი სული და გული, რომელიც მუდმივია, უკვდავია და რომელიც მარადის მყოფობს საუფლოში – უფლის სამყოფელში, განსხვავებით კვდომადი და ხრწნადი სხეულისგან – მატერიისაგან.

ვსაუბრობთ რა კულტურაზე, ერის სულის გამოძახილებე, საბოგადოდ, ვფიქრობთ, უნდა განირჩეს შემეცნების, ერთგვარი, შემოქმედებითი და დამკვიდრებითი სფეროები; ანუ პიროვნული და კოლექტიური აღქმითი პოტენციალი დმრთივსულიერი ნაკადებისა, რომელთა შორის შეხამება-წონასწორობის სიმტკიცეს ძველ საბოგადოებაში განაპირობებდა დრმა ტრადიციული პრინციპებით გაჯერებული სოციალური ურთიერთობანი. როცა ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული ეთნიკურ ერთეულთა მასიური შერევის პროცესები, ადამიანები თავიანთი საგვარეულო და ტომობრივი საზღვრებით იფარვებოდნენ. მათ ინტერესებს ბრძნელად თავად ბუნება არეგულებოდა და ისინი სწორი მორალური პრინციპებით იყვნენ გამსჭვალულნი. ამასთანავე, სისხლისმიერი ურთიერთობებით გაპირობებული მორალური ფონი გარკვეულწილად ხელს უშლიდა უაბრო, ზომიერებას გადასული ინტერესების გაღვიძებას. დაკირვება ცხადოფოს, რომ ჩვენიც, ჩვენს დროშიც კი ინტერესი ითლად და ბუნებრივად იქ იღვიძებს, სადაც სისხლისმიერი და შთამომავლობითი კავშირებია (161,47). მაშასადამე, სისხლისმიერ-ნათესაური ურთიერთიერთობებით გაპირობებული ტრადიციული კულტურული გარემო, თავისი საბოგადოების წევრთა ცხოვრების წესისათვის თავისთავად განაპირობებდა ჯანსაღ მორალურ ფონს.

როგორც მრავალგზის აღწინიშნავთ, ძალგზე ძნელია გარკვევა იმისა, თუ სად მთავრდება მითი და სად იწყება რელიგია. განსაკუთრებით ძნელია ეს, აწ უკვე გადაშენებულ საბოგადოებებში, რომელთა შესახებაც მხოლოდ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების მიხედვით თუა შესაძლებელი მსჯელობა. მიგვაჩნია, რომ ერთურთისგან უნდა განვაცალკევოთ უშეალოდ შემოქმედებისა და მის ნაყოფთა საბოგადოების დონეზე დამკვიდრების სფეროები. შემოქმედება, ზოგადად, საბოგადოების ცალკეულ პირებში გაცხოველებული სისხლის დუდილია ინტეიტიური, გრძნობადი სიმებით გაწყობილი; მათში შემოქმედის მიერ ბოძებული გემთაგონების ნიჭით ცხადება სამყაროს გრძნობადი აღქმა, რაც შემდგომში საბოგადოებრივი, კოლექტიური ცნობიერების დამარცხულირებელი ინტეიტიურ-გრძნობადი გააზ-

რების საშუალებით აღიარებას ჰქონებს. მაგალითისთვის, გალაკტონმა, მისდამი ღვთითბოძებული ნიჭით შექმნა „ლურჯა ცხენები“, ხოლო ხალხმა, მისმა მშობელმა ერმა გაიგო იგი კოლექტიური აღქმის დონეზე. გალაკტიონში ერთგვარი მითი იქმნებოდა ლექსის სახით, ერთ კი მას საერთოერთო დონეზე აღიქვამდა; რის ბარომეტრსაც სწორედ საბოგადოებრივი, კოლექტიური ცნობი-ერების დამარტინირებელი ინტიგირუ-გრძნობადი სიმები წარმო-ადგენდნენ.

ჩვენის აბრით, საკმაოდ მართებულადაა აღნიშნული, რომ არსებობს ერთგვარი „მორალური ტემპერატურა“, რომელიც წარმოადგენს ზნე-ჩვეულებათა და გონებრივი განვითარების საერთო მდგრმარეობას და ისევე მოქმედებს, როგორც ფიზიკური კატეგორია...გენიოსები და, საერთოდ, ნიჭიერი აღამიანები ემსახურებიან ერთიგარ თესლებს⁹... „ერთისა და იმავე ქვეყნაში, სხვადასხვა ეპოქებში ალბათ არსებობს ნიჭიერი და საშუალო აღამიანების ერთი და იგივე რაოდენობა“(141, 39); და მართლაც, სტაგისტიკის მიხედვით, ორ თანამიმდევრობაში, აღრიცხულია თითქმის ერთი და იგივე რაოდენობა სამსახურისთვის ვარგისი წვევამდელებისა და ამ საქმისთვის ფიზიკურად შეუთავსებელი ახალგაზრდებისა. ალბათ, ამგვარი სიტუაცია გვაქვს სულიერების მხრივაც. და ბუქება, ამ შემთხვევებში, წარმოგვიდგება როგორც მთესველი, რომელიც ერთი და იმავე ხელით, ერთი და იმავე საწყაოდან, თანამიმდევრობით, ერთი და იგივე ოდენობისა და ხარისხის თესლებს აბნევს ნაკვეთებად განაწილებულ მიწაში. მაგრამ დაბნეული თესლებიდან ყველა როლი აღმოცენდება; ღროისა და სივრცის მიხედვით საჭიროა ერთგვარი „მორალური ტემპერატურა“, რომ განსაზღვრულმა ნიჭმა შესძლოს განვითარება(იხ. 141.იქცე). თუ არ არის შესაბამისი პირობები, ღოთისგან ბოძებული ნიჭი უნაყოფოდ შთება, ან შესაძლოა მან სახეც კი იცვალოს და ათროპირებული სახით უარყოფით რაკუსში ჰპოვოს გამოვლინება. ამის მაგალითები, თუკი თვალს გაბარევულებთ ქართველი ერის ისტორიას (საბოგადოების ისტორიას გოგადად) მრავლად მოგვეპოვება. მგალითად, რომ ყოფილიყო შესფერისი „მორალური ტემპერატურა“ და საქართველო ყოფილიყო თავისეულ, სულიერი მოთხოვნილებების შესაფერის თავისეულ მდგრმარეობაში, უფრო სწორად, შესაძლებლობა რომ პქნონდა ეცხოვრა იმ სულიერ-ეთიკური ხატის მიხედვით, რომელიც ესოდენ ნათლად აქვს დასურათხატებული ვაუშენი ბაგრაგიონს, საქსებით შესაძლებელია,

⁹ გაიხსენე იგავი სახარებიდან, თესვად გამოსული მთესველის შესახებ.

რომ სრულიად სხვაგვარად წარმართულიყო ბევრი ცნობილი პიროვნების როგორც პირადი, ასევე სამოგადოებრივი ცხოვრება.¹⁰ თუნდაც ამისთვისაა აუცილებელი ერისთვის, სულიერ-ეული მოვლენისათვის ნამდვილად თავისეული, სულისსაბამი სოციალური ერთეულის – სახელმწიფოს ქონა; სახელმწიფოსი, როგორც უპირველეს კოვლისა ერის, როგორც სულიერი ერთობის თვითდაცვის მქანიზმისა. ფინანსობთ, ეს ფაქტორის გასათვალისწინებელია წარსულზე მსჯელობისას, რადგანაც მიგვაჩნია, რომ - „არაფერია აქ ახალი, ამ ცისქვეშეთში“... „და ჟავე რაც იყო, ის არის ახლაც“ (ეკლესიასტე).

აღნიშნულია, რომ ჩვენში, ისევე როგორც სხვაგანაც, გარკვეულ ავტორებს არ გააჩნიათ სწორი გაგება მხატვრული შემოქმედების¹¹ არსისა; მათთვის ხელოვნება ინტეიტიური, სულისმიერი ფენომენი როდია, არამედ მარტოოდენ ინტერექტის მიერ კონსტრუირებული სუროგატი სინამდვილისა (და არა სინამდვილის ახალი, უმაღლესი ფორმა, ზემთაგონებით მიღებული) (31, 452). უმთავრესია პიროვნების როლი, მისი შემოქმედებითი ინიციატივა...ხელოვნება გამოცხადებაა ზელოგიური სინამდვილისა, დამტკიცებულობას, ცდისმიერ სიტუაციებს როდი მიყვავართ ამ სინამდვილისაკენ, ამ რეალობისაკენ... ხელოვნების უმაღლესი ქმნილებანი იღეაღებია. არ შეიძლება მათი უბრალოდ მოწონება ან დაწუნება, ან „დამტკიცება“ მათი სიავ-კარგისა, რამდენადაც ისინი ესთეტიკურ იმპერატივებს წარმოადგენენ... ემპირიზმი, „ბუსტი, უტყუარი ინფორმაციის“ სათაყვანებელ ობიექტად ქცევა შორს ვერ წაგვიყვანს. მეთოდი უნდა იყოს ინტუიტიური, არ უნდა ერიდებოდეს გაბედულ ანალოგებს და ჰიპოთეზებს, არ უნდა ეძებდეს დამტკიცებულობას ისე, როგორც ეს აუცილებელია საბუნებისმეტყველო დარგებში. სულიერი კულტურის განვითარების ეტაპები, არამც და არამც არ ჰგავანან ტექნიკის განვითარებას სწორხაზოვნებაში... მითოსი და ლიტერატურა უმაღლესი გაგებით იღენტური ცნებებია... ბერძნული მითოლოგია თარგმანებაა ნაციონალური რელიგიისა, ასეთივე მითია მაღონა ახალი ღროისა (ნოვალისი); ახალი მითოსის შემქმნელი არიან: ჯოსი, კაფკა, მორგენშტერი, სელმა ლაგერლოფი, ერზა პაუნდი, ტ.ს. ელიოტი და სხვანი“ (31, 61-62).

¹⁰ განგრახული გვაქვს ამ პრობლემის ცალკე განხილვა. ვამზადებთ სტატიას სამოგადოების ხელოვნურ კრიმინალიზაციასა და ე.წ. „ქურდობის“ ინსტიტუტები.

¹¹ ძველ სამოგადოებებში კი, შეიძლება ითქვას, ყოფა უფრორიგად იყო გაჯერებული შემოქმედებითი იმპულსებით, ვიდრე ახლა.-პ.ბ.

როგორც ძევლი ხალხების კულტურების და რელიგიური კონცეპციების შესწავლა ცხადყოფს, ოდითგან არსებობდა რელიგიის შინაგანი (ეზოტერული) და გარეგანი (ეგზოტერული) მხარე. აქედან გამომდინარე, რელიგიას აქვს შინაგანი და გარეგანი ისტორია... რელიგიის აღრეული ფორმები წარმოადგენს ხალხის მასებისადმი გამარტივებულ, ხატოვნად, იგავურად მოცემულ ღრმააბროვან ჭეშმარიტებებს ადამიანის და სამყაროს განვითარების შესახებ. რელიგიები ეძლეოდა კაცობრიობას შემუცნების მაღალ საფეხურზე მდგომი ადამიანების მიერ, რომელთაც გააჩნიათ უაღრესად ღრმა ცოდნა სამყაროსა და ადამიანის შესახებ(31.351).

ცნობითი აბროვნების კიდევან არსებობს ინტუიტიური აბროვნება, ინტუიტიური ლოგიკა, რომელიც უფრო ახლოს მიდის რეალობასთან, რის დასტურიცაა თანამედროვე გნოსეოლოგიაც (იგივე 384).

ჩვენგან შორეული, უძველესი კულტურებისა და ცივილიზაციების წარმომადგენელთა მსოფლმხედველობის დაუარული და სიღრმისეული თავისებურებანი, ხშირად, არა მარტო რიგით მკითხველთათვის, არამედ მკვლევარ- მეცნიერთათვისაც იდუმალი და შეეგრძნობელი რჩება.

ცნობილია, რომ წარსულ (თუნდაც ძველაღმოსავლურ) კულტურათა კვლევა, ძირითადად დაფუძნებულია ჩვენამდე მოღწეული და არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული წერილობითი ძეგლების შესწავლაზე. მაგალითისათვის, ძველ ტექსტებზე მუშაობის სპეციფიკა, პირველ რიგში, გულისხმობს მათი, თუნდაც სამუშაო ხასიათის თარგმანს. თანამედროვე მკვლევარნი ერთობ ხშირად ივიწყებენ ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას; კერძოდ იმას, რომ ამ ტექსტთა შემოქმედთათვის, ძველ მცხოვრებთათვის, ორიგინალის სიტყვებს განსხვავებული ძალა, შინაარსი და დატვირთვა პქონდათ; ვიდრე ახლა გააჩნიათ მათ სრულიად სხვა ენობრივი თარგმანის კონტექსტში. საბოლოოდ, ახალ ენაზე თარგმნილი ეს ტექსტები, რომელთაც თანამედროვე მკვლევარნი ეყრდნობიან როგორც წყაროს, აბრობრივადაც და შინაარსობრივადაც არსებითად განსხვავდაბიან ორიგინალისგან. ყოველივე ამის მიზეზი კი ის არის, რომ სრულიად უნებურად და შეუმჩნევლად ეს ტექსტები თანამედროვე მთარგმნელ-მკვლევართა მიერ ძალაუნებურად გადმოვიდნენ, მათეულ, ორიგინალისგან თვისობრივად განსხვავებულ ახლ შემეცნებით სისტემაში.

უმთავრესი სხვაობა ე.წ. ძველ და თანამედროვე ადამიანთა შემეცნებით სისტემათა შორის, მდგომარეობს მათი „მცოდნეობის“ ხარისხსა და ძირეულ მიმართულებებში. ძველი ადამიანისთვის ეს

„მცოდნეობა“ უფრო პრაქტიკული და სახვითია, თანამედროვე ადამიანისთვის კი იგი, ხშირად, უფრო თეორიული, მოწყვეტილი და ერთობ ზედაპირული. რიგითი თანამედროვე ადამიანის „მცოდნეობით“ სამყარო, ძველ ადამიანს, ალბათ, ერთობ უცნაურად მოეჩვენებოდა. ღლევანდელმა ადამიანმა იცის შორეული ქვეყნების (სადაც შესაძლოა იგი არასადროო მოხვდეს) გეოგრაფია და არ იცის მეტობელი ქუჩის დასახელება; მას შეუძლია ჩამოთვალის სხვადასხვა საფეხბურთო გუნდების მოთამაშეთა გვარები და არც კი იცნობს თავის ზოგიერთ ნათესავს; მას წაუკითხავს წიგნები უძველეს ხალხთა შესახებ და არც კი სმენია საკუთარი დიდი ბაბუის – პეპერას სახელი...

თანამედროვეთა ხედვით, წარსული წარმოდგენილია ბუნდოვანი შეხედულებების, სიბინელის ეპოქად; სასაცილო, უგუნური რწმენა-წარმოდგენებისა და გადმონაშთების ხანად; მაგრამ არსებობს არანაკლები საფუძველი იმისა, რომ ჩვენი დროც ჩაითვალოს ფსევდოცულნის, ზედაპირულობისა და ფუჭმცოდნეობის ეპოქად. თანამედროვე და ძველი ადამიანების „მცოდნეობებს“ შორის ძირითადი განსხვავება მდგომარეობს არა მარტო საგნის, არამედ მცოდნეობის სტრუქტურაში, აბროვნების ხასიათში. თანამედროვე ადამიანისათვის დამახასიათებელია აბსტრაქტული აბროვნება, გაგებითი ლოგიკა; ძველი ადამიანის, ანუ ეწ. „პრიმიტივის“ შემცნებაბაში დომინირებს „კომპლექსური“ აბროვნება, საგნობრივი ლოგიკა.

ყოველი კულტურა თავის წიაღში აღზრდილ ინდივიდს უყალიბებს საკუთარ, თავისებურ „ხედვის ეკრანს“, რომელზეც იგი აღიძებდავს, წარმოისახავს გარე სამყაროს თავისეულ აღქმას. ძველ და თანამედროვე ადამიანებს სწორედ ეს ხედვის ეკრანები განასხვავებენ ერთიმეორისაგან რეალობის აღქმის შინაარსისა და სტრუქტურის მიხედვით.

არქაულ და თანამედროვე ადმიანთა ცნობიერებას შორის არის კიდევ ერთი არსებითი სხვაობა: ძველი ადამიანი ცხოვრობდა ასლოლუტური ჭეშმარიტებების სამყაროში. მას ჰქონდა ბუსტი და საბოლოო პასუხი ყველა კარლინალურ შეკითხვაზე: როგორ შეიქმნა სამყარო, მისი ქვეყანა, ხალხი, რა მოელის მას სიკვდილის შემდეგ და ა.შ. ძველად, საზოგადოებრივ შემეცნებაში, როგორც წესი, სუფერდა ერთაშოროვნება და ინდივიდს ერთობ ნაკლები საფუძველი გააჩნდა ღირებულებებში დაეჭვებისა, მას არ სჭირდებოდა ეკეთებინა არჩევანი მათ შორის. თანამედროვე ადამიანს კი აღნიშნულ შეკითხვებზე ერთობ მიახლოვებითი და დროებითი, ცვლადი პასუხებით უხდება დაკმაყოფილება, რაც უდაოა, ძველი ადამიანის ყოფისაგან ერთობ განსხვავებული გარემოს ჩამოყალიბებას იწვევს.

განსხვავებული იყო მეცნიერებულებაც ნივთებისადმი, საგნებისადმი. ამჟამად ხშირად გავიგონებოთ, რომ თანამედროვე ადამიანი ერთობ მატერიალურია და გამოღვწებულია ნივთებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამისა, ეს დამოკიდებულება ერთობ ბერელე და ბედაპირულია. დღეს ადამიანები უმაღვე შეელევან ხოლმე ამ თუ იმ ნივთს, თუკი შეხვდებიან უკეთესს, ოდნავ მოდერნიზებულსა და გაუმჯობესებულს. ძველად კი ადამიანი და მისი ქონება – სახლი, მიწა, ყოფითი ნივთები, ყოველი უმნიშვნელო წვრილმანიც კი ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ ღრმა, შეიძლება ითქვას, ჰიონული ურთიერთბებითაც კი. ყოველ ნივთს, წინაპრის ხელქმნილსა და თაობათა ხელში გამოვლილს, პქონდა საკუთარი ბედი, ძალა, სახელი, რომელთაც ძალგზე მნელად, შეიძლება ითქვას, მტკიცნეულადაც თუ შეელეოდა ძველი – ტრადიციული ადამიანი. ძველად მესაკუთრეს ჩვენთვის უჩვეულო ურთიერთბები აკავშირებდა მამულთან, კარმიდამსთან, რომლის დაკარგვაც მის მიერ ტრაგიკულად აღიძებიდა. ძველ საზოგადოებებში საკუთრება წარმოადგენდა ერთერთ უმთავრეს კატეგორიას, ინდივიდის თავისებურ „გაგრძელებას“ სხეულს გარეთ.

ძველი საზოგადოებებისთვის დამახასიათებელია წარსულისკენ, სიძველისკენ ორიენტირება. ძველი ადამიანი ფსიქოლოგიურად წარსულისკენ იყო მიმართული. თუკი თანამედროვე ადამიანისთვის წარსულში ხედვა, უკან გახედვას ნიშნავს, ძველად ადამიანი იხედებოდა რა წინ, ხედავდა წარსულს; მომავალი კი მისთვის ზურგსუკან იყო მიტეული. ამგვარი ხედვა სივრცისა კარგად ჩანს ქართულ სიტყვაში „წინაპარი“, სადაც ამკარაა, რომ ქართველისთვის მისი სისხლი და ხორცი, ვისი შეიღია თავად იყო და რომელიც გარდაიცვალდა, ცოცხალის ცნობიერებაში მისგან უკან სივრცეში კი არ მოექცა, არამედ სულადქცეული წინ უძღვის მას ანთებული სანთელივით ცხოვრების გზაზე. ტრადიციული ადამიანისთვის წარსული ნათელია, ხილულია, ხოლო მომავალი უცნობი და უხილავი; საითკენ მიმავალ გზასაც მას, მისი წინაპრები უნათებენ. დახლოებით ამგვარად ჭვრეფს სივრცეს მართლმადიდებელი ქრისტიანიც, რომელსაც ამქვეყნიური ცხოვრების გზაზე წინ უძღვიან წმინდანები (რწმენას, იდეს, სიკეთეს სალბუნად დაღებული პირნი) და სულიერად განამტკიცებენ მას. გვაგონდება ვახტანგ კოტეტიშვილის სიტყვები მთასთან მიმართებაში ნათქვამი. აი რას წერს იგი: „...მეტად ძნელია მთასთან მისვლა. იქ სულ სხვაგვარი განცდებია, თავისებური აზრი და ნებისყოფა. იქ ხალხი ამირანის ამალას ჩამორჩნილებივით არიან მდევის ნაფეხურებზე მიმოფან-

ტული. იქ სიცოცხლეც სხვანაირია და სიკვდილიც თითქოს უფრო ადგადი. იქ ერთგარი პანთეონია, სადაც ძველი სულის განძეულობა ინახება თამარის საფლავივით“. მართალი იყო დიდი მეცნიერი, როცა მაქსიმალურად ცდილობდა საკვლევ, (ფაქტიურად კი მისი სულის სახსნელ სივრცესთან – ყოველი ჭეშმარიტი მეცნიერისთვის მისი საკვლევი სფერო სულის ხსნაა ნამდვილად), გარემოსთან უმჭიდროებად და კავშირებას და მის განცდას სიღრმისეულად.

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად მიმართულია გარკვეულ ძალთა გეგმაბომიერი მცდელობა ტრადიციულ საზოგადოებებში ამგვარი რწმენითი, აღმსარებლობითი ხედვის, თეოსტური აღქმის მოსასმლელად. ისინი მიბანმიმართულად მუშაობენ, რათა ერებში შეძლებისდაგვარად ამოშანთოს სიძველისაკენ, წარსულისაკენ და შეიძლება ითქვას ეროვნული თვითმყოფადობისაკენ ორიენტირება და მათი მზერა მიმართონ ფაქტიურად უცნობი, ბუნდოვანი მომავლისაკენ. სინამდვილეში კი მათ მიერ ბიბილ-პიპილარჭყვიალა ფერებში დახატული ეს „მომავალი“ არაფრით განსხვავდება „აედნიერი კომუნისტური მომავლისაგან“, რომლისგან ნაგები „სიტკოც“ პოსტსაბჭოთა საზოგადოებას ჯერ კიდევ არ განელებია. როგორც აღნიშნეთ, ამ ბევროვნული ბედნიერი ერთობისაკენ ტრადიციული საზოგადოებების – ერების ცნობიერების ორიენტირებისთვის, პირველ რიგში აუცილებელია ეროვნული თვითმყოფადობის მქონე ერთობებს დაავიწყონ საკუთარი სახე. ასე და ამგვარად ებრძვიან ეს ძალები ეროვნულ, ნაციონალურ ცნობიერებას, რომელსაც ისინი ჩამორჩენილობის, სიბრძელის, სიბლუნგის სინონიმად თვლიან და კიდევ ათასი უშსგავსოდ უშინაარსო სახელებით ნათლავენ (მაგ. „პროვინციული ფაშიზმი“). სინამდვილეში კი ეს ძალები თვითონ არიან სიბრძელის, ბოროტების, გაიძვერობის, გულდრობის მოციქული, რომელთათვისაც სიყვა-რული, სიკეთე, სინათლე, ეროვნული მსოფლმზერა – რწმენა, საზოგადოდ, ბედმეტ ბარგად ქცეულა.

დასასრულ, გვინდა აღნიშნოთ, რომ კონკრეტულ საკითხებე მსჯელობის დაწყებამდე საჭიროდ ჩავთვალეთ მკითხველისათვის მოკლედ გაგვებიარებინა ჩვენეული ხედვა საზოგადოებრივისტორიული პროცესებისა, რათა მან უფრო ნათლად აღიქვას „შემოქმედის ლაბორატორიაში“ შეღწევის ჩვენეული მცდელობა; რათა იგი შესაბამისი გულმოწყვალებით მოეკიდოს ერის ისტორიის პრობლემების ჩვენეულ გააზრებს, რამეთუ – „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალიძის“.

თავი I

ეთნოური კულტურისა და საცხოვრისის ფენომენის ურთიერთობისართებისათვის

ტრადიციული (შესაბამისად, ეროვნული) სამყაროსეული გააჩრებისა და ეთნიკური ყოფის ერთერთ უთვალსაჩინოების გამოვლინებად საცხოვრისის ფენომენი გვესახება. ეს, ერთი შეხედვით, ერთობ მატერიალური ხასიათის მოვლენა, ერთგვარი პირველადი აღამიანისეული ხელქმნილი ტაძარი, უზარმაზარი ინფორმაციის მომცველი ფენომენია.

უდათა, რომ საცხოვრისი, მისივე შემომქმედი ჯიშის, მოდგმის იმ სამყაროსეული აღმის გამოხატულებაა, რომელიც ამ სისხლისმიერ, თესლნაყარ ერთობას სამკილროსთან, მათულთან ბიოცენობრში შესვლა-შერწყმის შედევგად უყალიბდება. უდათა ისიც, რომ სწორედ ეს შენივთება, გამოთლიანება წინაპართა ძვალ-სისხლით გაპოხიერებულ და ზეციური სულების კამარით დაგვირგვინებულ სამკილროსთან, საქმაოდ ხანგრძლივი პროცესია. საბოლოოდ, ეს ჭიდილი სამყაროსეულ მუდმივობასთან ამ მოდგმის მყარი „კულტურული შებილის“ ჩამოქნით სრულდება, რომელსაც მდგრადობა ახასიათებს და გასრულების დღიდან საუკუნეთა მიერ მოგანილ ქარტეხილებს უძლებს.

სანამ საცხოვრისს, როგორც ეთნიკური ყოფის ერთერთ ყველაზე უფრო ნათლად ამსახველ კომპლექსს შევეხებოდეთ, რამდენიმე სიტყვით მიმოვიზილავთ თვით ეთნოსს და ეთნიკურ ყოფას.

საერთო-წარმომავლობითი ურთიერთობებით გაპირობებული კულტურულ-ტრადიციულ ფენომენთა შესწავლა, ეთნოლოგიის პირდაპირი დანიშნულებაა. უკანას კნელ პერიოდამდე, ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ დარგის აღსანიშნავად ტერმინი ეთნოგრაფია იხმარებოდა, რაც, ძირითადად, საბჭოურ მეცნიერებებში (რომლის ორგანული ნაწილი ქართული საბჭოთა საისტორიო სკოლაც იყო), მარქსისტულ-ლენინური პრინციპების აღიარებით იყო გამოწვეული. მიუხედავად იმისა, რომ ქართული მეცნიერული ეთნოლოგიის ფუძემდებელი აკად. გიორგი ჩიტაია, ეთნოგრაფიას (ხალხის აღწერას) ეთნოლოგიის (ხალხთმცოდნეობის) ნაწილად მიიჩნევდა, საისტორიო ლიტერატურაში მაინც ტერმინი „ეთნოგრაფია“ იხმარებოდა. თუმცა, ჯოჯოხეთური იდეოლოგიური ბეჭოლის პირობებში, მეცნიერი თავის მოწაფეებში მაინც, შეიძლება ითქვას, რისკის ფასადაც კი, ახერხებდა კვლევის საკუთარი პრინციპების დამკილრებას.

¹ ეს გამოთქმა ეკუთვნის აკად. ნიკო მარწრს.

კოლონიალურ მხარეებში, ცენტრალურ იმპერიულ ხელისუფლებას², დიახაც, არ აწყობდა მცოდნეობის – „ლოგიის“ განვითარება და მხოლოდ აღწერას – „გრაფიას“ ახალისებდა, რათა ადგილობრივ მკვიდრთაგან გამოსულ მეცნიერთა სახით მშვენიერი ინფორმაციონური ჰქონდოდა. მათი მემვეობით, ეროვნულ მხარეებში იკრიბებოდა ამომწურავი ძვირფასი მასალა (ადგილობრივი წარმომავლობის მკვლევარზე უკეთ აბა ამას სხვა ვინ შესძლებდა), და დასამუშავებლად იგბავნებოდა სსრკ-ს სათაო ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. იქ, მიკლუხო-მაკლას სახ. ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, რომელიც უშეალოდ კონტროლირდებოდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიდან (სუკი), ხდებოდა უკეე ამ აღწერილობითი მასალის ეთნოლოგიურ-სოციოლოგიური დამუშავება და იმპერიული ხელისუფლებისთვის კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება. მაგალითად: იგეგმებოდა ეთნიკური კონფლიქტები; „თბილისირბის“ მსგავსი სოციალისტური დღესასწაულები; შერეული ეთნიკური შემადგენლობით დასახლებული აღმინისტრაციული ერთეულების მოწყობის რეკომენდაციები; უმთავრესად უცხო გარემოში, პოლიტიკიური დასახლებების გაჩენის მიზნით, ხდებოდა დიდი მშენებლობების (თუნდაც კონსომიურად წამგებიანის) ორგანიზება. ამის მაგალითად „ბაბუ“-ის მაგისტრალი ან ენგურშესას კაშხლის მშენებლობაც კმარა; ეთნოსთა მასიური დეპორტაციები და სხვა... უდათა, რომ ყოველივე ეს იმპერიული მმართველობის გაძლიერებას ისახავდა მიზნად. მიუხედავად შექმნილი სიტუაციისა, ქართველ მეცნიერ-ეთნოგრაფთა დიდი ნაწილი, რომლებსაც ხატად ედგათ დადი ივანე ჯავახიშვილის მამულიშვილურ-მეცნიერული სახე, არსებულ გარემოში მაინც ახერხებდა შექმნა მსოფლიო მეცნიერული სტანდარტების შესაბამისი გამოკვლევები³.

თამანებლოვე ქართულ ეთნოლოგიურ მეცნიერებაში ადიარებულია, რომ ეთნოსი(ხალხი) – ეს არის განსაკუთრებული სახე სოციალური დაჯგუფებისა, ჩამოყალიბებული არა ადამიანთა სურვილის მიხედვით, არამედ ისტორიული პრინციპებით. უპირველეს ყოვლისა, ეს არის საერთო თვისებები და განმასხვავებელი თავისებურებანი, გამოვლენილი ეთნოსის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. უძირითადესს ამ სფეროებს შორის წარმოადგენს ენა, რომლის საშეალებითაც ხდება ეთნოსის წევრთა ურთიერთობა. ენასთან ერთად, ერთერთი ყველაზე უფრო განმსაზღვრელი

² სსრკ რომ რუსეთის იმპერიის მოდერნიზებულ ვარიანტს წარმოადგენდა, ამჟამად უკეე აღარაა დავის საგანი.

³ ამის ნათელი მაგალითია ახლახან დასრულებული აკად. გიორგი ჩიგაიას ნაშრომთა ხუთიმეული.

მნიშვნელობა ენიჭება კულტურას. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება მის იმ კომპონენტებს, რომელთაც გააჩნიათ ტრადიციული ხასიათი და მასიურად ვლინდებიან ყოველდღიურ ყოფაში. ეთნოსის წევრთა კულტურული ერთიანობა, თავის მხრივ, განუხრელადაა დაკავშირებული მათსავე ფსიქიკურ თავისებურებებთან, ფსიქიკის ზოგადადამიანური თვისებების გამოვლინების ძალებთან. ეს თავისებურებები, თავის მხრივ, წარმოადგინებს კწ. ეროვნულ ხასიათს (40,45). როგორც აღნიშნავენ: „ეთნოსი ინდივიდი არაა; ყოველ ეთნოსს გააჩნია თავისი საკუთარი ყოფის გარემო, თავისი ტერიტორია, თავისი კონკრეტულ-ისტორიული პირობები, თავისი განსაკუთრებული შემოგარენი... შესაბამისად, ეთნოსები სხვადასხვანაირად რეაგირებენ ერთსა და იმავე პრობლემაზე; რაც შეეხება სხვადასხვა ხასიათის პრობლემას, შესაბამისად, თითოეული მისთვის აუცილებელსა და მისაღებს თუ გაიხდის ყურადღების საგნად. ეთნოსთა განსხვავება - ეს კულტურათა განსხვავებაა. კულტურა კი, როგორც ეს აღიარებულია თანამედროვე კულტუროლოგიაში, არის ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ადაპტაციის უნივერსალური მექანიზმი საკუთარი არსებობის ბუნებრივ და სამოგადოებრივ გარემოსთან“ (219, 83).

ეთნოსები განიფინანსიან სივრცეში, ადგილმონაცვლებენ, განიყოფიან სხვადასხვა ნაწილებად, მთლიანად ან ნაწილობრივ ერწყმიან კიდევ ხოლმე ერთმანეთს. ასეთ შემთხვევაში აღმოცენდებიან ახალი ეთნოსები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი მაინც არ ჰყარგავენ მთლიანად საკუთარ ძველ ნიშან-თვისებებს. ეთნოსებს შორის ნათესაური დამოკიდებულება ხშირად განისაზღვრება მათი კულტურების მსგავსების ხარისხითაც. ოღონდ, გარკვეულ შემთხვევაში, ეს მსგავსება სხვადასხვა ხალხებს შორის, შესაძლოა შედეგი იყოს არა მათი უცილო ნათესაური კავშირებისა, არამედ მსგავსი გეოგრაფიული და ისტორიული განვითარების პირობებისა, ან ფართო ეკონომიკური და სამეზობლო ურთიერთობებისა. ზოგიერთ შემთხვევაში, ხანდისხან იმდენად დიდია მსგავსება ეთნიკურ კულტურებს შორის, რომ ძნელიც კია იმის გარკვევა, ერთი არიან ისინი თუ სხვადასხვანი; ანდა სულაც ერთი კულტურის ლოკალურ ვარიანტებს ხომ არ განეკუთვნებიან ისინი. ცნობილია ისიც, რომ ესა თუ ის ხალხი, ეთნოსი ამა თუ იმ სოციალური ფორმით წარმოგვიდგება. მიუხედავად ამისა, ესა თუ ის სოციალური ფორმა, სრულიადაც არ არის ეთნოსს უცილობლად თანმხვდომი.

ეთნოსის მრავალსაუკუნოვან არსებობას განაპირობებს ენის, კულტურული ტრადიციების და ყოფის მემკვიდრეობითობა. ეთნიკური სამოგადოების გაჩენა გაპირობებულია მის წევრთა უშავლო ურთიერთობებით, რაც მხოლოდ საერთო ტერიტორიაზე

ცხოვრების დროს არის შესაძლებელი. ამავე ტერიტორიაზე ხდება შესაბამისი კულტურული ერთობის ჩამოყალიბება ეთნოსს შიგნითაც. სწორედ აქ, ერთ გარკვეულ გარემოში უნდა ჩამოყალიბდეს იგი მთლიან, მდგრად სოციოკულტურულ ერთობად, რის შემდეგაც ძალუქს მას გადაადგილება დროსა და სივრცეში, მიღება ან გაცემა რაიმე ღირებულისა.

ადამიანთა ნებისმიერი ჯგუფის კულტურა ერთობ მობილური მოვლენაა, რომელიც, ასევე სხვა კულტურებთან ურთიერთობების გამო, მრავალმხრივობით ხსიათდება და ადვილად ცვლადია დროში; ოღონდაც, იგი იცვლის არა შინაარსს, არამედ ჩამოცილებს გარკვეულ ნიშან-თვისებებს და მათ მაგივრად ახალ ნიუანსებს შეიძენს ხოლმე. კულტურის ამ დინამიურ, ცვლადი ნაწილთან ერთად არსებობს მისი მეორე, შედარებით კონსერვატური ნაწილიც, რომელიც უცვლელი რჩება დროთა განმავლობაში და განვითარებისდაც მიხედვით ეთნოსის შინაგანი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპებს მოიცავს. ეთნოსი გადის სოციალ-ეკონომიკური და სტრუქტურული ხასიათის სხვადასხვა ეტაპებს, გაივლის ხოლმე პოლიტიკური ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმებს, შესაძლოა მან რამდენიმეჯერ შეიცვალოს აღმსარებლობაც კი. მთლიანობაში, ამდაგვარი ხასიათის ცვლილებები ერთიანი ისტორიის ორგანულ ნაწილს შეადგინენ.

სპეციალურ დიგერაციურაში შემოთავაგებულია ეთნიკური ერთობების ე.წ. „პორიზონტალური“ და „ვერტიკალური“ კლასიფიკაცია. პორიზონტალური დაყოფის მიხედვით, ხალხები, ანუ ეთნოსები იშლებიან ან განიყოფიან ეთნოგრაფიულ ჯგუფებად და ამავე დროს, ერთიანდებიან უფრო მსხვილ სისტემურ რეგოლებში – მონათესავე ხალხთა ჯგუფებში, ანუ ეთნოლინგვისტურ ერთობებში. ვერტიკალურ კლასიფიკაციას კი განაპირობებს ის, რომ სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ხალხები თვისობრივად მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთიმეორისგან განვითარების დონის მიხედვით. ეთნიკური ხასიათის ერთობაზე, ჯერ კიდევ ადამიანთა სამოგადოების საწყის ეტაპებზე გახვდება. ასეთ ერთობებს ტომობრივს უწოდებენ. ეს ერთობანი, ყალიბდებოდნენ განსაბალერულ ტერიტორიაზე იმ ადამიანთა შორის, რომლებიც ერთიმეორესთან რეალურ სამეცნიერო კავშირში იმყოფებოდნენ, ლაპარაკობდნენ ერთ ენაზე და გააჩნდათ გარკვეული კულტურულ-სამეცნიერო თავისებურებანი (351, 68-70).

გვიანდელ ისტორიულ ეპოქათა ეთნიკური ერთობებისგან განსხვავებით, განვითარების საწყის ეტაპზე მდგომი ტომობრივი ერთობაზე ეფუძნებოდნენ ნამდვილ ან მისტერიალურ (მოჩვენებით) სისხლითნათესაობით კავშირებს. ესე იგი შედგებოდნენ ადამიანებისაგან, რომელთაც საერთო წარმოშობა პქონდათ; ანდა,

ყოველ შემთხვევაში, თაქს ერთმანეთთან საერთო წარმომავლობით დაკავშირებულად თვლიდნენ. რამდენადც ტომობრივ ერთობებში არ არსებობდა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი სოციალური განწრევებანი, მითუმეტეს ანტაგონისტური კლასები, ამ ტომობრივი ერთობების კულტურა იყო ერთიანი – ამ ეპოქის მოსახლეობაში ეთნიკური და სოციალური სპეციფიკა კულტურისა, მეტნაკლებად ემთხვეოდა კიდევ ერთიმეორებს.

ადრინდელი მყარი სოციალური ორგანიზაციის შექმნაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადამიანთა ჯგუფებს მორის საქორწინო ურთიერთობათა ჩვევებსა და ნორმებს, გამოხატულს გვარის ეგზოგამიურობასა და ტომის ენდოგამიურობაში, ამ მომენტისა და კიდევ სხვა აუცილებელ პირობათა ერთიანობათა გათვალისწინებით, მიზნეულია, რომ ტომი უკვე წარმოადგენდა თავდაპირველ ეთნიკურ უჯრედს; თუმცა, როგორც მართებულადვე შენიშნავენ, ცალკეული ტომები არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ წინარეისტორიული საზოგადოების ძირითადი ეთნოსები. უპრიანია, ვივადაუდოთ, რომ მონათესავე და არამონათესავე ტომების დანაწევრებისა და გაერთიანების პროცესში, ადრეუე იწყეს ჩამოყალიბება უფრო მსხვილმა ტომობრივმა ჯგუფებმა, რომლებიც მომიჯნავე ტერიტორიებზე სახლობდნენ, ლაპარაკობდნენ ერთი ენის დიალექტებზე და პერნებათ მრავალი კულტურული ხასიათის საერთო თვისება. სწორედ ამგვარი ჯგუფებია მიზნეული წინარეისტორიული ხანის ძირითად ეთნოსებად. მომდევნო ისტორიულ ეპოქებში ეთნიკური ერთობანი იმდენად იცვლებოდნენ, რომ ამ ერთობებში შემავალი ადამიანები ერთომეორესთან დაკავშირებული იყვნენ არა რეალური სისხლით ნათესაობით, არამედ ტერიტორიალურ-მეზობლური ტიპის სამეურნეო-კულტურული ურთიერთობებით. შინაგანი სულიერი დიფერენციაცია დას ასეამდა ცხოვრების წესაც კულტურისა და ყოფის ეთნიკური სპეციფიკა კლასობრივ საზოგადოებაში უკვე აღარ ემთხვეოდა სოციალურ სპეციფიკას (40, 25-27).

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ყველა ტომი, ხალხი და ერი მსგავსია საკუთარი ძირეული ბუნებრივი თუ სულიერი თვისებებით, საკუთარი საზოგადოებრივ-ისტორიული არსებით. მაგრამ, ამასთანავე, ისინი განსხვავდებიან ერთიმეორისგან არა მსოლოდ ეკონომიური და სოციალური განვითარების დონით, არამედ ცხოვრებისა და ყოფის მხრივ, ენითა და ადათ-წესებით, საკუთარ კულტურულ ფასეულობათა ფორმებით, ფსიქიკური თვისებებითა და სხვა(263, 4). ყოველი ეთნოსი – ეს ერთობად მის კონკრეტულ-ისტორიულ გამოხატულებაში, მცხოვრები სისხლსავსე, სოციალურიად

საწინააღმდეგო სულიერი ცხოვრებით. ეთნოსის, როგორც სამოგადების განვითარების ფორმის შესწავლის ლოგიკა მთითხოვს მისი სოციალური ცხოვრების შინაგანი წინააღმდეგობების აღიარებას. ეს უკანას კნელი, მთლიანობაში განიხილებიან როგორც გარკვეული სოციალურ-ისტორიული პირობების ნიადაგზე მიმდინარე სულიერი პროცესების გამოვლინებანი. რამდენადაც ეთნოსი არის ერთი მთლიანობა, იმდენად მისი სულიერი სფეროუ წარმოადგენს მთლიან წარმონაქმს, რომელიც შეიცავს ამა თუ იმ შინაარსის ისტორიულ და ეროვნულ-სპეციფიკურ ელემენტებს (264, 62).

ეთნოსის, როგორც რთული სოციალური ორგანიზმის შესწავლა, პირველ რიგში, სისტემურად უნდა მოხდეს. მოვლენებისადმი სისტემური მიდგომის იდეა, რადა თქმა უნდა, სრულიადაც არ არის რაღაც ახალი ხილი და ის ოდითგან თან ახლდა ნამდვილ მეცნიერულ კვლევებს.

კულტურულ – ისტორიული და ეთნიკური ურთიერთობების კვლევის დროს, მრავალი სიმწელის დაძლევა უხდება მკვლევარს. ერთერთს, მათ შორის, წარმოადგენს ის გარემოება რომ, ფაქტობრივი მასალის დაგროვებასთან ერთად (რაც თანამედროვე ეტაპზე ერთობ სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს), კვლევის პროცესში თავს იჩენს სულ უფრო და უფრო ვიწრო სპეციალიზაცია. თავისითავად ეს მოვლენა გარღვევალი და პროგრესულია, მაგრამ, სამწუხაროო, მას საგრძნობლად ჩამორჩება მეცნიერული კოოპერაციის პროცესი. ერთერთი მთავარი დაბრკოლება, რომელიც წინ ეღობება ეთნიკური პროცესების წარმატებულ კვლევას, კერძოდ, რაც ხელს უშლის ამ საკითხების შემსწავლელ დარგებს შორის ურთიერთგაგების დამკაიდრებას, არის თეორიული ბაზის სისუსტე.

ალბათ, ყოვლად გაუმართლებელი უნდა იყოს ეთნოსის ფენომენის დანაწევრებულად შესწავლა სხვადასხვა დარგების მეშვეობით; ურთიერთკავშირის გარეშე. არადა, სამწუხაროო, ჩვენთან საკმაოდ ხშირად ვაწყდებით ამგვარ ფაქტებს. ცალკე აღებული ყოველი დისციპლინა, აქცევდა რა ეთნოსს საკუთარი კვლევის ობიექტად, მას თავისეული პოზიციებიდან გამომდინარე შეისწავლიდა. მოხდა კურიობული რამ: ეს დისციპლინები კი არ ემსახურებოდნენ ეთნოსის კვლევას (კვლევის ობიექტს), არამედ პირიქით, ეთნოსი – თავად კვლევის ობიექტი იქცა მათი უწყებრივი ინტერესების მსახურად. კონკრეტული, მრავალმხრივად დინამიური ფენომენისადმი ამგვარმა მიდგომამ შექმნა ისეთი ვითარება, რომ ეთნოგრაფია, არქეოლოგია, კულტურის ისტორია, ისტორიოგრაფია, ენათმეცნიერება და სხვა მომიჯნავე დისციპლინები ერთიმეორისგან განსხვავებულად აღიქვამენ ობიექტურად ყოფაში არსებულ ფენომენს – ერს. რადა

თქმა უნდა, ამგვარი ვითარება მიზანშეუწონელია იმდენად, რამდენადაც ერი (ეთნოსი) - ეს არის მთლიანი, არსებული კონკრეტული ორალობა და ყოვლად დაუშვებელი მისი, როგორც ერთიანი ფენომენის დაქუცმაცება, დანაწილება უწყებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლევის პროცესში ყოველი ცალკეული დარგი საკუთარი კანონებისა და ლოგიკის მიხედვით დაანაწერებს მას, რამაც შესაძლოა, კურიოზულ დასკვნებამდეც კი მიგვიყვანოს. ეთნოსის შესწავლა უნდა ხდებოდეს კომპლექსურად. ყოველმა დისკიპლინამ, რომელიც ამ ფენომენს თავის შესწავლის ობიექტად გაიხდის, უნდა გაითვალისწინოს იმ დარგთა დასკვნები, კვლევის მიმართულებები და შენიშვნები, რომლელთა შესწავლის ობიექტიც აქამდე ყოფილა ეთნოსი – ერი. ასე, ურთიერთშემოქმედებით პროცესში, ურთიერთ დასკვნათა გათვალისწინებით უნდა შეისწავლებოდეს ეს მრავალმხრივი ფენომენი.

კვლევის უცილობელი კომპლექსურობა მრავალ სინქელეს უქმნის ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევარს და მის წინაშე მთელ რიგ პრობლემებს (თეორიული თუ პრაქტიკული ხასიათისას) წამოჭრის, რომელთა გადაწყვეტის გარეშეც შეუძლებელია იმ ეთნოსუციალური პროცესების წარმოჩენა-ანალიზი, რომელთაც ადგილი აქვთ განსაზღვრულ რეგიონში, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში.

ჯერ კიდევ 40-იანი წლების ბოლოს, ცდილობდა რა აეწყო ფეხი ზოგადად მსოფლიო ისტორიული პროცესებისათვის, საბჭოთა ისტორიკოსთა ერთმა ნაწილმა იწყო თეორიული გზების ძიება ეთნოგრაფური პროცესების კვლევაში კომპლექსური მეთოდების დასახერგად.

ამ პრობლემას შეეხო თავის სტატიაში (იხ.336) ცნობილი რუსი მეცნიერი ს.ა. ტოკარევი, რომელიც აღნიშნავდა: „გარკვეული ხალხების ეთნოგრენების შესწავლა ერთობ რთულ პრობლემას წარმოადგენს, რომლის სრული გადაწყვეტა შეუძლებელია ეთნოგრაფური პროცესის ნიშან-თვისებების გაუთვალისწინებ-ლად და ყველა საჭირო სახის წყარობების გარეშე. სამწუხაროდ, უმრავლეს შემთხვევაში ასე არ ხდება და ამა თუ იმ ხალხის წარმომავლობის პრობლემა ხშირად განიხილება მხოლოდ ერთი რომელიმე სახის – ანთროპოლოგიურ, ენობრივ, არქეოლოგიურ ან სხვა რომელიმე მასალაზე დაყრდნობით, რაც თავის მხრივ, იწვევს საკითხის ცალმხრივ გადაწყვეტას“ (336, 35).

ეთნოსი, ერი ნიშან-თვისებათა სიმრავლით ხასიათდება და თავის მხრივ, წარმომადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებული თავისებურებების, ყოფითი თვისებების, კულტურული დირებულებების რთულ

კომპლექსს. ერის წარმომაგლობაში გარკვევა ნიშნავს, ამოიცნო მისი ყველა ეს თავისებურება, დაადგინო მათი გენებისი და განვითარების გზები. ასეთ სიტუაციაში, როგორც ს.ა. ტოკარევი მიიჩნევდა, სახელდობრ ეთნოლოგიას და მხოლოდ ეთნოლოგიას, როგორც ხალხების ეთნიკური თვისებების შესწავლელ მეცნიერებას, ძალუძს ყოველი ცალკეული ხალხის ეთნოგნების პრობლემის მეტნაკლებად სრული და ამომწურავი გადაწყვეტა. მაგრამ მას, ამგვარი საკითხების გადაჭრა, არამც და არამც, არ ძალუძს ზემოთაღნიშნული სამეცნიერო დისცი პლინებისგან განცალკევებით. პირიქით, აუცილებელია თანამშრომლობა ამ დარგებს შორის(336, 36).

ეთნოგენეტური პროცესების კვლევაში, კომპლექსური მიდგომა გულისხმობს ეთნოლოგიური მონაცემების ფართო და მეთოდურად სწორად გამოყენებას; მათ კავშირს სხვა სახის ისტორიულ მასალებთან და მომიჯნავე დარგებთან (ზოგიერთი საბუნებისმეცველო დისცი პლინის: ეთნობოგანიკის, ეთნობოლოგიას და სხვა მონაცემებთან). კომპლექსური მეთოდი, პირველ რიგში, ანგარიშს უწევს მოცემული ფაქტების მრავალფრონობისას: ანთროპოლოგიას, არქეოლოგიას, ფოლკლორისტიკის, ისტორიის, ლინგვისტიკის, ეთნოლოგიას, ონთმასტიკის და სხვათა თავისებურებებს.

სამწუხაროდ, მიუხედავად გარკვეული ცდებისა, ეთნოგენეტური საკითხების კვლევაში კომპლექსური მიდგომა მაინც ვერ ჩაითვლება საბოლოო დამკვიდრებულად, რის მიზეზიც, ალბათ, ამგვარი კვლევის დიდ სირთულესა და მეთოდოლოგიური საკითხების დაუმუშავებლობაში უნდა ვეძიოთ.

განვლილი პერიოდში, აღნიშნული საკითხების კვლევაში ერთერთ უმთავრესად ხელშესახებ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ გამოიკვეთა ეთნოგენეტური პროცესების კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩოები და სივრცულ-ობიექტური მეთოდიკა.

ეთნოგენების, როგორც პროცესის კვლევის დროს, ქრონოლოგიის პრობლემას განმსაზღვრები მნიშვნელობა ენიჭება. მიჩნეულია, რომ ეთნოგნები, როგორც ისტორიული პროცესი, იწყება ეთნიკური ერთობის პირველი ფორმის – ტომის ჩამოყალიბების-თანავე (272, 27).

აღიარებულია ისიცომო ანთროპოლოგიური ტიპები ნეოლითის ხანაში ყალიბდებიან; არქეოლოგებიც ნეოლითის ეპოქას უკავშირებენ ტომობრივი ორგანიზაციების საბოლოო ფორმირებას; ლექსიკოსტატისტიკურ მეთოდები დაყრდნობით, ენათმეცნიერებიც, მირითადი ენობრივი ოჯახების ჩამოყალიბების პერიოდად

ნეოლითის ხანას თვლიან. ამდენად, მართებულია ხალხთა ეთნოგენების დასაწყისის ნეოლითით განსაზღვრა. მართალია, შეუძლებულია მსოფლიოს ყველა ხალხის ეთნოგენების შესწავლის ქრონოლოგიურად ერთი ეპოქიდან დაწყება, მაგრამ ამ პროცესს, რომ სტადიალურად წინარე ისტორიულ ხანაში ეყრება საფუძველი, ეს ნათელია.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მეთოდურად შესაძლებელია ეთნოგენეტური ხასიათის კვლევა წარიმართოს როგორც გარკვეული ეთნოსის შიგნით, ასევე გარკვეულ ტერიტორიაზე. პირველ შემთხვევაში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე ეთნოსის საკელე-ეთნოგრაფიული შესწავლა და მეცნიერული კვლევითი ხაზის აგება თანამედროვე მდგომარეობიდან წარსულისკენ, ეთნოგენების სათავეებისკენ; მეორე შემთხვევაში კი ჩვენ ვიწყებთ პრობლემის დამუშავებას საკელევ ტერიტორიაზე მოპოვებული კულტურის უძველესი ნაშთებიდან და მოვდივართ თანამედროვეობამდე. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ამა თუ იმ ეთნოსის ფორმირების შესწავლის პროცესში მოხდეს აღნიშნული ორივე მიმართულების ერთგვარი თანხვედრა და არქეოლოგიური კვლევების შედეგად სიღრმისეულ შრეებში მოპოვებული მასალა შეუპირაპირდეს ეთნოგრაფიული შესწავლის შედეგად ახლა უკვე ხელშესახებად ცოცხალი მასალების ანალიზის შედეგად მიღებულ დასკვნებს. ესე იგი, შესაძლებლად მაქსიმალურად დაინერგოს ინტერდისციპლინარული კვლევები. მითუმეტეს, ამგვარი მიღომა სავსებით გამართლებულად მიგვაჩნია ისეთი რეგიონისადმი, როგორიცაა კავკასია, სადაც აშკარად გამოკვეთილია ძირეული იძერიულ-კავკასიური მოდგმის ავტოქტონობა. ამდენად, პარალელთა დაძებნა ერთომეორისგან ქრონოლოგიურად დაშორებულ სერთო წარმომავლობის კულტურათა შორის, თუკი დამუშავებული იქნება ამის მეთოდოლოგიური მექანიზმი, არ უნდა იყოს მთლად გაუმართლებელი. აქვე დავამატებთ იმასაც, რომ კულტურათა საერთო წარმომავლობის უპირველეს განმსაზღვრელად, მოცემულ რეგიონში გარემოსთან ადაპტაციის შედეგად ჩამოყალიბებული დროში მდგრადი და უცვლელი სამეურნეო-კულტურული კომპლექსი მიგვაჩნია. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, წარმოადგენს ამდაგვარ კულტურათა სულდგმის ძირეულ დერძს.

ახლა, რამდენიმე სიტყვით, გვინდა შევეხოთ ეთნოგენეტური პროცესების კვლევაში, თითოეული ბერძო აღნიშნული სამეცნიერო დისციპლინის გამოყენების პრინციპებს.

დავიწყოთ დარგით, რომელსაც ძალუს მეტნაკლებად ძველი ეთნომადიფერენცირებელი ფაქტების მოცემა, – ანთროპოლოგიით,

სახელდობრ კი მისი იმ ნაწილით, რომელიც ისტორიული, ანუ ეთნიკური ანთროპოლოგიის სახელითაა ცნობილი(იხ. 216).

ანთროპოლოგიურ მონაცემებში, ჩვენ უპირველეს ყოვლისა, გვაინტერესებს ეთნოგანმასხვავებელი ხასიათის მასალები, რომელთაც გვაწვდის კაცობრიობის არა მარტო რასობრივი ნიშნით დიფერენციაცია (ამ მხრივ, უპირატესად, იგია შედარებით მომცველი ხასიათისა), არამედ მსოფლიოს ხალხთა კლასიფიციაცია ანთროპოლოგიურ ტიპებად. ეს უკანასკნელი ჩამოყალიბებულია ფორმირებული რასების სოციალურ-ისტორიული განვითარების შედეგად კულტურული, ისტორიული, რასებშორისი კონფაქტების, მიგრაციული და კონსოლიდაციური პროცესების განვითარების პირობებში. განსაზღვრავდა რა ანთროპოლოგიურ ტიპს, როგორც მაკლასიფიცირებელ ერთეულს, ნ.ნ. ჩებოკსარიოვი წერდა: „ანთროპოლოგიურ ტიპთა ჯგუფებში ერთიანი მდგრადი ანთროპოლოგიურ ტიპთა აქვთ საერთო წარმოშობის ისტორია, რომლებიც მორფოლოგიურად გვაგონებენ ერთმანეთს, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ერთგვაროვანი მიზეზობრივი ელემენტების შემდეგ“ (350, 304). სწორედ ანთროპოლოგიური ტიპები გვევლინებიან მსოფლიო ეთნიკური მრავალფეროვნების პირველად კატეგორიებად; ოღონდაც, ბუნებრივია, უნდა ვითვალისწინებდეთ იმასაც, რომ ანთროპოლოგიური ტიპების მიხედვით, კლასიფიკაცია აგარებს მომცველ ხასიათს; ე.ო. ხანდახან ერთი ტიპის ქვეშ შესაძლოა გამოვლინდეს რამდენიმე ეთნოსი, ან კიდევ ერთი ეთნოსი წარმოდგნილი იყოს რამდენიმე ტიპით (მაგ. რუსები).

აღსანიშნავია ენობრივი მონაცემებისა და ანთროპოლოგიური მასალის ურთიერთმიმართებაც. ენა და კულტურა შესაძლოა გავრცელდეს ანთროპოლოგიური ტიპის დამოუკიდებლად, ხოლო ანთროპოლოგიური ტიპი არასდროს არ გავრცელდება ენისა და კულტურის გარეშე.

ანთროპოლოგიური მონაცემების სამეურნეო-კულტურულ ან ისტორიულ ეთნოლოგიურ მონაცემებთან შეჯერების დროს არ უნდა დაგვაციწყდეს ის, რომ როგორც წესი საქმე გვაქვს, ერთის მხრივ, მსგავსი სამეურნეო-კულტურული ტიპების გაჩენასთან (რომლებიც ვითარდებიან ერთიმეტორის დამოუკიდებლად) და ისეთ ერთობასთან, რომელიც არ ახსნება ისტორიული კავშირებით; ხოლო მეორეს მხრივ ერთობასთან, რომელიც აღმოცენდება განსაზღვრულ ტერიტორიაზე ხანგრძლივი კავშირების შედეგად, იქ დასახლებული ხალხების ისტორიული ბედის ერთობასთან ერთად. გამომდინარე აქედან, სამეურნეო-კულტურული ტიპების მიხედვით კლასიფიკაცია არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ვივარაულოთ მისი სიახლოვე ან

გენეტიკური კავშირები არსებულ ანთროპოლოგიურ ტიპებთან; ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქების მიხედვით კლასიფიკაციას კი პირიქით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეთნოგენეტური პრობლემების გადასაწყვეტად, იმდენად, რამდენადაც ანთროპოლოგიური ტიპების გაჩენა გარკვეულწილად უკავშირდება სწორედ ამგვარი ერთობების ჩამოყალიბებას.

საუკუნეთა სიღრმეში რაც უფრო შორს მიედიგართ, მით უფრო მეტია დამთხვევა ეთნიკურსა და ანთროპოლოგიურ ერთობებს შორის (274, 15); ოღონდ, ისტორიულ-სოციალური მოვლენები ცვლიან ეთნიკურ ერთობათა შემადგენლობას, ზრდიან მათ რიცხვს, განაცალკევებენ ან ძერთიანებენ ხოლმე მათ შემადგენელ ნაწილებს, ცვლიან საქორწილო კავშირთა არეალებს, რასაც თანდათან მივყვართ ანთროპოლოგიური ტიპის ცვლილებებამდეც კი.

ეთნოგენეტური პროცესების კედლევაში წყაროთა სიტყვლით, ანთროპოლოგიური მონაცემების შემდეგ, არქეოლოგია გამოირჩევა. არქეოლოგია, რომელსაც თამამად შეგვიძლია ერთგვარი „პალეოეთნილოგიას“ უწინდოთ (თუ კი იგი მხოლოდ ძეგლების ფორმალური აღწერით არ შემოიფარგლება და ეცდება აღადგინოს გარკვეული კულტურული ყოფა და ცხოვრება), იძლევა ეთნიკური ისტორიის აღრეულ ეტაპებში შეღწევის საშუალებას.

არქეოლოგიური მასალების გამოყენებისას აუცილებელია მეთოდოლოგიურად სწორად გავერკვეთ მათ შესაძლებლობებში. ისინი, როგორც წესი, ეთნოსის ყოფის ორ სფეროს განეკუთვნებიან: მაგრამიალურ-სამეურნეოს (საბრძოლო და შრომის იარაღები, საცხობრებელი ნაგებობები, ყოველდღიური ყოფის ნივთები და სხვა) და სულიერ-სარიცხუალოს (გამოყენებითი ხელოვნება, სამღლოცველოები, სამაროვნები, ყორღანები...). თუმცა ეს დაყოფა მხოლოდ პირობითია და ერთ სფეროს მიკუთვნებული ნივთი, სრულიად შესაძლებელია, აფარებდეს მეორეს მიკუთვნებული ნივთის თვისისობრივ ნიშნებს. ამას ემატება ისიც, რომ კულტურის დაყოფა მაგრამიალურ და სულიერ სფეროებად თანამედროვეობისთვის არის დამახასიათებელი. ადრეულ ეპოქებში კი, როგორც ირკვევა მრავალრიცხოვანი მონაცემებით, სამეურნო და სასულიერო-სარიცხუალო სფეროები სრულად ერწყმოდნენ ერთიმეორეს და მათ შორის რაიმე ზღვარი თითქმის საერთოდ არ არსებობდა. გამომდინარე აქედან, ზედმეტია მტკიცება იმისა, რომ უკვე ნეოლითის ხანიდან (თუ უფრო ადრიდან არა) არქეოლოგიურ მასალაში შესაძლოა აისახოს ეთნიკურობის ნიშნით აღბეჭდილი სულიერი, სამეურნეო-ყოფითი, სოციალური თუ სხვა ურთიერთობანი.

ეთნიკურობის ნიშნით აღეჭდილ მრავალფეროვან მასალებს, როგორც უკვე ბემოთ აღვნიშნეთ, ნეოლითის ხანიდან ვხვდებით⁴, რომელთაც უკვე გააჩნიათ უფრო აღრეულ ხანებში ჩამოყალიბებული ლოკალური განსხვავებებით გაპირობებული კულტურული მრავალსახეობა.

ცნობილია, რომ ყოფითი კულტურა მნიშვნელოვანწილად ბუნებრივ პირობებზე, ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემობების დიდადად დამოკიდებული. არქაული ადამიანის ყოფასა და ცხოვრებაზე უშუალო გავლენას ახდენდა მოცემული გარემოს ფლორა და ფაუნა, პეტროგრაფია და კლიმატი, თავშესაფრად და დასასახლებლად ვარგის ადგილთა რაოდენობა, იმგვარ ადგილთა რაოდენობრივი სიხშირე, სადაც ადამიანს შესაძლებლობა ეძლეოდა შეგუებოდა არსებულ გარემოს და ბიოცენომში შესულიყო მასთან. გამომდინარე აქედან, მსგავს კოლოგიურ პირობებში, სრულიად დასაშვები იყო, რომ ტერიტორიულად ერთმანეთისგან დამორებულ მხარეებში, მსგავსი მეურნეობისა და კულტურული ყოფის ფორმები ჩამოყალიბებულიყო.

როგორც ფიქრობენ, უკვე პალეოლითური კულტურების შიგნით შესაძლებელია ლოკალურ განსხვავებათა გამოყოფა. არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე დადგენილი ლოკალური ვარიანტების განაბლივებისას შესაძლოა გაირკვეს ხალხის ავტოქტონობა თუ მოსულობა, კულტურული კავშირების დონე, ადგილობრივ გარემო-პირობებთან შეგუების ინგენიორობა. ცნობილია ისიც, რომ საზოგადო კულტურა გაპირობებულია არა იმდენად ბუნებრივი გარემოთი, რამდენადც საბოგადოებრივი ყოფით. მის შიგნით არსებული ლოკალური განსხვავებანი წარმოადგენეს არა თავიდანვე მომდინარე მოვლენებს, არამედ ისინი ყალიბდებიან ისტორიული განვითარების პროცესში და განისაზღვრებიან არა უშუალოდ გარემოს ბემოქმედებით, არამედ საზოგადოების მიერ ამ გარემოსთან შეგუებით(274, 17). აქედან გამომდინარე, არქეოლოგიური მონაცემების გამოყენების გამოცდილება მეტყველებს, რომ მატერიალურად დაფიქსირებულ ყოფით ძეგლებში შესაძლოა გამოიყოს ეთნიკური სპეციფიკა, რომელსაც სრულიად თავისთავადი, არამატერიალისტური საწყისი გააჩნია და ამა თუ იმ ეთნიკური ელემენტის ჯიშობრივი გენეტიკური დერიგიდან მომდინარეობს.

⁴ თუმცა არის გარევეული ცდებიც იმისა, რომ არქეოლოგიურ მასალაში ეთნიკური ხასიათის ნიშნები დაფიქსირდეს უფრო აღრინდელი ხანებიდანაც, მაგ.მუსტაფაირული ეპოქიდანაც კი (ო.ჯაფარიძე 200; 202).

ეთნოგრაფური პრობლემების საკვლევ უცილებელ წყაროთა შორის არქეოლოგიურ მონაცემებს, კვალში ენათმცნიერული დასკვნები უდგას. ლინგვისტური მონაცემები მკვლევარს, ძალგე ხშირად, ხალხთა ეთნიკური ისტორიის აღრეულ შრეებში ჩახედვის საშუალებას აძლევს. თანამედროვე ეფაპტე, ენათმეცნიერების გადამწყვეტ მიღწევას, ნათესაობის პრინციპით ენათა ოჯახებად, განშტოებებად და ჯგუფებად დიფერენცირებული გენეალოგიური კლასიფიკაცია წარმოადგენს. სწორედ ეს ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია გამოიყენება ეთნოლოგთა მიერ ხალხთა კულტურულ-ისტორიული კავშირების შესწავლის და ეთნოსთა კლასიფიკაციის დროს.

ენა – ერთობის ეთნიკური სპეციფიკის დიადი გამოვლინება, ნათელი გამოხატულებაა მისი უნიკალობისა. დიადი საყურადღებოა ის მომენტები, როცა ხალხების ისტორიაში თავს იჩენს ენის შერჩევისა და გააზრების ფაქტები. „დედა ენის“ აღმოჩენა ერების ისტორიაში კაცობრიობის თვითშემეცნების გზატე, აუცილებელი მონაკვეთია. ენა არ არის მხოლოდ რაიმეს ანარეკლი, იგი თვითონ არის ეროვნული კულტურის აგებამი მონაწილე ფაქტორი. როცა ხდება დედა ენის გაცნობიერება, მათინ ყალიბდება ეროვნული ცნობიერებაც (122, 46). როგორც მეცნიერული ლინგვისტიკის ერთერთი ფუძემდებელი, დიდი გერმანელი მეცნიერი ვილჰელმ ფონ ჰემბოლდფი აღნიშნავს, ერთ - ეს არის კონკრეტული ენით დახასიათებული სულიერი ფორმა კაცობრიობისა, ინდივიდუალიზირებული ტოტალურობასთან მიმართებაში (260, 310). „სხვაობა ენებს შორის უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ეს უბრალო ნიშანდობლივი სხვაობაა. სიცევები და სიტყვათორმები წარმოქმნიან და განსაზღვრავენ ცნება-გავებებს; სხვადასხვა ენები სინამდვილეში, თავიანთი არსით, საკუთარი ზეგავლენით შემეცნებისა და შეგრძნების ფაქტორებზე, ერთიმეორისგან სრულიად განსხვავებულ სამყაროთშემეცნებებს წარმოადგენენ. ენა, მიუხედავად გარკვეული გავლენებისა, გამომდინარე თვითმყოფადი ხასიათიან, მათიც ინარჩუნებს საკუთარი ინდივიდუალობასა და განუშეორებლობას; ხოლო ენის უკუგავლენა იმითაა გაპირობებული, რომ მისი საშუალებით ამა თუ იმ ერის წარსული შემოქმედებითი ყოველივე უენომენი, უშეალოდ მოქმედებს ინდივიდზე; ადამიანის ინდივიდუალობა ხომ ენის ინდივიდუალობის ანალოგიურია სწორედ იმისა გამო, რომ მათზე ერთი და იგივე ფაქტორები ზემოქმედებენ“ (260, 372). ენაში, რომელიც ბუნებრივ მოთხოვნილებებიდან და ხმებიდან (ფონემური გამიდან-პ.პ.) მომდინარეობს, ჩვენ ყოველთვის ვაფიქსირებთ ჭეშმარიტად ენობრივი

ხასიათის დუღაბს, რომელიც ამ ენას ზოგადად ეროვნული ხასიათიდან აქვს შეთვისებული(260, 373).

როგორც დიდი პუმანისტი და კულტურტრეგერი ზვიად გამსახურდია ბრძანებს, „ენა მუსიკალური სტილონის ცნობიერი გამოცხადებაცაა და არა მარტოოდენ „ნიშანთა სისტემა“. ენა შეითავსებს რაციონალურ და ირაციონალურ საწყისებს... კაცობრიობის პირველდი ენა მუსიკალური და ალოგიური იყო. ეს იყო ენა-სიმღერა⁵. იგი თანადათან უახლოვდებოდა და ეგუებოდა ემპირიული სამყაროს საბრისებს და ლოგიკას, მაგრამ მასში მუსიკალურ-ემციური საწყისი პრევალირებდა მაინც. მისი ექო დღესაც შემორჩენილია ძველი საკრალური პოეტის ჰიმნებში, უძველესი ქართული სიმღერების ალოგიურ ტექსტებში. კაცობრიობა თავდაპირველად კი არ „ლაპარაკობდა“, არამედ სიმღერით ლოცულობდა... ყოვლისმეტოქმედი და ყოვლისმომცველი ლოგოსი აბრისმიერ ლოგიკურ პლანში მხოლოდ ნაწილობლივ ცხადდება. ლოგოსის გამოუთქმელი, მიღმური საწყისი მარად მუსიკალურია, იგი „მეორე“ ლოგიკით, ლოგოსის ლოგიკით გადმოიცემა, ემციის ენით, ზეშთა აბრით. ხალხურ სიტყვიერებაში ამგვარ ენას „ხატის ენა“ ეწოდება. ლოგოსი ქმნაა და ზეშთასიბრძნის გამოცხადება ყოფად. ჩვენ წინაპართათვის ლოგოსის მსახური იყო „სიბრძნითა გამომოქმედი სულისა საიდუმლოისა“. დავ, ნურც ჩვენი თანამედროვეობა ჩააქრობს ლოგოსის მსახურების ამ მაღალ კანდელს“(ზვიადი).

ენობრივ მონაცემებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ონომასტიკური წრის სიტყვებსა და ცნებებს; ისეთებს, როგორიცაა: ეთნონიმები, ათონოპონიმები, ტოპონიმები (მათ შორის ჰიდრონიმები) და ნიბონიმებიც კი.

ეთნოგენეტური პროცესების კვლევაში ერთერთი არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ნარაგიულ წყაროებსაც, წერილობითი ხასიათის მონაცემებსაც. ყველაზე ფასეულად ამ სახის მასალაში, ალბათ, ეთნონიმები და ტოპონიმები უნდა ჩაითვალოს. ძალზე საყერალებოა, აგრეთვე რელიგიურ-სარიტუალო აღწერილობითი და ლექსიკური მონაცემებიც. რამდენადაც წერილობითი წყაროები ღროსა და

⁵ ამის ნათელი მაგალითია თუნდაც გურული პოლიფონიური სიმღერები: „ალიფაშა“, „ხასანბეგურა“, „მავი შაშვი“... ცნობილია, რომ სახელგანთქმული გურული მომღერლები, შესრულებისას, ერთიმეტორეში სიმღერით საუბრობდნენ. იმპროვიზაციას ხომ ამ ღროს საზღვარი არ ჰქონდა საერთოდ. ის მომღერალი, რომელიც საშემსრულებლო პარტიას უბრალოდ გაიმეორებდა, სასიმღერო პარტიასისას დამარცხებულად ითვლებოდა.

სივრცეში ერთობ შეგღუდულია, ეთნოგენეტური პროცესების კვლევისას მიზანშეწონილია ისეთ წყაროებზე დაყრდნობაც, როგორიცაა ფოლკლორული მონაცემები. ამ შემთხვევაში ფოლკლორში იგულისხმება ზოგადად ხალხური შემოქმედება არსებული განშტოებებით: ზეპირსიტყვიერებით, მუსიკით, ქორეოგრაფიით, ორნამენტული ხელოვნებით.

თანამედროვე გამოკელელების შედეგად, კაცობრიობის ისტორიაში აღიარებულია კლიმატური კატაკლიმბების გადამწყვეტი მნიშვნელობაც. (იხ. 282). გამოთვლილია, რომ შეტ-ნა კლებად აღსანიშნავ მოვლენათა სიხშირე არსებითად იმრღვებოდა კლიმატური ექსტრემუმების ეპოქებში, რომლის დროსაც მიიღწეოდა ტემპერატურის ან მაქსიმუმი, ან მინიმუმი. ქრისტემდე IV-I ათასწლეულებში ჩვენი პლანეტის ჩრდილო ნახევარსფერო განიცდიდა არსებით კლიმატურ რყევებს, რომლებიც უდაოდ დიდ გავლენას ახდენდნენ ადამიანთა ქმედით ასპექტებზე. აღნიშნულია ისიც, რომ ჩვენი ეპოქის, XX საუკუნის, გლობალური დათბობა თავისი სიღილით (0,6 C°— ით ჩრდილო ნახევარსფეროში) შეესაბამება აღრეული ცივილიზაციების წარმოქმნის ეპოქის კლიმატური რყევების მასშტაბებს.

შესაძლოა დანამდვილებით ითქვას, რომ შორეულ წარსულში, ხალხთა დიდი გადასახლებები თან სდევდა ლოკალური ბუნებრივი პირობების გაუარესებას, რაც თავისითავად დიდწილად განაპირობებდა კიდეც კაცობრიობის ისტორიაში ამდაგვარი ხასიათის მოვლენებს. თუ კლიმატის და ბუნებრივი პირობების გაუარესება განაპირობებს ხალხთა და სახელმწიფოების კონსოლიდაცია-გაძლიერებას და ცენტრალიზებული ხელისუფლების გამკვიდრებას, ბუნებრივი პირობების გაუმჯობესება საპირისპირო მოვლენების განვითარებას უწყობს ხელს. მთლიანობაში შესაძლოა დავისკვნათ, რომ იმ ეპოქებში, როდესაც ხდებოდა გლობალური კლიმატური აღრევები, ამ მოვლენებს თან ახლდა საზოგადოებრივი ცხოვრების აქტივიტაცია, ხალხთა დიდი გადასახლებები, ახალი სახელმწიფოების წარმოქმნა; ხოლო როდესაც საქმე გვაქს კლიმატური პირობების გაუმჯობესებასთან, მაშინ ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების მოდენება, ინფელექტუალური და მატერიალური დეგრადაცია ... (282, 153)

გსაუბრობთ რა ეთნოგნეზტური კვლევის მეთოდოლოგიაზე, კომპლექსურ მიღებომაბე, უპირველესად ჩვენ მხედველობაში გვყავს თავად ეთნოლოგის, მკვლევარის ფიგურა, რომელსაც აღჭურვილს სპეციალური ცოდნით, გამომდინარე სხვადასხვა დისციპლინების მიღწევების თანამედროვე დონიდან, მაღალი მეტნა კლებად სწორად შეაფასოს მოხმობილი მონაცემები. სწორედ ეთნოლოგი, იყენებს

რა ანთოპოლოგიის, არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, წერილობითი წყაროების, ფოლკლორის, ონთმასტიკის, ეთნობოგანიკის და სხვა მონაცემებს, აკავშირებს და იხილავს მათ თვით ეთნოლოგიის მონაცემებთან კონტექსტში.

ეთნოგრაფიული მასალა უშეალოდ ყოფაში აიკრიფება და ეთნოგენეტური პროცესების კვლევაში არსებით როლს თამაშობს. თუმცა ამ მასალის (განსაკუთრებით ისეთის, რომელიც სამეცნიერო ყოფას ასახავს და მატერიალური კულტურის სფეროს განეკუთვნება) გამოყენება გარკვეულ სიფრთხილეს მაინც მოითხოვს, რამდენადაც არც თუ ისე იშვიათად მათ მოღერნიჩებული, სახეცვლილი ხასიათი გააჩნიათ და გარეშე კონტაქტების გავლენასაც განიცდიან; ანდა გამომდინარე მსგავსი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებიდან ხშირად საკმაოდ წააგვანას ხოლმე ერთიმეორებს.

ეთნოსის კვლევა ქართულ ისტორიოგრაფიაში, ისევე როგორც ბოგადად საბჭოთა ისტორიოგრაფიაშიც, ისტორიის მატერიალისტურ გაგებას ემყარებოთ. ისტორიის მატერიალისტური გაგება აღიარებს მოვლენების მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, რის გამოც ეს უკანასკნელი განიხილებიან ერთიმეორესთან კავშირში და ამგვარად დგინდება მათი განვითარების კანონმდიმიერება და სპეციფიკა. ფიქრობდნენ, რომ საკვლევი ისტორიული პროცესებისადმი ამგვარი მიღობმა გამორიცხავს ისტორიული სქემების აპრიორულ გაგებას, წარსულის მოდერნიზაციას, გათამედროვეობას. მიჩნეულია, რომ გარდასულ მოვლენათა შესწავლა ისტორიული მასალის სიტუაციებს უნდა ეფუძნებოდეს და არა აპრიორულ სქემებს, რომელთა უტყუარობაც ძალგზ ხშირად შესაძლოა სათუთ და არამყარი იყოს.

კვლევის პროცესისადმი ამგვარი დამოკიდებულების შედეგად, წინარე საზოგადოებების შესწავლის დროს, შეიძლება ბევრი უზუსობა გაგვეპაროს; რამდენადაც შესაძლოა მხედველობიდან გამოვლენეს კველაბე მთავარი – საუკუნეთა სიღრმიდან გამომჩირალი „დვრიფა“, რომელიც შესასწავლ საგანშია ჩადებული და საზოგადოდ, მოცემული მომენტისათვის, მისი შემოქმედი ეროვნული ენერგიის კონკრეტულ გამოვლინებას წარმოადგენს.

ისტორიული კვლევის მაგისტრალური მიმართულებაა, შორეული თუ ახლო წარსულის კონკრეტული სინამდვილის ყველა არსებითი მოვლენის ურთიერთკავშირში განხილვა, „ინდივიდუალურის სოციალურამდე“ დაყვანა, მოვლენების შინაგანი კანონმდიმიერებების დადგენა, ისტორიული პროგრესისა და მისი მრავალგვარი ვარიანტების აღიარება. ისტორიული განვითარების მნიშვნელოვანი მხარეა მემკვიდრეობითობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ერთიმეორის შემცველი სიტუაციების და

პერიოდების ურთიერთეკავშირი, ყოველივე იმ ახლის შენარჩუნება, რაც წინა ეტეპზე იქნა მიღწეული“ (87, 74).

ისტორიული ჭეშმარიტება მოიცავს მოვლენებს, რომელთა არსის გაგება ისტორიკოსს შეუძლია ისტორიული სიტუაციების ურთიერთგანმაპირობებელი მიზეზ-შედეგობრივი კანონების გახსნით. ეს კავშირები კი უსასრულოა, როგორც დროში, ასევე სივრცეში. ყოველი ისტორიული მოვლენის, ფაქტის გაგება, ყოველი ისტორიული სიტუაციის გახსნა შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიო ისტორიული მოვლენების ფონზე. ისტორიულ მეცნიერებაში კვლევა დღეს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კომპლექსურ ხასიათს უნდა აფარებდეს და სამეცნიერო ინფორმაცია უნდა მოიცავდეს არა მარტო ვიწრო საეციალობებს, არამედ საჭიროა სრულყოფილი ინფორმაცია მომიჯნავე დარგებში მოპოვებული კვლევის შედეგების შესახებაც; მეცნიერებაში ახლად დანერგილი მეთოდების მიმოქცევაში შემოგანა და მათი მეშვეობით ახალი ისტორიული კონცეფციების შექმნა (136, 76).

საბოგადოებრივ-ისტორიული პროცესი ისეთივე ობიექტური ხასიათის პროცესია, როგორც ბუნებრივ-ისტორიული პროცესი (136, 36). მაგრამ თითოეულ მათგანს საკუთარი კანონმიერებანი ახასიათებს, რომელთა შორისაც ერთიანობა არსებობს. სწორედ ამიგომ, ეთნოსის ცხოვრებაში მიმდინარე პროცესები უნდა შეისწავლებოდეს მათი აღგილობრივი განხორციელების მთელს სპეციფიურობაში, კონკრეტულ ისტორიულ სინამდვილესთან მთლიანობაში (195, 102).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ერის (ხალხის) თავისთავადობის ერთეულ უმთავრეს მახასიათებელს კულტურა წარმოადგენს. ე.ი. ისტორიულად არსებული თვითმყოფადობა საწარმოო წესისას, წარმოდგენებისა, რწმენისა, ცოლნისა და სხვათა, რომლებიც შეადგენენ მოცემული ეთნიკური ერთობის ცხოვრების შინაარს. „კულტურის“ ცნებაში, არსებულ შემთხვევაში, მოიაზრება ადამიანური საქმიანობის (მაგერიალური და სულიერი) ყოველგვარი გამოვლინება. სხვადასხვა ხალხებში შესაძლოა კულტურის ბევრი ელემენტი ერთგვარიც იყოს; სამაგიეროდ ყოველი ხალხი ფლობს ისტორიული და გეოგრაფიული სპეციფიკით გაპირობებულ თვითსებებს, თავისებური შინაარსის კულტურულ ელემენტებს. სწორედ ამ თავისებური ელემენტების კვლევით უნდა ხდებოდეს ამა თუ იმ ეთნიკური ერთობის არეალიზაცია-გამოყოფა. ამისთვის საჭიროა არა ის, რაც მათ აერთიანებს, არამედ ის, რაც განასხვავებს მათ ერთიმეორისაგან (221, 49).

არსებობს კულტურის უამრავი განმარტება. დღესდღისობით, ალბათ, ყველაზე მისაღებად მიგვაჩინია ე. მარქარიანისეველი განმარტება, რომლის მიხედვითაც, კულტურა – ეს არის არაბით-ლოგიურად შემუშავებული და გადმოცემული წესი ადამიანის მოღვაწეობისა (311, 15). თუმცა ჩვენის მხრივ დავამატებდით, რომ ამ ფენომენის თვისიობრიობაზე საკმაოდ დიდი გავლევნა აქვს ბიოლოგიურ (თავად ამ კულტურის შემომქმედის წარმომავლობასაც, გენსაც, ჯიმსაც) ფაქტორსაც. ამ ამოსავალი დებულებიდან გამომდინარე, კულტურული სპეციფიკა მის გამომხატველ ენასთან ერთად, მიჩნეულია ეთნიკურ ერთობათა ერთიმეორისაგან გამომცალკევებულ მთავარ კრიტერიუმად. ე.ი. უნდა დავვწყათ, რომ კონკრეტული საზოგადოების, ეთნიკური ერათობის ყოფის გამოხატულებას, კულტურა წარმოადგენს. ამდენად, ყოველ ეთნიკურ ერთობას მისთვის დამახასიათებელი კულტურა გააჩნია. ეთნოსი კი თავისთავად მუდამ გარკვეულ ტერიტორიას უკავშირდება. ნებისმიერი რეგიონი, სივრცესა და დროში მოცემული, ქმნის თვისებათა განუშეორებულ კონფიგურაციას. ეს არის ერთიანი კომპლექსი, რომელიც მთლიანობაში წარმოდგენილი, გარკვეულ სისტემას განასახიერებს. ადამიანის მიერ შექმნილი კულტურა, ერთის მხრივ, გამოავლენს გარემოს ათვისების კონკრეტულ ხარისხს; მეორეს მხრივ, ადაპტაციის მოცემული წესი განსაზღვრავს ამავე კულტურის დონეს. მაშასადამე, კულტურა ერთდროულად მიზებიც შეიძლება იყოს და შედეგიც. განვითარების მაღალ საფეხურებზე გამოვლენილი კულტურა გარემოს ათვისების უკეთეს შესაძლებლობებს ქმნის და ადაპტაციის შედეგად შექმნილი, თავის მხრივ, უფრო რაფინირებული, სრულყოფილ ფორმებს წარმოაჩნის. ე.ი. საქმე გვაქს მეტად რთულ პროცესთან – ადამიანზე მოქმედებს მისივე შექმნილი ფენომენი.

ეთნიკური კულტურა (ისევე როგორც კულტურა, საზოგადოდ), თუნდაც როგორც ნებისმიერ ღონებები წარმოჩინებული გლობალური ფენომენი, მრავალი სხვადასხვა ღონისა და მნიშვნელობის მოვლენის დიფუზიური ერთიანობა. ტრადიციული კულტურა, ეთნოლოგის თვალსაზრისით, ძირითადში ორ დამოკიდებულ სფეროს მოიცავს: მატერიალურს და სულიერს, რომელთაგან თითოეული კიდევ მოელრიგ შემაღებენ ნაწილებად განიყოფა. მაგალითად, მატერიალური კულტურის სფეროში, გარდა საკუთრივ მატერიალური კულტურის ისეთი ელემენტებისა, როგორიცაა ნაგებობანი, ტანსაცმელი, სამეურნეო და სხვა სახის ელემენტები შეჰქავთ თვით მეურნეობის დარგებიც: მესაქონლეობა, მიწათმოქმედება, მევენახეობა-მედვინეობა, ხელოსნობა და ა.შ. მიიჩნევენ, რომ მატერიალური

კულტურა გაპირობებულია, მირითადად, საწარმოო ძალთა განვითარებით და განსაკუთრებით ბუნებრივი გარემოს თავისებურებებით. ამდენად, იგი არც ისე გადაჯაჭვულია ეთნოსთან (278, 74).

ყოველი ეთნოსის სულიერი კულტურა, მაგრამიალურთან ერთად, არის არა მარტო ნაწილი მთლიანი ეთნიკური კულტურისა, არამედ იგი საერთო ეთნიკური შემეცნების უშუალო და უძლიერეს ზეგავლენასაც განიცდის. ეთნიკური შემეცნება კი, უკიდურესად მობილიზების შემთხვევაში, გვევლინება როგორც ეთნოსის (ხალხის) სულიერი სახე, რომელიც თავისთავად განაპირობებს კიდეს იდეოლოგიზაციის სხვადასხვა ფორმებს; ყოველივე ამისა გამო, იგი არის ტრადიციის კონსერვაციისა და განახლების ერთერთი წარმმართველი ფაქტორიც (351, 78).

ტრადიცია, რომელიც ფართოდ დომინირებს როგორც მაგრიდული, ასევე სულიერი კულტურის ფენომენში, ზოგადი გაგებით, ადამიანთა ერთგვაროვან ჯგუფურ ჩვევებსა და ქცევას ასახავს. იგი წარმოქმნის შედეგად გადაიცემა დროში და განაგრძობს არსებობას. ეთნიკური ტრადიცია, ისტორიულ-სოციალურ მოვლენად ითვლება, რომელიც ორსახოვანია და მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრებისთვისაა დამახასიათებელი. ერთის მხრივ, ტრადიცია გვევლინება როგორც სოციალური წესებისა და ნორმების აღდგენის მქანიზმი, რაც გაპირობებულია წარსულში ამ დირებულებათა არსებობით; მეორეს მხრივ, ტრადიციაში იგულისხმება ისტორიულად ჩამოყალიბებული იმგვარი სოციალური წესები და ნორმები, რომელთაც გააჩნიათ თვითგანახლების უნარი და აქვთ სოციალურ-მემკვიდრეობითი თვისებები. მიჩნეულია, რომ ხალხური, ანუ ეთნიკური წეს-ჩვეულებები და ეთნიკური ტრადიციები, დაახლოებით, ერთი და იგივე შინაარსის ცნებებია (40, 6).

აღნიშნულ ეთნიკურ ტრადიციათა ერთობლიობა შემადგენელი ნაწილია ეთნიკური კულტურისა, რომელიც თავის მხრივ როგორც წარმონაქმნია და მრავალი სხვადასხვა ფაქტორის სინთეზს წარმოადგენს. ეთნოგენეზის ებბრიონული საფუძველი, ისტორიული განვითარების რთული პროცესი, მრავალმხრივი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციები, კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა შედეგები თუ სხვა მხგავსი მოვლენები ის ფაქტორებია, რომლებიც სხვადასხვა მიმართიულებითა და სიძლიერით მოქმედებენ ეთნოსზე და უდიდეს გავლენას ახდენენ ყოფითი კულტურისა და მისი თვისებების ჩამოყალიბებაზე.

ეთნიკური კულტურის, კერძოდ მისი მაგრამიალური ნაწილის სფეროს განეკუთვნება საცხოვრისი და ჩვეულებრივ, ამ უკანასკნელის ჩარჩოებში შეისწავლება.

მატერიალური კულტურის ელემენტებთან დაკავშირებით, როგორც აღრევე აღნიშნავდნენ, საბჭოთა ჩამოყალიბდა კვლევის გარეული პრინციპები, რომლებიც, როგორც წესი, ამ მოვლენების ექსრაუტილიტალურ – „სულიერ“ მხარეებს თითქმის არ ითვალისწინებდა; საკუთხევო შემთხვევაში მათ ნაწილობრივ, ფრაგმენტულად განიხილავდა. ამგვარი მიდგომა კი მართებული არ უნდა იყოს, რადგანაც შეუძლებელია კულტურის ობიექტურ ელემენტებგა სრული წარმოდგენების ჩამოყალიბება, თუ მხედველობაში არ ვიქონიებთ მათ „სულიერ“ მხარეებს, არ გავითვალისწინებთ იმ შინაარსს, რომელიც მათ მიეწერებათ (ან მიეწერებოდათ) სხვადასხვა ეთინჯერ ერთობებში ღროსს სხვადასხვა მონაკვეთებში; თუ მხედველობაში არ ვიქონიებთ მათ ადგილს სამყაროს ინდივიდუალურ თუ საზოგადოებრივ აღქმაში (230, 3).

ეთნოგრაფიულ მასალაში, იქნება ეს სასულიერო-რელიგიური, სამეურნეო-ყოფითი ხასიათის, სოციალური თუ საოჯახო-საქორწინო ურთიერთობანი, როგორც წესი, თითქმის ყოველთვის შესაძლებელია ეთნიკური სპეციფიკის გამოყოფა.

მატერიალური კულტურის სფეროში ეთნომაჩვენებელ ნიშანთა (რომელიც თავის მხრივ საყოფაცხოვრებო სფეროსთან შეგუებით არიან გაპირობებულნი) რაოდენობა საკმაოდ მაღალია დასახლების ტიპებში, რამდენადაც ეს უკანასკნელნი ადგილის რელიგიური შესაბამისობაში წამოიქმნებიან და ყალიბდებიან. მათი შესწავლის შედეგად შესაძლოა დაფიქსირდეს დასახლების ორგანიზაციული სპეციფიკის თავისებურებანი – მიმართება ცენტრალურ მოედანთან, სამლოცველოსთან და ა.შ.

ეთნიკური სპეციფიკის მხრივ, შედარებით უფრო ინფორმაციულია საცხოვრისი, რომლის კვლევის დროსაც ეს სპეციფიკა შესაძლოა გამოვლინდეს ძირითად კონსტრუქტორებში (მიწური, ნახევრადმიწური, სათავსოთა განლაგება, გადახურვა...), დამხმარე ნაგებობებთან მიმართებაში და სხვა. ეთნიკური ხასიათი აქვს შიდა სივრცის განლაგებას – კერის მდაბარეობას, კერის ფორმას, სათავსოების ფუნქციებს და განლაგებას, წმინდა კუთხის ან საკურთხევლის მდებარეობას, შესასვლელის ორიენტაციას, საკვამლე ან სასინათლე ღიობს (ერდო) და ა.შ. მთელი რიგი სპეციფიურობებით ხასიათდება სახლის ავეჯეულობა, საჭმელი, დამხმარე სამეურნეო ყოფითი ნივთები... (იხ.227).

ცნობილია, რომ უძველესი საცხოვრებელი ნაგებობები (და არა თავშესაფრები) ნეოლითის აღრეული საფეხურიდან ჩნდებიან (209; 210; 223; 256; 298; 373...) და საბოლოოდ, როგორც საცხოვრებელი კომპლექსები, ამ ეპოქის უკვე დასასრულისთვის ყალიბდებიან.

აღნიშნული პროცესი, მნიშვნელოვანწილად იმ დიდი ცვლილებებით იყო გაპირობებული, რომლებიც ე.წ. „ნეოლითურ რევოლუციას“ – მითვისებითი მეურნეობიდან, მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლას ახლდა.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, უკვე ქრისტემდე X-IX ათასწლეულში, წინა აბის რამდენიმე მხარეში (ანაგოლიის ზეგანზე, გაგროსის მთიანეთში, სინჯარის ველზე...) სამონადირეო-შემგროვებლური მეურნეობის რღვევა შეიმჩევა. მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა გარკვეული სოციალური მიზეზებით იყო გაპირობებული, რომელთა ჩამოყალიბებაც შესაბამის ბუნებრივ პირობებში ხდებოდა. როგორც ცნობილია, წინა აბია წარმოადგენს კულტურულ მცენარეთა ფორმირების ერთიერთ გამოყოფილ კერას(248, 29-57). ოუმცა მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასასვლელად მხოლოდ გარკვეულ სახეობათა სიმრავლე საკმარისი არ არის; დიდად მნიშვნელოვანია მათი პროდუქტიულობაც. ალიარებულია, რომ ველურ სახეობათა მოშინაურება ხდებოდა იქ, სადაც არსებობდნენ ასეთი ჯიშები, ოღონდაც მცირე რაოდენობის. მხოლოდ ამგვარი დეფიციტის შემთხვევაში დადგებოდა მათი მოშინაურების აუცილებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი სიმრავლის დროს, ადამიანი ხელს აღარ მიჰყოფდა ამ ჯიშების (როგორც ცხოველთა, ასევე მცენარეთა) მოშენება-მოშინაურებას (209, 13).

მწარმოებლური ეკონომიკის ფორმირებას წინ უსწრებდა ინტენსიურებული შემგროვებლობისა და სპეციალიზირებული ნადირობის პერიოდი. მცენარეთა და ცხოველთა რაოდენობა შესაძლებლობას იძლეოდა სემონური, პერიოდული სამოსახლოების შექმნისა. ამგვარი ნასადგომარები მდებარეობდნენ ჯერ კიდევ იმ ზონებში, სადაც გავრცელებული იყო შინაურ ცხოველთა და მცენარეთა წინარე სახეობები.

ქრისტემდე IX-VIII ათასწლეულებში გაგროსის მთიანეთსა და მთისწინეთში (ქერიმ-შაკრი, გავი ჩემი-შანიდარი, თელ-მალაფაათი...) მოსახლეობა მისდევდა ველური ენდემური ჯიშების შეგროვებას (312, 112). შესაძლოა მოშინაურებული პყავდათ ცხვარი, მაგრამ ხორცეული საკვების მოპოვების მირითადი წყარო აქ მაინც ნადირობა იყო. სირიაში მურეიბითის ნამოსახლარის მცხოვრებთა არსებობის საფუძველს შეადგენდა ენდამური ჯიშის ხორბლეულის და სხვა მარცვლეულის შეგროვება; ნადირობდნენ გარეულ ღორბე, მისდევდნენ მეთევზეობას; პალესტინაში, მეზოლითის ხანაში და წინარეკერამიკულ პერიოდში შემგროვებლობის განვითარების პარალელურად მყარ პოზიციებს ინარჩუნებდა მეთევზეობა და

მონადირეობა. სამხრეთ-აღმოსავალეთ და სამხრეთ თურქეთში (პაჯილარი, ჩაენიუ-თეფესი) მოშინაურებული იქნა ხორბალი და ქერი, მოსახლეობა ნადირობდა კეთილშობილ ირემზე, ხარზე, თხასა და ცხენზე(368, 23-26).

სამხრეთ ქურთისტანსა და ლურისტანში გამოკვლევების შედეგად შესაძლებელი გახდა 4 ტიპის სამოსახლოს გამოყოფა: მიწათმოქმედთა სოფლები – რომლის მცხოვრებთა მთავარი საქმიანობა ნადირობა და შემგროვებლობა იყო; სებონური ბანაკები – რომლებიც საქონლის იაღადებსა და სამიწათმოქმედო სავარგულების ახლოს მდებარეობდნენ; მწყემსური სეგონური სადგომი გამოქვაბულები და მომთაბარე მწყემსების სადგომები (208, 16).

ქრისტემდე VII-V ათასწლეულში მცირე აზიაში მწარმოებლური მეურნეობა საბოლოოდ მკიდრდება. გაგროსის მთაბნეობა და მის მიმდგომ მხარეებში (ჯარმო, ალი-ქოში...) მოაშინაურეს ხორბალი და ქერი, თხა და ცხვარი (373, 23-26). ძველი მიწათმოქმედნი მთებიდან თანდათან ეშვებიან შუამდინარეთის ნაყოფიერ ველზე სადაც დღეისათვის შესწავლილია ამ პერიოდის – წინარე პასუნის (VIII-VII ათასწლეულების) და პასუნის (VI ათასწლეული) ნამოსახლარები; სინჯარის ველზე, ერაყის ჩრდილოეთით, არსებობდა დასახლება თელ-მაგბალია, სადაც აღმოჩნდა მართკუთხა ფორმის, ქვის მასიურ საძირკველზე ნაგები საცხოვრებელი; ქვის თავდაცვითი კედელი. ნამოსახლარი განეკუთვნება აღრეულ, წინარეკერამიკულ ნეოლითს (315, 126-137). ამავე პერიოდს მიაკუთხებს პაიდელბერგული არქეოლოგი კლაუს შმიტი ერთობ შთამბეჭდავ ნამოსახლარებს (გურჯაო-თეფა და ჰემეკლი-თეფა) თურქთის ცენტრალურ რეგიონში და მათ ქრისტემდე IX ათასწლეულით ათარიღებს. არქეოლოგი ამ ნამოსახლარებზე უკვე საკმარი განვითარებულ სატარო არქეოლოგურას და ამასთანავე ერთობ შთამბეჭდავ სკულპტურულ ძეგლებსაც სწავლობს (379; 380).

უმ დაბალინის ნამოსახლარზე, ხათრის მახლობლად (ქრისტემდე VII-VI ათასწლეულები) ნაპოვნია მოშინაურებული ხორბლის და ქერის რამოდენიმე ჯიშის ნაშთები, თუმცა ამ ნამოსახლარის მოსახლეობის ძირითად სამეურნეო საქმიანობას მონადირეობა და შემგროვებლობა წარმოადგებდა. სამარის ნამოსახლარებზე (თელ ეს-საბან, ჩოდა-მამი...), რომლებიც მიწათმოქმედებისთვის არახელსაყრელ მხარეებში მდებარეობდნენ, გამოიყენებოდა ირიგაცია(315, 39).

მორწყვითი მიწათმოქმედების ნიადაგზე ჩრდილო და შეა შეამდინარეთის მოსახლეობის მეურნეობა და მატერიალური

კულტურა მანამდე არნახულ აყვავებას განიცდის. სავარაუდოა, რომ თელ ეს-საბანის ნამოსახლარზე უკვე არსებობდა სპეციალური საგამრო არქიტექტურა. მდიდარი და მრავალფეროვანია ამ ძეგლებიდან მომდინარე მაღალმხატვრული ღონის მასალები, რის თვალნათელი დადასტურებაა სამარული და ხალაფური კერამიკა; იწყება ლითონის დამუშავებაც, თავიდან ჭედვით, ხოლო შემდგომ ჩამოსხმით(315, 307-316).

სირიაში, აღნიშნულ პერიოდში, მოჰყავთ ხორბალი. ქერი, ცერცვი; ხოლო ოდნავ მოგვიანებით იწყებენ თხის, ცხვრის, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის მოშენებას. პალესტინის ნამოსახლარებზე, ამ პერიოდში, გრძელდება ძველი ტრადიციული მემკვიდრეობითობა, ოღონდ მათი მატერიალური კულტურა გარკვეულად კარგავს თავის გამომსახველობას სამხრეთ თურქეთის ძეგლებთან შედარებით, სადაც არსებული დასახლებანი – ჩათალ პურუში და პაზილარი ნათლად წარმოაჩენენ იმ პერიოდის სამიწათმოქმედო მეურნეობის მიღწევებს(315, 23-26). ამ ნამოსახლართა მცხოვრებლებს მოჰყავდათ სამი ჯიშის ხორბალი, ქერი; აშენებდნენ მსხვილფეხა რქოსან საქონელს, მაგრამ ამასთანავე აგრძელებდნენ ნადირობასაც. ამ ნამოსახლართა განვითარების ასეთმა მაღალმა ღონებ წარმოშვა მოსაზრება, რომ აქ მეურნეობა მორწყვით მიწათმოქმედების ემყარებოდა(იქვე).

პირველი ნამოსახლარები, თურქმენეთ-ხორასნის მთიწინეთსა და ბეგანზე, ქრისტემდე VI ათასწლეულში, ჯეითუნის კულტურის ბეობის ხანაში ჩნდება. ამ პერიოდში, აქ მოსახლეობას მოჰყავდა ხორბალი და ქერი, ეწეოდნენ მესაქონლეობას და მონადირეობას. მოგვიანებით სამხრეთ თურქმენეთში ფეხს იკიდებს გადარეკვითი მესაქონლეობა და მცირე ობისური მიწათმოქმედება(312, 40-41).

მცირე და შეა აბიის მწარმოებლური ეკონომიკის კულტურული-სათვის დამახასიათებელია საკმაოდ დიდი ერთგვაროვნებაც და განსხვავებულობაც. ამას განაპირობებდა ის კონკრეტული ბუნებრივ-კლიმატური გარემო, სადაც ეს კულტურები ყალიბდებოდნენ და ვითარდებოდნენ. სავარაუდოა, რომ აქ დაწინაურებულ მიწათმოქმედ ფომებთან გვერდიგვერდ მებობლობნენ და მოსახლეობნენ შედარებით განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ეთნიკურ-სოციალური წარმონაქმნებიც. ქრისტემდე VII-VI ათასწლეულებში შეა და წინა აბიაში ფორმირებას იწყებენ მსხვილი საბოგადოებრივი ერთობები, რაც არქეოლოგიურად კულტურების ჩამოყალიბებაში აისახება – მეტნაკლებად მცირე ან დიდ ტერიტორიებზე ხდება ნაგებობათა ფორმების, იარაღის, ჭურჭლის, დაკრძალვის წესების ერთიმეორესთან ახლომდგომი ფორმების გავრცელება. ეს

მიგვანიშნებს კონტაქტებზე როგორც წედლეულის, ასევე მგა პროდუქტიაბზე მოთხოვნილების ბრდასა და გაცვლაზე. ყოველივე ეს, თავის მხრივ, მეურნეობის ფიპსა და განვითარების ღონებზე იყო დაფუძნებული(314, 73).

მეურნეობის განვითარებამ და წარმოების ახალ პრინცი ჰებბე გადასვლამ მატერიალური ღოვლათის შექმნა განაპირობა, რაც თავისთვის განსაზღვრავდა საკების წარმოების სუვრობან თემის წევრთა გამოთავისუფლებას. ეს პროცესი ხელს უწყობდა ხელოსნობის ჩასახვა- განვითარებას და შესაბამისად, სამოგადოების სოციალურ დიფერენციაციას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცივილიზაციის დიდი მიღწევების: მესაქონლეობის, მიწათმოქმედების, კერამიკული წარმოების, ლითონწარმოების და სხვათა გაჩენა შეუძლებელი იყო თავად ადამიანისთვის ღვთივბოძებული, აქტიური შემცირებით მოღვაწეობის გარეშე, ასევე ასწლოვანი და ათასწლოვანი დაკვირვებების შედეგად გამომუშავებული ემპირიული ცოდნის ურთიერგამიარებისა და ურთიერთგამდიდრების გარეშე.

ერთობ ძნელია ძეველ მიწათმოქმედთა სამოგადოებრივი ურთიერთობების აღდგენა, მათი სოციალური პრობლემების კვლევა. ძირითად ცნობებს ნეოლით-ენეოლითის ხანის სამოგადოებრივი ერთობების შესახებ, მათი სტრუქტურის შესახებ, მხოლოდ და მხოლოდ არქეოლოგიური მასალები გვაწვდიან. კერძოდ, სამოგადოებრივი ცნოვრების ამსახველი მასალები შესაძლოა დავაფიქსიროთ დასახლების ორგანიზაციაში, ნაგებობის – საცხოვრისის სივრცულა და არქიტექტურულ განმლაში...

საცხოვრისი, უძველესი მეურნეობისა და საერთოდ, ეკონომიკური ურთიერთობების შესწავლა-აღდგენის პროცესში, წარმოჩნდება როგორც უნიკალური და თითქმის ყოვლისმომცველი ფენომენი. მას შეუძლია მოგვცეს ისეთი მონაცემები, როგორისაც ვერ მოგვცემს ვერც ერთი სხვა ტიპის ძეგლი და ამდენად მისი მნიშვნელობა განსაკუთრებულია.

უძველესი საცხოვრებელი ნაგებობების მასიური გაჩენა, როგორც აღნიშნეთ, სახელდობრ მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლას უკავშირდება. ნატუფიის კულტურის ერთერთ ნამოსახლარბე აღმოჩენილია 50-მდე მრგვალი გეგმარების ნახევრადმიწური ტიპის საცხოვრისები 3-4 და 7-9 მ-ის დიამეტრისა. სახლებში გამართული იყო კერა; სანოვაგის შესანახი ხარისხი გამართული იყო როგორც სახლში, ასევე მის გარეთ(315, 36). მომცრო მრგვალი და ოვალური საცხოვრისები არსებობდა მურებითის, გავი ჩემი შანიდარის და წინა და შეა აზიის სხვა უძველეს ნამოსახლარებზე(314, 118-123).

რაც შეეხება კავკასიას, ნეოლითის ხანაში აქაც დაიწყო შემგროვებლობითი მეურნეობიდან მწარმოებლურზე გადასვლის პროცესი. ეს საკმაოდ რთული და ხანგრძლივი (როგორც ეს წინა და შეუაბისად მომდინარე მასალებიდან ჩანს) პროცესი კავკასიაში მოსახლე ტომებმა წარმატებით განვლეს. ადგილობრივი ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების საფუძველზე მათ დაიწყეს მეურნეობის ახალი ფორმების დამკიცდრება და განვითარება. ეს პროცესი ამ მხარეში, როგორც ირკვევა, ქრისტემდე VI ათასწლეულის ბოლოსა და V ათასწლეულის დამდევისათვის უნდა დასრულებულიყო (იხ. 81; 265; 354, 100-104).

ამიერკავკასიაში, ადრესამიწათმოქმედო მეურნეობის რამდენიმე კერის გამოყოფა შესაძლებელი. მათგან ერთერთი უდიდესი კერა არსებობდა ქვემო ქართლის ბარში, მდინარე მტკვრის დინების შუა წელზე, კერძოდ ამჯამინდელი საქართველოსა და აზერბაიჯანის მოსაზღვრე ყაბახის, მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში. მათი თანადროული დასახლებანი მიკვლეულია მილის, ყარაბაღის, მუდანის და არარაფის ველებზე.

დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით, ქვემო ქართლის ვაკეტე, კერძოდ მარნეულის მიდამოებში, სამ ჯგუფს გამოჰყოფენ: „არუხლოს“ ჯგუფი – „შედგება სამი ბორცვისაგან; ხოლო, „ქვემო შედაქრის“ და „წითელი სოფლის“ ჯგუფები კი შესაბამისად - 4 და 5 ბორცვისაგან. საგულისხმოა ისიც, რომ ეს ნასახლარები ჯგუფურ განლაგებასთან ერთად ბუნებრივად შემოფარგლულ მიდამოში არიან განთავსებულ-ინი(203, 41), რაც მათ თავისთავადობას უსვამს ხას.

როგორც აღნიშნავენ, ამ ადრესამოწათმოქმედო ძეგლთა უმრავლესობა ნასახლარ ბორცვებს – „თევფე“ – „თელის“ ტიპის გორებს წარმოადგენს(354, 5). ამასთანავე, ცენტრალური ამიერკავკასიის ამ პერიოდის ნასოფლარები, ძირითადად მტკვრის შუა წელზე და მის მარჯვენა შენაკადების – ხრამის, ბერდეჯისა და აღსტაფის ვრცელ, მდინარისაპირა ველებზე მდებარეობენ; იგივე შეინიშნება სამხრეთ კავკასიის სხვა მხარეებშიც(იქვე).

ცენტრალური ამიერკავკასიის ამ პერიოდის ყველაზე უფრო კარგად შესწავლილი ე.წ. „შელავრის ჯგუფი“ შემავალი გორებია: „დანგრეული გორა“, „გადაჭრილი გორა“, „შელავრის გორა“ და „იმირის გორა“. ამ ოთხი გორიდან მოცულობითა და ფენათა სიმძლავრით, განსაკუთრებით, „შელავრის გორა“ გამოირჩეოდა. მას თითქოსდა გაბატონებული მდგომარეობა ეკავა და „მბრძანებლობდა“ დანარჩენ დასახლებებზე(203, 69). ქვემო ქართლის ძეგლები-დანაც უაღრესად იგია მიჩნეული. რაც შეეხება „იმირის გორას“,

იგი სამოგადოდ ქვემო ქართლის აღრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარებაში „შულავრის გორის“ მომდევნო სფალიას უნდა ასახავდეს(354, 69).

შულავრის გორაზე გამოვლენილი ყოველი ნაგებობა, სამეურნეო იქნება იგი თუ საცხოვრებელი, წრიული ან ელიფსური ფორმისაა და კონუსურ-ცრუგუმბათოვანი გადახურვა ახასიათებს. აქ, ძირითად საცხოვრებელ ერთიეულს შეიძგებდა რამოდენიმე ნაგებობის ერთობლიობა. ესენია: ა) საკუთრივ საცხოვრისი – მობრდილი, ალიბისგან ნაგები წრიული გეგმის გუმბათოვანი ნაგებობა, უქრობი ცეცხლისათვის განკუთხნილი თიხისგან ნაძერწი კერძოსებური კერით; ბ) სანახეუროდ მიწაში ჩადგმული სამეურნეო დანიშნულების მომცრო წრიული შენობა; გ) საცხოვრებლის კედელთან, ებოში გამართული, ძირბრტყელი ამობურცული აგურით ნაშენი სამეურნეო დუმელი და დ) სანოგაგისა და წყლისითვის განკუთხნილი თიხალესილი ორმოები(203, 49-52). იხ. ტაბულა III-IV.

მიჩნეულია, რომ შულავერი-მომუ თეფეს კულტურის უაღრესი საფეხურებიც კი, არ ასახავენ მკვიდრად ბინადრობის საწყის ეტაპს. თეფეს ტიპის ეს მრავალფენიანი დასახლებები აღმოცენებულია სავსებით ჩამოყალიბებული მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის საფეხველზე. საღლეისოდ მიზანშეწონილადა მიჩნეული შულავერი-მომუ თეფეს და სამხრეთ კავკასიის მსგავსი კულტურების მწარმოებლური მეურნეობის ჩამოყალიბების ფინალური ეფაპისთვის მიკუთვნება(354, 201). საწარმოო ძალთა განვითარების მიღწეული დონე ხელს უწყობდა ერთ ადგილზე მუდმივ ბინადრობას და მოსახლეობის გამრავლებას. გარკვეულ მომენტში ხდებოდა ნასახლარების სეგმენტაცია – ნამატი მოსახლეობა ქმნიდა ახალ დასახლებებს, რასაც ნათლად ადასტურებს ძეგლთა ჯგუფური განლაგებაც(354,203).

ქვემო ქართლში გავრცელებულ აღრესამიწათმოქმედო კულტურებში IV ათასწლეულის პირველი ნახევრის ბოლოსათვის მნიშვნელოვანი ცელილებები ხდება(იხ. 130; 197; 77; 354...). ეს კულტურები ამ ეფაპისათვის, მის აღრესულ საფეხურებთან შედარებით, საკმაოდ წინწასული ჩანან, რაც კარგად დასტურ-დება მაგ. თოქალოს გორიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალის მიხედვით(197, 81). მიჩნეულია, რომ ამ წინსვლის შედეგად IV ათასწლეულის მეორე ნახევარში იწყება მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბების პროცესი.

ამ პერიოდის დასახლებათაგან ყველაზე უკეთ ურბნისის მახლობლად ქვაცხელების ნამოსახლარია შესწავლილი. იგი მტკვრის მარჯვენა ტერასაზე მდებარეობდა და დაბალ ბორცვს წარმოად-

გენდა. დასახლება აქ, როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ საფეხურზე ჩაისახა და თითქმის ამ კულტურის ჩაქრობამდე იარსება(187, 4). (იხ. ტაბულა V). ქაცხელებზე შენობები მიჯრითად ნაგები და ერთიმეორისგან ვიწრო გასასვლელებით გამოიყოფიან. ეს ნაგებობანი ძირითადად სწორკუთხა ფორმისანი არიან, გააჩნიათ მომრგვალებული კუთხეები, მეტნაკლებად თანაბარი სიღიღე, ნაგებნი არიან ხის კარკასზე და ორვე მხრიდან თიხალესილი. გადახურვა ბანერია, თიხატკებისილი და დედაბომბზე დაყრდნობილი. თითქმის ყოველი შენობის ცენტრში სტაციონარული კერა იყო გამართული და როგორც წესი, საცხოვრისს წინა მხარეს დერეფანი ჰქონდა მიღმული(202, 98).

სხვა ტიპის შენობა მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ საფეხურზე, შიდა ქართლის ტერიტორიაზე თითქმის არ ჩანს(187, 102). მაგრამ არც ამგვარი შენობა არ ჩანს ამ კულტურის გავრცელების სხვა არეაზში. ამიტომ, გამართლებული უნდა იყოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ III ათასწლეულის დასაწყისისათვის, შიდა ქართლის ინტენსიური ათვისების ხანაში, აქ თავისებური სამშენებლო ტრადიცია ჩამოყალიბდა, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურას მთელი არსებობის მანძილზე გასდევს. ამ ტიპის ნაგებობის დამკვიდრება და მისი დროის დიდ მანძილზე თითქმის უცვლელი სახით არსებობა იმითად გაპირობებული, რომ იგი ამ მხარის კლიმატური პირობების შესაბამისი იყო და სათანადოდ პასუხობდა იმ პერიოდის სამოგადოების მოთხოვნებს(187, 102).

მესამე ათასწლეულის მეორე ნახევრიდან დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე იწყება საზოგადოებრივი განვითარების ახალი საფეხური, შეა ბრიჯათს პერიოდი, რომელიც დაახლოებით II ათასწლეულის შეა ხანებამდე გრძელდება. ცენტრალური ამიერკავკასიის ტრიატორიაზე აღნიშნული პერიოდის დასაწყისს აღრეული ყორდანების ეპოქის სახელითაც მოიხსენიებენ (იხ.202; 204). (იხ. ტაბულები VI-VII). განსაკუთრებით დაწინაურებულან თრიალეთის კულტურის მატარებელი ტომები. თრიალეთის კულტურა, ისევე როგორც აღრეული ყორდანების კულტურა, ძირითადად სამარხეული მასალების საფუძველზეა შესწავლილი(იხ. 82; 202; 204; 292; 294;...). შეა ბრინჯათს ხანის ნამთსახლარები, სამწეხაროდ, ჯერ კიდევ სათანადოდ შექმნავლელია. ამდენად, ჯერ-ჯერიბით საბოლოოდ არ არის ნათელი, თუ სად და როგორ ცხოვრობდა ის სამოგადოება, რომელმაც თრიალეთის „ბრწყინვალე ყორდანული კულტურა“ დაგვითოვა.

მიუხედავად ამისა, აღმოსავლეთ საქართველოს და შესაბამისად, ცენტრალური სამხრეთ კავკასიის შეა ბრინჯათს ხანის მასალები,

გარკვეულწილად, საშუალებას გვაძლევს წარმოლგენა ვიქთიოთ აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები ტომების მატერიალურ და სულიერ კულტურაზე, სამშენებლო ტრადიციებზე და სხვა ყოფით ელემენტებზე. ამ მხრივ, პირველყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ყორდანული ძეგლები და მათგან მომდინარე სამარხეული ინვენტარი (იხ. 46: 204; 294; 198; 199 და სხვა).

ნამოსახლართა არსებობის მხრივ, სულ სხვა სურათი გვაქვს უფრო მოვცვაანო პერიოდში – გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანაში (ქრისტემდე II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან I ათასწლეულის პირველი მესამედი). ამ დროს დღვევანდელი საქართველო და საერთოდ თითქმის მთელი კავკასია განვითარების ღონისა და ტყმების მხრივ ერთ მთლიან ერთეულად ყალბიდება, თუმცა ყოველ მხარეს ან ხეობას დანარჩენ სხვებთან, საერთო კულტურის ელემენტებთან ერთად, საკუთარ დამახსასიათებელ ნიშანთა ერთობლიობაც გააჩნია (130, 43).

აღნიშნული პერიოდის ერთერთი ყველაზე ტიპიური ნამოსახლარი – ხოვლეგორა (იხ. ტაბულა VIII), ცენტრალურ ქართლში, დღვევანდელ კასპის რაიონში მდებარეობს. აქ კულტურული ნიშნების შემცველი რვა სტრატიგიკული ფენა გამოვლინდა, რაც ამ ადგილზე, ქრისტემდე XV-IV საუკუნეებში მოსახლეობის უწყვეტი ცხოვრების შედეგად ჩამოყალიბდა. უძველესი ნაგებობა, რომელიც ამ პერიოდში მშენებლობის ტექნიკის განვითარების შესახებ გარკვეულ წარმოლგენის იძლევა, ბორცვის თხემზეა დადასტურებული. ამ პერიოდის საცხოვრისებს სწორკუთხა ფორმა ჰქონდა, ჩაჭრილი იყო მიწაში და ფლეთილი ქვა-ტალახით და ძელებით იყო ნაგები; ქვის კედლის მიდა, ხოლო ძელურის ორივე მხარე თიხით იყო ნალესი. გადახურვა ხის ჩონჩხს ემყარებოდა თავებს გამოყენებით და ბანური (შესაძლოა ორფერდაც) უნდა ყოფილიყო. სოფლის მოსახლეობა ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევდა. საკმაოდ იყო განვითარებული მესაქონლეობაც (144, 21-22).

ხოვლელთა ცხოვრებაში მნიშნელოვანი გარდატეხა III სამშენებლო ჰორიზონგზე (ქრისტემდე VI ს.) დასტურდება. ამ დროს გორის დასახლება საგრძნობლად გასცდა ბუნებრივ ფარგლებს. მოსახლეობა, დასახლებას ღრმა თხრილთან ერთად დიდ და განიერ გალავანს ავლებს. უფრო ვრცელდება და მჭიდროდ სახლებია სოფელი; ძირითადად გორის ფუძე-გალავნის შიგნით. საცხოვრებელი სახლები აქ კევე რამდენიმე თოახისგან შედგება და ფლეთილი ქვით ტალახის სნარჩევები, ტკეპნილი თიხითა და ალიბითაა ნაშენი. საქონელი ძირითადად საცხოვრისში უდგათ. საყოფაცხოვრებო კომპლექსიდან ცალკე გამოიყოფა საკულტო ნაგებობა (144, 21-23).

ამ პერიოდის (გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის) დასახლებათა ნაშთები, როგორც დღევანდელი საქართველოს, ასევე ზოგადად კავკასიის ტერიტორიაზე, საქმაოდ მრავლად მოგვეპოვება. რა თქმა უნდა, ჩვენს ნაშრომში არ შევუდგებით მათ აღწერა-დახსასიათებას (ამის არც საჭიროებაა), მაგრამ შეძლებისდაგვარად გამოვიყენებთ იმ მრავალფეროვან სამეცნიერო ლიტერატურას, რომელშიც მათ შესახებ არის საუბარი (182; 325; 26; 111; 112...).

ვეხებით რა საცხოვრისის შესახებ არსებულ უხვ მასალას, ანალიზისა და დასკვნების გამოგანის დროს დიდი სიფრთხილე და დაკვირვება გვმართებს, რასაც თვით საცხოვრისის, როგორც მრავალსახოვანი კომპლექსის თავისებურება მოითხოვს. განვიხილავთ რა კულტურას მატერიალური კუთხით, თუნდაც ერთი რომელიმე კონკრეტული ეთნოსის მაგალითზე, ვუიქრობთ, უნდა გავითვალისწინოთ ამ სისხლისმიერი ერთობის ცხოვრების სოციალური მხარეები. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ და მთელს კვლევას გავადევნოთ ის თება, რომ სწორედ სოციალური ურთიერთობების გარიერაჟებები ხდებოდა ეთიკურ-მორალური ხასიათის, სულიერი სამყაროს, ცხოვრების წესის და სხვა ეთნიკურად განმასხვავებელი ნიშნების ჩამოყალიბებაც. ამ ეფაბზე ინდივიდში ჯერ კიდევ არ არსებობს, დაბალი ეკონომიკური შეძლების გამოისობით, მოგვიანო პერიოდებში ჩამოყალიბებული არასარულფასოვნების კომპლექსი. ამ დროს შექმნილი ყოველი კულტურის მატერიალურად ხელშესახები ძეგლი, შემომქმედის, დამამშადებლის სულის ნაწილია. მაშინდელ, თუნდაც ნებისმიერ უმნიშვნელო ყოფით ნივთში, უფრო ჩანს მისი შემქმნელის, მაშინდელი ადამიანის სული, ვიდრე მსგავსი დანიშნულების დღევანდელ ნივთში თანამედროვე ადამიანის სულიერი სამყარო.

ადმოსავლეთ საქართველოში, ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ისტორიულად ჩამოყალიბებული ბინადარი მოსახლეობის არსებობის პირობებში, ფორმათა ნაირსახეობის მიხედვით, სოფლური დასახლების ძირითად უჯრედს, ცალკეულ ოჯახთა მიერ შექმნილი სახლ-კარი წარმოადგენდა. ცალკეულ ოჯახთა სახლ-კარი კი, თავის მხრივ, შინაარსობრივად კონკრეტულად აღებული, ამა თუ იმ მიერთონის მოსახლეობის კულტურულ-სამეცნიერო ცხოვრების გამომსაზველი და მისი ერთერთი შემადგენელი ნაწილი იყო (173, 37).

XX ს-ის 20-იან წლებამდე საქართველოს სოფლურ დასახლებაში, ამა თუ იმ სახით, შემონახული იყო მისი წარმომშობი სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების მანიშნებელი კვალი. სწორედ ამიტომაცაა, რომ დასახლება საზოგადოებრივი და

სამეურნეო ყოფის შესწავლის საქმეში თთქმის პირველწყაროს მნიშვნელობის მატარებელია. ყველა ფორმის ქართულ სოფელში, მოსახლეობის შიდასასოფლო განსახლებაში, ყველგან სისხლით მონათესავე მოგვარეთა მონოგენურად დასახლების ტრადიცია დასტურდება (173, 38). მონოგენური დასახლება მყარი და ისტორიულად მომდინარე ტრადიცია. ძველი ყოფისათვის დამახასიათებელი მონოგენურ უბნებად დასახლება სოფლური დასახლების მორფოლოგის ხანგრძლივად შემონახვის დამადასტურებელი ფაქტია. ამიგომაც, არქეოლოგიური ძიების შედეგად შესწავლილი ნამოსახლარების კულტურულ-სამეურნეო ბუნების გარკვევაში, ეთნოგრაფიულად დაფიქსირებული დასახლების ფორმების შესწავლას საკმაოდ ბევრისმთებელი და ზოგჯერ ამომწურავი პასუხის გაცემაც კი შეუძლია. ისტორიულად ჩამოყალიბებული ბინადარი სოფლის მოსახლეობის დასახლების მორფოლოგია, თავისი კონსერვაციული ბუნების გამო, საკმაოდ მცირედ განიცდიდა ეპოქათა გავლენას. სავსებით მართებულადაა მიჩნეული, რომ ჩვენს რეგიონში დასახლება ძველებური დარჩა და მის ფორმას სახე არ უცვლია (173, 31).

სოფელი, ცენტრალურ ქართლში, მონოგენურ უბან-კვარტლები-საგან შემდგარ ჯგუფურ დასახლებას წარმოადგენდა. სწორედ ესე მხარე იყო ერდოიან-გვირგვინიანი, ანუ დარბაზული სახლის გავრცელების ერთერთი უმთავრესი კერა (ახ.335). არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული პარალელები აჩვენებენ, რომ ხანგრძლივად შემონახული იყო არა მარტო დარბაზული სახლის ტიპი, არამედ დასახლების ის ფორმაც, რომელშიც ის წარმოადგენდა მის ერთერთ შემადგენელ უჯრედს. ცნობილია, რომ დასახლების ფორმას სამოსახლოდ მიჩნეული ადგილის მდებარეობა, მისი რელიეფი განსაზღვრავდა. იგი ძირითადად განაპირობებდა მის გარევან სახეს და არა მის ტიპს. დასახლების ტიპი მოსახლეობის მიერ წარმოებულ კულტურულ-სამეურნეო ცხოვრებას ეფუძნებოდა (174, 43).

ვასსენეთ რა დარბაზი, როგორც ცენტრალურ ამიერკავკასიაში გავრცელებულ საცხოვრებელ ნაგებობათა ერთერთი ძირითადი სახე, ვჟიქრობთ, რამდენიმე სიცყვით უნდა შევჭროთ მის მორფოლოგიასაც.

საცხოვრისის განვითარების პირველი სტადიის – დარბაზის ძირითად ტიპოლოგიურ ნიშნებს წარმოადგენს: დიდი მოცულობა განუყოფელი ფართით (განკუთვნილი დიდი ოჯახისათვის, რომელიც 3-4 თაობისგან შედგებოდა); საცხოვრისის დარბაზულობა; ლია კერა და ნაჭა (ოჯინჯალი); დაბალი ხარისხის ბუნებრივი განათება – „ერდოთი“, საიდანაც ხდებოდა კვამლის გაწოვაც; სოხანე – თიხატკენილი იატაკი; პარმაღი – „დერეფანი“ მიწის დონებე; გეგმის

სიღრმული განვითარება; გადახურვის სამაღლიანი სისტემა; ფართო, ცალფრთიანი კარი ხის ქუსლითა და ურდელით; დაბალი ავეჯი და შესაბამისად, საყოფაცხოვრებო საქმიანობის დაბალი ჰირიზონტი; საცხოვრისი ძირითადად შეთხრილია მიწაში; ხის კონსტრუქციების დამუშავება ძირითადად ხდება ხელებთით და ნაჯახით ხერხის გამოყენებლად; გადახურვა გვირგვინიანია, ბანით ოდნავ დაქანებული; ხაგებობას აქვს ფართო ქვის კედლები თახჩებითურო; ხის მასალად ძირითადად მუხაა გამოყენებული (334, 3).

განვითარების შედგომ ეფაპებზე, დარბაზის ძველი სტრუქტურის შეცვლა გარდამავალი ეფაპით, დღვენანდელ ქართლსა და კახეთში, საცხოვრებელი ფართის შემცირებით აღინიშნა, რაც უპირველეს ყოვლისა, დიდი ოჯახის დაშლით იყო გამოწვეული. აქედან გამომდინარე, შემცირდა შიდა სივრცეც, შეუცხლი ბუხარმა შეცვალა; ერდოს მაგივრად, აპკ ან გაჭონილ ქბდალდგა კრული სარტყელები დამკვიდრდა; ანჯამებშებმული შემოსასვლელი კარი დაკიწროვდა; ნაწილობრივ დამკვიდრდა „მაღალი“ ავეჯი; მასალად წიწვოვანი ჯიშების გამოყენება გავრცელდა. მოვარინებით, სახლს უკანა მხრიდან მიუშენდა დამხმარე სათავსოები და მარანი (334, 3).

საცხოვრისი – დარბაზი, განვითარების ამ ეფაპებე ინარჩუნებს რიგ ძველ ნიშნებს – ცუდი განათება თრი შეუმინავი სარტყელით; თიხატებინილი იატყავ; დაუნაწევრებელი საცხოვრებელი ფართი (არ არის თახები); გეგმარების სიღრმისეული განვითარება; ნაწილობრივ მიწაში ჩაღრმავება; ბანური გადახურვა. ამგვარ სახლებში თანაარსებობს ძველი და ახალი ნიშნები და მათ შერეული ფორმის საცხოვრის უწოდებენ (იქვე).

როგორც ცნობილია, ეთნოგრაფიულად ფიქსირებული მოვლენების ფაქტიური მონაცემების უმრავლესობა თავისი წარმომავლობით შორეული ეპოქებიდან მომდინარეობს. უფრო მეტიც, ბოგიერთი ეთნოგრაფიული მოვლენა და რეალია, რომლებმაც თავი სპორადულად თითქმის ჩვენ დრომდე შემოინახეს, არცთუ იშვიათად ანალოგიებს საკმაოდ აღრეულ პერიოდების განათხარ მასალასთან პოლლებენ. (173, 47).

ვფიქრობთ, ბემოთმობმობილი მასალა სავსებით ნათელპყოფს იმას, რომ კავკასიაში და კერძოდ დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევების შედეგად, მომდინარე უძველესი ხანებიდან, თითქმის უწყვეტი ინტერვალებით, დაფიქსირებულია მუდმივი ცხოვრების კვალი. მიკველეული და შესწავლილია უძველესი ნამოსახლარები, გამოკვლეულია საცხოვრისის მრავალი ნაირსახეობა. ამიტომ, ვფიქრობთ, არსებული მრავალფეროვანი მასალის საფუძველზე

თვალის მიღენება საცხოვრისის ფენომენის ჩამოყალიბება-განვითარებისთვის უძველესი ხანებიდან დღევანდელობამდე, საესებით გამართლებულია და ერთობ საშურიც. მისი ვერტიკალურ ჭრილში ამგარად წარმოდგენა, ალბათ საგულისხმო პანორამულ სურათს დაგეითავს მოცემულ ტერიტორიაზე მიმდინარე ეთნოგენეტური პროცესების შესახებაც. იმდენად, რამდენადაც საცხოვრისის ფენომენი ეთნიკური ელემენტის საცხოვრებელ გარემოსთან ადაპტაციის შედეგად ფორმირებული ეთნიკური კულტურის შემაღენერლი ერთერთი არსებითი ელემენტი, იგი ამავე ელემენტის სამყოფ გერემოსთან ერთგვარ „ბიოცენოზში“ შესვლის ნათელი ასახვაცა.

ამასთანავე, ამ ყოფითი კომპლექსის ვერტიკალურ ჭრილში განხილვა გამართლებული ჩანს იმდენად, რამდენადაც ეს წარმოადგენს ეთნიკური ყოფის ამ ყველაზე დამახასიათებელი ელემენტის დინამიკაში განხილვის ერთერთ ხერხს. ამ შემთხვევაში, მისი სწორედ ვერტიკალურ ჭრილში თვალის გადევნება (რეტროსპექტივა) საშუალებას მოგვცემს დავადასტუროთ არა მხოლოდ ახალი საფეხურები მის განვითარებაში, არამედ დავინახოთ ტრადიციული ელემენტისა და ინოვაციის ურთიერთობის რთული პროცესი.

ოდითგან „სახლის“ გაგებასთან, ამა თუ იმ სახით შერწყმული იყო (და ეს ამჟამადაც ასეა) ადამიანის ცნობიერებაში აღქმული სამყაროს ყველა ძირითადი კატეგორია. თამამად შეიძლება ითქვას ისიც, რომ ინდივიდის ქცევის ნორმებიც კი პრინციპულად იმის მიხედვით ყალიბდებოდა, თუ სად იმყოფებოდა იგი – სახლში თუ მის გარეთ. სწორედ საცხოვრისს გააჩნია განსაკუთრებული, განმსაზღვრელი მნიშვნელობა სივრცის ტრადიციულ სქემათა ჩამოყალიბებაში. და კიდევ, საცხოვრისი ხომ, გარკვეულწილად, აერთიანებს ადამიანის მიერ ათვისებულ სამყაროს. ყოველივე ამ და კიდევ მრავალ მსგავს გარემოებათა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ეთნოსის ყოფაში საცხოვრისის ფენომენის აღვილის ნათლად გასიგრძეგანება.

ვეხებით რა საცხოვრისს, მის ფენომენს ამა თუ იმ ტრადიციულ საბოგადოებაში, პირველ რიგში, ალბათ, უნდა შევეცადოთ, შეძლებისდაგვარად, გამოვავლინოთ ადამიანის მიერ მოცემული გარესამყაროს ათვისების ფუნქციონალური მექანიზმის პრინციპები. ე.ო. უნდა დაფიქსირდეს ის პრინციპების მიხედვითაც ხდებოდა ადამიანის ცნობიერებაში გარდაქმნა „ბუნებრივისა“ – „პულტურულად“, „აუთვისებელისა“ – „ათვისებულად“. ამასთანავე, ძალგე საინტერესო და კვლევის პროცესში ანგარიშგასაწევია კონკრეტულ

ეთნიკურ ყოფაში ჩამოყალიბებული სიერცის გაშინაურება-გათავისების ტრადიციული მოღელის თავისთავადობაც.

ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, კვლევის ძირითად ობიექტს უნდა წარმოადგინდეს რიცხალები, ჩვეულებები; რამდენადაც, ტრადიციულ კულტურაში სწორედ ამ ძირებით მოვლენების საშუალებით ხდება ერის სისხლეთრცეულ კულტურულ ღირებულებებათა გადაცემა დროსა და სივრცეში. ყოველივე ამისა გამო, მკელევარისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ენობრივ, ფოლკლორულ, მითოლოგიურ და ეთნოსის „სულის“ აღმბეჭდავ სხვა მსგავსი ხასიათის მონაცემებს. ამ მოვლენებს გააჩნიათ საერთო არსი, რომლითაც თავისი არსებობის მანძილზე ხელმძღვანელობს მიცემული კოლექტივი თუ მისი ყოველი წევრი (230, 5).

საცხოვრისის ფენომენის კვლევისას მხედველობაში უნდა გიქნიოთ მისი როგორც ყოფითი კომპლექსის სოციალური არსიც „სახლი“ უნდა განვიხილოთ როგორც სოციალური ერთეული იმ მრავალმხრივი მასალისა და თეორიული გამოკვლევების ნიდაგზე, რომლებიც უხვად არის დაგროვილი შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაში. შეძლებისძაგვარად უნდა წარმოჩინდეს ის, თუ როგორ ვლინდება საცხოვრისის ფენომენში თვით იქ მოსახლე საზოგადოებრივი ჯგუფის სოციალური ნიშან-თვისებები.

ვეხებით რა საცხოვრისს, წარმოიჭრება მისი მიმართების საკითხიც დასახლებასთან. როგორც აღნიშნავენ, დასახლება, თავის მხრივ, წარმოადგინს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ერთეულს, რომელიც ხასიათდება ძირითადი ეთნიკური შემადგენლობის გარკვეული ერთობით; მოსახლეთა, მათი ენის, სამეურნეო პირობების, თავდაცვის ინტერესების ერთიანობით. ეს ერთობა ვლინდება იდეოლოგიის ზოგიერთ სფეროშიც... დასახლებანი არსებობებს რა ხანგრძლივად, ინარჩუნებენ წარმომშობის საზოგადოებრივ-ეკონომიკური პირობების კვალსაც.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან ნათელია, რომ საცხოვრისის, როგორც ეთნიკური ყოფის დამახასიათებელი კომპლექსის შესწავლის მოქნებში, მკვლევარის წინაშე რიგი ამოცანების წარმოჩინდება, რომლებიც განუყოფლად არიან ერთიმეორებულობას დაკავშირებული. მათი გასიგრძეგანების გარეშე თითქმის წარმოუდგენელია ამა თუ იმ ერის ისტორიის სულიერ ხლართებში დავანებული იმ დვრიგის შეგრძნება, რომლის გარეშედაც შეუძლებელია ერის განვლილი ისტორიის ნებისმიერ ნიუანსში მეტნაკლებად, თუნდაც მიახლოებითი გარკვევა.

საცხოვრისი იქნება სწორედ ჩვენი ამქამინდელი კვლევის ძირეული საგანი; უფრო სწორად, შევეცდებით იმის განსაზღვრას,

თუ რა ადგილი უკავია ამ ფენომენს საზოგადოდ ეთნიკურ ყოფასა და კულტურაში; რამდენად აისახება მასში ერის (ეთნოსის), როგორც სისხლითნათესაობით, გენეტიკურ ურთიერთობებზე ამობრდილი უნიკალური ერთობის, დეთივბოძებულ სამყოფ-სამქვიდრებელთან „ბიოცენოზში“ შესვლა-შეხამების ერთობ სათუთი და ამავე დროს საკმაოდ მიზანმიმართული პროცესი.

საცხოვრისში, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვგულისხმობთ ძირითად საცხოვრებელ ნაგებობას რომელიც სამყოფელია სრულიად გარკვეული მიკროსოციალური უჯრედისა – ოჯახისა. პარალელურად შევეხებით მის მიმართებას საცხოვრებელი კომპლექსის სხვა ელემენტებთან (ისეთებთან, როგორიცაა ეზო-ყურე, დამხმარე სამეურნეო ნაგებობანი, სახნავ-სათესი და ა.შ) და შევეცდებით მისი ადგილის განსაზღვრას ოჯახის ფორმირება-განვითარებაში; გარე და შიდა სივრცეების აღქმითი მომენტების ჩამოყალიბებაში; გენოთევიმის, როგორც თჯახის იდეოლოგიური საფუძვლის, შემუშავება-განმტკიცებაში.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ნაშრომის მომდევნო თავებში, შევეცდებით ქართველურ სამყაროში და კერძოდ მისი თანამედროვე სამკავიდროს შუაგულ ნაწილში, საცხოვრისის შესახებ ჩვენს ხელთ არსებული არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა გავააჩნიალიბოთ, ჩვენის აზრით, ზემოთ უკვე ნახსენები უმთავრესი მახასიათებლების მიხედვით; შემდგომი თანამიმდევრობით:

- საცხოვრისი და სიცეული აღქმა;
- საცხოვრისი და სამშენებლო ტრადიცია;
- საცხოვრისი და ოჯახური რელიგია – გენოთევიმი;
- საცხოვრისი და გგაროვნულ-თემობრივი სოციალური ორგანიზაცია.

თავი II

საცხოვრისის სამშენებლო ტრადიციის განვითარების მოქალა რეზონაციისა და ცენტრალურ ამიერკავკასიაში

ვიკივლევთ რა საცხოვრისს და მის ადგილს ეთნიკურ ყოფაში, ვფიქრობთ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საცხოვრისის შენების ფექნიკის – სამშენებლო ტრადიციის, მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების ფიქსირება-თვალის მიღევნება იმ მასალის ნიადაგზე, რომელიც ესოდენ მრავლად მოგვეპოვება საკვლევ რეგიონში.

სამშენებლო ტრადიციაში ჩვენ ვგულისხმობთ სამშენებლო მასალისა (თიხა, ქვა, ძელი - ბუნებრივად ბოძებული გარემო) და ძირეული სამშენებლო არქიტექტურული ფორმების (აგაკა-„ქვესნელი“, კედლები და შილდ სიერცე „სკნელი“, გადახურვა „გესკნელი“) ერთობლიობას, რაც თავის მხრივ, უშუალოდ უკავშირდება კონკრეტულ გარემო პირობებს და მასთან ადამიანის (და შესაბამისად სოციალურ-საზოგადოებრივ ერთეულთა) ერთგვარ „ბიოცენოზში“ შესვლის შედეგად არის ჩამოყალიბებული. მიგვაჩნია, რომ ამ ორ კომპონენტთაგან პირველი მშამბარეულად ეძლევა ადამიანს, ხოლო მეორე, უკვე უშუალოდ ადამიანისმიერია, შემუშავებული პირველის საფუძველზე.

სამშენებლო ტრადიციისადმი თვალის მიღევნება, მისი კვლევა, განსაკუთრებით საშურია ადამიანთა საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურებზე, რამდენადაც მასში გამოვლენილია კოლექტივის, გარეუეული ერთობის (შესაძლოა უკვე ეთნიკური ჯუფის) დამოკიდებულება საკუთარ სამყოფას; რაც თავისთავად გაპირობებულია სამყაროს აღქმის ინდივიდუალობით და საცხოვრებელი გარემო პირობების თავისებურებათა ერთიანობით.

ვეხებით რა წინარეისტორიული პერიოდების კულტურას, მის ძეგლებს, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, თუ რაგვარი იყო დამოკიდებულება მდროინდელი ადამიანისა ბუნებასთან, საზოგადოდ, და აქედან გამომდინარე, საკუთარ თავთან.

ისტორიული განვითარების ადრეულ ეტაპებზე, საზოგადოდ, ადამიანები საკუთარი ცნობიერების, შეხედულებების ფორმებს, თავისავე ნამოქმედარში ახორციელებდნენ. ვფიქრობთ, საცხოვრისში გამოვლენილი სამშენებლო ტრადიციის გაჩენა-ჩამოყალიბებისადმი ამგვარი პოზიციიდან მიღეობა, საშუალებას მოგვცემს მასში, ერთგვარად, ეთნიკურობისათვის დამახასიათებელი ნიშნებიც დავაფიქსიროთ. სამშენებლო ტრადიცია, თავისთავად, ეთნიკური კულტურის ერთერთ მთავარ შემადგენელ კომპონენტად უნდა

ჩაითვალოს, რომელშიც თანაბარზომიერად შერწყმულია და შემდგომ ხილულად გადმოცემულია ეთნიკური კულტურის როგორც მატერიალური, ასევე სულიერი სფეროს მთავარი ელემენტები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უძველესი ნაგები საცხოვრისის გადას და არა თავშესაფრები (საცხოვრის გადას და არა თავშესაფრები) ნეოლიტის ხანაში ჩნდებიან (209; 210; 211; 256; 298; 371; 354; 356; 368...) და საბოლოოდ, როგორც საცხოვრებელ კომპლექსებად ენეოლიტის ხანაშე გარდამავალ პერიოდში ყალიბდებიან. აღნიშნული პროცესი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე იმ დიდი ცვლილებებითაც იყო გაპირობებული, რომლებიც ეწ. „ნეოლიტურმა რევოლუციამ“ – მიმთვისებდობიდან, მწარმოებლური მეურნეობის ფორმებზე გადასცლამ გამოიწვია.

სანამ უშეალოდ დავიწყებდეთ საუბარს საცხოვრისისა და კულტის ურთიერთმიმართების საკითხებზე, საჭიროდ მიგვაჩნია საგანგებოდ შეჩერება იმ მდიდარ არქეოლოგიურ მასალაზე, რომელიც მრავლადაა მოძიებული უშეალოდ კავკასიაში და მის მიმდებარე მხარეებში. ამ მხრივ მეტად საინტერესო სურათი იკვეთება ცენტრალური ამიერკავკასიასა და მის სამხრეთით მიმდებარე რეგიონებში მოძიებული აღრე ბრინჯაო – შეუ ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით. მაგალითად, შენიშნულია, რომ ამ პერიოდებში ნამოსახლართა თავმოყრა ხდება ჰარბერთ-მალათისა და ელიაზირის მიღამოვაბში. ქსენია: ფლური II, ჰელენჩიქ-თეფე, ნორშენ-თეფე, ყორუჯუ-თეფე, რომლებზეც საცხოვრისთა მოყვანილობა სწორკუთხაა და ქვის კედლის წყობა ისეთივეა, როგორც ყარაბისა და ამირანის გორის ნამოსახლარებზე. ამ ჯვეფის ძეგლებიდან განსაკუთრებით გამოიჩინევა ბორცვი ფლური II, რომლის სიმაღლეც 16 მეტრს აღწევს (ენეოლიტ (ქალკოლიტ)-ადრე ბრინჯაოს ფენა). მის თერთმეტ სამშენებლო ჰორიზონზე ნათლადაა წარმოჩენილი ამ დასახლების მცხოვრებთა კულტურული დინამიკა. ქვედა ფენებზე ჭარბობს სწორკუთხა ნაგებობანი, რომელთაც მოდევნო ხანებში მრგვალი ფორმის საცხოვრისები ცვლიან (იხ.368). როგორც ზემოთ, სამშენებლო ტრადიციის შესახებ საუბრისას უკვე აღნიშნეთ მიჩნეულია, რომ ჯერ კიდევ ენეოლიტის ხანაში, სამხრეთ კავკასიაში დაფიქსირებული მრგვალ-გუმბათოვანი ნაგებობების არქიტექტურის საწყისები უნდა უკავშირდებოდეს ადგილობრივ პირობებს და არა იმპულსებს წინა აგიოდან; მეტიც, იმ პერიოდში, კავკასიური ტრადიცია იქით ახდენდა გავლენას მახლობელი აღმოსავლეთის სამშენებლო ტრადიციაზე (იხ.265; 317.). უკანასკნელ ხანებში, ამ საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა კავკასიის ენეოლიტის ფინალური ეტაპის თავისებური ხასიათის ახალი ძეგლების დიდმა სერიამ. მხედველობაში გვაქვს

ე.წ. სიონის ფი პის ძეგლები. მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ სახეზე იყო რაღაც ერთიანი კულტურული ერთობა, რომელიც არსებობდა კლასიკური ენეოლიტური კულტურის(შულავერი-შომუ თევზე კულტურა) მინავლების და უშუალოდ მტკვარ-არაქსის კულტურის წამყვანი ნიშნების ჩამოყალიბებამდელ პერიოდში. აქვე განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსა ისიც, რომ წინარე მტკვარ-არაქსული ხანის თითქმის ყველა ძეგლი სამხრეთ კავკასიის დაბლობ რეგიონშია დაფიქსირებული - მხარეში, სადაც შემდგომში ჰყვაოდა მტკვარ-არაქსული კულტურა.

აღიარებულია, რომ თვისობრივად შედარებით ახალი მტკვარ-არაქსის კულტურა, ატარებს წინარე, ენეოლიტური კულტურის ანაბეჭდს და ინარჩუნებს მთელ რიგ ძველ ტრადიციებს. მტკვარ-არაქსელთა მიერ ცხოვრება გრძელდება მთელ რიგ ენეოლიტურ ნამოსახლარებზე – ბაბა-დერვიში, შენგავითი, ქიულ-თევზე... ტრადიციულობა შეინიშნება მშენებლობის პრინციპებში; მთელ რიგ ნამოსახლარებზე ყოფაშია იგივე, ოღონდ უფრო თანამედროვე ტექნიკური მეთოდებით აგებული მრგვალი ფორმის საცხოვრისები. ზოგადად ენეოლიტური ტრადიცია შეინიშნება მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ძირითადი არეალის სხვადასხვა ოლქებში, რაც იმის საშუალებას გვაძლევს, რომ მთლიანობაში ამ კულტურის განვითარება განვიზილოთ, როგორც სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის კულტურულ-სამეურნეო პროგრესის მომდევნო ეტაპი. ამასთანავე, მტკვარ-არაქსის კულტურაში ადგილობრივი ფესვების გამოვლენა სრულიადაც არ გამორიცხავს მისი გავრცელების სამდგრებში სხვა ეთნიკურ-კულტურული ჯგუფების ინფილტრაციას, რომლებიც გარკვეულ გავლენას ახდენდნენ მისი საბოლოო სახის ჩამოყალიბებაზე. მაგალითად, გამოთქმულია მოსამარება, რომლის თანახმადაც ქრისტიანობის შეა ხანებში კავკასიაში მცირე აბის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეებიდან იჭრებიან მოსახლეობის გარკვეული ჯგუფები(აღ.ჯავახიშვილი). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ გადმოადგილებებს ვერ უნდა მოეხდინა ძირეული ხასიათის გავლენა მტკვარ-არაქსის მოსახლეობის ყოფითი და სამეურნეო-კულტურული ცხოვრების თვისობრიობაზე, რამდენადაც IV ათასწლეულის ბოლოსათვის ამ კულტურის ძირითადი მახასიათებლები ერთობ მყარად ჩანს უკვე ჩამოყალიბებული (299, 87).

მტკვარ-არაქსელნი თავიანთი არსებობის ბოლო ეტაპზე გაჭრილან უფრო სამხრეთიაც – სირიასა და პალესტინაში, სადაც ისეთი ნამოსახლარები, როგორიცაა თაბარა-ელ-აქრადი, პამა, რას-შამრა და სხვანი, ხასიათდებიან ე.წ. ქირბეთ-ქერაქელი ტი პის ლოკალური ნიშან-თვისებებით (299, 71). თვლიან (გ. ქავთარაძე), ო.

ჯაფარიძე), რომ აღმოსავლეთ ანატოლიაში მტკვარ-არაქსის კულტურა მოსულა და აქ ამ კულტურის მატარებელთა ორი ფალდა შემოიჭრა. პირველმა ნაკადმა ასახვა ჰპოვა თეუე-ჯიქის, ყარაბისა და ფლურის ნამოსახლარებზე მოპოვებულ მასალებში და აქ გავრცელდა დღევანდელი საქართველოს სამხრეთ რეგიონებიდან (ეს მასალა დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ამირანის გორის ტიპის კომპლექსებთან). მეორე ფალდა კი სავარაუდოა, მომდინარეობდა არარაფის ველიდან, რომლის ძეგლებსაც (შენგავითიII-III) ძალგა ემსგავსება ჩრდილო-დასავლეთ ირანის (იანიქ-თეფე) და აღმოსავლეთ ანატოლიის ძეგლები(299,86). შესაძლოა, მტკვარ-არაქსის სამხრეთი ეს მოძრაობა ჩრდილოეთიდან სამხრეთით იმაზე მიგვანიშნებდეს, რომ ეს ეთნიკური ერთობა შევიწროვებული იყო უფრო ჩრდილო რეგიონებიდან შემოჭრილი ეთნიკური მასების დაწოლით, რამაც გამოიწვია მტკვარ-არაქსის გარეკეული მასის ემიგრირება უფრო სამხრეთ რეგიონებში.

თვალისწინებები რა III ათასწლეულების შეა ხანებისათვის მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი მოსახლეობის განსახლების ტალღას დაბლობებიდან კავკასიის მთისწინეთში, ჩრდილო-დასავლეთ ირანისა და აღმოსავლეთ ანატოლიაში, ვარაუდობენ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის პირველად არედ უნდა ჩაითვალოს სამხრეთ კავკასიის დაბლობი, რამდენადაც სწორედ აქ არის დაფიქსირებული:

- ა) მთლიანობაში კავკასიის ენეოლითურ ტრადიციებთან დაკავშირებული ფინალური (სიონის ტიპის) ძეგლები;
- ბ) მტკვარ-არაქსული კულტურის ადრეული ტიპის ძეგლები, რომლებიც ინარჩუნებენ სიონის ტიპის პოსტენეოლითური კულტურული ერთობის გავლენას; და
- გ) მთლიანობაში აქ შეინიშნება მტკვარ-არაქსული ძეგლების ძირითადი კონცენტრაცია.

უახლესი აღმოჩენების მიხედვით, ამ კულტურული ერთობის პირველადი გავრცელების არეში უნდა ჩაერთოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაც, სადაც განვითარების იფივე ხაზი შეიმჩნევა(299, 86); აღსანიშნავია ისიც, რომ ეს რეგიონი თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული და კულტურულ-ისტორიული თვისებებით ერთობ ახლოა სამხრეთ კავკასიასთან.

კავკასიის სხვადასხვა კლიმატურ გონიერები აღმოჩენილ კომპლექსთა ატრიბუცია ასახავს მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელთა განსახლების პროცესს IV-III ათასწლეულების შეა ხანებში, რის იმპელსადაც იქცა მოსახლეობის მკვეთრი ზრდა, რაც გაპირობებული იყო საწარმოო ძალთა განვითარებით. ათასწლეულის განმავლობაში მჭიდროდ იქნა დასახლებული მიწათმოქმედე-

ბისა და მესაქონლეობისთვის გამოსადეგი ველ-მინდვრები, ზეგანი და მთა-ვორები. ნამოსახლარები განუენილი იყო ვაკე-ველებზე, ქმნიდნენ ხელოვნურ ბორცვებს მდინარეთა ქვემთ დინების კონცხებზე, შესართავებში, ტბების ნაპირებზე, ფერდობებზე.

აღნიშნავენ, რომ მოსახლეობა ამ პერიოდში ცდილობს დიდი მდინარეების მიმდებარე ველების და კავებას და ათვისებას. თვლიან, რომ ეს მიგვანიშნებს მცირეწყლიანი, აღრესამიწათმოქმედო დასახლებების მასაბრდოებელი ფქა-ნაკადულების დაშრობაზე(299, 72). საწარმოო ძალთა განვითარება, რომელსაც ადგილი ჰქონდა მტკვარ-არაქსის კულტურის აყვავების ხანაში, მოითხოვდა უფრო მსხვილი დასახლებების გაჩენას. მათ ჩამოყალიბებას უფრო მეტად სწორედ ეს განაპირობებდა და არა რამიტე კარდინალური ბუნებრივ-კლიმატური ცვლილებები. ის, რომ მოსახლეობა ითვისებს მთისწინა და მთიან გოლს, სწორედ საწარმოო ძალთა განვითარებაზე მიგვანიშნებს. საერთოდ, დასახლება ბარიდან მთის მიმართულებით, ზოგადად ახასიათებს კავკასიის მოსახლეობას. რაც მთავარია, მტკვარ-არაქსის პერიოდის მოსახლეობისათვის მთავარი მახასიათებელია ერთიანი სამეურნეო-კულტურული ტიპი – განვითარებული მიწათმოქმედება დამხმარე, ასევე განვითარებული მესაქონლეობით(იბ.187). აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდისათვის მთისპირა დასახლებებისთვისაც, მიწათმოქმედება პრიორიტეტულ სფეროდ რჩება და მესაქონლეობის წილი სამეურნეო ყოფაში, ისევე როგორც გრადიციულად ახასიათებს კავკასიას, არ აჭარბებს მას. ამდენად, როგორც ამას მოძიებული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, მტკვარ-არაქსის კულტურის არსებობის განმავლობაში, მოსახლეობა თანაბრად ითვისებს საცხოვრებლად ვარგის მიღამოებს კავკასიის ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე, აყალიბებს რა ბუნებრივ პირობებთან შესაბამის სამეურნეო-კულტურულ ტიპს, რომელიც ხასიათდებოდა მიწათმოქმედების წამყვანი როლით ასევე განვითარებულ მესაქონლეობასთან ერთად.

მაგალითად, ღღევანდელი შიდა ქართლის ტერიტორიაზე, მტკვრის შეკვეთში, 120 კმ-ის მანძილზე 16 მტკვარ-არაქსული ნამოსახლარია დაფიქსირებული. ე.ო. ყოველ 8 კილომეტრში თითოეული დასახლება. აღვილი შესაძლებელია, რომ ამგვარ ნამოსახლართა რაოდენობა უფრო მეტიც ყოფილიყო. მჭიდროდაბ დასახლებული ამ პერიოდში არარატის ველიც; დასახლებულია ჯავახეთიც, შირაქის ველიც, დაღესწის ვეკელა ზონა და საერთოდ, კავკასიონის ქედის მიმდებარე მთისწინეთი. მოწოდებული ინფორმაციით მტკვარ-არაქსული ფენები მრავლად გვხვდება ხევსურეთშიც. როგორც მოსალოდნელია, გამომდინარე სამოსახ-

ლოდ ვარგისი ადგილის შესარჩევი პირობების გათვალისწინებით, მტკვარ-არაქსელები დასახლებული იყვნენ ისეთ მიღამოებში, სადაც მრავალად იყო სახნაფ-სათესი და საძოვრები, საშენი მასალა, წყლის რესურსები და იყო მხელმისადგომი მომზედურთაგან. ფაქტიურად, უკვე ადრე ბრინჯაოს ხანაში, კავკასიის რელიეფის განსახლების სამეურნეო-კულტურული სურათი ანალოგიური იყო გვიანძლელი ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით დაღასტურებულ-აღწერილი სურათისა.

მტკვარ-არაქსის კულტურის აქამდე უცნობი პლასტების აღმოჩენასთან დაკავშირებით (თეთრიწყარო, ახალქალაქი, სიონი, გრემი, გინჩი, მექეგი, დარაპეფექ-თეფეს ქვედა ფენები) შეიქმნა ამ კულტურის კიდევ უფრო დამველების ტენდენციის საფუძვლები, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ მისი აღრევული ეტაპი ქრისტემდე IV ათასწლეულის დასაწყისით განისაზღვროს, თუმცა, არის საკმად დამაჯერებელი ცდაც იმისა, რომ ამ ბლვარმა V ათასწლეულის ბოლომდეც კი გადაიწიოს(იხ.275).

თუკი გათვალისწინებული იქნება კულტურულ ფენათა სიმბლავრე (რომელთა სისქე სამხრეთ კავკასიურ ძეგლებზე ხანდისხან 10-16 მეტრამდეც აღწევს) და მათი წარმოქმნისათვის საჭირო დროის ხანგრძლივობა, აღმოჩნდება, რომ მტკვარ-არაქსის კულტურას აქ სულ მცირე ათასწლეულის მანძილზე მაინც უარსებია. ამ კულტურის დაისი, დაახლოებით, ქრისტემდე III ათასწლეულის ბოლო მესამედის დასაწყისისთვის დგება, როდესაც კავკასიაში ხდება დიდი სოციალ-ეკონომიკურ ძვრები, რაც აქ მტკვარ-არაქსის კულტურის დანგრევის და შეა ბრინჯაოს ხანის დასაწყისის საფუძველი ხდება.

რაც შექება ანთროპოლოგიურ სურათს, მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი მოსახლეობა წარმოადგნდა ევროპეიდული (ძველ ლიტერატურაში – კავკასიური) რასის ხმელთაშეაბდისპირულ ტიპსრომელიც მთელი რიგი ნიშნებით უახლოვდება თევე-ჰისარის II-III, ელ-უბეიდის, ქიშის ნამოსახლარებზე აღმოჩენილ ანთროპოლოგიურ ტიპებს(186, 118). როგორც მიჩნეულია, კავკასიაშივე უნდა დაიძებნოს აბორიგენული მისახლეობის ადგილობრივი ფესვები, რომელიც გვნეტიკურ კავშირშია წინა აზიის მოსახლეობის სამხრეთევროპეიდულ შტოსთან(1; 3.).

მტკვარ-არაქსის კულტურის პარალელურად სამხრეთი კავკასიის დიდ ნაწილში, კერძოდ მის დასავლეთ მხარეებში, აღრე ბრინჯაოს ხანაში ვითარდებოდა სხვა ხასიათის კულტურა, რომელსაც პირველისგან განსხვავებით ახასიათებდა ნეოლითური ტრადიციებიდან ამობრდილი კონსერვაციზმი. აქ დიდ როლს

თამაშობდა ეკოლოგიური ფაქტორი – კავკასიის ამ ნაწილში სუბტროპიკული ჰავა განაპირობებდა ეკონომიკის ერთგვარ უძრაობას. საწარმოო სფეროთა განვითარებას აქ ხანგრძლივი ღროის მანძილზე თან ახლდა შემტროვებლობა, ნაღირობა, თევზაობა, რაც თავის მხრივ, აირეკლებოდა მაფერიალური კომპლექსების სპეციფიკაზე. ამ დასავლურავგასიური კულტურის საბლვრები აღწევს სოჭამდე. აღმოსავლეთით იგი შეხებაში იყო მტკვარ-არაქსის კულტურასთან, რის შედეგადაც ამ სასაბალვრო მხარეში აღნიშნულ კულტურათა ერთგვარი შეხების ბონა ჩამოყალიბდა. როგორც მიჩნეულია, დაახლოებით IV ათასწლეულის ბოლოსა და III ათასწლეულის დასაწყისისათვის მტკვარ-არაქსის კულტურა ვრცელდება რიონ-ყვირილას აუზის ტერიტორიაზე, რის მიზებადაც აღმოსავლეთი რეგიონებიდან მოსახლეობის ინფილტრაციას თვლიან (იხ. 202). ჩნდებიან ისეთი ნამოსახლარები, როგორებიცაა დაბლაგომი და არგვეთა, საჩხერის ყორლანები; საიდანაც მომდინარე მასალებს სპეციალისტთა დიდი ნაწილი მტკვარ-არაქსის განვითარებული და ბოლო ებაპის ძეგლებს უთავსებს. მაგალითად, როგორც ქნი გ.ფხავაძე თვლის, რიონ-ყვირილას აუზის აღრე ბრინჯაოს კულტურა ატარებს ერთგვარ სიმბიოზურ ხასიათს, აერთიანებს რა ადგილობრივ ტრადიციებს, მტკვარ-არაქსის კულტურის წარმატება ელემენტებს, კოლხეთის დაბლობის სინქრონული კულტურის და ამასთანავე, მაიკოპის კულტურის ნიშნებს.

როგორც ირკვევა, კოლხეთის დაბლობის ინტენსიური ათვისება ხდება ქრისტემდე III ათასწლეულის მეორე ნახევარში. ამ მხარისთვის დამახასიათებელია საცხოვრებელი გორების მოწყობა – მომცრო, ჯგუფური, თხრილ-შემოვლებული დასახლებები. ეს თხრილები ჰირველ ყოვლისა სადრენაჟო დანიშნულებისა იყო, რაც აუცილებელი იყო დაჭაობებული გარემოს ასათვისებლად. ნასოფლარებებე იმვიათად არის დადასტურებული აღრე ბრინჯაოს ფეხები. ერთერთ ასეთ საცხოვრებელ გორას წარმოადგენდა ანაკლიის მახლობლად, ჯერ კიდევ აკად. ბ. კუუტინის მიერ შესწავლილი, დიხა-გუმება(იხ. 295; 296). სადრენაჟო თხრილებით გარშემოვლებულ ამგვარ ნასახლარებზე საცხოვრისის ძირითადი ფიპი იყო მრგვალი ფორმის წნული, კარკასოვანი, კონუსურ-სახურავიანი ნაგებობა. ამავე პერიოდს განეკუთვნება საელიაოს, ისპანიის და ქობულეთის საცხოვრებელი გორების ქვედა ფეხები (თ. მიქელაძე, მბარამიძე).

შესწავლილი მასალებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ კოლხეთისა და რიონ-ყვირილას აუზის ძეგლებთან შესაბამისობაში მოდის მაჭარის ნამოსახლარი, გუადიხუს, განთიადის, ოჩამჩირის ნასადგომარებიც. აღნიშნული ნამოსახლარებიდან

მომდინარე მასალები მიგვანიშნებენ, რომ იქაურ მცხოვრებთა სამეურნეო ყოფა იყო სამიწათმოქმედო-მესაქონლებობით, რომელ-შიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ნადირობა, შემგროვებლობა და მეთევზეობა.

ახლა კი რაც შეეხება შეა ბრინჯაოს ხანას. ამ პერიოდში სამოსახლოები ახალ ადგილებში არსდებიან და უნდა ითქვას, რომ სამწუხაროდ, თითქმის საერთოდ არ არიან შესწავლილნი. ამდენად, თითქმის სრულიად უცნობია მათი ხასიათი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამოსახლოთა რიცხვი ამ პერიოდში შესამჩნევად კლებულობს. მაგალითად, კარმირ-ბერდის კულტურის სტაგისტიკურმა შესწავლამ გამოავლინა, რომ მისი გაგრცელების სამღვრებელი (45 000 კვ.კმ) ერთ სამოსახლოებე საშუალოდ ოთხი სამართვანი მოდის(299, 92). მაშასადამე ჩას, რომ მკვეთრად იმრღვება მოსახლეობის მოკვდავობა, რაც სავარაუდოა, რომ გამოწვეველი უნდა იყოს ამ ტერიტორიაზე აგრძესიული ფონის ბრდით; ემოციონალურ-ფსიქოლოგიური ხასიათის მკვეთრი ხასიათის ცვლილებებით.

შეა ბრინჯაოს ხანაში ცვლება დაკრძალვის წესი – ყველგან დომინირებს ყორდანული სამარხები, ფართოდ ვრცელდება კრემაცია. ჩნდება ინდივიდუალური სამარხები რთული ყორდანშიდა სამშენებლო ნაგებობებითა და მდიდრული ინვენტარით; რომელთაც, როგორც აკად. ო.ჯაფარიძე მიიჩნევს, არ გააჩნია ადგილობრივი ფესვები(198, 106). სამშენებლო ტრადიციაც, კერამიკული და მეტალურგიული წარმოებაც თვისობრივი ხასიათის ცვლილებებს განიცდის(299,92). ყოფითი ნიშნების, კერძოდ ისეთი კონსერვაციული ტრადიციების, როგორიც დაკრძალვის რიცხული და სამშენებლო ტრადიციაა, აგრძერიგად მკვეთრი სხვაობა, ჩვენც მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში მომხდარ გარეკეულ ცვლილებებს გვაგრძელებინებს.

კავკასიაში მიმდინარე დიდ ცვლილებებს, რომელთაც აქ ადგილი ჰქონდა შეა ბრინჯაოს ხანაში, მეცნიერები დიამეტრალურად განსხვავებულად ხსნიან. მათი ერთი ნაწილი თვლის, რომ შეა ბრინჯაოს ხანის კულტურები ჩამოყალიბდნენ ადგილობრივი წინარე ხანის კულტურების ევოლუციის შედეგად; ნაწილს კი მიაჩნია, რომ სამეურნეო-კულტურულ ცხოვრებაში, ასეთი ხასიათის კარდინალური სხვადასხვაობები კავკასიის ტერიტორიაზე უცხო კულტურული ელემენტის შემოჭრით უნდა იყოს გაპირობებული. მკვლევართა ერთი ნაწილი არსებული ცვლილებების მიზებებს ეკოლოგიური ხასიათის ცვლილებებშიც ხედავს. ფაქტია, რომ ეს განსხვავებული მოსახრებები კავკასიის და მის მიმდებარე მხარეებში მოძიებულ ერთსა და იმავე მასალებს ეფუძნება. კ. კუშნარიოვა ასეთ აზრთა

სხვადასხვაობის მიზებად ერთიანი მეთოდოლოგიური მიღობის არარსებობას თვლის და მიიჩნევს, რომ შეა ბრინჯაოს ხანში ასეთი კარიბიანალური ცვლილებების მიზებები დასახელებული ფაქტორების შჯერებაში უნდა ვეძიოთ.

მაგალითად ჩ. ბერნე მიიჩნევს, რომ მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურებს მორის არის წყვეტა. მის მიზებად იგი თვლის კავკასიაში ჩრდილოეთიდან ინდოევროპული ეთნიკური ელემენტის შემოჭრას, რომელიც შემდეგ ანატოლიის ზეგანზე განსახლდა. ამავე აბრს ადგას ჯ. მედაარტიც.

როგორც ა. სიმონიანი თვლის, შეა ბრინჯაოს ხანის კავკასიის კულტურების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშეს ამიერკავკა-სიაში გარედან (ირანის მთიანეთიდან, ჩრდილოეთიდან, მცირე აზიდან) შემოჭრილმა ეთნიკურმა ელემენტებმა. იგი მიიჩნევს, რომ მოხდა ამ ეთნიკურ ელემენტთა შერწყმა ადგილობრივი მოსახლეობასთან, რის შედეგადაც თანამედროვე საქართველოს სამხრეთ ნაწილში, აზერბაიჯანის სამხრეთ-დასავლეთ მხარეში და სომხეთის ზეგანზე ჩამოყალიბდნენ შეა ბრინჯაოს ხანის მონათესავე კულტურები.

ალბათ მართლაც, თრიალეთის, კარმირ-ბერდის, ყიბილ-ვანქის კულტურები უნდა ჩამოყალიბებულიყო შემოჭრილი ინდოევროპული ეთნიკური ძლიერი (აგრესიული) ელემენტის მიერ ადგილობრივი (შედარებით მშვიდობიანი მიწათმოქმედთა - გეორგიანული) მოსახლეობის დამორჩილების და დაპყრობის შედეგად. საფიქრებულია, რომ უცხოთაგან შევიწროებული და ლტოლვილობით სახეცვლილი მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილი სირია-პალესტინისკენ გაიჭრა (ქიობეთ-ქერაკი), ერთმა ნაწილმა რიონ-ყუირილას აუგსა და კოლხეთის დაბლობს შეაფარა თავი. მათი ნაწილი ცენტრალური კავკასიონის მთიანეთში გამაგრდა, ნაწილი კი იძულებული გახდა შერეოდა მომხვდეურს და მასთან ერთად თვისობრივად ახალი კულტურული ერთობისთვის დაედო სათავე. სავარაუდოა, რომ ალბათ ამ ღროს ხედება ინდოევროპული ელემენტები (ნასესხობები) კავკასიურ ენებში; ხდება კავკასიულ ჰაისას ტომის არმენიზრება (ინდოევროპული ინკორპორირება) და ზოგადად ინდოევროპული ელემენტების მომძლავერება კავკასიურ სამყროში.

როგორც ოთ. ჯაფარიძე ვარაუდობს, მტკვარ-არაქსის კულტურის სამხრეთით უფრო ინტენსიური გავრცელება ამიერკავკასიაში აღრე ყორლანული სამარხების ამგები ტომების პირველმა გამოჩენამ დააჩქარა. ახალი ეთნიკური ელემენტის შემოღწევამ შესაძლოა, ერთგვარად ხელი შეუწყო მტკვარ-არაქსის კულტურის

მატარებელი ტომების ერთი ნაწილის უფრო სამხრეთით გადანაცვლებას. ეს ტომები აქ საკმაოდ მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში იჭრებიან, კულტურის სრულიად განსხვავებულ გარემოში ხვდებიან, მაგრამ არ კარგავენ საკუთარი კულტურის ხასიათს (198,110).

ხანგრძლივი კვლევების შედეგად სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე შესაძლოა გამოიყოს ოთხი კულტურა, რომელთა შორის შეიმჩნევა როგორც მკვეთრი სხვაობანი, ასევე დიდი მსგავსებანი. ესენია:

ა) დასავლეთ ამიერკავკასიის ღრმად თვითმყოფადი კულტურა, აღნიშნული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, მთელი რიგი ნიშან-თვისებებით. ეს კულტურა ვითარდებოდა ადგილობრივი ტრადიციების საფუძველზე, გააჩნდა თავისთავადი ხასიათი, რაც პირველ რიგში, კულტურულ დამოუკიდებლობაში ვლინდებოდა; კავკასიის ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ ოლქებში კი ჩამოყალიბდნენ ხასიათით მონათესავე კულტურები: ბ) თრიალეთის; გ) კარმირ-ბერდის და დ) ყიზილ-ვანქის კულტურები, რომლებიც მონათესავე კულტურების ერთიან ბლოკს წარმოადგენენ და განვითარებენ არიან წინა მტკვარ-არაქსის აღრე ბრინჯაოს ხანის კულტურის არეალზე.

დასანანია, რომ ამ კულტურული ბლოკის ძეგლები შესწავლილია ერთობ არათანაბრად. ამჟამად ისინი წარმოადგენილია ცალკეულ ტერიტორიულ ჯგუფებად, ლოკალიზებულად არარატის ველზე, თანამედროვე ჩრდილო-აღმოსავლეთ სომხეთში, სევანის აუზში, მილიურაბაღის სტეპებზე, მცირე კავკასიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობებზე, საქართველოს მაღალმთიან მხარეებში: მესხეთ-ჯავახეთში, აღაზნის ველზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიასა და კასპიისპირეთში.

წინარე, აღრე ბრინჯაოს ადგილობრივ კულტურასთან გენეტიკურად დაკავშირებული დასავლეთ კავკასიის შეა ბრინჯაოს ხანის კულტურა, გავრცელებული იყო თავისი წინამორბედი კულტურის გავრცელების არეალში – კოლხეთის დაბლობსა და მის გარეშემო მიმდებარე მთისწინეთში. იგი წარმოადგენდა სუბსტრატს, რომლის საფუძველზეც შემდგომში ვითარდებოდა ცნობილი გვიანი ბრინჯაოს ხანის ცნობილი კოლხური კულტურა.

შეა ბრინჯაოს სხვა კულტურებისაგან განსხვავებით, დასავლურკავკასიური კულტურა წარმოდგენილია სამოსახლოებით, რომელთა ხასიათიც დიდად იყო გაპირობებული ამ რეგიონში არსებული ბუნებრივ-კლიმატური პირობებით – თბილი, სუბტროპიკული ჰავა, სპეციფიური თიხნარი ნიადაგი, ნოტიო გარემო და სხვა. სამოსახლოები განლაგებული იყო ხელოვნურ ბორცვებზე,

რომელთა ნაწილი (ანაკლია I, დიხა-გუძუბა, ნაოხვამჟ, ზურგა, ნოსირი, პატრიკეთი...) ხანგრძლივი, უწყვეტი ცხოვრების შედეგადაა წარმოქმნილი; ნაწილი კი დაჭაობებულ ნიადაგზე ხელოვნურადაა გამართული (სიმაგრე, ანაკლია II). სამოსახლოები მცირე ზომისაა – 1 200-2000 კვ.მ. ბორცვების ფოპოგრაფია (ერთიმეორესგან 1-2 კმ-ით დაშორება), ეზო-უკრის მოწყობა, ალაგური (ე.წ. „ხუფორული“) დასახლების ფირისებრ როგორც ახლამონოგამიურ-პატრონიმიულ დასახლების ტიპზე მიგვანიშნებს. საცხოვრისის ძირითადი ტიპი აქ იყო ძელური ნაგებობა, რომელიც ჯარგვალის სახით დღემდეა შემორჩენილი.

მთლიანობაში, შეა ბრინჯაოს ხანის დასავლურკავკასიური კულტურისათვის, ძირითადად, დამახასიათებელია თახით გადალესილ ხის პლატფორმებზე ნაგები ჯარგვალები; სპეციფიური, ამოღარულ-სახარუცხლისებური ორნამენტით შესრულებული კერამიკა; სხვადასხვა ვარიანტის უკამილიანი ცულები და ბრინჯაოს თოხები. ადგილობრივ ნიადაგზე ამობრდილი ეს ნიშნები განაპირობებდნენ ათასწლეულთა მანძილზე კოლხეთისა და მისი მიმდებარე მხარეების თავისებურსა და თვითმყობად კულტურას.

*

*

*

როგორც ვხედავთ, უმდიდრესი არქეოლოგიური და ეთნოგრა-ფიული მასალა, რომელიც არა მარტო თანამედროვე საქართვე-ლოს, არამედ მთელს კავკასიაში კვლევის თანამედროვე ეტაპზე მოგვეპოვება, იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ მეტნაკლებად ნათელი წარმოდგენა ვიქტორით ამ მხარეში სამშენებლო ტრადიციის ჩამოყალიბება-განვითარებას შესახებ.

როგორც უკვე აღნიშნეთ, უძველესი ნაგები საცხოვრებელი კომპლექსები ცენტრალურ ამიერკავკასიაში, ენეოლითის ხანას განეკუთვნება. თანამედროვე ეტაპზე ამ მხარეში ენეოლითის აღრესამიწათმოქმედო ხანის ძეგლების ორი დიდი ჯგუფი გამოიყოფა, რომლებიც ქრისტემდე VI – IV ათასწლეულებით თარიღდებიან. პირველი ამ ჯგუფთაგანი მდ. მტკვრის შეა წელზეა (დღევანდელი საქართველო-აზერბაიჯანის აღმინისტრაციული საზღვრების მიმდგომი რაიონები) გამოკვეთილი და საკმაოდ კარგადაა შესწავლილი. ეს არის შელავერი-შომუ თეფეს სახელით ცნობილი კულტურა. მეორე ჯგუფი აერთიანებს სამხრეთ კავკასიაში განლა-გებულ ძეგლებს – ნახშევანის დასახლეთითა და მუდანის აღმოსავ-ლეთით. ეს ჯგუფი პირობითად სამხრეთკავკასიურ, ანუ ნახშევან-მილი-მუდანის ჯგუფად იწოდება, რომელსაც თეღუთას

(დღევანდელი სომხეთი) ნამოსახლარსაც მიაკუთვნებენ. როგორც მიჩნეულია, ცენტრალურ-კავკასიური ჯგუფის ძეგლები ქრონოლოგიურად წინ უსწრებენ მეორე ჯგუფის ძეგლებს და ამასთანავე წარმოადგენენ სამხრეთ კავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურების განვითარების აღრეულ ეტაპებს (354, 103).

ცენტრალურ კავკასიური, ანუ იგივე ცენტრალურ ამიერკავკასიური ჯგუფის ყველაზე უფრო ტიპიური ძეგლია შულავრის გორა ნამოსახლარი (ტაბ. III-IV₁).

აյ შენობები აღიმითად ნაგები – გამოყენებულია ბრტყელძირიანი, ამოზურგული ფორმის აღიზი; ეწ. პლანოკონვექსი. შენების პროცესში გამოყენებულია თიხის სხნარი (ნაკერების სისქე 2-4 სტ). გამოთქმული მოსაზრების თანახმად, შულავერი-შომუ თევზეს კულტურაში გავრცელებული აღიზი, თავისი ფორმებითა და დამზადების ტექნიკით, სრულიად ორიგინალურია და განსხვავდება მესოპოტამიური პლანოკონვექსებისგან (265, 203-205).

შენობის კედლების ამოუვანა ხდებოდა აგურის რიგით ჰორიზონტალურად, გრუნტზე ან დანგრეული ნაგებობის მოსწორების შედეგად გამზადებულ საფუძველზე. ყველა ნაგებობა გეგმარებაში მრგვალი ან ოვალურია, ჭრილში – ცილინდრული ან კონუსური. ზომების მიხედვით ნაგებობანი სამ ჯგუფად განიყოფა: მოზრდილები (დიამეტრი 2,5-3 მ.), საშუალოები (დიამეტრი 1,25-2 მ) და პატარები (დიამეტრი 0,50-0,75 მ). მოზრდილი ნაგებობანი საცხოვრებლად გამოიყენებოდა, ხოლო დანარჩენს სამეცნიერო დანიშნულება პქნნდა.

საცხოვრებელი ნაგებობა, თავის მხრივ, წარმოადგენდა ერთოთანიან, გეგმაში ოვალურ-გუმბათოვან ნაგებობას, რომლის სიმაღლეც არანაკლებ 2,5 მ-ს და ფართობი 7-იდან 17 კვ.მ-ს აღწევდა (354, 104). (იხ. ტაბულა VII).

შულავრის გორისა და მისი პარალელური ძეგლების მიხედვით, ირკვევა, რომ აღნიშნულ პერიოდში, მოცემულ რეგიონში, სამშენებლო ტრადიციის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია სამშენებლო მასალად თიხის გამოყენება – უმთავრესად ძირბრტყელი აგური და თიხის სხნარი. მშენებლობაში ქვა თითქმის არ გამოიყენება, რაც შეეხება ხეს, უშეალოდ იგიც არ ჩანს გამოყენებული. ე.ი. საქმე გვაქვს თიხა-აღიზის გარკვეულ სამშენებლო ტრადიციასთან, რომლის საწყისებიც მთლიანად არ არის გარკვეული, თუმცა გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი ადგილობრივ ფესვებზეა ამოზრდილი და ნეოლითურ კულტურას უკავშირდება (265, 205).

ამ ხასიათის ძეგლების მეორე დამახასიათებელი თავისებურება – ნაგებობათა წრიულობაა; უფრო მეტიც, იმირის გორის მაგალითზე ჩანს, რომ თვით ნაგებობანიც წრიულადაა განლაგებული წრიულივე

ცენტრალური მოედნის გარშემო (265, 203). როგორც დადგენილია, აღნიშნულ ტერიტორიაზე ქრისტემდე V ათასწლეულისთვის მაინც, არსებობს უკვე ჩამოყალიბებული სამშენებლო არქიტექტურული ტრადიცია, რომლისთვისაც დამახასიათებელია ალიბის წრიულ-გუმბათოვანი ნაგებობანი და რომ ეს ნაგებობანი არ უკავშირდება წინა აბიის არცერთ სამშენებლო ტრადიციას (265, 349).

ცენტრალური და სამხრეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, სამშენებლო ტრადიციის მომდევნო ახალი ეტაპის ჩამოყალიბება, მტკვარ-არაქსის კულტურას უკავშირდება. არსებული მოსაზრების თანახმად ამ კულტურის ჩამოყალიბების პროცესი ქრისტემდე IV ათასწლეულის II ნახევრისთვის იწყება (199, 83).

გეგმარების საკითხები და ადგილობრივი რელიეფის გამოყენება ამ პერიოდისთვის დიდ გაქანებას ჰოულობს. დასახლებისთვის გამოსალევ მთის ფერდგზე ჩნდება ხელოვნური ტერასები, შენდება დამცველი კედლები, მეწყერის შესახერებელი ყორები და არხები ჩამონადენი წყლებისთვის. ამგვარ სამუშაოთა ჩატარების კვალი შენიშნულია მაგალითად ამირანის გორის ცნობილ ნამოსახლარებ-სამოსახლო ადგილის დატერასებამ, გარკვეულწილად, განაპირობა კიდეც დასახლების უბნებად დაყოფა (298, 98). გეგმარების გართულებასთან ერთად ვითარდება მშენებლობის ტექნიკაც, უმჯობესდება ნაგებობების ხარისხი. სამშენებლო მასალად კელავ გამოიყენება თიხა-ალიბი, მაგრამ ახლა ხმარებაში შემოდის და ფართოდ ინერგება ხის კარკასული კონსტრუქციები, დადასტურებულია სამშენებლო მასალად ქვის გამოყენებაც. მთლიანობაში, სამშენებლო მასალის არჩევა გარემო პირობებზე იყო დამოკიდებული. ასე მაგალითად, ალიბის ნაგებობანი, ამ ეტაპისთვის, უფრო აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაბლობ და სტეპურ მხარეებისთვის არის დამახსიათებელი; გამომდინარე, როგორც ვარაუდობენ, იქ ხისა და ქვის დეფიციტისგან (298, 98).

ამრიგად, IV ათასწლეულის შუა ხანებიდან მაინც, მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბების შემდევ დეგბა დრო გარდაცხებისა. მტკვრის აუგში ძველი ნამოსახლარები ცარიელდებიან და აღმოცენდებიან ახლები. მოცემულ ეტაპზე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბების იწყებს შენობის ახალი, წინა ეტაპისგან განსხვავებული ტიპომეტრი იმდენად თავისებურია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ანალოგიური კომპლექსებიდან (შენობათა ტიპებიდან) ცალკე ტიპად გამოყოფენ და მას შიდა ქართლურს უწოდებენ (199; 112; 76). (იხ. ტაბულა V). ამ ტიპის შენობა მოგრძოა, კუთხეებმომრგვალებული, ორმხრივშელესილი წნული კედლებით, ბრტყელი ბანური გადახურვით. ამ სახის შენობა,

როგორც ჩანს, შიდა ქართლში მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული საფეხურის (ქრისტემდე III ათასწლეულის დასაწყისი) გარკვეულ სტადიაზე წნევება და ამ პერიოდიდან წამყვანი ტიპი ხდება. ცნობილ ხიბანაანთ გორის ნამოსახლარზე თითქმის შეინიშნება კიდევ ამ შენობის თანამდებობითი ჩამოყალიბების კვალი (76, 46). მსგავსი შენობებია დამახასიათებელი ქვაცხელას ნამოსახლარისთვისაც. აქ შენობის ტიპში რაიმე განსაკუთრებული ცვლილება არ შეინიშნება. როგორც აღვნიშნეთ, ქვაცხელაზე შენობები უპირატესად სწორკუთხაა, კუთხეებმომრგვალებული, მეტნაკლებად თანაბარი სიღილის. შენობები ხის კარკასზეა ნაგები, შიგნიდან და გარედან ნალესია თიხით. გადახურვა ბაზურია, თიხატკეპნილი და დედაბომბები დაყრდნობილი. თითქმის კველა შენობის ცენტრში მოთავსებული იყო სტაციონარული მრგვალი კერა. შენობას, ჩვეულებრივ, წინა მხრიდან მიშენებული ჰქონდა დერეფანი (187). სხვა ტიპის შენობა მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების აღნიშნულ საფეხურზე ამ რეგიონში თითქმის არ ჩანს; მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ არც ამგვარი ნაგებობა ჩანს ამ კულტურის გავრცელების სხვა რეგიონებში. ამიტომ მართალი უნდა იყოს მოსამრება, რომლის მიხედვითაც, III ათასწლეულში, შიდა ქართლის ონგენიურად ათვისების ხანაში, აქ თავისებური სამშენებლო ტრადიცია ჩამოყალიბდა, რომელიც აქაურ მტკვარ-არაქსის კულტურას არსებობის მთელს მანძილზე გასდევს. შენობის ამ ტიპის გარკვეულ რაიონში დამკვიდრება და მისი ღროის დიდ მანძილზე თითქმის უცვლელი სახით არსებობა, იმან განაპირობა, რომ იგი ამ მხარის კლიმატური პირობების შესაბამისი იყო და სათანადოდ პასუხობდა იმდროინდელი საბოგადოების მოთხოვნებს (199, 102).

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ქრისტემდე III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე დგება ძირეული გარდატეხების ეტაპი, რამაც გამოიწვია საკმაოდ განვითარებული და ძლიერი მტკვარ-არაქსის კულტურის დაცემა. ამ კულტურის სამოსახლოები მიზოვებულ იქნენ; ბარის (დაბლობ) მხარეებში ცხოვრება კვდება და უფრო ინტენსიურ ათვისებას განიცდიან მთისწინა და მთის მხარეები. რით იყო გამოწვეული ეს ცვლილებები, რომლებმაც თავის მხრივ კულტურის შესვლა განაპირობებს, ჯერ კიდევ გაურკვეველია. აღნიშნულ ეგაძეს ადრეული ყორდანების ეპოქას უწოდებენ (იბ.198; 204.). ამ კულტურაში, დაკრძალვის წესია და ინვენტარის გათვალისწინებით, ქრონოლოგიურად ორ ჯგუფს გამოჰყოფენ: ადრეულს და შედარებით გვიანს (198, 26-27). სამწუხაროდ, ადრეული ყორდანების ეპოქის დახასიათება შესაძლებელია მხოლოდ სამართვანი

ძეგლებიდან მომდინარე მასალის მიხედვით. ამ კულტურის დასახლებების შესახებ, ჯერჯერობით, თითქმის არავითარი მონაცემები არ გაგვაჩნია. ამიტომაა, რომ ამქამად შეუძლებელია გარკვევით მსჯელობა ამ პერიოდის ცენტრალური ამიერკავკასიის მოსახლეობის სამშენებლო არქიტექტურულ ტრადიციებზე, სამოსახლოების განაშენიანებასა და გეგმარებაზე, საცხოვრისთა ფიპებსა და სამეურნეო ნაგებობებზე. ერთი კია, რომ ამ ეგაპის სამშენებლო ტრადიციების მაღალ დონეზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან თავად სამარხეული ძეგლები – უბარმაზარ ყორდანთა დასკრძალავ კამერათა კონსტრუქციები. თავიანთი შინაარსით ხომ ისინი გარკვეულად საცხოვრისებს უკავშირდებიან, წარმოადგენენ რა მათ ამგებოთ ცნობიერებაში ამჯერად უკვე საიქიო საცხოვრისებს.

ყორდანული ტიპის სამარხი, რომელიც ერთი მიცვალებულისთვის იყო საგანგებოდ აგებული, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, და კერძოდ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, პირველად გამოჩენას იწყებს მტკვარ-არაქსის კულტურის მომდევნო ხანაში, აღრიცხული ყორდანული კულტურის გავრცელების პერიოდში(იხ. ტაბულა VI-VII). დაკრძალვის კონსერვაციული ტრადიციის ამ ახალ წესს, როგორც ოთ. ჯაფარიძე ვარაუდობს, ადგილობრივი ტრადიცია არ გააჩნია (198,107). ყორდანი, როგორც სამარხის ტიპი, ჩანს, უნდა წარმოქმნილიყო თვალუწვდენელ ტრამბლებში, გამლილ ველებზე მობინადრე ტრამბეში(Мерперტ Н.Я.), რათა იყო გარემოსგან ადვილად გამოსარჩევი ყოფილიყო. მართალია, შემდგომში ყორდანული ტიპის სამარხები სხვა ლანდშაფტურ გარემოშიც გვხვდება, მაგრამ თავდაპირველად, ჩანს, იყო სტეპებში მცხოვრები ტრამბებისთვის იყო დამახასიათებელი. ყორდანის გავრცელების ძირითადი რეგიონი სწორედ სტეპი იყო და ამ გარემოში უნდა ჩამოყალიბებულიყო დაკრძალვის ეს ტრადიცია.

მარტყოფის დიდი ყორდანის კამერა, თავის მხრივ, ერთიმეტრეში ჩადგმულ ორ ძელურ ნაგებობას წარმოადგენდა, რომელთა შორის სივრცე რიყის ქვებით იყო ამოვსებული. გარეთა ძელურის ზომები 11 X 10 მეტრი, ხოლო შიდასი - 8 X 6 მეტრი იყო. კამერის სიმაღლე ორ მეტრამდე აღწევდა. კედლები მუხის მსხვილი ძელებისგან იყო ნაგები (9 ცალი თითოეულ კედლებზე) ჭდეური გადაბმით. გარეთა მხრიდან კედლები, ასევე, ძელის ბიჯგებით იყო გამავრებული. კამერის იატაკი ქვის ფილებით იყო მოგებული. ვარაუდობენ, რომ შენობა გემოდან ასევე ძელებითვე ბანურად იყო დახურული (204, 3). ანალიგიური ყორდანი გაითხარა კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ივრისპირებზე სოფ. მაღაროსთან 1987 წლის ივლის - აგვისტოში. (იხ. ტაბულა VI 3-6) ამ ყორდანის

დასაკრძალავი კამერა, მარტინული ყორდანთან შედარებით, უკეთ იყო შემონახული. ამის გამო აქ რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი დაფიქსირდა. მაგალითად: დასაკრძალავ კამერას გარედან, აღმოსავლეთის მხრიდან მირში, ფასადის მარჯვენა მხარეს, მიდგრული ჰქონდა მცირე ზომის (1 X 1 მ). „კიოთბის“ მაგვარი კონსტრუქცია, რომლის გაწმენდის დროსაც შიგ მრავლად დაფიქსირდა ამ ყორდანთა დამახასიათებელი ეწ. დომინისებური მძივები და ისრისპირები. ჩარჭობილი ისრისპირები ასევე ფიქსირდებოდა ამავე აღმოსავლეთ ფასადზე, რაც დაკრძალვის დროს ჩატარებულ გარეკეულ რიტუალზე (რადაც ისრების „გალპის“ მაგვარზე) უნდა მიგვანიშნებდეს. შემორჩენილი იყო და ნაწილობრივ დაფიქსირდა გადახურვის სისტემაც.

შედარებით უკეთაა წარმოდგენილი აღრეული ყორდანების მეორე – ეწ. ბელენურ-ალაზნის ჯგუფი. ამქამად არსებული მასალის მიხედვით, ამ ჯგუფის გაცრცელების დასავლეთ განაპირა საზღვარი შიდა ქართლში, დღევანდები გორის იქით გადიოდა, სადაც ჯერ კიდევ შესწავლის პერიოდშია ბერიკულდების ნამოსახლარი. შედარებით მჭიდროდ ამ პერიოდში, როგორც ჩანს, დასახლებული ყოფილა თანამედროვე საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარე, ქვემო ქართლი. თრიალეთზე, წალკისა და ბელენის პლატოზე მრავლადაა ამ პერიოდის ყორძინები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბელენის № 5 გორა-სამარზი, რომელიც საგულისხმო მასალას იძლევა არსებული პერიოდის სამშენებლო ტრადიციის შესახებ. „სახლ-საკრძალავის“, როგორც მას გერმანე გობეჯიშვილი უწოდებს, შიდა სიგრძე 6 მეტრს, სიგანე 4,5 მ-ს, ხოლო სიმაღლე 3 მ-ს უდრიდა(იხ. ფაბულა VII 3). აკლდამის კედლები გამართულია ერთმეორესთან მჭიდროდ მიჯრილი და შეეულად მდგარი მუხის 15-20 სმ-ის სიმსხო ძელებისგან; ძელური იყო ასევე იატაკიც. გადახურვაში გამოყენებულია გაცილებით უფრო მსხვილი ძელები და დიორები. შვეულად აღმართული ძელებისგან შედგენილი სეეტნარი კედლის ჩასადგმელად, იატაკის ოთხივე მხარეს, 20 სმ-სიგანის და სიღრმის თხრილია გავლებული. გარდა ამისა სეეტების ძირები ეყრდნობა ძელური იატაკის ნაპირს და მის გასწვრივ გადებულ დიორებს. გარე დაწოლისგან კედლებს იცავს რიგთაშორის სივრცეში უხვად ჩაწყობილი ხუცე, ქვა და ნაკლებად წყალგამტარი თიხა. საიმედოდაა გამავრებული აკლდამის გადახურვაც. ორმოს აღმოსავლეთ ნაპირიდან დასავლეთ ნაპირამდე, შეა გრძივ დერმბე, თავშექვევით გადის 15 მ-ის სიგრძისა და 30 სმ-დე სიგანის დიორები, რომლებიც თავზეს, კეხის დანიშნულებას ასრულებენ. ისინი ეყრდნობიან განივად გადებულ ორ დიორებს, რომელთაც შეყვენებული

ჰქონდათ მერცხლისკედივით თავწათლილი ბოძები. ერთი ბოძი ღრმად ჩასმულია უშუალოდ დასავლეთ განივ კედელთან, ხოლო მეორე – მისგან მოპირდაპირე აღმოსავლეთ კედელთან. ორმოს ორივე გრძივი ნაპირიდან თავხეებზე მჭიდროდ არის გაწყობილი საკმაოდ მსხვილი კოჭები, რომელზეც დაფუნილი ყოფილა ჭილობი. იგი შემდგომ მოუტკეპნიათ 5-10 სმ-ის სისქის თიხის უკნით; მას შემდეგ კელავ ჭილობია და ბოლოს კორდოვანი ბელტების წყობა. ყოველივე ეს ქმნიდა მცირედ დახრილ თრუერდა გადახურვას (46, 34-35).

როგორც შ. დედაბრიშვილის მიერ არის გამოთვლილი, ქვები წნორის ყორდანის ასაგებად 40 კმ-ის შემოგარენიდან უზიდავთ. ზონულის ასაგებად 1500, დასაკრძალავი კამერის ამოსათხრელად – 200, ხოლო მასალის მოსაბიდად 7500 კაც-დღეა დახარჯული. აგრეთვე დიდი რაოდენობით ნაპოვნია შეწირული წვრილფეხა რქისანი პირულების კოჭები (54, 81). ყოველივე ეს, ყორდანის აგებაში ადამიანთა იმგვარი საკმაოდ დიდი მასის მონაწილეობაზე მიგვანიშნებს, რომელიც სამეურნეო მოწყობითა და კულტურული ტიპით მკვეთრად განსხვავდებოდა წინარე მტკვარ-არაქსელი მოსახლეობისგან.

ქრისტემდე II ათასწლეულის პირველი ნახევარი თრიალეთური კულტურის აყვავების ხანაა. მთელმა რიგმა ახალმა მოვლენებმა მეურნეობაში, ხელოსნობაში, მეცალურიგაში და საერთოდ ტექნიკში, ამ კულტურას თავისებური სახე ჩამოუყალიბა. ამ პერიოდში ცვლილებები შეინიშნება აგრეთვე საბოგადოებრივ ცხოვრებაშიც. ამიტომაც გამოიტემული მოსაბრება, რომ ამ პერიოდში, თრიალეთის კულტურის გავრცელების არეალში, უნდა მომხდარიყო მნიშვნელოვანი როგორც კულტურული, ასევე ეთნიკური ხასიათის ცვლილებება (130, 206).

შეა ბრინჯაოს ხანის განვითარებული საფეხურის ძეგლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ყორდანები „დასაკრძალავი დარბაზებით“. ყორდანის ცენტრალურ ნაწილში ჩადგმულია უპარატესად ფილაქეს მშრალი წყობით ნაგები შენობა (294, 80). აღნიშნული ხასიათის ყორდანითაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია №3 ყორდანი, რომელიც ბურტაკების ყორდანთა შორის ყველაზე დიდია. მას დაახლოებით ერთი ჰექტარი ფართობი ეკავა და მისი ქვაყრილის სიმაღლე 8 მ-ს აღწევდა. ეს ქვაყრილი, თავის მხრივ, კიდევ 3 მ-ის სიმაღლის ქვა-მიწაყრილიან ფუძეზე იყო აღმართული. ყორდანის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა „დასაკრძალავი დარბაზი“. მისი სიმაღლე 6 მეტრი იყო. სიმაღლის ორ მესამედზე დარბაზის კედლებს 1,5 მ-ის სიგანის ტერასული საფეხური შემოუყვებოდა. დარბაზის გარეთა კედლების სიგრძე 24 მ-ია. ეს კედლები საგრძნობლად

სცილდებოდა დარბაზის შიდა კედლებს და ღრომოსის თავგზე ამოყვანილ საყრდენ კედლამდე აღწევდა. ღრომოსი თითქოს დარბაზში იჭრებოდა და სამკუთხედისმაგვარ „ბურჯებს“ ქმნიდა. დარბაზის გარეთა სიგანე 13 მეტრი იყო, ხოლო შიდა გომები 14,5 X 10,5 მ. დარბაზისა და ღრომოსის კედლები ნაგები იყო მშრალად, უსნაროდ, უპირატესად ბრტყელი ქვებით; თუმცა მათ შორის ბოგჯერ რიყის ქვაც იყო გამორეული. ჩრდილო კედლებში მოზრდილი რიყის ქვა სჭარბობდა, სამხრეთისაში კი ბრტყელი ფილაქეა. ამგვარი შემთხვევა დაფიქსირებული იქნა წალკაშიც, „კუშჩის თოფქარებზეც“, სადაც დარბაზის დასავლეთი კედლები ნაგებია რიყის, ხოლო დანარჩენი კედლები - ბრტყელი ქვებით (200, 69-71). № 4 ყორდანში, დარბაზის ძირზე, კედლებიდან და ერთმანეთისგან დაახლოებით თანაბარ მანძილზე დაშორებით ბრტყელი ქვები იყო დალაგებული. ეს ქვები, აღბათ, ხის სვეტების ბალიშებად იყო გამოყენებული; ერთ-ერთ ქვაზე ხის კვალიც კი შეიმჩნეოდა (იქვე). „დასაკრძალავ დარბაზს“ ხის გადახურვა ჰქონდა (130, 207). (იხ. ფაბულა VII 1-2).

ქრისტემდე II ათასწლეულის მეორე და I ათასწლეულის პირველ ნახევარში, რომელსაც ჩვეულებრივ გვიანი ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანას უწოდებენ, საქართველო და თითქმის მოელი კავკასია, განვითარების ტემპებისა და ღონის მიხედვით ერთ მთლიან ერთეულად ყალიბდება, თუმცა ყოველ მხარეს ან ხეობას, სხვა მხარესთან საერთო კულტურის ელემენტებთან ერთად თავისი დამსახურითებელი თავისებურებანიც მრავლად გააჩნია (130, 243). განვითარების მოცემულ ეტაპზე, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საცხოვრისის სამშენებლო ტრადიციის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის არქეოლოგიურად შესწავლილი ნამოსახლარები, რომელთაგან აღსანიშვნავია: ცხინვალის ნაცარგორა (იხ.45), ხოვლეგორა (130; 123), ყათლანიხევი (იხ.182);, თრელიგორები (იხ.135; I 74; 83) ღრმახევისთავი (I 83;) და სხვა.

ხოვლეს ნამოსახლარზე (იხ. ფაბულაVIII ი.2,3,5) შენობები ამოყვანილია ქვის საძირკველზე და ბოგჯერ ხისგანაა ნაგები. ნაცარგორას შენობების საძირკველი რიყის ქვისგანაა ამოყვანილი. თიხით შელესილი კედლები ჰორიზონტალურად დაწყობილი ხის ძელებისაა. ყათლანიხევზე ჰორიზონტალური წყობის ნაცვლად დაფიქსირებულია თიხის ბათქაშით შელესილი სვეტისებური კედლები. სამივე ნამოსახლარზე შენობათა იატაკი თიხატკებნილია. სახურავი ეყრდნობოდა ხის სვეტებს, საფიქრებელია, რომ დღის სინათლე შენობებში სახურავზე დატანებული სარკმელიდან ჩადიოდა(112, 298).

თრელიგორების მეორე ბორცვზე გათხრილმა № 36 სათავსომ შემოინახა ბანის ძელები, კარგად განლექილი თიხის ხსნარით

შეღესილი კედლები, თიხატკეპნილი და ქვის ფილებით მოგებული იატაკი (135,26). იქვე ახლო მდებარე „ჩალიპირა გორებზე“ შენობები ნაგებია ფლეთილი ქვითა და აქვთ სწორეულთხა გეგმარება. ყოველი შენობა დამრეც რელიეფზე ტრასულადაა განლაგებული (I 1983, 19). ღრმახევისთავის ნამოსახლარბე ყოველი გათხრილი ნაგებობა ნახევარმიწურს წარმოადგენდა, რომელთა კედლები ფლეთილი ქვითა ნაგიზი. იატაკი თიხატკეპნილია. ზოგიერთი შენობის კედლებში თავებების ბოლოების ჩასახმელი ფოსოებიც გამოვლინდა (იქვე, 22).

მაშასადამე, აღნიშნულ პერიოდში საცხოვრისი, თავის მხრივ, წარმოადგენს ნახევრადმიწურს ბრტყელი, ბანური გადახურვით. ზოგიერთ განათხარ სათავესთში აღმოჩენილი საყრდენი ბოძების ნაშთების მიხედვით ჩანს, რომ ბინის გადახურვა დედაბოს იყო დაყრდნობილი. შენობის კედლები ამოყვანილია ფლეთილი და რიყის ქვით, თიხის ხსნარის გამოყენებით. კედლები შიგნით თიხის ხსნარითვე იყო ნალესი (იქვე, 42). საცხოვრისის აღნიშნული ტიპი ძირითადად დამახასიათებელი ჩანს საზოგადოდ შიდა ქართლი-სათვის. რაც შეეხება კახეთს, სამშენებლო ტრადიცია (საშენი მასალა და ძირითადი არქიტექტურული კონცეფციები) აქაც თითქმის ანალოგიურია, ოღონდ შეინიშნება ერთი უმთავრესი განსხვავება – ნაგებობაზე უპირატესად მიწიბედა კონსტრუქციებია და აქეთ მიწური ან ნახევრადმიწური საცხოვრისები, ამ პერიოდის მოსახლეობის ყოფაში, თითქმის არ დასტურდება (325, 21).

ანტიკური ხანის ცენტრალური ამიერკავკასიის ხუროთმოძღვრუბის შესახებ წარმოადგენის შექმნა აღრე მხოლოდ წერილობითი საისტორიო წყაროების მიხედვით ხერხდებოდა. შესაბამისი ქართული და უცხოური წყაროები, ბუნებრივია, ამ პერიოდის ქალაქის ხეროთმოძღვრებას, საკულტო ნაგებობებს და ციხე-სიმაგრეებს შეეხება. უფრო კონკრეტული წარმოადგენების შემუშავება, უმთავრესად, არქეოლოგიური კვლევების შედეგად ხდება.

მცხეთის ძველ ხიდთან ახლოს აღმოჩენილი აკლდამა ქრისტეს შემდგომ I საუკუნისაა და თავისი ღროის ხუროთმოძღვრების მეტისმეტედ მკაფიო ნიმუშს წარმოადგენს. აქ ქვათლილებიც გამოუყენებიათ და ქვითკირითაც უშენებიათ. აკლდამა შიგნიდან დუღაბით შეულესავთ, გარედან ქვათლილებით შეუმოსავთ, ქვითკირის თაღიც გადაუყვანიათ, ზედ ორფერდა სახურავიც გაუმართავთ და კრამიტითაც გადაუხურავთ. ასე, თითქმის ხელუხლებლად, შენახვა 2000 წლის წინანდელი ნაგებობისა იმვიათი, ხოლო საქართველოში ერთადერთი შემთხვევაა (130, 718).(იხ. ფაბულა IX 5).

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ცოტაა გამოკვლეული იძერის ქალაქებისა და სოფლების რიგითი საცხოვრისები. რამდენიმე

საცხოვრებელი ნაგებობა გამოვლენილი და შესწავლილია კარსნის-ხევში (ბაგინეთანა). საცხოვრებელი კომპლექსები წარმოდგენილია გეგმაში ოთხკუთხა ნაგებობებით, რომელთა კედლები და საძირკველი ნაგებია ფლეთილი ქვით თიხის ხსნარზე. შენობები დახურული იყო კრამიტით. თიხატკეპნილ იატაკებე, ცენტრში, კერა იყო გამართული. საცხოვრისს ეკვროდა მსუბუქად ნაგები დამხმარე სათავსოები, რომლებშიც ასევე კერები იყო გამართული (267, 84).

აღრეფეოდალური ხანის საცხოვრისების სამშენებლო ტრადიციის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ქინვალის, ნადიკვრების, რუსთავის, დმანისის და სხვა არქეოლოგიური ძეგლები. საკუთრივ საცხოვრისთა შესახებ გაცილებით ნაკლები რაიმეს თქმაა შესაძლებელი, რადგანაც თითქმის ყველა შემთხვევაში ისინი თავის დროს საფუძვლიანად გაუნადგურებიათ. ისე კი ჩანს, რომ შენობებს სახურავი მეტწილად ბანური და, იშვიათად, კრამიტისა ჰქონიათ; საშენ მასალად ან რიყის, ან ფლეთილ ქვის ხმარობლენ; ხანდახან იყენებდნენ ალიტსაც. წინა პერიოდთან შედარებით კლებულობს კრამიტის ზომაც (131, 228).

განვითარებული ფეოდალური ხანის ძალები საინტერესო საცხოვრებელი კომპლექსი გათხარა სოფ. ჭობისხევთან. კომპლექსი ორ სამშენებლო პერიოდს მოიცავდა: პირველი, აღრეშუასაუკუნეებს და მეორე XI-XIII სს. განეკუთვნებოდა(ПАИ 1984-85, 95-97). კომპლექსი შესდგებოდა რვა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობისაგან, რომლებიც დიდი ზომის, ნახევრადდამუშავებული ბაზალტის ლოდებით იყო ნაშენი, თიხის ხსნარის გამოყენებით. კედლების სისქე 1,2-1,5 მ-ის ფარგლებში მერყეობდა. წყობაში გამოყენებული იყო ხურდა ქვაც, კომპლექსს ემჩნეოდა რამდენჯერმე გადაკეთების კვალი. სათავსო № 1-ს არათანაბარი გეგმარება გააჩნია და შიდა მომრგვალებული კუთხებით ხსნაბილება. შესასვლელი გაჭრილია ჩრდილოეთის მხრიდან. აღმოსავლეთ კედებზე შიგნიდან კირით შელესილი საწნახელია მიშენებული. სათავსო № 2 განლაგებულია პირველის გვერდით. მათ ზიარი კედელი ჰყოფთ. ეს სათავსო დიდი ზომისაა – ფართობით 38 კვ.მ. აქვს არასწორი ფორმა, შესასვლელი აქვს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. იატაკი თიხატკეპნილია, სწორი. სათავსოს შეა ნაწილში დაფიქსირებულია საყრდენი ქვები და დედაბოძის ნაშთი. დანარჩენი ქქვისი სათავსო სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულებისა იყო. მთლიანობაში რვავე სათავსო ქმნიდა ერთ მთლიან კომპლექსს, რომელიც ყოველი ნიშნების გათვალისწინებით, ალბათ, უნდა მივიჩნიოთ ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში გავრცელებულ „დარბაზად“.

მრიგად, განვითარებულ ფეოდალურ ხანაში (VIII-XIV სს.) ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე უკვე ჩამოყალიბებულია

სრული სახით ის სამშენებლო ტრადიციები, რომლებიც მოგვიანებით ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დასტურდება. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს „დარბაზის“ ტიპის საცხოვრებელი ნაგებობა.(იხ. ტაბულა X-XI).

შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაში დარბაზის ორი ტიპი გამოყოფილი: ქართლური და მესხური.

დარბაზის ქართლური ტიპი წარმოადგენს ერთსათავესიან საცხოვრისს დერეფნითა და შეა კერით, რომლის თავზეც აღმართულია გვირგვინი. ეს უკანასკნელი, როგორც წესი, მოჩუქურთმებულ ხის დედაბოძებს ეყრდნობა. დედაბოძების რაოდენობისა და განლაგების მიხედვით განირჩევა სამი ძირითადი ტიპი: ორბოძიანი(1+1), სამბოძიანი(2+1) და ოთხბოძიანი(2+2).

დარბაზის მესხური ტიპი წარმოადგენს კომპლექსურ საცხოვრისს – დარბაზოვანს, რომელშიც ძირითადი საცხოვრებელის გარდა, ერთ ჭერქვეშაა მოქცეული სხვა დანარჩენი სამეურნეო-საცხოვრებელი სათავსოებიც: ბოსე-ლი(„ახორი“, საცხოვრებელი ოთახი („ახვრის ოდა“), გამთრის საცხოვრებელი „ოდა“ ბუხრით, საბძელი, დერეფანი და სხვა. მესხურ დარბაზში გვირგვინი თორმეტ კედლისირა ბოძს ეყრდნობა. დარბაზი თბება მოჩუქურთმებული ბუხრის – „ოჯახის“ მეშვეობით(335, 355).

განვითარებულ ფეოდალურ ხანაში უკვე ფაქტია იმ სამშენებლო ტრადიციის არსებობა, რომელიც ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულია თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც. მხედველობაში გვაქვს არაგვის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები.

მაშასადამე, დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შესწავლილი განვითარებული ფეოდალური ხანის საცხოვრისების მონაცემების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაულოთ იმ სამშენებლო ტრადიციების არსებობა, რომლებიც ეთნოგრაფიული მონაცემებით დასტურდება. ამასთანავე, ზემოთმოფანილი მასალების მიხედვით, შესაძლებლობა გვაქვს ვიმსჯელოთ ცენტრალურ ამიერკავკასიაში საცხოვრისის სამშენებლო ტრადიციის ჩასახვა-განვითარების ძირითად მომენტებზე, რომელთა ფიქსირებასაც უკვე მოტანილი არქეოლოგიური მასალის საფუძველზე ვეცდებით.

ცენტრალურ ამიერკავკასიაში (თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველო), საცხოვრისის სამშენებლო ტრადიციის განვითარებაში, მოყოლებული ენეოლითის ხანიდან განვითარებული ფეოდალიზმის ჩათვლით, დაფიქსირებული არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, შემდეგი ძირითადი ეტაპები გამოიყოფა:

ა) აღიბის წრიულ-გვემბათოვანი სამშენებლო ტრადიცია („შელა-გერი-შომუ-თეფეს“ კულტურა. ქრისტემდე VI-IV ათას-წლეულები),

რომლისთვისაც დამახასიათებელია ე.წ. „პლანო-კონვექსები“, ნაგებობათა წრიულობა, გუმბათოვანი გადახურვა. სამშენებლო მასა-ლად მხოლოდ თიხა-ალიბის გამოყენება.

ბ) ხის კარგასოვანი, თიხალესილი ნაგებობების სამშენებლო ტრადიცია („მტკვარ-არაქსის“ კულტურა. ქრისტემდე IV ათას-წლეულის II ნახევარი - III ათასწლეულის I ნახევარი). დამახასიათებელია სწორკუთხია, კუთხეები-მომრგვალებული, მეტნაკლებად თანაბარი სიღილის თიხით შელესილ ხის კარკასზე ნაშენი ნაგებობანი. გადახურვა ბანურია, თიხატკეპნილი, დედაბოძე დაფუქმნებული. შენობის ცენტრში გამართულია სტაციონარული მრგვალი კერა. ნაგებობას წინა მხრიდან დერეფანი აქვს მიშენებული.

გ) ძელური შენობების სამშენებლო ტრადიცია (ე.წ. „აღრეული ყორდანების ეპოქა“ – ქრისტემდე III ათასწლეულის II ნახევარი), რომლისთვისაც დამახასიათებელია სამშენებლო მასალად მასიური ძელებისა და რიყის „ხურდა“ ქვის გამოყენება, ნაგებობების ძელურივე გადახურვა როგორც ბანური, ასევე ორფერდა ტექნოლოგიათ, თავშეების, კოჭების, კეხის, საყრდები ბოძების გამოყენებით.

დ) ქვის მშრალი წყობის სამშენებლო ტრადიცია („თრიალეთის ბრწყინვალე ყორდანების კულტურა“ – ქრისტემდე III ათასწლეულის უკანასკნელი მეოთხედი - II ათასწლეულის I ნახევარი), რომლის-თვისაც უპირატესად დამახასიათებელია ქვის მშრალი წყობით ნაგები სწორკუთხია ნაგებობები, საგმაოდ სქელი კედლებით, ბრტყელი, ბოძებზე დაყრდნობილი გადახურვით.

ე) ფლეთილი ქვითა და თიხის სნანარით ნაგები ნახევრადმიწური ნაგებობების სამშენებლო ტრადიცია (გვიანი ბრინჯაო - აღრე რკინის ხანის ძეგლების მიხედვით), რომლისთვისაც შენების პროცესში დამახასიათებელია აღნიშნული მასალის გამოყენება, თიხატკეპნილი იატაკი, ცენტრში გამართული კერა („შუა ცეცხლი“) და დედაბოძე დაყრდნობილი ბანური გადახურვა.

მომდევნო პერიოდების (ანტიკური ხანა, აღრეფეოდალური, განვითარებული და გვიანი ფეოდალური პერიოდები) საცხოვრი-სებით წარმოდგენილი სამშენებლო ტრადიციაში, ჩვენ უკვე არსები-თი სასიათის ცვლილებებს ვერ ვხედავთ: უცვლელია საშენი მასალა(ფლეთილი და რიყის ქვა), გადახურვის ფორმა(ბანური), ნაგებობის განთიაქება(ნახევრადმიწური). ამ მოგვიანო პერიოდებში უფრო თვალნათლივ იკვეთება საცხოვრისის ძირითადი ტიპები რეგიონალური განმასხვავებელი ნიშნებით. განვითარებული ფეოდალური ხანის არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, მაგალითად, ალბათ უკვე შესაძლებელია გარჩევა „დარბაზის“ მესხური ვარიანტისა. განიორჩევა მთის მხარის საცხოვრისებიც თავისი სპეციფიური ნიშნებით.

თავი III

საცხოვრისი საქართველოში პეტაზი

ა) საცხოვრისის ფენომენის ადგილი სივრცისეულად დაპირისპირებულ – „შინ“ და „გარე“; „შინაური“ და „გარეული“ ცნებათა ფორმირების პროცესში.

უძველესი პერიოდიდანვე საცხოვრისმა, როგორც ბუნებრივი საარსებო გარემოსგან გამოცალ კევებულმა ერთგვარმა ხელოვნურმა მიკროგარემომ, უმთავრესი ადგილი დაიკავა ადამიანის, როგორც ღვთისხატად შექმნილი გონიერი არსების თვითგანსაზღვრაში, მის მიერ საერთო დედაბუნებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებაში. ნებისმიერი ჩვენთაგანისათვის ნათელია, რომ საცხოვრებელ ნაგებობას, სახლს, სამოგადოდ, უდიდესი როლი ენიჭება ადამიანის, ინდივიდისა და კერძოდ ერთ ჭერქვეშ, ერთ კერასთან, ერთი „მფარველი ანგელოზის ფრთხებქვეშ“ შემოკრებილი კოლექტივის ყოფითი შეხედულებების ჩამოყალიბებაში. საცხოვრის თავად ადამიანმა დააკისრა ურთულესი ფუნქცია - იყოს ერთგვარად ზემომქმედი, განმაპირობებელი, განმსაზღვრელი თვით მისივე შემოქმედის (ადამიანის) სივრცითი თუ სხვა ყოფითი შეხედულებებისა, სამყაროსეული აღქმისა.

ადამიანმა აიგო რა საკუთარი საცხოვრებელი, ამით, გარკვეულწილად, გამოიყო კიდეც გარემოს. საცხოვრებელი იქცა მისთვის სულიერი დამშვიდების, დაწყნარების ადგილად. სწორედ საკუთარ საცხოვრისში შექძლო მას თავი ევრძნო ყოველივეს ბატონ-პატონად, რადგანაც იმ მიკროსივრცის, რომელსაც სახლი მოიცავს, შექმნელად და შემოქმედად მას საკუთარი თავი მიაჩნდა. ყოველივე ის, რასაც თავისთავად ეს მიკროსივრცე მოიცავდა, მისი ხელქმნილი, ხელშენავლები, მისი გონების ნაყოფი იყო; მათმი იყო დაყურსეული მისივე ამრები, ინდივიდუალური და სამოგადოებრივი შეხადულებები; მანვე ჩაპერა „სული“ ამ ნივთებს, გააცოცხლა, გაასულიერა ისინი. აიგო რა საცხოვრებელი, მას შემდეგ იქცა ჭერი ცის, ხოლო იაგაკი მიწის სიმბოლოდ; მას შემდეგ მიერიჭათ კედლებს ბლვარის ფუნქცია; მას შემდეგ იქცა კერა უწმინდეს ადგილად; მას შემდეგ დაივანა დედაბომში „ფუძის ანგელოზმა“...

სამყაროსეული წესრიგის კონცეფცია, მომდინარე შესაბამისად ფომობრივი წარმოდგენებიდან, მითოლოგიური აბროვნების საფუძველია; მთელი მითოლოგიური კულტურის საყრდენია. თვლიან, რომ

მითიური კონცეფციით სამყარო წარმოიშვა კოსმიური აქტის საფუძველზე, რომელსაც ქაოსის დანგრევა და კოსმოსის წარმოქმნა მოჰყება. კოსმოგონიას განიხილავენ, როგორც პირველ კულტურულ აქტს, რომლის შედეგადაც საბოგადოება უპირისპირდება ბუნებას და ამით წარმოდგება პირველი გლობალური ოპოზიცია: კოსმისი – ქაოსი, ე.ი. კულტურა – ბუნება. ამის შემდგომ აღიმართება მსოფლიო, კოსმიური დერძი, რომელსაც განასახიერებენ მთა, დვთაება, ტაძარი, სამყაროსეული ხე. ყოველივე ეს განაპირობებს ქაოსის შეწყვეტას და წესრიგის დამყარებას (22, 78). უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი შიდგომა ადამიანისეული მსოფლალქმისადმი მართლაც მისაღები და გასაბიარებელია, თუმცა ამ საკითხებზე მსჯელობისას მხედველობიდან არ უნდა გამოიგვრჩეს ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება - ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიცნობიეროთ ის, რომ ჩვენი წინაპარი სამყაროსეულ სიღრმეებში წვდომის დვთივბოძებული უნარით ჩვენზე დაბლა არაფრით იდგა. პირიქით, მისი მზერა, ჭვრეტა სამყაროსეული ძალებისა, სამზეობები მიმდინარე ღმრთივსულიერი ნაკადებისა, თანამედროვე ადამიანის გაცვეთილ-მოჩლენებულ აღქმასთან შედარებით, ათასწილად უფრო ფაქიზი და ჭეშმარიფი გახლდათ. ჩვენი წინაპარი, ღვთისა და შესაბამისად, ბუნების შეილი, მმობლიურ წიაღს კი არ უპირისპირდებოდა, არამედ მასთან მთლიანად, მთელის არსებით შენინოვთებულ-შეთვისებული იყო და არანაირ თპოზიციაში არ ედგა მას. ადამიანს მაშინ ნათლად ესმოდა, რომ ბუნების, სამყაროს და შესაბამისად, ღვთის თპოზიციაში ჩადგომა, მისივე სულიერი და შესაბამისად, ფიზიკური კაგასტროფის ტოლფასი იქნებოდა.

როგორც ცნობილია, ადამიანი გარემოს ცალკეულ გამდიბიანებულთა და მათი კომპლექსების მეშვეობით კი არ განიცდის, ე.ი. გამდიბიანებლებს კი არ შეიგრძნობს, არამედ ობიექტურად, მისგან დამოუკიდებლად, საგანთა სახით აღიქვამს (115, 91). ყოველდღიურ ნორმალურ პირობებში გარემოს რეალური ზემოქმედება ადამიანის სხვადასხვა მოდალობის და ინტენსივობის შეგრძნებების სახით კი არ განიცდება, არამედ მოცემული ობიექტური საგნების სახით. ადამიანი გარემოს კი არ შეიგრძნობს მხოლოდ, არამედ აღიქვამს კიდეც მას(იქვე). ამდენად, ეს თვისება ადამიანური შემეცნებისა ჩვენ მუდამქამს უნდა ვიქონიოთ მხედველობაში და ამის გათვალისწინებით უნდა ვუდგებოდეთ მატერიალური თუ სულიერი კულტურის ნებისმიერ ელემენტს, ადამიანის ნებისმიერ ნამოქმედარს.

თანამედროვე ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში დადგანილია, რომ აღქმა ცალკე შეგრძნებების ჯამი კი არ არის, არამედ გარკვეული სტრუქტურის მქონე რეალობაა. აღქმა არა მხოლოდ რაიმე საგნის

ხატია, არამედ კონკრეტული ადამიანის მოქმედებაცაა - მოქმედება, რომელიც მიმართულია ობიექტური საგნის აღსაქმელად. აღქმა ადამიანის შემცნებითი აქტივობის გამოვლენაა; ამდენად აღქმაშიც, როგორც ყველა სხვა მოქმედებაში, თვით აღმქმელი პიროვნების შინაგანი მდგომარეობა, მისი გამოცდილება, მისი მისწრაფებები, მისი მოთხოვნილებები და ინტერესები ვლინდება. აღქმა, გარკვეულ ფარგლებში, პიროვნეულ ხასიათს ატარებს.

ისტორიული განვითარების მიზნებში, როცა ისახებოდა საცხოვრისის ფენომენი, როცა არ არსებობდა ფილოსოფია და მეცნიერება საერთოდ, ადამიანები საკუთარ შეხედულებებს მითოლოგიურ წარმოდგენებში აყალიბებდნენ. სამყარო ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა ანალიზის ობიექტს. ურთიერთობა ადამიანსა და სამყაროს შორის იყო ემთკით გაპირობებული და გაუცნობიერუბელი. ეს ურთიერთობა იყო არა მსოფლმხედველობა, არამედ სამყაროთშემცნება. იმ პერიოდში სამყაროს აღქმა ხდებოდა არა იმდენად გონით, რამდენადაც შემცნებითა და აღქმით. ალბათ, ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ სამყაროსთან ურთიერთობის მეტნაკლებ ასახვას სამყაროს მხატვრულ გააზრებაში ხედავენ(209, 3). ბუნებრივი გარემო და ადამიანის ყოფა განკუთუნელ მთლიანობას წარმოადგენდა. ბუნებრივი მოვლენები მუდმივად გააიზრებოდა ადამიანური განცდის აღმნიშვნელ ტერმინებში, ადამიანური განცდა კი – კოსმიურ მოვლენათა ტერმინებში(346, 25).

უძირითადესი განსხვავება თანამედროვე და ძველ ადამიანს შორის ის არის, რომ თანამედროვე ადამიანისთვის მოვლენათა სამყარო, პირველ რიგში არის „ის“ (მესამე პირი), ხოლო ძველი ადამიანისთვის, ასევე ე.წ. „პრიმიტიული“ ადამიანისთვის, იგი არის „შენ“ (მეორე პირი). ეს „შენ“ არა მარტო გასაგები და ახლობელია, არამედ ორმხრივ დინამიურ ურთიერთობაში მეტი ემთკითა დატვირთვაც აქვს. ამიტომაცაა, რომ ასეთ ადამიანს აქვს აბროვნების მხოლოდ ერთი ფორმა, მეტყველების ერთი ნაწილი, გამოთქმის ერთი ფორმა - პირადი(346, 26). მისი აბროვნება, მოქმედება და შეგრძნებები, უპირატესად, ამგვარ აღქმაზეა დამყარებული.

კონტრასტი ძველ და თანამედროვე ადამიანს შორის შეიმჩნევა მაშინაც, როცა საქმე ეხება მიმეტობრიობის კატეგორიებიდან სივრცის კატეგორიებისა კენ მიმართებას. ჩვენ სივრცეს განვითარებით როგორც უსასრულოს, განუწყვეტელს, ერთიანს. აღნიშნული თვისებები, როგორც ვიცით, შეუძლებელია გავიცნობიეროთ და აღვიქვათ შეგრძნებებით; ძველი ადამიანის სივრცითი წარმოადგენები დამყარებულია კონკრეტულ ორიენტირებე, ისინი შეეხებიან გარემოს და გააჩნიათ ემთკითა დრმა კვალი. ეს წარმოადგენები

იმდროინდელი ადამიანის შემეცნებაში შეიძლება იყოს შორეული და ახლობელი, მეგობრული და მფრული. აქედან გამომდინარე, იგი (ძველი ადამიანი) აღიარებს, რომ უბრალო, ინდივიდუალურ დაკვირვებათა მიღმა არსებობენ კოსმიური მოვლენები, რომლებიც სივრცის მხარეებს ანიჭებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობებს. მაგალითად, დღე და დამტე უკავშირდება დასავლეთსა და აღმოსავლეთს სიკედილ-სიცოცხლის გაგებით. ან კიდევ, მაგ: მესოპოტამიურმა ასტროლოგიამ განავითარა ვრცელი სისტემა, ერთის მხრივ ციური მოვლენებსა და სხეულებს შორის და მეორეს მხრივ, მათი მიწიერ გარემოსთან შეთანხმების შესახებ(346, 40). ამის გამო მაშინდელი ინდივიდის კოორდინირებული შეხედულებების სისტემა გაპირობებული იყო არა ობიექტურად ლოგიკური აზროვნებით, არამედ ღირებულებათა ემოციური აღქმით.

ამგარ ემოციურ შეგრძნებათა საშუალებით აღქმული სივრცითი შეხედულებების ფონზე ყალიბდებოდა საცხოვრისის ფენომენიც. საცხოვრისის გაჩენასთან ერთად სამყარომ შეიძინა ის თვისებები სივრცობრიობისა, რომლებიც ამჟამადაც კი აქტუალურია ყოფაში. პირველ რიგში გაჩნდა უნივერსალური ათვლის წერტილი სივრცეში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სივრცე საცხოვრისს გარეთ აღიქმებოდა სწორედ საცხოვრისის არსებობისა გამო. სახლმა მიანიჭა სამყაროს სივრცითი აბრი, რითაც ამსათანავე განიმტკიცა საქუთარი სტატუსი მის თრგანიზებულ ნაწილში.

სახლმა ადამიანი გამოპყო კოსმოსისაგან, აღიმართა მათ შორის და ამით შეიძინა ურთიერთდამაკავშირებული კომპლექსის თვისებაც. ერთის მხრივ, სახლი ეკუთვნის ადამიანს, ასახავს მის ნივთიერ, მაფერიალურ სამყაროს. მეორეს მხრივ, სახლი აკავშირებს ადამიანს გარე სამყაროსთან, წარმოადგენს რა, გარკვეულწილად, იმავე გარესამყაროს შემცირებულს აღამიანურ პარამეტრებში. მის შიგნით თანაარსებობენ ადამიანი და სამყარო. სწორედ ამიტომაცა ასე ხშირი პერკვოდირება ადამინის სხეულის ნაწილებს, კოსმოსის ელემენტებსა და სახლის ნაწილებს შორის(230, 7). საყურადღებოა ისიც, რომ ამგვარი მოდელირებული ნიშან - თვისებები მიეწერებოდათ იმ ობიექტებსაც, რომელთაც ძველი ადამიანი სამყაროსეული ცენტრის დატვირთვას ანიჭებდა. ასეთი მნიშვნელობებით კი ოდითგან უხვად იყო დაყურსულ - შებურვილი ჩვენს წინაპართა წარმოდგენაში გაგება, მაგალითად, ქალაქისა, ტაძრისა, საკურთხევლისა... მათ რიცხვს თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ საცხოვრისისიც. თუ ფაძარში სამყაროს სახე შემცნებულად (ცნობიერად) აღიქმებოდა, საცხოვრისში ქვეყნიერება აღიქმებოდა არაცნობიერად. აღნიშნული თვისება, კი ამ ყოფით ფენომენს თრმხრივად -

როგორც სულიერი, ასევე მატერიალური კუთხით, მეტად საინტერესოს ხდის. სახლის - საცხოვრისის სტრუქტურა, გარკვეულწილად, იმეორებს კიდევ სამყაროს სტრუქტურას იმ შინაარსითაც, რომ მასაც გააჩნია საკუთარი ცენტრი, „პერიფერია“ და ა.შ. მდიდარი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა იმის საშუალებას გვაძლევს, რომ ვიღაპარაკოთ სახლისა და დასახლების სტრუქტურულ ერთგვარობაზე, განსაკუთრებით წრიული ფორმის დასახლებასთან დაკავშირებით შეიძლება ვიმსჯელოთ ამ კუთხით; როდესაც გამოკვეთილი ცენტრალური ადგილის გარეშემო შემოკრებილია მთელი სამოსახლო.

სივრცული აღქმა და მისი გათავისება ერთერთი მთავარი ფაქტორია ადამიანის შემცირებაში. ყოველი ადამიანური შემცირება ინდივიდის ბუნების ძირითადი თვისებებიდან გამომდინარეობს. იგი თავს იჩენს ხოლმე ყველაზე ადამიანურ ქსევებსა და რეაქციებშიც კი. ეს ძირითადი თვისება განსაზღვრავს და განმსჭვალავს გრძნობადი არსებობის მთელს სფეროს(72, 25). ადამიანი მუდამ ესწრაფვის სამყაროს შეაგულად მიიჩნიოს ის წრე, რომელშიც თვითონ ცხოვრობს და სამყაროს მასშტაბად აქციოს საკუთარი პირადი ცხოვრება. როგორც მრავალფეროვანი მასალიდან ჩანს, ე.წ. „პრიმოტივები“ და არა დამატებულნი არიან სივრცის უაღრესად მახვილი აღქმით. ისინი თავიანთ გარემომცველ სამყაროს უფაქიზეს დეტალებსაც კი ამჩნევენ და ძალაშე მგრძნობიარენი არიან მათი ყოველგვარი ცვლილებების მიმართ.

საცხოვრისის აგებამ და ერთ ადგილზე თუნდაც დროებით დამკეილებამ, უდიდესი როლი ითამაშა კაცობრიობის ისტორიაში. საცხოვრისმა ძირეულად გარდაქმნა ადამიანის ფსიქიკა, მისი სივრცული შეხედულებები, სოციალურ-ეკონომიკური პირობები. საცხოვრისმა ადამიანი გარკვეული კუთხით გამოიცალკევა გარემოს; შეუქმნა მას მიერთობარებო, მიკროკოსმოსი, რითაც თვისობრიავად სხვა კუთხით წარმართა მისი აღქმითი პროცესები. ყოველივე ამან კი, თავის მხრივ, ადამიანის ყოფით და სამუერნეო ცხოვრებაში გარკვეული წინსვლა განაპირობა.

ადამიანი საზოგადოებრივი წარმოებითა და ამ წარმოებაში შერმის გზით ჰქმნის თავისი საცხოვრებელ პირობებს. ეს არის ბუნების გარდაქმნის პროცესი ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით (140, 74). რასაკვირველია, ადამიანის სამყარო ვერ შექმნის გამონაკლისს საერთო ბიოლოგიურ წესებში, რომლებიც წარმართავენ ყველა სხვა დანარჩენი ორგანიზმის სიცოცხლეს; მაგრამ მას მოეპოვება ერთი ახალი თვისება, რომელიც ადამიანური არსებობის განსაკუთრებულ ნიშან-თვისებად გვევლინება. ადამიანმა თითქოს

მიაგნო გარესამყაროსთან შეგუების ახალ მეთოდს. რეცეპტორულსა და ეფექტორულ სისტემებს შორის, რითაც ადჭურვილია ცხოველის ყოველი სახეობა, ადამიანთან ვეღდებით მესამე, შემაერთებელ რგოლს, რომელსაც სიმბოლურ სისტემას უწოდებენ(72, 57). ეს სრულიად ახალი მონაპოვარი, მთლიანად გარღვეულის ადამიანის ყოფას. ამ ეტაპიდან ადამიანი, ასე ვთქვათ, რეალობის ახალი განხომილების ბინადარია. განსხვავება ორგანულ რეაქციებსა და გაღიმინებაზე ადამიანის პასუხებს შორის თვალსაჩინოა; თუ პირველ შემთხვევაში გარეგან გაღიმინებებს მოსდევს პირდაპირი და მეყსეული პასუხი, მეორე შემთხვევაში პასუხი შეყოვნებულია. ამჯერად მას აყოვნებს ამონტვენების შედარებით ნელი და რთული პროცესი. ამრიგად, ადამიანი აღარ ცხოვრობს მხოლოდ უშეუალო ყოფაში, იგი სიმბოლური სამყაროს მკვიდრი ხდება. ენა, მითოსი, ხელოვნება და რელიგია ამ სამყაროს ნაწილებია(72, 57).

სწორედ ამგვარ სიმბოლურ სამყაროს იფევს სახლიც - საცხოვრისიც, სადაც სიმბოლური სამყარო თანაარსებობს, ასე ვთქვათ, თანამშრომლობს სრულიად ობიექტურ, რეალურ სამყაროსთან, რომელიც თავის მხრივ სოციალურ-ეკონომიკურ საფუძვლებსაც ეფუძნება. მაშასადამე, საცხოვრისი - სახლი, თავის მხრივ, გვევლინება ფენომენად, რომელიც აერთიანებს, კრაგს ადამიანის არსებობის თრ სამყაროს - სიმბოლურსა და რეალურს. შესაბამისად, ვეხებით რა საცხოვრისს, ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა შევეხოთ მას თრი კუთხით, თრი განზომილებით: პირველია სახლი, როგორც რეალური, პრაქტიკული კომპლექსი და მეორე, როგორც სიმბოლურ-წარმოსახვითი ობიექტი.

ვეხებით რა სახლს, საცხოვრისს როგორც პრაქტიკულ, რეალურ კომპლექსს, ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა დავინახოთ მისი ეკონომიკური, სოციალური მხარე; გავაანალიზოთ მისი როლი ცალკე ინდივიდისა და ცალკე სამოგადოების (თუნდაც გარკვეული სოციალური ერთეულის) არსებობაში, ცხოვრებაში. შესაძლებლობა გვეძლევა ავაგოთ სოციალური და ეკონომიკური მოდელი ამა თუ იმ საბორგადოებისა.

რაც შეეხება სახლს, საცხოვრისს, როგორც სიმბოლურ წარმოსახვათა ერთობლიობის მომცველ თბიექტს, აქ საქმე სხვაგვარად გვაქს. თუკი ჩვენ შევეცდებით აღნიშნული კუთხით მის გაანალიზებას, მაშინ შესაძლებლობა გვეძლევა მასში ამა თუ იმ სოციალური ორგანიზმის (იქნება ეს ოჯახი, გვარი თუ თემი) სულიერი ცხოვრების კვალის დაფიქსირებისა. ე.ი. შესაძლებლობა გვეძლევა ამოვიკითხოთ ის ძირითადი, განუმეორებელი, თვითმყოფადი დერიტა სულიერი ცხოვრებისა, რომელიც არსებითად განასხვავებს ამ

სოციალურ უჯრედს სხვა რომელიმე მისი მსგავსი სოციალურ-გენეტიკური (საერთო- წამომავლობითი) ერთობისაგან. ამ შემთხვევაში სახლი, საცხოვრისი გამოიდის როგორც განმასხვავებელი ნიშანი, რომელშიც ხელშესახებად ჩანს სოციალური ორგანიზმის სულიერი ცხოვრების ის ნიშნები (ენობრივი, რელიგიური, მითოლოგიური, სივრცის აღქმითი...), რის საფუძველზეც ასეთი ერთობა განსხვავდება სტრუქტურული წყობით მისსავე მსგავი სხვა ერთობულისაგან.

აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ მიუხედავად ასეთი ორგანიზმი სახოვნებისა, საცხოვრისი ერთიან, განუყოფელ ფენომენს წარმოადგენს, რომლის შიგნითაც თანაარსებობენ ურთიერთგან-მაპირობებელი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები; მთლიანობაში კი ადამიანის ცნობიერებაში აღქმული რეალური და ირეალური სამყარო.

ვეხებით რა საცხოვრისს, კერძოდ მასში ასახულ სივრცით კატეგორიებს, ვფიქრობო, აუცილებლად უნდა დავაფიქსიროთ მისი, როგორც ადამიანის სივრცული შეხედულებების განმაპირობებელი ფენომენის ორბუნებოვნება. საცხოვრისი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინდივიდს (თუ ინდივიდთაგან შემდგარ ამა თუ იმ სოციალურ ერთეულს) გამოაცალკევებს გარე სამყაროსგან და მის შეგნებაში აფიქსირებს უფრო მცირე, მუქდორ, შინაურ სამყაროს. ეს მიკრო-სამყარო ადამიანისთვის უფრო მისაწვდომი, ხელშესახები, გასაგები და შინაურია, რადგანაც მისივე ხელქმნილია, შექმნილია; ადამიანი თავადვე ამ სამყაროს „მშობელი“, შემოქმედი. ამდენად იგი ამ მიკროსამყაროში თავს გრძობს ყოველივეს უფროსად, ბატონ-პატრონად. იგი „მეუჟვე“ თავისივე „მიკროკოსმოსისა“, სადაც ხელეწიფება მას ყოველივე. აქ, ამ სივრცეში მას ყველაფერი (ცხადია მაშინდელი საგომების მიხედვით, როდესაც მოთხოვნილება შესაძლებლობების ფარგლებს არ სცილდებოდა) აქვს და ამ სივრცეში თითოეულ ნივთს ადამიანისგან განსაზღვრული შესაბამისი სახელი და ფუნქცია გააჩნიათ. აქ იგი საკუთარი შეხედულებებისამებრ ასულიერებს და როთულ შინაარსობრივ დაგვირთვასაც აძლევს კიდევ შესაბამის ნივთებს; მაგ. შეა ცეცხლის თავგზე დაკიდებული ჯაჭვი მამაკაცურის, ხოლო თუნდაც ქვაბი ქალური საწყისის სიმბოლოებია; ორივე ერთად კი მის შეგნებაში ოჯახის ერთიანობას განსახიერებს (79, 127-128). ეს სულდეგმულთქცევა, უსულო საგნების გასულიერება, ძირეულად განსხვავდება ამავე ადამიანის მიერ გარესამყაროს, მაკროკოსმოსის შემადგენელი ელემენტების გასულიერებისგან. შინაური სამყაროს ნივთები ადამიანისთვის უფრო ახლობელი, გასაგები და კეთილგანწყობილი არიან ვიდრე გარესამყაროს

შემადგენელი ელემენტები. შინაური ცეცხლი, რომელიც ადამიანს კერაზე უნთია კეთილია, მისი მსახურია, ხოლო გარეთა ცეცხლი ბოროტია, გამანადგურებელია, ყოველივეს მშთანთქმელია. შინ ადამიანს საცხოვრისის ყოველ კუთხში კეთილი ანგელოზები ჰყავს ჩასახლებული, რომლებიც მფარველობენ და ხელს უმართავენ მას; გარეთ კი უკიდეგანო, ათასნაირი ღვთაებებით (კეთილი თუ ბოროტი) დასახლებული ბოლომდე შეუცნობი სამყაროა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უდიდესია საცხოვრისის როლი ადამიანის სივრცითი შეხედულებების გააბრებასა და ჩამოყალიბებაში. სახლმა იქონია არსებითი გავლენა ისეთი შინაგანი ოპოზიციების ფორმირებაზე, როგორიცაა ცნებები „შინ“ და „გარე“. ადამიანის ცნობიერებაში გარემომცველი სამყაროს - სივრცის ორად გაყოფამ „შინ“ და „გარე“ კატეგორიებად, თავისითავად განაპირობა ამ სივრცის შემადგწერი ელემენტების გაყოფაც ასევე ორ ნაწილად - „შინაურად“ და „გარეულად“. ვინც და რაც „შინ“-ში შედიოდა, „შინაურად“ იქცა, ხოლო ვინც და რაც „გარე“-ში - „გარეულად“.

ამრიგად, აღნიშნეული კუთხით სამყაროს ორ ნაწილად გაყოფამ, ადამიანის ცნობიერებაში ორი „ქვესამყაროს“ ჩამოყალიბება გამოიწვია; უფრო სწორად კი დაფიქსირდა ამ ორი ქვესამყაროს არსებობა. „შინა“ სივრცეს, რომელიც უშადლოდ ადამიანის ხელქმნილი იყო, რადაც საფუძველი, საწყისი უნდა ჰქონოდა, რომლის არსებობაც საფუძვლად დაედებოდა ამ სივრცეული ცნების (რომელიც შემდგომში სოციალურ ცნებად ჩამოყალიბდა) გაფორმებას. სწორედ ეს „რადაც“ უნდა ყოფილიყო ის ცენტრი, რომლის გარეშემოც თავი მოიყარა ყოველივე იმან, რასაც „შინა“ ცნება აერთიანებდა; რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა ადამიანის „შინა“ სამყარო და რომელიც ამ სივრცის ათვლის წერტილად იქცა. ამგვარ ცენტრად, ამგვარ ქმარებულებად გვევლინება კერა. საცხოვრისში იგია უმთავრესი კომპონენტი, რომლის გარშემოც ტრიადებს ყოველივე; თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგია თავად საცხოვრისის პირდაპირი სიმბოლო, იგია მისი საწყისი. თუ კერა ჩაქრებოდა, ოჯახიც ქრებოდა; თუკი სახლი ცხოვრობდა - კერაც ენთო. კერა იყო ის მთავარი წერტილი, ცენტრი, რომლის ირგვლივაც ბრუნავდა მთელი „შინაური“ სამყარო.

უფელესი ნაგები საცხოვრისები, რომლებიც დღესდღეისობით მიკვლეულია ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, წრიული ფორმისანი არიან(265; 203; 186; 81...). უძველესი არქიტექტურული ფორმა, რომელიც აქ ადგილობრივ აღმოცენდა და ჩამოყალიბდა(265, 349), წრიულ-გუმბათოვანი არქიტექტურული ნაგებობა იყო. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წრიული ფორმა მხოლოდ კავკასიელ

ადრემიწათმოქმედთა არქიტექტურის დამახასიათებელი ნიშანი როლია. მემოლითის ხანის პალესფინელი შემგროვებლები (ნაფუფის კულტურა) ბინაძრობდნენ არა მხოლოდ ბუნებრივ თავმეშსაფრებში, არამედ მოცემო, 3-9 მ-ის დიამეტრის მრგვალ მიწურებში, რომელთა ცენტრიშიც კერა პქონდათ გამართული. ამგვარი ნაგებობები ნაპოვნია მურებითის (ჩრდილო სირია) ნამოსახლარზეც (373, 36-39).

არქიტექტურული ფორმა, ისევე როგორც ფორმა ნებისმიერი ხელქმნილი საგნისა, ემსახურება ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ოღონდაც ფორმის უფილიფარობა, პრაქტიკულად სრულიადაც არ ეწინააღმდეგებოდა მის ასახვას კულტურის სისტემასა და არსებულ აბროვნებაში; მოცემულ სიტუაციაში – წარმოსახვაში. არქიტექტურაც ხომ კულტურის ერთერთ სფეროთაგანია, რომელშიაც ხდება სივრცითი წარმოდგენების ასახვა. ძველ მიწათმოქმედთა წარმოდგენებაში, ნაგებობათა გეგმანებაში, მათ ყოფითსა და საკრალურ არქიტექტურაში გამოიხატებოდა მათეული ხედვა გეომეტრიის ინრებული სივრცისა.

როგორც უკვე აღნიშნეთ, ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მიკვლეული უძველესი საცხოვრისების ერთერთ მთავარ დამახასიათებელ ნიშანს ნაგებობათა წრიული გეგმარება წარმოადგენს.

წრის, როგორც გეომეტრიის ინრებული სივრცული წარმოსახვის ხასიათის მაგალითებს, ამ შემთხვევაში, ქართული ეთნოგრაფიული მასალებიდან მოვიფანთ. მათში ნათლად შეიმჩნევა ის შინაარსობრივი დატვირთვა, რომელიც ამ გეომეტრიულ ფორმას, ყოფითი ტრადიციების მიხედვით, მიეწერება ხოლმე.

უნდა აღინიშნოს, რომ წრე, ერთგან ჩაკეფილ, გარესამყაროსგან გამოცალევებულ სივრცეს ასახიერებს, რომელიც შეუღწევადა გარედან და გამოუღწევადა შიგნიდან. ვფიქრობთ, წრის ამდაგვარი ხასიათი მთელ რიგ მაგიურ ქმედებებში ნათლად ვლინდება. მაგ. წრეს შემოუხაბავენ ხოლმე დაკლულ ცხოველსა თუ ფრინველს, რათა ამ არსებამ წრის შიგნით დალიოს სული.

წრეში ჩადებული შინაარსობრივი დატვირთვა კარგად შეინიშნება მთელ რიგ მაგიურ ქმედებებში; აღწერილია, რომ ერთმა ექიმბაშმა შელოცვის ტექსტის ჩაწერის დროს ხის ჩხირით გარშემო წრე შემოიხაბა. თავისი ამგვარი ქმედება მან შემდეგნაირად განმარტა: „ამ წრის იქით სიტყვის ძალა არ გადმოვა და მხოლოდ ცარიელ სიტყვებს გაიგონებოთ“ (37, 195). საყურადღებოა ავადმყოფთან მყოფი შემლოცველის ქმედებაც, როცა ის შელოცვის წაკითხვის წინ ავადმყოფს გარს უვლის ან ჩხირით წრეს შემოუხაბავს.

ლაპებში დღემდეა შემონახული ამ მხრივ ერთი მეტად საყურადღებო წესი: „სივსილის“ (კანის დაავადებაა) შელოცვით

მკურნალობისას, შემლოცველი ადგილს, სადაც ავადმყოფი იმყოფება, წრით შემოფარგლავს, რათა ეს დაგვადება ამ წრეს არ გასცდეს. იმავე ლაზებში, მიცვალებულის დატირებისას, სამძიმარზე მისულებს ჭირისუფალი რამდენჯერმე გარს შემოუვლის, რათა თავისი ამ ქმედებით მათ თავიდან ააცილოს მსგავსი გაჭირვება. ვფიქრობთ, მსგავსი მაგიური ქმედების გამოძახილი უნდა იყოს ქართულ მეცყველებაში დაფიქსირებული გამოთქმაც - „შემოგვევლე“, „შემოგიარე“ (გურული დიალექტის მიხედვით). როგორც ამ და კიდევ სხვა მასალებიდან ირკვევა, წრის შემოვლების მაგიურ ქმედებას, ქართველურ (და საზოგადოდ კავკასიელ) ტომებში საყოველთაოდ გავრცელებული ყოფილდ და მას ყველა კონტექსტში ერთი ძირითადი მნიშვნელობა ჰქონია (37, 196).

დაფიქსირებულია ისიც, რომ შელოცვის პროცესში არა მხოლოდ წრის შემოხაზვით კმაყოფილდებიან (ტექსტს რომ მაგიური ძალა არ დაეკარგოს) და ხშირად, მთქმელსა და ჩამწერს შორის რაიმე საგანსაც ჩასდებენ ხოლმე - რკინას, ქვს ან საერთოდ რაიმე კედლის (თუნდაც სიმბოლური) გადაღმა დადგებიან ხოლმე. ამგვარი ქმედებებიდან კარგად ჩანს, რომ მთქმელის ცნობიერებაში ხასხა და ბლუელს ერთგვარი მნიშვნელობა ენიჭებათ - მათ უნდა შეაკავონ სიტყვის მაგიური ძალა. მაშასადამე, ხაზი - კედელი ზღვარია შელოცვისა, რის შიგნითაც თავის ცხოველმყოფელ ძალას განვინა და ინარჩუნებს ესა თუ ის მაგიური ქმედება. ამრიგად, კონკრეტულ შემთხვევაში ხაშს, შორისად ჩადებულ ნივთს და კედელს ერთურთის მსგავსი - შემომფარგველის, დანარჩენი სივრცისგან გამომცალ-კევებელის, შემომზღვდელების ფუნქცია ეკისრება, რის შიდა სივრცე-შიც მიმოიქცევა გარკვეული სულიერი ენერგია.

წრეხაბის მაგიური დანიშნულებისამებრ გამოყენების ტრადიცია ნათლად შემოუნახავს ქართულ ხალხურ გზაპრეგბსაც, ერთეულთი მათგანის („ყარამანი“) მიხედვით, ყარამანი და მისი ცოლი, რომლებსაც უცხო გარემოში უხდებათ დამის გათევა, გარშემო წრეს შემოიხაზვენ (37, 197). ამ ქმედებაში ნათლად აირეკლება თვით წრის შემომხაზველთა დამოკიდებულება წრესთან, რომლის საშუალებითაც მათ თავი გამოიცალკევეს უცხო გარემოსგან, შეიქმნეს საკუთარი მიკროგარემო, რომლის შიგნითაც მათ თავი „შინაურად“ იგრძნეს და „სახლად“ გაიხადეს ეს სივრცე.

წრე, როგორც ჩაკეტილი სივრცე, გვხვდება მთელ რიგ ხალხურ თამაშობებშიც. მაგალითად ამ მხრივ „ლახტის“ თამაშისას საყურადღებოა წრეში ჩამდგართა ქმედება - ისინი მოწინააღმდეგეთაგან იცავენ თავიანთ სარტყელებს (სარტყელიც ხომ თავად წრეა). წრეში მდგომით ჰყავთ თავიანთი „დედა“, რომელიც ეხმარება

„შვილებს“ ამ სარტყელების დაცვაში(158, 87). თითქმის ანალოგიური სიტუაციაა მეორე თამაშობაშიც, რომელსაც „ბურგობანა“, იგივე „მრგვალი ზირი“ ჰქვია. კენჭისყრის შემდეგ ერთ გუნდს მოუწევს წრედ ჩადგომა; მეორე გუნდის წევრები კი ცდილობენ, მთხედავად „მცველის“ წინააღმდეგობისა, ბურგბე მოახწენებ მათ(იქვე).

წრიულ მოძრაობებს, როგორც წესი, ვეგდებით ხალხურ ქორე-ორგაფიაშიც, რომლებიც სათავეს უძეველესი მისტერიებიდან იღებენ. ასეთი ცეკვებია სხვადასხვა „ფერხულები“, „ხორუმი“, „ძაბრალე“ და კიდევ მრავალი სხვა.

წრის, როგორც გეომეტრიული ორნამენტის ანალიზი მოცემული აქვს თავის გამოკვლევაში ქართული ხალხური ორნამენტის შესახებ ი. სურგულაძეს(იბ. 137).

დასასრულ კიდევ ერთხელ შეიძლება ითქვას, რომ წრე განასახიერებს ჩაკეტილ, გამოცალკევებულ მიკროსიგრუეს, რომლის შიგნითაც მიმოიქცევა, ტრიალებს მაგიური ძალა. ე.ი. წრე წარმოადგენს საშუალებას მაკროკოსმოსიდან მიკროკოსმოსის გამოცალკევებისა. აქვე დაგვსტენ იმასაც, რომ ამგვარი ხედვა სამოგადო ხასიათს ატარებს და არა მარტო ჩვენი რეგიონისთვისაა დამახასიათებელი. ამასთანავე, გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ჩვენ სრულიადაც არ ვავლებთ პარალელებს ცენტრალური ამიერ-კავკასიის აღრესამიწათმოქმედო კულტურების ძეგლთა არქიტექტურასა და ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფასთან. ამის საშუალებას მათ შორის არსებული უბარმაზარი ქრონლოგიური სხვაობაც არ გვაძლევს; უბრალოდ, ჩვენ გვსურს დავაფიქსიროთ და აღვენიშნოთ ის ფსიქოლოგიურ-შინაარსობრივი დატვირთვა, რომელიც ოდითგანვე დევს წრეში და რომელიც თითქმის მსგავსია ყველა წარმომავლობის ხალხებში მათი განვითარების თუნდაც ძალგე აღრეულ საფეხურებებს კი. მიგვაჩნია, რომ წრის ამგვარი შინაარსი, ალბათ, გარკვეულ წილად თამაშობდა კიდეც როლს წრიული არქიტექტურის ფორმირებაში; მითუმეტეს, რომ წრიული არქიტექტურა უფრო აღრეულია და არქაული, ვიდრე სწორკუთხა (209, 76-77).

ჩნდება რა საცხოვრისი, დგება საკითხი სივრცის სხვაგვარი ორგანიზაციისა. განსაკუთრებით აქტუალურია მისი ის ნაწილი, რომელიც გამოიხატება ცნებებით - „შინ“ და „გარე“.

სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ სრულყოფილადაა დამუშავებული კოლექტიურ ღონებები სივრცის გააბრების პრობლემები და განხილულია მისი ფორმები, ნიშნები თუ განვითარების ეფაპები. ერთერთი ასეთი შეხედულების მიხედვით, სამყაროს ცენტრში დგას ინდივიდუმი, რომელიც სოციალურ ჯგუფთან ერთად

განიხილება. მას გარს აკრავს შეცნობილი, მოწესრიგებული გარემო, ხოლო ამ უკანასკნელს უბარმაზარი შეცნობელი სივრცე. წამოყენებული მოსაზრების თანახმად, „შინა“ მოწესრიგებული, სოციალური ერთეულის თვალსაწიერბე განლაგებული ტერიტორიაა, რომელიც პორიტინფის სახით ესაბლვრება „გარეს“, ქასს, სტიქიათა არათორგანიზებულად გამოვლენის ასპარეზს(230, 14). აქვე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ეს ცნობები, უპირველეს ყოვლისა, გამოხატავენ მთელი სოციალური ჯგუფის ერთობლივ ხედვით მოდელს და მისი დამახასიათებელი ნიუანსური თავისთავადობიდნ მომდინარეობენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდესაც სოციალური ჯგუფი შეიცნობს „შინა“-ს, საქუთარი სულის განფენის გარკვეულ სივრცეს, მაშინვე მისსავე ცნობიერებაში აღმოცენდება ცნება „გარე“, რომელიც გაცილებით უფრო ფართო და მომცველია წინა ნაწილისაგან. თითოეული ეს ცნება გულისხმობს რიგ ბიოსოციალურ გარემოებებსა და პარამეტრებს, რომლებიც ერთიმეორისგან განსხვავებული პირობებით ზემოქმედებენ საზოგადოების ცხოვრებაზე(138, 133).

კისმოსი საყოველთაო, ცისა და მიწიერი ძალების მოწესრიგებული გამოვლინებაა: „შინა“ სოციალური ჯგუფისა და ინდივიდის საარსებო, მოწესრიგებული სივრცეა, რომელიც ისევე უპირვესირდება „გარეს“, როგორც კოსმოსი ქაოსს. „გარეს“ გააბრიებაში შენარჩუნებულია „ქაოსური“ ბუნება და ამიტომ, თუ „შინა“ საკრალური და წმინდაა, „გარე“ შესაძლოა უწმინდერი და მავნე იყოს.

როგორც ფიქრობენ, სივრცის „შინა“ და „გარე“ სამყაროებად დაყოფა უძველეს დროს, კერძოდ იმ ხანებში უნდა მომხდარიყო, როდესაც სოციალურმა ჯგუფმა დაიმკვიდრა თავისი სამეურნეო ტერიტორია(138, 141). მაშასადამე, შეგვიძლია აღნიშნოთ, რომ „შინა“-სა და „გარე“-ს, როგორც სივრცეს გაგების ფორმირება ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მოსახლე ტომებში აღრესამიწათმოქმედო კულტურების გაჩენა-ჩამოყალიბებას ემთხვევა; ხანას, როდესაც აქ დასახლდა (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) ადამიანი(იხ. 354). სწორედ მაშინ გაითავისა შეცნეულად მან თავისი სამკვიდრო, თავისი მამული.

მოძღვენი ეტაპი საცხოვრისის, როგორც სივრცეს ფენომენის განვითარებაში, აღნიშნულ ტერიტორიაზე დგება მაშინ, როცა ჩნდება სწორკუთხა ფორმის ნაგებობები. ქრისტემდე IV ათასწლეულის შეა ხანებიდან, მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბებიდან, დგება დრო გარდატეხებისა, რომლებიც აღმ. ამიერკავკასიის ჩრდილო და სამხრეთ მხარეებში სხვადასხვა სიმღლავრით ვლინდებიან. მტკვრის აუზში, ძველი სამოსახლოები ცარიელდებიან და აღმოცენდებიან

ახლები, რომლებმაც დაფიქსირებულ ნაგებობებს სწორკუთხა ფორმები და ბანერი გადახურვა ახასიათებს(265, 270).

გადასცლა სწორკუთხა ფორმის საცხოვრისებზე, ერთერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ იჩრდება ადამიანის ბუნებისგან დამოუკიდებლობა, თუ როგორ ქმნის იგი ახალი კულტურისთვის დამახასიათებელ ფორმებს; სწორხაზოვანი და კუთხოვანი არქიტექტურა არა მარტო ადამიანის მზარდი ძლიერების გამოხატვის, არამედ მის მიერ ბუნების მატერიალიზებულ გადმოცემასაც წარმოადგენს. მასში არკელილია ადამიანის გარემოსთან ჭიდილიც (278, 9). სწორკუთხა ფორმის ნაგებობების განხენა დაკავშირებულია დამჯდარი ცხოვრების წესის საბოლოო დამკვიდრებასთან და სამყაროს შესახებ, როგორც ურთიერთგანმაპირობებელ მოვლენათა სისტემის შესახებ, წარმოადგენის ფორმირებასთან. სწორკუთხა საცხოვრისის სივრცის სიმბოლური გაგება (ხედვა) თვალნათლივ შესამჩნევია წინა აბის ცნობილ ჩათალ-პუიუქის ნამოსახლარბე: გარკვეული გამოსახულებები („ღვთაებების“, ცხოველთა) ასწლეულთა განმავლობაში გამოისახებოდა ინგერიერის ერთსა და იმავე კედლებზე „ღვთაების“ გამოსახვა ხდებოდა დასაცლეთისკენ მიმართულ კედლებზე, ხოლო ხარების გამოსახულებებს მცხოვრები უპირატესად ჩრდილო და აღმოსავლეთ კედლებზე ხატავდნენ(372, 102-108). (იხ. გაბულა I, II-1).

ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, წრიული ფორმის საცხოვრებელი ნაგებობის(თოლოსი) ოთხკუთხა ნაგებობად განვითარების თვალნათლივ სურათს წარმოადგენის ხიბანაანთ გორის ცნობილი მრავალფენიანი ნამოსახლარი (იხ.76). აღსანიშნავია ისიც, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდში საბოლოოდ მკვიდრდება ოთხკუთხა ფორმის საცხოვრებელი ნაგებობები, რის ნათელი დადასცერებაცაა ამ პერიოდის სხვა ნამოსახლართაგან (ქვაცხელები, გუდაბერტყა, ბერიკლდები...) მომდინარე არქეოლოგიურად შესწავლილი არქიტექტურული ფორმები.

ადამიანის ადგილზე კიდევ უფრო დამკვიდრებამ, დაფუძნებამ, დასახლებამ უფრო მეტად გაამძაფრა გარესამყაროს სივრცული აღქმა. კიდევ უფრო გამოიკვეთა სივრცის „შინა“ და „გარე“ ნაწილებად დაყოფა. ეთნოგრაფიული მასალებიდან ცნობილია, თუ რა გულმოდგინებ იცავდნენ ცალკეული ჯგუფები თავიანთ საარსებო სივრცეს და რა ურთიერთობა ჰქონდათ „უცხოსთან“ - სხვა ჯგუფის წარმომადგენლებთან. ყოველდღიურ ცხოვრებაში ეს ურთიერთობები მუდმივ მესისსლეობითა და დროებით სამშვიდობო კავშირებით გამოიხატებოდა. აქ უკვე შეიძლებოდა სოციალურ ჯგუფს საკუთარი ტერიტორია „შინა“-დ ჩაეთვალა მთელი დანარჩენი სამყაროს

საპირისპიროდ, რომელიც შესაბამისად, მისთვის უცხოდ და სახიფათოდ უნდა ყოფილიყო მიჩნეული.

საცხოვრისის ფენომენის ჩამოყალიბება-განვითარების აღრეულ ეტაპებზე, მისი არქიტექტურული ფორმის ანალიზისდა მიხედვით, შესაძლებელია ფორმითი გადაწყვეტის ორი ძირითადი სახის გამოყოფა: პირველი – მრგვალი, თაღოვანი ნაგებობა და მეორე – სწორკუთხა, ოთხი კედლით შემოზღუდული, ბანერად დახურული ნაგებობა. ორივე ეს არქიტექტურული ფორმა არქეოლოგიურად დადასტურებულია დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე(იხ. 265).

სწორკუთხა, ბანით დახურული სახლები კიდევ უფრო მეტად ავითარებდნენ ადამიანის სივრცულ შეხედულებებს. ოთხი კედლის არსებობამ სახლშიდა სივრცე თოხად დაჰყო, ყოველ კედლის, შესაბამისად, თავისი საკუთარი სამხარე დანიშნულება მიანიჭა. ის რაც იღმებოდა, ან იხადებოდა აღმოსავლეთ კედლების, იგი არ დაიღმებოდა და არ დაიხადებოდა სამხრეთ ან სხვა რომელიმე მიმართულების კედლთან; ჭერმა ცარცვალის - ცის სიმბოლური დაგვირთვა მიიღო; დედაბოძი ჭერისა და იატაკის და, შესაბამისად, ცისა და დედაბიტის „შემაერთავად“ აღიქმებოდა. ალბათ ამ პერიოდში უნდა დაფიქსირებულიყო საბოლოო ადამიანის შიდასივრცულ ხედგაში სამი სკნელის, სამყაროს სამი ვერტიკალური ნაწილის – სკნელის, ზესკნელისა და ქვესკნელის არსებობაც.

ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ამგვარი ვერტიკალური სივრცული მიმართება ნათლად შეიმჩნევა ტრადიციული საცხოვრისის - დარბაზის არქიტექტურაშიც. დარბაზი სივრცულად გააგრძებული მთელი სამყარო იყო. დედაბოძი თჯახის ერთიანობის და მთლიანობის სიმბოლოს წარმოადგინდა. დედაბოძს დაფუძნებული ჭერი თჯახის ზეცასთან კავშირს, ერთგვარ კოსმიურ „წესრიგსაც“ გამოხატავდა, ე.ო. ეს, ერთი შეხედვით, წმინდა არქიტექტურული დეტალი (დედაბოძი) იმავე ფუნქციას ასრულებდა, რასაც „სიცოცხლის ხე“, ტაძარი, საკურთხეველი, რომელთა მნიშვნელობაშიც, ძველი ადამიანის შეხედულებისამებრ, ასცირდებოდა სამყაროსეული „მოწესრიგებლის“ ფუნქციები. სახლში, კერაზე ენთო ცეცხლი, რომელიც არასდროს არ უნდა ჩამქრალიყო. ჩაუმქრალი კერა კი, როგორც რ. სირაძე აღნიშნავს, მზის სიმბოლო იყო; ხოლო თუ მზე არ მოაკლდებოდა თჯახს, თუ არ ჩაქრებოდა კერა, მზეგრძელება იქნებოდა დასადგურებული ამ სახლშიც (139, 23). მოწესრომებული იყო დარბაზის დედაბოძი. იგი იმაგრებდა ჭერსაც და ამშვენებდა სახლსაც, რომელიც არა მარტო საცხოვრებელ, არამედ საკულტო ნაგებობასაც წარმოადგინდა. მასში დვთიური აზრი და მზის სიმბოლიკა იყო განსახოვნებული(იქვე).

მოგანილი მაგალითები ნათელი დადასცურებაა იმისა, თუ სივრცით სიმბოლოებით რაოდენ უხვად დატვირთულ ადამიანი-სეულ სამყაროს აერთიანებდა „დარბაზი“ და ზოგადად, საცხოვრისის ფენომენი. აქ თითქმის ყოველი ელემენტი გარკვეული ასტრალური თუ რაიმე სხვა სიმბოლოს მატარებელი იყო. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ კომპლექსის ყოველ გარკვეულ ელემენტს, იქნებოდა ეს არქიტექტურული(დედაბოძი) თუ ყოფითი(კერა), პირველ რიგში თავთავისი პრაქტიკულად განსაზღვრული დანიშნულებები ჰქონდათ.

ვეხებით რა საცხოვრისის ფენომენს და სამყაროს სივრცულ აღქმას, გვინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ სივრცის „შინა“ და „გარე“ სამყაროებად დაყოფა უძველეს დროში, კერძოდ კი იმ პერიოდში უნდა მომხდარიყო, როდესაც სოციალურმა ჯგუფმა თავისი სამეურნეო და საცხოვრებელი ტერიტორია დაიმკვიდრა(138, 141). ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ეს ეტაპი აღრესამიწათმოქმედი კულტურების ჩასახვა-განვითარების პერიოდს უნდა ემთხვეოდეს. როგორც მიჩნეულია ამ პერიოდში საწარმოო ძალთა მიღწეული დონე ხელს უწყობდა ერთ ადგილზე მუდმივ ძინადობას(265, 67).

გამომდინარე აქედან, უნდა ვიფიქროთ, რომ ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მოსახლე ტომების ცნობიერებაში, სამყაროს ორ ძირითად ნაწილად სივრცისეული დაყოფის საბოლოოდ გაფორმება – „შინ“ და „გარე“ ცნებებად, ქრონოლოგიურად, ქრისტემდე VI ათასწლეულის ბოლოსა და V ათასწლეულის დასაწყისს ემთხვევა.

ბ) საცხოვრისის ფენომენი კონკრეტული სოციალური ერთეულის - „ოჯახის“ ყოფის ამსახველი ფენომენი.

ძველი ხალხების საზოგადოებრივი ყოფისა და კულტურის აღდგენისათვის, როგორც უკვე მრავალგბის აღნიშნეთ, მხოლოდ ერთი რომელიმე სამეცნიერო დისციპლინის მონაცემები, რა მრავალფეროვანიც არ უნდა იყოს მონაცემები, ნამდვილად არ არის საკმარისი; ყოველ შემთხვევაში, ამ დროს აუცილებელია ფუნქციონალურად სხვადასხვა კატეგორიის ძეგლების (პირველ რიგში სამოსახლოების, ნასაღომარების და სამართვების, ასევე სახელოსნოების, საკულტო ძეგლების და სხვა) ურთიერთშეჯერებითი განხილვა. სამართლიანადა მიჩნეული, რომ არსებითი წვლილი აღნიშნული საკითხების შესწავლაში შეატანა ეთნოლოგიას; ოღონდებულის მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც თანამედროვეობამდე მოყლი რიგი ინოვაციებითაა მოღწეული, დიდი სიფრთხილით უნდა გამოიყენებოდეს – მათი ქრონოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით, გეოგრაფიული და ეთნიკური ატრიბუციის, ტრადიციული და გადმონაშოური თავისებურებების გულისხმისყოფით.

აღნიშნულია (იხ.299), რომ კავკასიოლოგიურ არქეოლოგიურ ლიფერატურაში საზოგადოებრივი ურთიერთობების საკითხების შესწავლას, თუ არ ჩავთვლით ამ პრობლემისადმი მიძღვნილ რამდენიმე ნაშრომს (გ. ქავთარაძე; გ. მინდაშვილი; ა. ამირხანოვი; ი. კიკვიძე), არ ეთმობა სათანადო ყურადღება. უნდა აღნიშნოს ისიც, რომ ხევნებულ რეგიონში ამ საკითხების შესასწავლად არსებული წყაროთმცოდნეობითი ბაზაც არასაკმარისად ინფორმაციულია. თუმცა არსებული მონაცემების საფუძველზე მაინც შესაძლებელია კავკასიის რეგიონში უძველესი პერიოდიდან მოყოლებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთგვარი რეცროსპექტივა.

საერთოდ ცნობილია, რომ შემგროვებლური მეურნეობის პირობებში ჩამოყალიბებული თემის სიღიღე, ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, მკაცრად დამიტორებული იყო. ასეთი კოლექტივები საშუალოდ 40-იდან 100-მდე ითვლიდა და მათ შორის, როგორც წესი, 8-10 კაცი ნადირობით, ხოლო ქალთა დიდი ნაწილი შემგროვებლით იყო დაკავებული. თემები აგარებდნენ სისხლითნათესაურ, ანუ ოჯახურ ხასიათს (276,26), რომლებიც გაერთიანებულნი სამეურნეო და სულიერი კავშირების რთული სისტემით შეადგინდნენ იმ საფუძველს, რომელის ბაზაზეც შემდგომ პერიოდში უფრო

როგორი სოციალური ერთობა – ტომი ამოიბარდა. ამ პროცესის ანარეკლ წარმოადგენს მეტოლითის ეპოქაში ფართო კულტურული ერთობების ბაზაზე რიგი ლოკალური ვარიანტების წარმოქმნა, რომლის დროსაც „მეტოლითურ კულტურებს შორის სხვაობა ეთნიკური ხასიათისაა და ამ კულტურების წარმოქმნაში აირეკლება მონათესავე თემთა განსახლება მიმდებარე რაიონებშე, რაც შედეგი იყო აღრეკლი დიდი თემების დანაწევრებისა”(345, 21). ამ აზრის გათვალისწინებით დასაშვებია, რომ კავკასიის მთიანი რელიეფის პირობებში, პრაქტიკულად ყოველი ხეობა გამოქვაბულებით, ქებით, სამონადირეო ადგილებით, წყლის რესურსებით გამხდარიყო „საცხოვრებელი სივრცე“ ერთი ან ორი მონათესავე თემისა, რომელიც შემდგომში უფრო დიდ ტერიტორიას იკავებდა. მაგალითად, როგორც ა. კალანდაძე ვარაუდობს(71,16), თუკი ჯრუჭულას ხეობა ერთ ან რამდენიმე სანათესაო თემს ეკუთვნოდა, ყვირილას აუზის შეაწყობით მეტად მსხვილი თემთა გაერთიანების ე.ო. ტომის კუთვნილი მიწა-წყალი ყოფილიყო. ასეთსავე გაერთიანებებს შესაძლოა სჭეროდათ ძირება-ჩხერიმელისა და ძევრულა-წყალ-წითელის ხეობები (71,21).

„ნეოლითური რევოლუციიდან“ გამომდინარე ჩნდება სტაციონარული დასახლებები მუდმივი ცხოვრებისთვის ნაგები საცხოვრისებით. საბოგალოდ ყოველი კონკრეტული დასახლების ფიპი არსებული ბუნებრივ - კლიმატური პირობების ტრადიციულობის, სამშენებლო მასალის ხასიათის და სხვა მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით იყო განართებული. წინა და შეა აზის ყველაზე აღრეული სამიწათმოქმედო დასახლებები მჭიდრო განაშენიანებით ხასიათდებიან; დასახლების ფართობი 0,1-2,5 ჰექტარის ფარგლებში მერყეობს. სამიწათმოქმედო მეურნეობის პროგრესთან ერთად ყალიბდება დასახლებათა იერარქიულობა, რაც კარგად შეიმჩნევა შეა აზის ენეოლითური ძეგლებიდან მომდინარე მასალების მიხედვით(354,15). უკანასკნელ ათწლეულებში ამიერკავკასიაში მთელი რიგი პირველარისხოვანი ადრესამიწათმოქმედო პერიოდის დასახლებები იქნა შესწავლილი, რომელთათვისაც დამახასიათებელია თიხატკეპნილი საცხოვრისების მჭიდრო განსახლება, შიდა საცხოვრებელი სივრცის ერთიანი სახით მოწყობა, სამეურნეო ყოფითი ნაგებობების ურთიერთსიახლოვე. ყოველივე ეს იმის საშეალებას იძლევა, რომ ქრისტემდე VI-IV ათასწლეულებში კავკასია განხილულ იქნას, როგორც შემადგენელი ნაწილი ფართო კულტურულ - ისტორიული ოკუმენისა. დასანანი ის არის მხოლოდ, რომ ეს ნამოსახლარები ნაწილობრივადა შესწავლილი.

აღნიშნული პერიოდის ერთადერთი ბოლომდე გათხრილი ძეგლი არის ცნობილი ჩოხის ნამოსახლარი (იხ.205). იგი სამხრეთ კავკასიის ბარის მრავალიცხოვანი ნამოსახლარებისგან აღრეული თარიღით (ქრისტემდე VII-VI ათასწლეულები) გამოირჩევა. გამომდინარე საკუთარი მდებარეობიდან (მთიანი ზოლი) გამორჩეულია მისი სამშენებლო-არქიტექტურული ხასიათიც. ამ ნამოსახლარები ძირითადად დადასტურებულია მომპოვებლობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლის დასასრული ეტეპი. ჩოხი ამ დროს წარმოადგენდა პატარა მთური ფიპის დასახლებას. იგი შედგებიდა ორი ფართო, ერთოთახიანი, არქაული სახის მრგვალი საცხოვრისისაგან. ერთი მათგანი, რომელიც მთლიანადაა შესწავლილი, წარმოადგენდა 60 კვ.მ-ის ფართობის ნაგებობას; სავარაუდოა, რომ მეორე დაზიანებული ნაგებობაც ამ ფორმისა ყოფილიყო. ამ ნაგებობების ცენტრში სტაციონარული კერძი იყო გამართული, რაც აქ მცხოვრებთა ერთიანი სამეურნეო ურთიერთობების მიმანიშნებელი უდა იყოს. როგორც პ.ამირხანოვი აღნიშნავს, ერთიანი საცხოვრისის ბინადართა ეკონომიკურმა ერთობამ, მომავალში ასახვა ჰპოვა დაღესტნის მთიელთა ლექსიკაში, სადაც – „ოჯახი“, „სახლი“, „მეურნეობა“ თავის მხრივ და „კერა“ სინონიმებს წარმოადგენენ (205, 117). ჩვენის მხრივ დაგამატებდით, რომ ამგვარი სიტუაცია გვაქმნას ზოგადად იძერიულ-კავკასიურ ენთა ოჯახში შემავალ დანარჩენ და კეძოდ ქართველურ ჯგუფის ენებმიც.

ვარაუდობენ, რომ ასეთ ჩოხის ფიპის თითოეულ სახლში ცხოვობდა დახახლოებით 20-25 ადამიანი, ხოლო საერთოდ სამოსახლოები მცხოვრებთა რაოდენობა 40-60 კაცს აღწევდა, რომლებიც, როგორც მიჩნეულია, ერთიანი საოჯახო თემის წარმომადგენელი იყვნენ. ამრიგად, კავკასიაში ადრესამი-წათმოქმედო კულტურის აღმოჩენამ, რომლის საწყისებთან ნამდვილად ჩოხის ნამოსახლარი დგას, საგრძნობლად დააძველა ამ მხარეში ოჯახურ-თემობრივი ცხოვრების წესის, როგორც ამ რეგიონში ყველაზე ოპტიმალური და ქრონოლოგიურად თითქმის უცვლელი სოციალური ერთობის ფორმირების სავარაულო თარიღი.

აღიარებულია, რომ ჩოხის ნამოსახლარი წარმოადგენს მთური ტიპის აღრეულ სამოსახლოს, რომლის შემდგომი განვითარებაცაა კავკასიის მრავალსაუკუნოვანი სამშენებლო-არქიტექტურული ტრადიციები. ამჟამადაც, კავკასიის მთიანეთში გავრცელებულ საცხოვრისთა ტრადიციულ ფორმებს შორის გვხვდება დიდი ერთსათავსოიანი ნაგებობები, რომლებიც ეთნოლოგთა მიერ შეფასებულია როგორც ბინათმშენებლობის ევოლუციაში უძველესი

მოვლენის გადმონაშთი (205,69; 281,123). ამგვარი დიდი გომის საცხოვრებელი ნაგებობები თავისი პირველადი დანიშნულებით უკავშირდებოდნენ მრავალოჯახიან, ანუ ოჯახურ-თემობრივ ყოფას. არსებითია ისიც, რომ იბერიულ-კავკასიურ ოჯახში შემავალ ენებში შემორჩენილია იხეთი ნათესაობის აღნმიშვნელი ტერმინი, რომლის შინაარსიცაა – „ერთი სახლის კაცები“, „სახლიკაცი“. ისინი აღნიშნავენ ზოგად სანათესაოში უფრო გიწრო წრეს.

ჩოხის ტიპის მთის სამოსახლო – ერთი პატარა ადრესამიწათმოქმედო ერთობის საცხოვრებელი კომპლექსი, კავკასიაში ჯერჯერობით მხოლოდ ერთია აღმოჩენილი. წარსულში მათი არსებობა უდაოა, რამდენადც მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში და მათ შორის კავკასიაშიც მწარმოებლურ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი მიმდინარეობდა მთის ზოლში, იქ, სადაც არსებობდა ამის ხელშემწყობი თავიმაღლური ეკოლოგიური პირობები(იხ. 314). კავკასიაში ჩოხის ნამოსახლარის აღმოჩენა ამ შეხედულების ნათელი დადასტურებაა.

ამ ნამოსახლარზე დადასტურებული სოციალურ სურათთან ერთობ დიდ მსგავსებას ავლენს, თითქმის მთელს ახლო აღმოსავლეთში გავრცელებული ეგრეთწოდებული ჯეოთუნის ტიპის ნამოსახლარები (იხ. 313), რომლებმც მოსახლე საოჯახო თემების შემადგენლობა 60-100 კასს აღწევდა.

ჩოხის დაუნაწევრებელი სივრცის საცხოვრისის ტიპისგან განსხვავებით, სამხრეთ კავკასიურ საცხოვრისთა სივრცე შესამჩნევად დიუერენცირებულია. აქ შეინიშნება მთელი რიგი სიახლეები საცხოვრებელ-სამეურნეო კომპლექსის გეგმარებაში; სამშენებლო საქმეშიც თვისებრივად სხვა მასალა – თიხა გამოიყენება. ეს ნაგებობები წარმოადგენნდნენ ერთიან ურთიერთდამოკიდებულ კომპლექსს, რომელიც ეზოში განლაგებული ბინისგან, მთელი რიგი დამხმარე ნაგებობებისგან, სამეურნეო ორმოებისგან და გარეთა კერებისგან შედგებოდა (იხ.354). ყოველ ასეთ ნამოსახლარზე ძირითად სამშენებლო ერთეულს წარმოადგენდა მრგვალი სახლი გუმბათური გადახურვით, რომლის ფართობიც 10-12 კვ. მეტრამდე აღწევდა. სავსებით სავარაუდოა, რომ მასში ცალკეული ოჯახი ცხოვრობდა. საზოგადოდ, სახლები ერთი ტიპისანი იყვნენ და დაუყოფელი შიდა სივრცით ხასიათდებოდნენ. როგორც ქ. კუშნარიოვა დაასკვნის, ჩოხის სივრცედაუნაწევრებელ საცხოვრისთა ყოფით პირობებთან შედარებით, აქ მცხოვრებთა პირობები გაუმჯობესებულია, რასაც 1000-1500 წლის განმავლობაში საწარმოო ძალთა განვითარებას და საერთო მატერიალური კეთილდღეობის

გაუმჯობესებას უკავშირებს (299,259). სრულიად დასაშვებია, რომ ეს მართლაც ასე ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ მაინც ვთვლით, რომ სხვაობა ჩოხის და სამხრეთ კავკასიის ბარის საცხოვრისთა არქიტექტურულ ტიპებს შორის, ძირითადად გაპირობებული იყო მათი სხვადასხვა ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში არსებობის გამო. ჩოხის სამოსახლოს გიპი სრულიად შეესაბამებოდა მთის რეგიონის გარემოს (სამოსახლოს ეს გიპი ამგამადაც მდგრადია თანამედროვე პირობებშიც), ხოლო სამხრეთ კავკასიის ძეგლებზე დადასტურებულ საცხოვრისთა ტიპები მთლიანად ჰასუხობდა ბარული ცხოვრების სფილს.

ვარაუდობენ, რომ „შულავრის გორაზე“ მცხოვრებთა რაოდენობა 400-500 კაცს აღწევდა, „იმირის გორაზე“ 300-ს, ოაბისის ორ დანარჩენ ნამოსახლარზე – „დანგრეულ“ და „გადაჭრილ გორაზე“ კი 200-250 კაცს. მაშისადამე, გარეგეულ პერიოდში მთელი ამ ოაბისის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 1200 კაცამდე აღწევდა. დასაშვებია ისიც, რომ ყოველ სამოსახლოზე ცალკეული დიდი ოჯახური ერთობა ცხოვრობდა, რაც გვაგრაუდებიებს იმსაც, რომ ასეთი ჯგუფური ნამოსახლარების მცხოვრებნი ერთიმეორეს-თან ნათესაური ურთიერთობებით იყვნენ დაკავშირებულნი.

დიდი ოჯახური ერთობა, ჩამოყალიბებული მწარმოებლური მეურნეობის აღრეულ საფეხურზე, იყო მეტნა კლებად სიცოცხლის-უნარიანი სოციალურ-ეკონომიკური უჯრედი, რომლის საშუალებითაც ყველაზე უკეთ ხდებოდა სამეურნეო ფუნქციის რეალიზება და იყო შედარებით ადვილად სამართავი. ამდენად, ისევე როგორც წინა და შეა აზიის (უმ-დაბალიის, თელ-სოთოს, ჰასუნის, ჯეითუნის, ნამაბდის და სხვა), ასევე ცენტრალური ამიერკავკასიის ნამოსახლარებზე, ყველგან, მოსახლეობა საოჯახო ერთობის ყოფითი ფორმით ცხოვრობდა(იხ.209).

საზოგადოდ თემი, ერთობა, ერთდროულად სამეურნეო, საოჯახო-ყოფითი და იდეოლოგიური კოლექტივია(იხ.209). ერთობის წევრები იცნობიერებდნენ ნათესაურ კავშირებს; ერთობა საკუთარ თავზე იღებდა წევრთა დაცვის ფუნქციებს; კოლექტიური მიწათმოქმედება – საფუძველი თემობრივი ყოფისა, როგორც გადმონაშთური ფორმა კავკასიის მთიანი მხარეებისათვის, როგორც ძველად, ღლესაც დამახსიათებელია (იხ.207). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც ეს საზოგადოდ ოჯახურ თემს ახასიათებს, კავკასიის ადრესამიწათმოქმედ ნამოსახლარებზეც მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა თანაბარი იყო რაც თვალნათლივ შეიმჩნევა მომდინარე არქეოლოგიურ მასალაშიც.

სამიწათმოქმედო თემი, როგორც რთული სამეურნეო ორგანიზმი¹ ითხოვდა მმართველობითი ფუნქციების განხორცი-ელებას, რომელიც აღრეულ საწარმოო ეტაპებზე სოციალური თანასწორობის პირობებში უცუცესთა საბჭოების და გვარის უფროსების ხელში იყო... ესენი იყვნენ უფროსები, უპირატესად თემის პატივდებული წევრები, კოლექტივში უმაღლესი ავტორიტეტის მქონენი. მათ არჩევაში დიდ როლს თამაშიბდა პიროვნული მონაცემები, სქესობრივ-ასაკობრივი ნიშები და სხვა რიგი განმაპირობებული ფაქტორები (მაგ. ინიციაციურ-მაგიური). ეკონომიკური უპირატესობანი მათ არ გააჩნდათ. ოჯახურ-გვაროვნული ერთობის მეთაურათა ფუნქციებში შედიოდა საწარმოო ამოცანათა განაწილება, მათ შესრულებაზე ყურისგდება, სებონურ სამეურნეო ციკლების ხელმძღვანელობა, საირიგაციო სისტემების მოწყობა, თემის შიდა და გარე გაცელა-გამოცელის რეგულირება, სამიმროების შემთხვევაში საჭირო გონიერების მიღება, ყოფითი კონფლიქტების დარეგულირება, კულტმსახურების ჩატარება... საზოგადოდ, ამგვარ რჩეულთა მოვალეობას შეადგენდა თემის კეთილდღეობის უზრუნველყოფა. ეთნოლოგიური მონაცემები ადასტურებენ, რომ სტრატიუკაციის ამგვარი აღრეული ფორმები, პირველ ხანებში ასეთი პირების მხოლოდ სოციალურ (და არა მატერიალურ) მდგომარეობას ასახავდნენ. ისინი იყვნენ როგორც პირველნი თანასწორობა შორის (პრიმიუმ ინტერ პარეს). ამის უმთავრესი მიზები უნდა ვეძიოთ იმაში, რომ ამგვარი ოჯახური ერთობის წევრთა ურთიერთობებს სისხლითათვესაბითი შეგრძნებებით მძლავრად გაჯერებული მორალური კოდექსი არეგულირებდა, რაც თავისთავად გამორიცხავდა ქონებრივ უთანასწორობას მის წევრთა შორის.

საგულისხმოა ის, რომ ამგვარი მორალურ-სოციალური ფონი მყარად არის შენარჩუნებული თუნდაც კავკასიის მოსახლეობის (განსაკუთრებით მთის რეგიონის) დღემდე მოღწეულ ტრადიციულ საზოგადოებებშიც. მაგალითად, ფშავ-ხევსურეთის ცნობილი თავეცისბერის² ბიჭურ ბადრიშვილის შესახებ მოძიებული მასალების მიხედვით ვლინდება, რომ ხევისბრის ფუნქციები სრულად ეთანხმება

¹ გასათვალისწინებელია ისიც, რომ მისი სირთულე, იმდენად სამიწათმოქმედო და სამეურნეო საქმიანობის სირთულით კი არა, მასში შემავალი წევრების თნდივიდუალობით და სისხლისმიერი ვალებებებისაბადმი მათთვის მორალური დამოკიდებულებების სხვადასხვაობებით, უფროს-უმცროსობის დაუწევრელი კანონებისა და წეს-ჩვეულებებისადმი ერთგულებით იყო უპირველეს ყოვლისა გაპირობებული.

² ხევისბრის ინსტიტუტი რომ აღრეული საოჯახო თემის საკულტო ლიდერის ინსტიტუტის განვითარება, ალბათ ნათელია.

ჯერ კიდევ უმეტეს პერიოდებში დადასტურებულ ოჯახერი თემის მეთაურის ფუნქციებს. აქვე საგულისხმოა ფშავ-ხევსურეთის მასალების სიხლხორცელად გამთავისუბლისა და ამ მხარის შეიღის, კლასიკოსის, ვაჟა-ფშაველას დამოკიდულება ხევისბერის ფუნქციისადმი, რაც მას შედეგნაირად აქვს ნათლად გადმოცემული – „სწორს ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს ცდუნება არა სძირავდეს“. ტრადიციულ საზოგადოებაში მთავრი აქცენტი ადამიანის მორალურ სახეზე, თეობისბე, დვოის ხაფის მიმსგავსებულობაზეა გადატანილი. ალბათ წარსულის გადამეტებულ აპოლოგიაში არ ჩამოვართმევს მკითხველი, თუკი ვიტვით, რომ მხოლოდ საზოგადოების წევრთა მატერიალურად თანაბარი ცხოვრების ფონზე გამოჩინდება ხოლმე პიროვნება მორალური სახით თანასწორთა შორის. ხოლო, როგორც ეს სოციალურად და ქონებრივად უთანასწორო, პოლარიზებულ საზოგადოებრივ ყოფაში ხდება ხოლმე, პიროვნების აკარგაგანობის განმსაზღვრელ კრიტერიუმად პიროვნების მატერიალური მდგომარეობა გვევლინება. უნდა ითქვას ისიც, რომ მომავალი „ახალი ცისა და ახალი დედამიწის“ შექმნა, რაც წმინდა წერილშია ნაწინასწარმეტყველები, იქნება მატერიალური დირებულებების გადაფარვა სულიერი დირებულებებით, ანუ მატერიალურად, ხოლციელად დაცემული ადამიანი კვლავ აღზევდება, ამაღლდება დმერთამდე – აბსოლუტურ სიყვარულსა და სიკეთემდე.

არქეოლოგიური და ეთნოლოგიური მონაცემები ნათლად მიგვანიშნებენ იმაზე, რომ საოჯახო თემის სამეურნეო და სულიერ ყოფა-ცხოვრებაში ქალი და მამაკაცი თანაბრად მონაწილეობდნენ. ქალი ეწეოდა სამიწათმოქმედო საქმიანობასაც, ქსოვდა, ართავდა; ამბადებდა ჭურჭელს, ტანისამოსს, საჭმელს, უძღვებოდა სახლს, ასრულებდა საოჯახო კულტმსახურებას. მამაკაცი კი ძირითადში უფრო მძიმე სამუშაოებით იყო დაკავებული – სტრიდა ახოებს, თხრიდა სარწყავ არხებს, ნადირობდა, აგებდა სახლებს, ეწეოდა მესაქონლეობას და თემთა შორის გაცვლა-გამოცვლას...

ქალი – დიასახლისი განსაკუთრებით იყო პატივდებული აღრემიწათმოქმედთა შორის, ამის ნათელი დასტურია კავკასიის (და არა მარტო კავკასიის) აღრესამიწათმოქმედო პერიოდის ნამოსახლარებზე დადასტურებული უპირატესად ქალის ქანდაკებები (იხ.ტაბულა II₄; IV₂). შეა ამის ანაუს კულტურის სამარხებშიც ქალის ქანდაკებებია დადასტურებული; ჩათალ-ჰუსკის ნამოსახლარტეც ერთ-ერთი საცხოვრებლის იაგაკის ქვეშ დაკრძალული იყო ქალი კეერთხით; სამოსახლოს სამლოცველოში კი იკრძალებოდნენ ქალი ქურუმები ობსიდიანის სარკეებით, ხოლო კაცი ქურუმები ბალთიანი სარტყელებით (იხ.371). ცნობილია, რომ ამ პერიოდში თემისა და

გვარის გამოჩინებულნი ატარებდნენ განმასხვავებელ ინსიგნიებს, ხელისუფლების სიმბოლოებს, რომლებსაც გარდაცვალების შემდეგ მათ საფლავში აყოლებდნენ. აღსანიშნავია, რომ ამ დროს სიმდიდრე – ქონება, წარჩინების შედეგი იყო და არა მისი საფუძველი (იხ.246).

გამოანგარიშებულია, რომ გამომდინარე სამიწათმოქმედო საქმიანობის ციკლურობიდან, რომელზეც წელიწადში სავარაუდოდ 3-4 თვე იხარჯებოდა, დასაქმებული უნდა ყოფილიყო საერთო მოსახლეობის დაახლოებით 10% ანუ 120 კაცამდე, რაც შედაცრის გორის მოსახლეობას მეურნეობის მთავარი დარგის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად სავსებით ხელეწიფებოდა.

VI - IV ათასწლეულების კავკასიური საბოგადოების უჯრედს წარმოადგენდა ეკონომიკურად დიფერენცირებული ოჯახური ერთობა ანუ დიდი ოჯახი (იგივე განუყოფელი დიდი ოჯახი, კარგად დადასტურებული და შესწავლილი ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით) უხუცესებით ან უხუცესთა საბჭოების მეთაურობით ან სხვა მსგავს თვითმმართველობითი ორგანოს ხელმძღვანელობით. სავარაუდოა, რომ ეს ერთობები ერთიანდებოდნენ უფრო ფართო სოციალურ შენართებად – ტომებად. შესაბამისად, ასეთი ტომები მოიცავდნენ ერთობებს დასახლებულებს ოაზისებად და ხეობებად³. მიწა და საქონელი კოლექტიურ სარგებლობაში იყო ოჯახური გადანაწილებით. ცალკეული ოჯახები ეწეოდნენ შინამრეწველობასაც. პერიოდის დასასრულისათვის შეიმჩნევა ოჯახთა ამა თუ იმ სახით ვიწრო დასპეციალება. ეს პროცესი, რომელმაც მომავალში თემობრივი ხელოსნობის ჩამოყალიბება გამოიწვია, ამ პერიოდისათვის საწყის ფაზაშია შესული. ეთნოგრაფიული მონაცემები გვიდასტურებენ, რომ ოჯახურ ერთობებს და პატრონიზმიებს საკუთარი სალოცავები გააჩნიათ, რის ცრადიციაც ჯერ კიდევ სწორედ ამ ხელით-ენეროლითის ხანგიდან უნდა მომდინარეობდეს.

IV ათასწლეულის ბოლოსა და III ათასწლეულის პირველი ნახევრის სამოსახლოები წინა პერიოდთან შედარებით გარკვეულწილად სახეს იცვლიან. მათი ნაწილი ძველ ადგილებზე ვითარდება, ნაწილი კი აღრე დაუსახლებელ მიდამოებში აღმოცენდებიან. ამჯერად, სამოსახლო ადგილის შერჩევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ეკოლოგიურ, არამედ თავდაცვით ფაქტორსაც. ეს პირველ ყოვლისა მოცემულ რეგიონში აგრესიული ფონის ბრდაზე უნდა მიგვანიშნებდეს. დასახლებები მთისწინა და მთის გოლში მნელადმისადგომ

³ ხეობებად, ხევებად განსახლება – ნ. ბერძენიშვილი; ერთობილი ხევი სრულიად სვანეთისა და სხვა.

ადგილებში მკვიდრდებიან – მაღალ ტერასებზე, კონცებზე, მთის კალთებზე და შვერილებზე, გარშემორტყმულნი ღრმა ხეობებით და ხელოვნური თავდაცვითი ნაგებობებითაც კი.

დაბლობ რეგიონებში გრძელდება ოაბისური განსახლება, ანუ სამოსახლოთა „ჯაჭვური“ განლაგება, რაც ოჯახურ-ნათესაობითი თემების სეგმენტაციის და მათთან ახლოს პატრონიმიული სოფლების დამკვიდრების მნიშვნელია; ჩნდეა საერთო სამოსახლოთაშორისო სამართვები, რაც ამ სამოსახლოების მცხოვრებთა ნათესაობის დამადასტურებლად ითვლება.

გოგირთი სამოსახლოს გომები მკვეთრად იტრდება წინა ხანებთან შედარებით; ყალიბდება სამოსახლოთა გარკვეული იერარქია: მცირე სამოსახლოები(1-5 ჰა), შეა ბომის სამოსახლოები(3-3,5 ჰა) და მსხვილი(10 ჰა-მდე) დასახლებული ჟუნქტები. გამოთვლილია, რომ მაგალითად ქავატხლას ნამოსახლარზე ერთორთულად 200-300 კაცამდე ცხოვრობდა (იხ.187) და სავარაუდოა, რომ ეს იყო ე.წ. დიდი გაუყოფელი ოჯახი(245,20). არიჭის ნამოსახლარს, რომელიც კავკასიაში მტკვარ-არაქსის პერიოდის აქამდე შესწავლილ ყველაზე დიდ (მისი ფართობი 12 ჰა-მდე აღწევს) სამოსახლოდაა მიჩნეული, რეგიონში დაახლოებით იმგვარი როლი ეკავა, როგორც მაგალითად ჩათაღ-ჰუიუქისა და ნორშენ თევეს ანაგოლიაში, რომლებმაც მოსახლეობა 5-6 ათას კაცს აღწევდა(299,210).

ეკონომიკური აღმავლობა, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლო ასწლეულებში შეიმჩნევა, აისახა ნამოსახლართა არქიტექტურაშიც. ოთახების (რომელიც როგორც ჩანს მცირე ოჯახებს ეკავათ) ცენტრში ჩნდება სტაციონარული კერა. ამგვარი საცხოვრისების შიდა სივრცე საგრძნობლად სჭარბობდა (25 კვ-მ) ენერლითური პერიოდის ფიჭისებრ ნაგებობების შიდა ფართობს. მიღრეკილება გარკვეული კომფორტისაკენ, ახალი სამშენებლო მასალის გამოხენა (სარ-ლასტი, ძელი, ქვა), შიდა საყოფაცხოვრებო ნივთების სიმრავლე, სათავსოების გაჩენა, რიცხალური ნივთები და სხვა, ამ პერიოდში სტაბილური ცხოვრების ნათელი მაგალითია. ამასთანავე, ინდივიდუალურ საცხოვრებელთა ცენტრში სტაციონარული კერების გაჩენა თემობრივ ჯგუფთა შორის გარკვეული ცვლილებების მიმანიშნებლად უნდა ჩაითვალოს.

ეთნოგრაფიულ ყოფაში დღესაც მრავლად არსებობს იმის მაგალითები, რომ პატრიარქალურ ოჯახთა შიგნით, საწარმოო ძალთა განვითარების შედეგად მიმდინარე პროცესების ღროს, საწყის ეტაპზე ეს ერთობანი ინარჩუნებენ პირვენი არსს, შემდგომში კი მათ შიგნით ჩნდება წევრთა პირად საკუთრებაში შემავალი ნივთები, ქონება; თანდათან დიდ ოჯახში მიმდინარეობს მანამდე უცნობი

ერთეულის – მცირე ოჯახის გამოყოფა-დიფერენცირება, რომლის საფუძველიც სწორედ ხსენებული კერძო საკუთრებაში შემავალი ნივთები იქცევა(იხ.286).

ცნობილია, რომ როგორც წესი, ადამიანებს სჭირდებათ გარკვეული საცხოვრებელი მინიმუმი (კვების რაციონი, შიდა და გარე ბიორნერგეტიკული ბალანსი, შინაური სოციალურ-ფიზიკური სივრცე...), რომლის გამომუშავებაც მათ დამოუკიდებლად არ შეუძლიათ და ამიტომაც, აღრეული ხანებიდანვე ისინი, თანამცხოვრებნი, მხარში ედგნენ ერთურთს. თანდათანობით, საწარმოო ძალთა განვითარება იძლეოდა საშუალებას იმისა, რომ ამ საცხოვრებელი მინიმუმის გამომუშავება შედარებით უფრო მცირებიცვან ადამიანთა კოლექტივს შესძლებოდა. ამდენად, თანდათან მცირდებოდა თანამცხოვრებთა რაოდენობაც და ხდებოდა დიდი ოჯახების სეგმენტებიც. მიუხედავად ამგარი დანაწევრებისა, არსი ოჯახისა – სისხლისნათესაობითი, დამილი ურთიერთობა-მოვალეობანი, მაინც უცვლელი რჩებოდა და მიუხედავად საწარმოო ძალთა განვითარების შედეგად გაპირობებული სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისა, საზოგადოების საფუძველს მაინც ოჯახურ-გვაროვნეული ურთიერთობანი შეადგენდნენ; რომლებიც მომავალ ეპოქებში განვითარდნენ და შიდაერთოვნეულ ურთიერთობებად ჩამოყალიბდნენ.

მიჩნეულია, რომ ინდივიდუალური ოჯახების ეკონომიკური დამკვიდრების პროცესს საფუძველი ეყრება იმ მხარეებში, სადაც ერთდროული, ფართომასშტაბიანი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების გამლა შეუძლებელი იყო. საგარაუდო კავკასიაში ასეთი მხარეები იყო ის ოლქები, სადაც ვითარდებოდა ტერასული მეურნეობები(იხ.299; 207). პირველი ტერასები მთიან დაღესტენშია დაფიქსირებული და ქრისტენებული III ათასწლეულით თარიღდება. ხელოვნური, ტერასული მდელოების მოწყობის თავისებურ შრომის ორგანიზაციას მთის რეგიონების მიწათმოქმედნი ინდივიდუალურ, მცირე ჯგუფურ შრომით გამოცდილებამდე უნდა მიეყვანა, რაც განაპირობებდა შედარებით მომცრო ტერასული მოედნების კერძო საკუთრებას და ამასთანავე ეს ხდებოდა კიდევ შემდგომ მცირე ოჯახების ეკონომიკური თვითმყოფადობის საფუძველი(299, 267). შესაძლოა მართლაც საე ყოფილიყო, მაგრამ საუკრალებოა ის ფაქტი, რომ კავკასიის რელიეფზე მოსახლეობის გაშლა ჯერ კიდევ უფრო აღრეული პერიოდებიდან ბარიდან მთისკენ მიმდინარეობს და მეტად საგარაულოა, რომ მთის მოახალშენები უკვე ბარის ოაზისების დიდი ოჯახებიდან გამოყოფილია, თვისობრივად თვითმყოფადი და ეკონომიკურად დამოუკიდებლობის პოტენციის მატარებელი

ჯგუფები არიან. ამდენად ჩენ მიგვაჩნია, რომ დიდი ოჯახიდან შედარებით პატარა მონათესავე ოჯახების სეგმენტაციის პროცესი ჯერ ბარის – განვითარებული მიწათმოქმედების პორობებში შედარებით უფრო აღრე უნდა დაწყებულიყო, რასაც შემდგომში მთის მხარეების უფრო ინტენსიური ათვისება მოჰყვა.

ადმონიერები (ამირანის გორის შეგაღურებიული სახელოსნო, სახელოსნოები გარნისა და ბაბა-ღერიებშე) ცხადყოფებ აღრე ბრინჯაოს ეპოქისათვის ახალი ტიპის წარმოების, შეტაღურების გაფართოებას და შესაბამისად, განსხვავებულ, მჭედელ-ხელოსანთა სოციალური ფენის ჩამოყალიბების დასაწყისს. პირველ ხანებში შეტაღურებიულ სახელოსნოებში ერთგვაროვანი ნაკეთობები მზად-დებოდა, რომლებიც თემის ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებისთვის იყო განკუთვნილი. ეს იყო ტიპიური მაგალითი თემური ხელოს-ნობისა, რომელიც ჯერ არ იყო ქარეული წარმოების დარგად. მჭედლის დამკვეთი და ნაკეთობათა მომზარებელი უპირატესად თემი იყო. თემივე უნაზღაურებდა მას შრომას მოწეული პროდუქ-ციის სახით. აღსანიშნავია, რომ შედარებით მოგვიანო ხანებში ეთნოგრაფიულად დადასტურებული სოფლის მჭედლის სტატუსიც ერთობ უახლოვდება არქეოლოგიური მასალების მიხედვით წარმოსახულ აღრეული ეპოქების სოციალურ სურათს. მჭედლი სოფლის ცხოვრებაში ერთ-ერთი უთვალისაჩინოები ფიგურა იყო. იგი გარკვეული საბურველით მოხილი (როგორც „რკინის მკენე-ტელი“), ერთგვარ მითიურ პირადაც ითვლებოდა; რომლის სიტყვასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა პქონიდა თანასოფლელთათვის. მისი სამჭედლო, გრდემლი, კვერი – ერთგვარი საქრალური ობიექტები იყო, რომელთა ამგვარი ხასიათი კარგად გამოკრთის ცნობილ ქართულ გამოთქმაში - „კვერის დაკერა“. გამოკვლეულია, რომ „კვერის დაკერა“ ხდებოდა რაიმე გადაწყვეტილების მიღებისას; ხოლო ამ გადაწყვეტილების შემუშავება სამჭედლოში, გრდემლთან ხდებოდა. „კვერის დაკვრით“ სრულდებოდა ამ გადაწყვეტილების გაფორმება.

დიდი ოჯახების სულიერმა ერთობამ გამოვლენა პპოვა ერთობლივი კულტმსახურების ფენომენშიც. ქვაცხელას ნამოსახლარბე სამლოცველოს წარმოადგენდა ნაგებობა, რომელიც არაფრით არ განსხვავდებოდა დანარჩენი შენობებისაგან. მხოლოდ მისი შიდა მოწყობა იძლეოდა იმის მინიშნებას, რომ ეს საოჯახო თემის სამლოცველო უნდა ყოფილიყო. ამირანის გორის სამლოცველო, განლაგებული დასახლების გემოთ, მთაზე, სამსხვერპლო მოედანთა კომპლექსს წარმოადგენდა. ცნობილია ამ პერიოდის სამლოცველოები მოხრა-ბლუზზე, ბეიჩი სულთანის ნამოსახლარბე.

კ. კუწინარიოვა ვარაუდობს, რომ ამგვარი სამღლოცველო ნაგებობების გამართვა დიდი კოლექტივების შრომით ორგანიზებას მოითხოვდა, რის სანაცვლოდაც, აგების შემდეგ ისინი ამ კოლექტივთა მოკრების ადგილები ხდებოდნენ. აქვე საგანგებოდ აღნიშვნის დირსია ის გარემოება, რომ სამღლოცველო მის აგებაში დახარჯული კოლექტიური შრომის შემდეგ კი არ ხდება კულტმსახურების ობიექტი⁴, არამედ უცირკელეს ყოვლისა დასახლების ადგილობრივი მცხოვრები ჭვრეტდნენ ამა თუ იმ ადგილზე ხატის, დვოაების საბრძანისს, მის სულიერ გამონათებას და ამის შემდეგ ავებლნენ იქ საკულტო ნაგებობას. ადგილის სულიერება, მისი ერთობილი შეგრძნება, განმტკიცებული საერთო სისხლისმიერი წარმომავლობით, იყო საფუძველი ამა თუ იმ დასახლების მცხოვრებთა ერთობისა. სწორედ ამის შემდგომ, ეს ერთობა, მისეული სულიერების დვრიგა გამოხატულებას პოულობდა კოლექტიური შრომის შედეგად გამოვლინებულ ხილულ, მატერიალური კულტურის ნიმუშებში, რომელთა ქამთასვლისაგან ნამუსრევსაც დღეს აფიქსირებენ არქეოლოგები.

ცნობილია, რომ მსხვილ საკულტო ცენტრებთან გვერდით არსებოდნენ ოჯახური სამღლოცველოები. ინდივიდუალური ოჯახის სულიერი ერთობა კერაში ვლინდებოდა, ამაბე მეტყველებს კერების ორნამეტნაცია და მასთან ახლოს რიტუალურ საგანთა აღმოჩენაც.

მაშასადამე, ხასიათით, მასშტაბით და ლოკალიზებით განსხვავებული საკულტო ადგილების არსებობა სამოსახლოებზე საცხოვრებელ ნაგებობათა გვერდით, ამ ღროისათვის (ქრისტემდე VI ათასწლეულის ბოლოსა და III ათასწლეულის შეუ ხანგისათვის) გარკვეულად აფიქსირებს ისეთი სამოგადოებრივი ერთეულების თანაარსებობას, როგორსაც დიდი და მცირე ოჯახები წარმოადგნენ (299, 268).

III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის I ნახევრის კავკასიის სამოგადოებრივი სტრუქტურების შესწავლის საქმე სათანადო წყაროთა ნაკლებობის გამო ერთობ გაძნელებულია. ეს იყო პერიოდი ეკონომიკის სფეროებში ძირეული ცვლილებებისა, პერიოდი დიდი ეთნიკური მასების გადაადგილებისა, ჩრდილოეთით და სამხრეთით კავკასიის კონტაქტების გაძლიერებისა. თავის მხრივ, ამგვარ კარლინალურ ცვლილებებს შეუძლებელია ძირეულად არ შეეცვალა მოსახლეობის ეკონომიკური, სამოგადოებრივი და სულიერი ცხოვრება.

⁴ როგორც ამას მატერიალისტური მიღებომის საფუძველზე ვარაუდობენ ცალკეული მკვლევარები.

გამონაკლისს შეადგენდნენ დასავლეთ ამიერკავკასიის ნამოსახლარები, რომლებიც ინარჩუნებდნენ თავიანთ ტრადიციულ სახეს; ესენი წარმოადგენენ მომცრო (1200-2000 კვ. მ-ის), ალაგონძრივი (ხუფორული) ტიპის დასახლებებს - დიდი ოჯახებისა და პატრონიმიების სამოსახლოებს.

მაშასადამე, როგორც ეს კავკასიის რეგიონში და მის მიმდებარე მხარეებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალიდან თებალანათლივ ჩანს, საცხოვრისის ფენომენის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მთავარ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს მისი უშეალო კავშირი სოციალურ ორგანიზაციასთან - ოჯახთან. როგორც წესი, საცხოვრისის ინგერიერის სივრცულ გადაწყვეტაში ოჯახის მრავალფეროვანი სტრუქტურა აისახება ხოლმე: ყველაზე აღრეულ არქეოლოგიურ ძეგლებშიც კი უკვე შეიმჩნევა საცხოვრისში მამაკაცისა და ქალის სამყოფის, ოჯახის უფროსის ადგილის და ხანდახან მობარდით სამყოფის გამოცალევების კვალი. შიდა სივრცის ამგვარი დაყოფა ატარებს პირობით ხასიათს და ემთხვევა საკრალური სივრცის ორგანიზაციის პრინციპებს(230,7). საცხოვრისის უშეალო კავშირი სოციალურ ორგანიზაციასთან შესამჩნევია ყველა ხალხში.

მიმთვისებელი მეურნეობის ხანის სოციალურ ერთეულს წარმოადგენდა დამოუკიდებელი ჯგუფი, რომელიც რამდენიმე ქალისა და მამაკაცისაგან შედგებოდა. ეს ჯგუფი აწარმოობდა საერთო მეურნეობას და საცხოვრისები განეკუთვნებოდნენ ცალკეულ ინდივიდუმებს. მოგვიანებით საცხოვრისები განეკუთვნებოდათ წყვილად ოჯახებს, რომელიც შეადგენდნენ გვაროვნულ თემს, რომელმაც, როგორც ფიქრობენ, წარმოებითი მეურნეობის გავრცელების პერიოდში შესცალა პალეოლითისა და მეტოლითის სისხლითნათესაობითი თემი(314, 116).

ჯეოთუნის საკმაოდ კარგად შესწავლილ კულტურაში, შესაძლებელი გახდა სახლთმშენებლობაში დეცენტრალიზაციისადმი თვალის მიღენება. თითოეულ სახლში არსებობდა დიდი კერა ერთანა თვალის მისამართის საკვების მოსამზადებლად. რამოდენიმე წყვილადი თვალის ერთიანობა ქმნიდა შედარებით მსხვილ გაერთიანებას. ნამოსახლარებები სახლობდა რამოდენიმე ამგვარი ერთობა, რაბეც ალბათ მეტყველებს სამიარო ხაროების აღმოჩენაც (314, 104-107). ეს ფაქტი იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ძველ აღმოსავლეთში, აღრესამიწათმოქმედო კულტურების მატარებელ ხალხებში, ოჯახური ურთიერთობანი ჯერ კიდევ საკმაოდ სუსტი იყო. გვაროვნული თემი ეგზოგამიური იყო, ქორწინება მატრი და პატრიარქალური, ხოლო სისხლითნათესაობა შეინიშნებოდა მხოლოდ ერთი ხაზით. უკვე გვიან ნეოლითსა და ენეოლითში, როცა

ვითარდება გაცვლა და ხელოსნობა სოფლის მეურნეობის გამოყოფით, როცა ხდება სახელმწიფოს წარმომქმნელი ბიძგების ფორმირება, ვარა უდობებ ჰქეცეროგენული ოჯახური თემის ფორმირებას, რომელიც შედგებოდა რამდენიმე „სისხლისაგან“(246, 141-145). მრავალოთახიანი საცხოვრისები ისეთი ოჯახური თემების სამყოფელს წარმოადგენდნენ, რომელთაც გააჩნდათ საერთო ბელლები და საერთო ოჯახური სამღლოცველო(314, 336-339). ამრიგად, ოჯახური თემები ხდებოდნენ რა დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეულები, იყოფოდნენ, ცალკევდებოდნენ სოციალური თუ ქონებრივი კუთხითაც.

მსგავსი სიტუაცია შეიმჩნევა სხვა რეგიონებში: პროტოინდოევროპული *t'hom*-ესაა საცხოვრისი, გამაერთიანებელი ხალხისა განსაზღვრული სოციალური და ოჯახობრივი ნიშნით, სახლის მეთაურითა და მისი მსახურებით. აღნიშნული საცხოვრისის ჭერქვებში ცხოვრობს ადამიანთა ჯგუფი, რომლის წევრებიც ერთმანეთან დაკავშირებული იყვნენ სოციალურ-ოჯახობრივი ურთიერთობებით (253, 742). სახლების გაერთიანება იძლეოდა უფრო მსხვილ სოციალურ ერთეულს – დასახლების მსგავსს, რამდენიმე ოჯახისგან შემდგარს, გაერთიანებულს განსაზღვრული ნიშნით. ესაა სახლები გაერთიანებული თემობრივ დასახლებაში(253, 73).

როგორც ცნობილია, ქართველურ ტომებში ოჯახურმა თემმა, როგორც განსაზღვრულმა ისტორიულმა კატეგორიამ ჩამოყალიბება იწყო წინარეისტორიულ პერიოდში. პატრიარქალურ-თემური წყობილების საფეხურზე შეიქმნა ისეთი სამეურნეო-სამოგადოებრივი ფორმა, რომელიც აგებული იყო აგნაცთა ნათესაურ ურთიერთობების მხოლოდ პატრიარქალურ თემურ ურთიერთობებს შეეძლოთ წარმოექმნათ საფუძველი სამოგადოებრივი ორგანიზაციის ისეთი ფორმისათვის, რომელიც მოგვიანებით დაფუძნებული იყენება მათა გაუყოფლობაზე(348, 150).

ოჯახური თემი, სახლის თემი ანუ დიდი პატრიარქალური ოჯახი იყო ძირითადი ბირთვი, პატრიარქალური-თემური სამოგადოებისა. იგი შედგებოდა სამი-ოთხი, ხანდახან შვიდი თაობისაგან ერთი მამის ძირითადი და გაუყოფელი შტოებისაგან; შეადგენდა ერთ მეურნეობას, დამყარებულს მიწისა და წარმოების ძირითადი საშვალებების კოლექტიურ საკუთრებაზე; წარმოებული პროდუქციის თანაბარ, კოლექტიურ მოხმარებაზე. ასეთი ოჯახური თემის შემადგენლობა ძველად რამდენიმე ასეულსაც კი აღწევდა.

ამ საკითხს საინტერესო გამოკვლევა უძღვნა გ. მამულიამ, სადაც იგი აღნიშნავა - „სხვადასხვა წარმომავლობის ტომობრივ ერთობათა შესწავლის შედეგად დადგენილია, რომ ფომის სოციალურ სტრუქ-

ტურაში შემავალი ნათესავების წრიდან მკეთრად გამოიყოფა ნათესავთა შემობღედელი წრე, რომლის წევრებიც ურთიერთის მიმართ მტკიცე უფლება-მოვალეობებით იყვნენ შეკრულნი. ასეთ ახლო ნათესავებად პაპის მამის (პეპერას) ჩამომავლები ითვლებოდნენ პირდაპირი და გვერდითი შტოების მიხედვით. ამ სოციალურ ჯგუფში შემავალი წევრებისათვის ურთიერთის ნათესაობა არა გადმიცე-მებით აღიქმებოდა, არამედ როგორც წესი, ერთმანეთს პირადად იცნობდნენ რადგან თაობათა მიხედვით, აღნიშნული ნათესაობის საზღვრები ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობასთან იყო თანამეჯარდებული. აღნიშნულ სოციალურ ჯგუფში, შვილიშვილის შვილი ყოველდღიურ ყოფაში, იქნებოდა ეს სამეურნეო ოუ მაგიურ-რელიგიური საქმიანობა, თავისი პაპის მამას უშუალოდ უყურებდა და როდესაც თავად მოიყრებოდა თავისი წინაპრის ხნისა, იგი საკუთარ შვილიშვილის შვილს იცნობდა. ყოველივე ამისა გამო, ამ სოციალურ ჯგუფში შემავალ წევრთა უშუალო ნაცნობობა ნათესაობის მეშვიდე თაობამდე აღწევდა, რაც განაპირობებდა იმ გარემოებას, რომ ექვსი შვილი თაობის ნათესავთა შორის ნათესაური კავშირები და ნათესაური რიგი უაღრესად ცოცხლად აღიქმებოდა“ (97, 12).

შვიდთაობიანი ნათესაური სტრუქტურის უაღრეს არქაულობაზე მიუთითებს ისიც, რომ იგი ეგზოგამიური ჯგუფი იყო მანამ, სანამ ეგზოგამია შვიდთაობიანი ნათესაური ჯგუფიდან მთლიანად გვარჩე გავრცელდებოდა. „სახლი“, როგორც უძველესი სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა, სხვადასხვა წარმომავლობის ხალხებში გენეტიკურად შვიდთაობიან ნათესაურ სტრუქტურასთან არის დაკავშირებული და ნათესაური სოლიდარიზაციაც შვიდი თაობის ნათესავთა შორის უაღრესად ჭჭიდროდ ვლინდება (კულტი, მექანიზრება, მესისხლეობა, და სხვა). სწორედ ასეთი მჭიდრო ნათესაური სოლიდარიზაციით შეკრული პაპის მამის (პეპერას) პირდაპირი და გვერდითი შტოების ჩამომავალია სოციალური ჯგუფი, აგნატთა სოციალური გაერთიანება, რომელსაც აგნატურ ჯგუფს უწოდებენ (იქვე).

აგნატური ჯგუფის ტიპის სოციალური გაერთიანებანი სამ პერენტელად იყოფა. პირველ პერენტელში შედიან ეგო-ს მამის ჩამომავლები მესამე თაობამდე – ა) მმა, მმისშვილი, მმისშვილიშვილი. ბ) და, დისშვილი, დისშვილიშვილი. მეორე პერენტელში ეგო-ს პაპის ჩამომავლები მესამე თაობამდე – ა) ბიძა, ბიძაშვილი, ბიძაშვილისშვილი. ბ) მამიდა, მამიდაშვილი მადიდაშვილშვილი. მესამე პერენტელში შედიან ეგო-ს პაპის მამის ჩამომავლები მესამე თაობამდე – ა) პაპის მმა, პაპის მმისშვილი, პაპის მმის შვილიშვილი.

ბ) პაპის და, პაპის დის შეილი, პაპის დის შეილიშვილი. თუ ეგო-ს მემკვიდრე არ ჰყავდა, მემკვიდრეებად რიგორიგობით გამოდიოდნენ აგნატურ ჯგუფში შემავალი ხათესავები. თუ ისინიც არ არსებოდნენ მაშინ მემკვიდრედ გვარი გამოდიოდა(97, 18).

ძველი ქართული სოციალური ტერმინებიდან, განსაკუთრებით საინტერესოდ ჩანს –ხლ– გმნური ძირიდან ნაწარმოები სახელები. ერთეული ასეთი ტერმინი „სახლი“ ენობრივად –ხლ– გმნურ ფუზებიე –სა – პრეფიქსის დართვით იწარმოება. ხლ – ძირი სემანტიკურად „ახლო ყოფნას“, „ერთად ყოფნას“ აღნიშნავდა(97, 44). „სახლი“ მოსახლეობის ერთეულის აღმნიშვნელი სიტყვა იყო. ამ ტერმინის ანალიზს ივ. ჯავახიშვილი იძლევა და აღნიშნავს, რომ „სახლი“ ძველად მარტო ოჯახის საცხოვრებელ ადგილს კი არ ერქვა, არამედ მიწა-წყლისა და აღმინისტრაციული ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინიც იყო(190, 132). „სახლის“, როგორც სოციალური ერთეულის არსებობა გაცილებით უფრო აღრეა საგულისხმებელი. გამოთქმული მოსაზრების თანახმად, უკვე ქრისტიანულები II ათასწლეულის II ნახევარში დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლე ტომთა ძირითად სოციალურ ერთეულს – უჯრედს ექვსია-შვიდი თაობისაგან შემდგარი აგნატური ჯგუფი წარმოადგენდა, რომელიც შემდეგ სოციალურ ტერმინებს მოიცვდა – „ნათესავი“; „თვის“; „შვილი“; „მკეილრია“; „მაძიებელი სისხლისა“; „მახლობელი“; „ახლოელა“. ამათ გარდა სხვა ყველა „უცხო“ იყო. ძველ ქართულ წყაროებში „თვისისა“ და „მკეილრის“ კონტრაგენტად „უცხო“ გვევლინება(97, 40). ყველა გემოთ აღნიშნულ ერთეულს – ყველა „შინაურის“ „სახლი“ აერთიანებდა. სიტყვა „სახლში“, როგორც ლექსიკურ ერთეულში, ძალბე საინტერესოდ გამოიყურება ძირი – ხლ. ამ ძირზე აგებული სიტყვები –სა-ხლ-ი, სა-ხლ-ე-ულ-ი, ხლ-ებ-ა, სის-ხლ-ი, მა-ხლ-ო-ბ-ელ-ი, ხლ-არ-თი და სხვა, გარკვეულწილად გამოხატვენ -ხლ- ძირის შინაარსს. ძველი ქართული ლექსიკური მონაცემებიც საკმარის მასალას იძლევა ამ თავისთავისით(იხ. 3; 58...). მაგალითად, სახლეული – „სახლი“, „თვისთავანი“, „ძენი“, ოჯახი, ოჯახის წევრები: „იყვნენ მტერ კაცისა სახლეული თვისნი“ (მათე. 10,36). „სახლეულითურთ თანაყოფით იყვნეს მონა“ (შეს. IV,24). მოგანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ –ხლ– ძირი დომინირებს გარკვეულ, შინაარსობრივად მსგავს სიტყვებში. ეს ასოთა წყობა –ხლ– როგორც ბემოთ იყო აღნიშნული, განსაკუთრებით სისხლით ახლობელი ხალხის კრებითი შინაარსის მაგარებელი უნდა იყოს.

ძველი ქართული სახლი მიწა-წყლისაგან, გამწევი ძალისაგან, ნაგებობებისგან და კიდევ მრავალი ერთი სისხლისმიერი ერთობის საკუთრებაში შემავალი სხვა კომპონენტებისგან შედგებოდა. სახლს

სათავეში მამასახლისად წოდებული გამგებელი გვარის უხუცესი ჰყავდა(97, 44). სახლები ერთიანდებოდნენ და ერთ ერთეულს „სოფელს“ შეადგენდნენ.

ძველი ქართული წერილობითი ძეგლებიდან მომდინარე მონაცემების მიხედვით, „სოფელი“ ქვეყანას აღნიშნავდა(190, 130). „ევსტათი მცხეთელის მართვილობაში“(*ქრისტესშემდგომ VI საუკუნე*), სპარსეთის მარზპანი ევსტათის ამგარად მიმართავს: „რომლისა სოფლისა ხარ, ანუ რომელი ქალაქისა“. ევსტათი პასუხობს: „მე სოფლისა სპარსეთისა ვიყავ, (ხევისა) არშაკეთისა, ქალაქისა განძაკისა ვიყავ“(190, 30).

მოტანილ დიალოგში საყურადღებოა თვით ინდივიდის მიდგომა საკუთარი სამკვიდრო ადგილისადმი. თვალნათლივ ჩანს, რომ ევსტათი თავისი მიწის წარმომავალი, იქაური – სპარსელი კი არ არის, არამედ მიწის ნაწილია, ამ მიწაზე მსხლომი თემის კუთვნილებაა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს თემი, მიწნეულია ორგანულ ნაწილად საკუთარი გეოგრაფიული სამყოფისა – მიწისა და მასთან კავშირში წარმოადგენს ერთიან რეალურ ძალას. თვალწინ წარმოგვიდგება ერთობ საინტერესო სურათი – კონკრეტული მხარე და მასზე მოსახლე ერთობა ურთიერთთანაა შერწყმული, ერთ სისხლხორცეულ ერთობადა ჩამოყალიბებული. თავის მხრივ, სწორედ ამგარი დამოკიდებულება უდებს საფუძვლად ხაგისა და საყმოს ურთიერთობასაც. საყმოს ყოველი წევრი შვილია, კუთვნილებაა, ნაწილია თავისი ხაგისა და უშესლო ნაწილია ერთიანი საყმოსი. მოტანილ მაგალითში ჩანს მიდგომა – ურთიერთდამოკიდებულება „ინდივიდ-ნაწილისა“ საკუთარ მიწასთან და მასზე მოსახლე თემთან. ქვეყანა მაშინაა ქვეყანა, როდესაც იყი ათვისებულია რაიმე სოციალური ერთეულის მიერ, რომელიც ფლობს მას და ეთვისება მას, საუფლო მიწას - აღნიშნავს ნ. ბერძნიო-შვილი(25, 20-21).

ტერმინი „სოფელი“, ქრისტეს შემდგომ VIII ს-ის დამლევისათვის, ჯერ კიდევ საბოგადოდ ქვეყანას აღნიშნავს. IX-X საუკუნიდან მოყოლებული კი უკვე ეს ტერმინი წინანდებურად ქვეყანას და სანახებს კი აღარ აღნიშნავს, არამედ რომელიმე ცალკეულ დაბას. ისე კი ამ პერიოდამდე და მას შემდგომაც, სოფლის მერმინდელი და თანამედროვე მნიშვნელობით ტერმინი „დაბა“ იხმარებოდა, რომლის პრვანდელი ფორმაც იყო – „დაბანი“(190, 131). ეს სიტყვა თავიდანვე დამუშავებულ მიწისა და ნახნავს აღნიშნავდა; სვანურში „დაბა“ ახლაც ხნელს აღნიშნავს(იქვე).

ენეოლითის ხანიდან მოყოლებული, უძველესი ნამოსახლარები მიწათმოქმედების საკმაოდ განვითარებულ კულტურასთან არიან

დაკავშირებული. დასახლება მაშინაა სამოსახლო, როცა მასზე მოსახლე „სახლი“ მუდმივად მკვიდრობს, ე.ი. ეწევა მუდმივ ყოფას – მიწათმოქმედებას. წინააღმდეგ შემთხვევაში – წამყვანი მესაქონლეობის შემთხვევაში, იგი სამოსახლო კი არა სადგომი იქნება. ნომადური ცხოვრების წესს – მომთაბარეობას, მესაქონლეობას, სადგომი სჭირდება და არა სამოსახლო. უძველესი პერიოდიდან მოყოლებული ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ჩვენ უკვე ძირითადად ნამოსახლარები გვაქვს და არა ნასადგომარები. ეს მდგომარეობა, ამ მხარეში მოსახლე სოციალური ერთეულებში მუდმივი, დამჯდარი ცხოვრების წესის წარმმართველ როლზე მიგვითითებს.

ადნიშნული „სახლი“, თავის სამკვიდრო, სამოსახლო მიწაზე არსებობდა, მიწასთან იყო შეთვისებული, ცხოვრობდა მასზე. „სახლის“ არსებობას, ყოფას საზოგადოდ, სიტყვა - „ცხოვრება“ აღნიშნავს. მისგან ნაწარმოებია – „საცხოვრისი“, „საცხოვრებელი“, იმ ადგილის სახელი, სადაც ცხოვრობდა, მყოფობდა კონკრეტული სოციალური ერთეული – „სახლი“.

სიტყვა „საცხოვრის“-ში -ცხ- ძირის ბგერათა შეთანხმება გამოიყოფა. როგორც ცხობილია, ყოველ წაში არსებული ფონემები და მათი შეთანხმებანი ენის ხასიათს, მასზე მოლაპარაკე ეთნოსის ხასიათს გადმოსცემენ(260, 370-371). ამიტომაც, გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ ჩვენ ასე ხშირად ვეხებით ამა თუ იმ სოციალურ და ყოფით ტერმინთა აღმნიშვნელი სიტყვების ბერათშეთანხმებებს. ამჯერად, მაგალითისთვის ცხ- ძირზე აგებულ შემდეგ სიტყვებს მოვიხმოთ:

-ცხად- ცხად იყვნენ საქმენი მისნი(ი. 3,21); მამაი შენი რომელი პერიოდის შენ ცხადად(ძ. 6,4); ვარდარა ხელ - იწიფის მან ქალაქად ცხად შესკელად(მრ. 1,45).

-ცხება (წაცხება, წასმა; ე.ი. რაიმეს სიბრტყებე განფენა, რაიმეს რაიმებე მოფენა) – ამბორსუფოფდა ფერთა მისთა და სცხებდა ნელსაცხებელსა(ლ. 7,38). სცხებდეს ზეთსა მრავალთა სნეულთა და განპკერნებდეს(მრ. 6,13). რომლისათ ისაც მცხო მე(ლ. 6,18).

-ცხებული (გამორჩეული, რჩეული – გამორჩეულია ის ვისაც ზეთი ან მირონი სცხია) – ვიღრემდე იხილოს ცხებული უფლისა (ლ. 2,26).

-ცხედარი (საწოლი - გაშლით დასადებელი, გასაცხებელი) – აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახიდ შენდა(მთ. 9,6). მას დამესა ორნი იყვნენ ერთსა ცხედარსა(ლ. 17, 34). მოართეუს მას განრღვეული ცხედარსა ზედა მდებარე(მთ. 9,2).

-ცხოვრება, ცხორება: სიცოხვლე, ხსნა, გადარჩენა: – სიტყვათა რომელთა გატყ თქუენ, სულ არიან და ცხორება(ი. 6,63). ცხორება საუკუნო დაიმკიდროს(მთ. 19,16). შეკრიბოს ნაყოფი ცხოვრებისა მას საუკუნოსა(ი. 2,36).

-საცხოვარი: ცხვარი, საქონელი: – იგი თავადი ამისგან სუმდა, ძენი მისნი და საცხოვარი მისი(ი. 4,12).

-საცხორებელი: ქონება, ცხოვრების საშუალება: – შეწირა ყოველი საცხორებელი თვესი(მრ. 12, 44). ამან ყოველი რაიცა აქუნდა, შემოწირა საცხორებლად მისა(58, 525).

-ცხ-ოვ-ელ – სიცოცხლეს, სულის მიწაზე განფენას, საზოგადოდ ყოფს ნიშნავს. მამამან აღაგდინენ მკუდარნი და ცხოველ იქყვნენ(ი. 5,12); რაისა ეძიებოთ ცხოველსა მას მკუდართა თანა(ლ. 24,5)...

როგორც ვხედავთ, -ცხ- ბგერათა შეთანხმება, სულის ყოფიერების, არსებობის განფენას, გაშლას, მოფენას აღნიშნავდა ქართულ ენაში.

საცხოვრისთან (და საერთოდ ყოფასთან) დაკავშირებულ სოციალურ ტერმინთაგან ერთობ საყურადღებოა – „ნათესავი“, „თვისი“, „შვილი“. ეს ტერმინები ურთიერთის სინონიმებადაა მიჩნეული (97, 23).

ის, რომ სიტყვა „ნათესავი“ შინაარსობრივად განაყოფიერების ცენტებს უკავშირდება, სადათ არ უნდა იყოს. „ნათესავი“ არის ის, ვინც თესვის, განაყოფიერების შედეგად ჩნდება და საერთო მამიდან, „მშობელი“ ძირიდან მომდინარეობს. თავისთავად სახლი, სისხლისმიერი ერთობა, სერთო წარმომავლობითი დერიგით გაერთიანებული თესლენაყარი ერთობა, მომდინარეა თავისი სამკვიდროდან, მიწიდან, რომელთან ერთობლიობაშიც განიხილება ამ სახლში შემავალი ყოველი ცალკეული ინდივიდი. ისინი საერთო ნათესავური ერთობის პრინციპი პით არიან შეკრულ-შედებაბებულნი და ერთიანი სანათესაო ღვთაების სამსახურით, ინიციაციურად შესულნი არიან სამკვიდრო გარემოსთან სისხლხორცულებულ კავშირში.

სიტყვა „მკვიდრი“, ხალხურ ყოფაში, დიდი ოჯახის წევრებს – ბიძაშვილს და მამიდაშვილს აღნიშნავდა. რაც შეეხება დას, მმას ან შვილს – მათ „ღვიძლად“ მოიხსენიებდნენ. ღვიძლი ხომ სისხლწარმომქმნელი უპირველესი ორგანო. „ღვიძლები“ ერთი ოჯახის წევრები არიან, ხოლო „მკვიდრები“ – ბიძაშვილ-მამიდაშვილები, რომლებიც ერთ სამკვიდრებელზე სახლობენ და ამ „სამოსახლო“ მიწის გარშემო „შვილობის“ პრინციპი პით ერთიანდებიან. ამ ერთიანობის საუკეთელები კი კულტია, „ადგილის დედაა“ – ხატია, რომელიც იდეურად ჰქონავს, ამთლიანებს ამ

ერთობას; უწოდებს რა ამ სახაფე მიწაზე მკვიდრი ყოველი წევრი თავს - შვილს ამ „სატ-სამკვიდროისას“.

„შვილისა“ და „მკვიდრის“ ურთიერთმიმართებას ზუსტად განმარტავს ეფრემ მცირე. იგი აღნიშნავს: „შეისწავე, რამეთუ მკვდრი საკუთარი(ე.ი. შესაბამისი) სახელი არს შვილისა მის განა თუ შვილებულისა, რომელსა ბრდიან, რაითა მან დაიმკვდროს უფლება სახლისა (53, 29).

მაშასადამე, საცხოვრისი საზოგადოდ, ეს იყო ადგილი სადაც თავს იყრიდა, ერთიანდებოდა და ყალიბდებოდა როტელი შინაგანი სტრუქტურის მქონე სოციალური ერთობა - „სახლი“, რომლის წევრთა ურთიერთობანიც სისხლითნათესაობით პრინციპზე იყო დამყარებული. ისინი იდეურად ერთიანდებოდნენ ერთ ჭერქვეშ, ერთი „ფუძის ანგელოზის“, ერთი დვთავების თაყვანისცემის საფუზველზე. მათი ამგვარი ერთობა კი უძირველესად დაფუქხებული იყო გარევე ული სამკვიდრო ტერიტორიის, მიწის საერთო მფლობელობაზე.

„სახლში“ შემავალი ინდივიდები, თითოეული, საკუთარი სისხლითნათესაობითი ხარისხის მიხედვით „ნათესავად“, „თ სად“, „შვილად“, „მკვიდრად“ იწოდებოდა. ყველა ისინი „შინაურები“ იყვნენ, რადგანაც ერთ სახლში, ერთ საცხოვრისში უხდებოდათ თავშეყრა. დანარჩენნი, ვინც მათ სახლსვარეთ, მათი ოჯახის გარეთ იმყოფებოდნენ – „გარეშელ“ იწოდებოდნენ.

მეტად საინტერესოა ისიც, თუ როგორ იქცნენ სივრცული ცნებები – „შინ“ და „გარე“, სოციალურ ცნებებად – „შინაური“ და „გარეული“.

ერთ-ერთი ყველაზე გადამწყვეტი პერიოდი კაცობრიობის ისტორიაში, რომელმაც გარკვეულად განსაზღვრა მისი შემდგომი განვითარება, იყო მითვისებითი – სამონადირეო და შემგროვებლური მეურნეობიდან მწარმოებლურ მეურნრობაზე გადასვლის პერიოდი, ამ უკანასკნელის ძირეული ფორმების ჩამოყალიბების, განვითარებისა და გავრცელების პერიოდი. თითქმის ყველა ის ძირითადი მოსამარებანი, რომლებიც ისტორიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეთნოლოგთა და არქეოლოგთა მიერ არიან გამოთქმულნი, ემყარებიან კაცობრიობის ისტორიაში მითვისებითი მეურნეობიდან მწარმოებლურზე გადასვლის განმსაზღვრელი როლის აღიარებას.

ეკონომიკური ბაზისის შეცვლამ, შესაბამისად, გვაროვნული საზოგადოების გადახალისება გამოიწვია. მეურნეობის ახალ ფორმებზე გადასვლამ, საბოგადოების შიგნით სხვაგვარი ურთიერთობების დამკვიდრებას შეუწყო ხელი. შეიცვალა დამიკიდებულება ფომებსა და გვარებს შორის, რაც უფრო მსხვილი ტომობრივი

დაჯგუფების ჩამოყალიბებაში გამოიხატა. ამ პერიოდიდან, უკვე თვალიათლივ შენიშვნება მკვეთრად ჩამოყალიბებული არქეოლოგიური კულტურების არსებობა. იქმნება მსხვილი ეთნიკური გაერთიანებები. მკვეთრად მატულობს მოსახლეობის რაოდენობაც. კავკასია ნეოლითის ხანაში უკვე საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ჩანს. გაზრდილი მოსახლეობა ახალი ტიპის მეურნეობისათვის ვარგისი მიწების ათვისებას პერმანენტულად ინტენსიურს ხდის. ფართოვდება ტომების სეგმენტაციის საკმაოდ ინტენსიური პროცესი. იქმნება მონათესავე ტომთაგან შექმნილი ეთნიკური ჯგუფები, როს ანარეკლადაც მეტნაკლებად ერთგვაროვანი დიდი არქეოლოგიური კულტურების არსებობაა მიჩნეული(199, 45).

განსაკუთრებით ენერგიულად მიმდინარეობდა აღნიშნული სეგმენტაციის პროცესი, ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე, მაშინ როცა ტერიტორიის მსახლეობა არც თუ დიდად ინტენსიური იყო, როცა არ არსებობდა თემთა მორის მჭიდრო ეკონომიკური კავშირები. მაშინ გამოყოფილი თემი, ორი-სამი თაობის შემდეგ, შეიძლებოდა მთლიანად მოსწყვეტოდა ძირითად თემს. ასეთ პირობებში, როგორც გამოთქმულია მოსაზრება, რამდენიმე ათეული თაობის შემდეგ სავსებით შესაძლებელია სრულიად ახალი ენაც კი ჩამოყალიბებულიყო(340, 12). ერთი კია, ახალ ენასა და შესაბამისად ახალ ეთნოსს ჩამოყალიბებისა და საბოლოო სახის ფორმირებითვის აღნიშნულს გარდა მთელი რიგი პირობები ესაჭიროება. ყოველი შემთხვევისათვის, სეგმენტაციის პროცესი რომ ახალი დიალექტების ჩამოყალიბებს უწყობდა ხელს, ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

მომდევნო ეტაპზე, დიფერენციაციის – სეგმენტაციის პროცესი ისევ ბატონობდა, ოღონდ ახლა უკვე განსხვავებული იყო მისი შედეგები. საწარმოო ძალთა გაზრდამ და ეკონომიკური კავშირური ერთობების გაცხოველებამ შექმნა იმგვარი პირობები, როცა ახალი თემები, როგორც წესი უკვე აღარ კარგავდნენ კავშირებს ძველ, ძირ თემებთან. საბოლოოდ წარმოიქმნებოდნენ კულტურისა და დიალექტების მსგავსებით გაერთიანებული მონათესავე ტომთა ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთთან სხვა არსებითი კავშირების გარდა „ლინგვისტური განუყოფლობითაც“ ერთიანდებოდნენ (340, 12). მოცემულ ეტაპზე გაერთიანების და განსაკუთრებით ასიმილაციის პროცესები გადამწყვეტ როდს ასრულებდნენ. ამის მიზები იყო თუნდაც ის, რომ ტომთა ერთი ჯგუფის ტერიტორიის გაზრდა სხვა ტომების ტერიტორიების ომების გზით შემოერთების ხარჯზე ხდებოდა.

შემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე აღნიშნული ხასიათის კატაკლიზმები ნათლად

დასტურდება კავკასიის რეგიონიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალებიდანაც. აქ უკვე ენეოლითის ხანაში, აღრესამიწათმოქმედო კულტურების გავრცელების ხანაში ამგვარი სეგმენტაციური და ინტეგრაციული პროცესები უდარ ფაქტია.

ქვემო ქართლში, მარნეულის ვაკებზე ნასოფლარი ბორცვები ჯგუფ-ჯგუფადა განლაგებული. თითოეული ასეთი ჯგუფი 3-5 ბორცვებისაგან შედგებოდა (იხ.81). მაგალითად, შელავრის ჯგუფი თოხი ამგვარი ბორცვი შედიოდა. ძირითად ბორცვზე, შუღავრის გორაბე, ცხოვრება ტერიტორიის ათვისების პირველ ხანებშივე უნდა ჩასახელიყო. შემდგომში, მოსახლეობის რაოდენობის გრძასთან ერთად, ეს დასახლება ნამატებ ვეღარ იტევს და მოსახლეობის ნაწილი იძულებულია ახალ ადგილზე გადავიდეს. ძველი სოფლის ახლოს ჩნდება ახალი დასახლებები. ქვემო ქართლის რეგიონში ამგვარი სეგმენტაცია აღნიშნული პერიოდისათვის რამდენჯერმე უნდა მომხდარიყო (199, 48). როგორც ცნობილია, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში აღრესამიწათმოქმედო კულტურების ჩამოყალიბების ხანა ქრისტემდე VI ათასწლეულის ბოლოს იწყება და ორ ლოკალურ რაიონში ვლინდება. ვარაუდობენ იმასაც, რომ ისინი ადგილობრივ საერთო ფესვებს ეფუძნებოდნენ. ერთი მათგანი ქვემო ქართლსა და მის მიმდგომ მხარეებს მოიცავდა (შელავრი-შომუ თევფეს ვარიანტი), მეორე კი ყარაბაღ-ნახჭევანის ოლქს, არარატის ველს და ჩრდილო კავკასიაში, თანამედროვე დაღესტნის ტერიტორიაზეც გადადიოდა. ამიერკავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ზოლში ჩამოყალიბებული ეს აღრეული კულტურა, რამდენადმე უფრო გვიანი უნდა იყოს შელავრი-შომუ თევფეს კულტურასთან შედარებით. იგი წინა აბიის აღრეული კულტურების გარკვეულ გავლენას განიცდის და თავისებურ ელფერს იღებს. ამიერკავკასიის ჩრდილო ნაწილში კი, როგორც ვარაუდობენ ძველაღმოსავლური გავლენა ნაკლებ შესამჩნევია (199, 54).

როგორც გვთხოვთ აღნიშნა, მოცემულ პერიოდში, დამჯდარი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებასთან ერთად, რაც თავისთავად მწარმოებლური მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანიყაა, უნდა მომხდარიყო ძირითადი სოციალური ცნებების – „შინაურისა“ და „გარეულის“ ჩამოყალიბებაც. ამ პერიოდის ნამოსახლარების მცხოვრებთა შემაღვებლობა სისიხლითნათესაობით პრიციპი პებზე უნდა ყოფილიყო აგებული. ალბათ გამოყოფა მთავარი დასახლებებიდან ამ პრიციპი პის დაცვითვე უნდა მომხდარიყო. ე.ი. დედო დასახლებაში მცხოვრებ თემს ხამატის სახით ესა თუ ის ოჯახი, ჯალაბი გამოეყოფოდა, რომელიც მთავარი დასახლებიდან არც თუ მოშორებით მკვიდრდებოდა; მიმდებარე ტერიტორიას ითვისებდა.

ქვემო ქართლში გავრცელებულ აღრესამიწათმოქმედო კულტურაში, IV ათასწლეულის პირველი ნახევრის ბოლოსათვის, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება. მიწათმოქმედების ერთგვარმა აღმაგლობამ განაპირობა შედარებით მოზრდილი დასახლებების არსებობა. ამ კულტურის უფრო აღრეული საფეხურის ნამოსახლარები (შელავრის გორა, იმირის გორა და სხვ.) გაცილებით უფრო პატარები იყენებ. ქვემო ქართლის აღრესამიწათმოქმედო კულტურის გვიანდელ საფეხურზე, IV ათასწლეულის შუა ხანებისათვის, მიწათმოქმედება გარევეულ დაწინაურებას განიცდის და თანდათანობით უფრო განვითარებული სამიწათმოქმედო კულტურის საფუძვლები იქმნება(298, 57-58). ამ კულტურას, რომელიც დღეს მტკვარ არაქსის სახელითაა ცნობილი, საფუძვლად ადგილობრივი, წინარე სამიწათმოქმედო კულტურა დაედო. ეს კულტურა ძირითადად აგრძელებს ძველი კულტურის გრადიციას, სამეურნეო ყოფას, მაგრამ განვითარების ბევრად უფრო მაღალ საფეხურზე აპყავს იგი(199, 81).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ მტკვარ-არაქსის აღრეული ხანის დასახლება, წინარე ღროის დასახლებების ხასიათისგან ჯერ კიდევ მაინცადამაინც დიდად არ განსხვავდებოდა. სამოსახლოსათვის უპირატესად ისეთი ადგილები იყო შერჩეული, რომლებიც მიწათმოქმედების განვითარებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდა. მტკვარ-არაქსის ეს აღრეული ხანის ნამოსახლარები, ძირითადად, ზომიერ კლიმატურ ბოლშია დაფიქსირებული. ამ ღროის სოფელი არც თუ ისე დიდი ზომის უნდა ყოფილიყო, სადაც შენობის ძირითადი ტიპი ისევ მრგვალი ფორმისა ჩანს. ამ მხრივ საინტერესოა ხიბანაანთ გორის ნამოსახლარი, სადაც ძირა ფენაში წრიული ნაგებობები იყო გამოვლენილი. შემდგომში აქ საცხოვრისის ტიპი იყვალება და იგი სწორუეთხა ფორმას იღებს. როგორც ვარაუდობენ, დასახლების გეგმას და საერთოდ დასახლების ტიპს წინარე ხანასთან შედარებით მაიმცადამაინც დიდი გარდაცხა არ უნდა განეცადა(62, 46). მეურნეობის ხასიათსა და საერთოდ ცხოვრების პირობებში, მტკვარ-არაქსის კულტურის დასაწყის ხანაში საგრძნობი ცვლილებები არ შეინიშნება, მაგრამ შერე და მერე, ექონომიკური და საერთოდ სოციალური ხასიათის ძვრები გარკვეულ გარდაცხას იწვევს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს საკმადი ხანგრძლივი პროცესი უნდა ყოფილიყო. ცნობილია, რომ მიწათმოქმედ სამოგადოებაში, მისი უფრო კონსერვატიული ბუნებისა გამო, ცვლილებებს საკმაოდ დიდი დრო მიაქვთ, მაგრამ მომხდარი ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის სამოგადოებრივ ცხოვრებაზე. IV ათასწლეულის ბოლო მტკვარ-

არაქსის კულტურის მატარებელი მოსახლეობისთვის გარდაცეხის ხანადა მიჩნეული.

მესაქონლეობის დაწინაურება, საწარმოო საშუალებათა განვითარება, სპილენძის მეტალურგიის აღმავლობა, ტომთაშორისი ურთიერთობების გაზრდა და საერთოდ სოციალური ხასიათის ცვლლებათა მთელი გამა, სამოგადოების არსებულ მდგომარეობას ველარ ეფუძნობა. ამას თან მოჰყევა მოსახლეობის რიცხვის საქმაო მატება. სულ უფრო და უფრო იმზღვებოდა ახალი მიწების ათვისების მოთხოვნილება და ამიერიდან მტკვარ-არაქსის კულტურა კავკასიაში ფართო ტერიტორიაზე ვრცელდება. ამ კულტურის მატარებელი ტომები, თანადათანობით ითვისებენ როგორც ბარს, ასევე მთისწინა და მთის ბოლოს. თანადათანობით იშლება წინა კულტურის ერთიანი ხასიათი, ირლევეგა მისი „ენეოლითური ბუნება“ და ოწყება განვითარების ახალი ეგაპი - აღრიცხინჯაოს ხნია. ეს ხანა თითქმის მთელ ათასწლეულს მოიცავს. იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეფაპია კავკასიის მოსახლე ხალხების ისტორიაში. ეს ის ხანაა, როდესაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა კავკასიის მოსახლეობის ძირითადი ეთნიკური ჯგუფები და აქაა მათი უძველესი ისტორიის საწყისები. ამ დროიდანაა სამიებელი ამ ცალკეული ეთნიკური ჯგუფებისადმი დამახასიათებელი თავისებურებების ფესვები(199, 93).

ამ კულტურისთვის დამახასიათებელია პატარა საგვარეულო სამოსახლეობი. ასეთი დასახლებისათვის საბოგადოების ძირითად ერთეული წარმოადგენდა 15-20 სულისაგან შემდგარი ოჯახი, ხოლო მეურნეობის ორგანიზაციაში შემორჩა დიდი ოჯახის სისტემა, საერთო სამეურნეო ნაგებობებით(187, 53).

ქართულ ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში დასახლება, საბოგადოდ, ფორმისა და ტიპის მიხედვითაა კლასიფიცირებული. დასახლების ფორმაში მისი გარეგანი სახე-ტიპოგრაფია იგულისხმება, ხოლო ტიპში კი სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონე (331, 2). ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, ფორმის მიხედვით, საქართველო-სათვის შემდეგი სახის დასახლებები იყო დამახასიათებელი: გაფანგულ-ბუდობრივი, ტერასული, ჯგუფური ან იგივე კვარტალური, გბის გასწვრივ და სერულ-ხაზოვანი. დასახლების ესა თუ ის ფორმა სრულ შესატყვისობაში თუ არა, მეტ-ნაკლებ შესაბამისობაში მაინც იყო ადგილობრივი, ლოკალურად აღებულ კულტურულ-სამეურნეო ვითარებასა და რელიეფთან (331, 26).

ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერებისათვის უშუალოდ ხელმისაწვდომი პერიოდის დასახლებებათა, რომელთა ასაკიც ქრონოლოგიურად XIX ს-ის შუახანებამდე ჩადის, ანალიზისას აშკარად შეიმჩნევა გარკვეული კანონმომიერება – ყველა ფორმისა

და ტიპის ქართულ სასოფლო დასახლებებში მოსახლეობის შიდასა-სოფლო განსახლება – განუენილობას სისხლით მონათესავეთა მონოგენურად თავმოყრა უდევს საფუძვლად (384,28).

სხვადასხვა ეთნოკულტურულ ნიადაგზე აღმოცენებული ყოველი ხალხური საცხოვრებელი სახლი გარკვეული სპეციფიურობით ხასიათდება. ქართული ხალხური ბინათმშენებლობა თავისი მაღალ-განვითარებული სამშენებლო ხელოვნებისა გამო, რომელშიც საქმაოდ თვალწათლივაა ასახული ჩვენი ერის ეთნოკულტურული თავისებურებანი, არცთ ისე აღვილად ექვემდებარებოდა უცხო კულტურის ზეგავლენას. კონკრეტულად აღეცული რომელიმე ტიპის ქართული ხალხური საცხოვრებლის ცალკეული მოდიფიცირებული ვარიანტები მხოლოდ აღნიშნული მიეროლოკალური კულტურის სამეურნეო ვითარებისთვის საჭირო ნიშნებითა და ელემენტებით ხასიათდებიან. აველყბურმა ხალხურმა საცხოვრებელმა ნაგებობებმა სხვადასხვა ეპოქებთან შეეების საოცარი უნარი გამოიჩინა. სწორედ ამ თვისებისა გამო თითქმის ჩვენს დრომდე მოფანეს თავი ისეთმა საცხოვრებლებმა, როგორიცაა, მაგალითად ჯარგვალი, ფაცხა, მოგვირგვინებულჭერიანი დარბაზი, ციხე-სახლი, კალიოანი სახლი, ოდა-სახლი, ქვაფალახა ბანიანი სახლი და ა.შ. ყოველი მათგანი თავიანთი წარმომავლობით შორეული ეპოქებიდან მომდინარეობენ. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ქვაფალახა ბანიანი სახლი, ჯარგვალი და ფაცხა, რომელთა არსებობას თ. ჩიქოვანი არქაული სახით უკვე ქრისტემდე IV ათასწლეულიდან ვარაუდობს. სათანადო ეთნოგრაფიული მასალის ურთიერთშეჯრებისას მეცნიერი დაასკვნის, რომ საქართველოსათვის დამახასიათებელ ბოგიერთ საცხოვრებელს ტიპოლოგიური სახეცვლილება თითქმის არ განუცდია. ეს პირველ რიგში ქვაფალახა სახლსა და ჯარგვალზე ითქმის (173, 43).

საერთოდ, აღიარებულია, რომ ერთ ადგილზე ისტორიულად ხანგრძლივად მობინადრე მოსახლეობის არსებობის პირობებში, დასახლების ფორმათა ნაირსახობისდა მიუხედავად, სოფლური დასახლების ძირითად უჯრედს ცალკეულ ოჯახთა მიერ შექმნილი სხლ-კარი წარმოადგენდა (331, 1). თითოეული ასეთი სხლ-კარი კი, თავისთავად, ნათლად ასახავდა ამა თუ მხარის მოსახლეობის სამეურნეო - კულტურულ ყოფას. გამომდინარე აქედან, სრულიად ვიმიარებთ იმ მოსაბრებას, რომ საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ერთიანი კომპლექსი, ანუ სახლკარი, წარმოადგენს ამა თუ იმ ფორმისა და ტიპის დასახლების ძირითად უჯრედს, რომელიც თავის მხრივ, ისტორიულად ჩამოყალიბებული ეთნიკური და მეურნეობრივი სპეციფიკის მატერიალიზებული გამოხატულებაა.

სწორედ ამისა გამოა, რომ დასახლება საზოგადოებრივი და სამეურნეო ცხოვრების შესწავლის საქმეში ერთეულთი უმნიშვნელოვანეს პირველწყაროს წარმოადგენს.

გამომდინარე აქედან, შეიძლება აქსიომადაც მოვოლოთ ის გარემოება, რომ ადამიანები მცხოვრები ერთ ნამოსახლარბე და გაერთიანებული ერთიანი მაგერიალური კულტურით, დაკავშირებული ერთურთიან ერთიანი საკულტო სიერცით, განეკუთვნებოდნენ ერთიან ერთნოსს და ყველანაირად სავარაუდოა, რომ ერთ ენაზე საუბრობდნენ; ისევე როგორც სხვა დანარჩენ მსგავს სამოსახლოთა მკვიდრნი, რომლებიც მათგან არ განირჩეოდნენ არც სულიერი და არც მატერიალური კულტურით (389, 152).

ამრიგად, თუკი გავითვალისწინებოთ ოჯახის ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე შესწავლილ სტრუქტურას, ჩვენ შეგვიძლია გიგარაულოთ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ხანაში უკვე სახეზეა დიდი ოჯახი თავისი საცხოვრისით, სამეურნეო ტერიტორიითა და დასახლების ტიპით. ის დიდი ოჯახი, რომელიც მომდევნო ჰერიონებში, თითქმის მოაქამდის, დასტურდება კავკასიელი ხალხების ყოფაში. ჩვენ შორსა ვართ იმის მტკიცებიდან, რომ მტკვარ-არაქსის კულტურისძროინდელი დიდი ოჯახი უშეალო წინაპარია ეთნოგრაფიულ ყოფაში შესწავლილი დიდი ოჯახისა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ის ძირითადი სოციალური და სისხლისნათუ-საობითი სტრუქტურა, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო ცენტრალურ ამიერკავკასიაში ეთნოგრაფთაგან შესწავლილ ამ სოციალურ ერთეულს, მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ხანაში უკვე შემუშავებული და ჩამოყალიბებული ჩანს.

ამ ჩვენ მოსაზრებას ეთანხმება ეთნოარქიოლოგთა დასკვნებიც, რომელთა თანახმადაც, კავკასიის უმტკეს მხარეებში, მიუხედავად ჩვენი ეპოქისათვის დამბახსიათებელი ყოვლისმომცველი სოციალური და ეკონომიკური ცვლილებებისა, ისტორიულად ჩამოყალიბებული და ტრადიციულად მომდინარე მონოგენური დასახლება იმდენად მყარი და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რომ კვლავაც განაგრძოს არსებობას (384, 28).

გ) საცხოვრისი - „ოჯახური ტაბარი“

საცხოვრისი, რომელიც თავის მხრივ, გარკვეული სოციალური ორგანიზმის, კერძოდ ოჯახის, ყოფის მატერიალიზებული გამოხატულებაცაა, მრავალ სხვა ფუნქციასთან ერთად, ამ ერთობის იღეოლოგიური მთლიანობის, სავანებელის, ოჯახის რელიგიური ცენტრის ძალზე აუცილებელ დანიშნულებასაც ასრულებს. ოდითგან, საცხოვრისში იყო თავმოყრილი ოჯახისათვის ყველაზე წმინდა რელიგვიება, საკრალური ფუნქციის მატარებელი სხვადასხვა ნივთები; სახლში, კერაზე ენთო „წმინდა“ ცეცხლი, იდგა ოჯახის ერთიანობის გამომხატველი დედაბობი, ინახებოდა სხვადასხვა კერპები.

არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების გათვალისწინებით ქართველი ერის ყოფითი კულტურისათვის ორი ტიპის კერაძ დამახასიათებელი: ღია და ღაბურული. ღაბურული კერა მხოლოდ ერთი სახეობით – ბეჭრითაა წარმოდგენილი. რაც შეეხება ღია კერას, იგი სამი მოდიფიცირებული სახესხვაობით ხასიათდება. პირველი და ყველაზე მარტივია უშაალოდ მიწაზე გამართული და ქვის ორი ცაცხლგამძლე ქვისგან შედგენილი კერა, რომელიც ალბათ ყველაზე არქაულიც უნდა იყოს. მეორეა მრგვალი მოყვანილობის კერამიკული კონსტრუქცია, რომელსაც ტანსშიგნით, პატარა შვერილ-სადგრები აქვს მიძერწილი. ამგვარი კერა ეთნოგრაფიულად ხალმისაწვდომმა პერიოდმა არ იცის. იგი მხოლოდ განათხარ მასალებში დასტურდება (მტკვარ-არაქსის კულტურის ხანა). რაც შეეხება მესამე სახესხვაობას, საქართველოს მასშტაბით მხოლოდ თრიალეთში და ჯავახეთის ბეგანზე იყო გავრცელებული. ეს სამხრეთული კერაც მრგვალი მოყვანილობის უძირო კერამიკულ ნაკეთობას წარმოადგენდა და თავისი უორმა-მოყვანილობით მინიატურულ თონქს მოგვაგონდა. იგი მიწაში თითქმის პირთამდე იყო ჩადგმული და მახლობელი აღმოსავლეთის „ქიურსი“-ს ქართულ ვარიანტს წარმოადგენდა(384,48).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კერისა და ოჯახის შესახებ მრავლისმეტყველ მასალას გვაწვდიან ძველაღმოსავლური არქეოლოგიური მონაცემები და წერილობითი წყაროები. მაგალითად, ქალაქ ნუშის არქივში აღმოჩენილი ანდერძის მიხედვით, მამა უფროს ვაჟიშვილს უფოვებს ოჯახის კერპს – ფუძის დვთავების ქანდაკებას და ქონების მეტ ნაწილს. მამა ანდერძმი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მის დანარჩენ ძეებს უფლება ეძლევათ მთავარი მემკვიდრის ოჯახში მისევლისა, რათა იქ საგანგებოდ მსხვერპლი შესწირონ თავიანთი ძირი ოჯახის ფუძის ანგელოზს (დვთავებას). პამურაბის ცნობილი კანონების მიხედვით, სიმამრის ოჯახის კერპის

მფლობელ სიძეს, ვაჟიშვილების ოდენი სამემკვიდრეო უფლებები პქონდა(85, 78).

ფუსტელ და კულანქის მიხედვით, ბერძენთა და რომაელთა ყოველ სახლში გამართული იყო საკურთხეველი, რომელზეც მუდმივად იყო წმინდა ნაცარი. ჩაუქრობელი ცეცხლის შენახვა ამ საკურთხეველზე ოჯახის უფროსის მოვალეობა იყო (290, 16). ოჯახური რელიგიისათვის არ არსებობდა მკაცრად განსაზღვრული ერთგვაროვანი წესები, ისე როგორც უფრო ფართო მასმტაბიან, საზოგადო აღმსარებლობით ფორმებს ახასიათებს. ყოველი ოჯახი სარგებლობდა სრული დამოუკიდებლობით. არავითარ გარეშე ძალას არ შეეძლო ბემოქმედება მოქმედინა მის წმინდასა და კულტზე. ოჯახის მამა იყო ერთადერთი ქურუმი და არ ცნობდა სხვა იერარქიას. მაშასადამე, როგორც ამს ავტორი დაასკვნის, რელიგია ბაგონობდა არა გამრებში, არამედ ოჯახებში; ყველას საკუთარი ღმერთი ჰყავდა, ყოველი ღმერთი მფარველობდა ცალკეულ ოჯახს და ღმერთობდა მხოლოდ ცალკეულ ოჯახში. ყოველმა ოჯახმა შეიქმნა საკუთარი ღმერთი და ეთავყანებოდა მას (290, 28).

ოჯახური კულტმსახურების კვალი დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, არქეოლოგიურად შესწავლილ საცხოვრებელ კომპლექსებში, ჯერ კიდევ ენეოლითის ხანაში დასტურდება. ამ მხრივ ძალგზე საინტერესოა „ხრამის ღიძი გორის“ ნამოსახლარმე დადასტურებული „სარიცუალი“ კერები, რომლებშიც ნაცართან ერთად აღმოჩნდა მსხვერპლად შეწირული წვრილფეხა საქონლის (ცხვრის) ძვლები, მცირე გომის იარაღები, თიხის ოვალური „კვერები“ და, რაც ერთობ საგულისხმოა, თიხისავე ანთროპომორფული ქანდაკებები (354, 137). ამ ფიგურებს ჩვენ უკვე შევეხეთ გემოთ, ენეოლითის ხანის სამოსახლოებზე მსჯელობისას; ამჯერად კი საგანგებოდ შეეტერლებით მათ სქესიბრივ კუთვნილებაზე – ეს ფიგურები ძირითადად მდედრობითი სქესის ღვთებებს გამოსახავენ (იხ. ტაბ), რაც იმ შორეულ პერიოდში, ჩვენს წინაპართა ცნობიერებაში, საცხოვრისის მფარველ ანგელოზად დედობრივ, ქალური ხასიათის ღვთაებების არსებობას გვავრაუდებინებს.

ქართველურ სამყაროში, რომ ოჯახის მფარველი ღვთაება მდედრობითი სქესისა იყო, ნათლად მეტყველებს მითოლოგიური გადმოცემებიც. მათ თანახმად „სახლის ანგელოზი ქალია. მას თვალით ვერ იხილავ; იგი სიმიმარში შეიძლება გეჩვენოს მეტობლის გოგოს სახით. ფუძის ანგელოზს თავისი სახით ვერავინ იხილავს. ფუძის ანგელოზი უბიწო ქალიშვილია. რომელიც ახალგამრდა, უბიწო ქალის სახით იმყოფება ოჯახში. მისი თვალით დანახვა არ შეიძლება.“

მაგრამ მას შეუძლია მიიღოს კარის მეტობლის ქალიშვილის სახე და ისე გეჩვენოს.“ (ქართული მითოლოგია. შედგენილი აპ. ცანაფის მიერ. თბ. მერანი. 1992 -143 გვ.)

რადგანაც ოჯახის ანგელოზს უბიწო ქალი განასახიერებდა, შესაძლოა საერთოდაც აქედან წარმომდგარიყო ის ტრადიცია, რომლის თანახმადაც ოჯახის სტუმარს, რომელიც ღვთისგან ბოძებულ წყალობად (შესაბამისად ღვთის სახედაც, შესაძლოა თვით ღვთაებადაც, ქრისტიანული ტრადიციის გათვალისწინებით) აღიქმებოდა, ოჯახი ამსახურებდა მისთვის ყველაზე ძვირფასს, საკუთარ „სიწმინდეს“, ოჯახის ანგელოზის განმასახიერებელ უმანკო ქალიშვილს; მიაგებებდა მას მსახურად, მომვლელად, რომელიც ხშირად ფეხს დააბანინებდა, დაანაყრებდა, საწოლს გაუშლიდა სტუმარს. სახლის ქალიშვილთან სიწმინდის დაცვა-პატივისცემით სტუმრის ურთიერთობას უნდა შეეყვნა თჯახურ სიერცეში მოსული ღვთისეული სიკეთე, ღვთის სახედ აღმებული სტუმარი.იქნებ სწორედ ამგვარი ხედვა „შინა“ სივრცეში შემოსული გარეშე პირისა ედო სუჟექტად წაწლობის ინსტიტუტსაც, რომელიც მხოლოდ აღმ. საქართველოს მთაში არ უნდა ყოფილიყო გავრცელებული და საერთო ქართველური (საერთოკავკასიური თუ არა) მოვლენა უნდა ყოფილიყო (იხ.ქვეინ თუთი, წაწლობის ეგიმოლოგიისა და უძველესი საბოგადოებრივი მნიშვნელობისათვის, ამირანი I 1999, 13-19 გვ.).

რამდენადაც უბიწო ქალი ოჯახის სახე იყო, იმდენად სასურველი და აუცილებელიც იყო ოჯახში ახლადმოყვანილი რძლის უბიწოვაბაც; რადგანაც იყო ოჯახში შემოსული, დამხვდურ თჯახურ სივრცეში, განასახიერებდა საკუთარი ოჯახის სახეს და ნაწილი თავისი ოჯახური სივრცისა და შესაბამისად საკუთარი სახლის ანგელოზისა, ხდებოდა შემაგებელი დამხვდური ოჯახის ანგელოზური სიწმინდისა. ამდენად, შეღაბეული, შერყენილი ქალის შემოყვანა თჯახში დიდ სირცეგილად და საკუთარი ოჯახის ანგელოზის (შესაბამისად ოჯახური სიწმინდის) შეურაცხყოფად ითვლებოდა. ალბათ ამგვარი ხედვა ედო საფუჟელად ქართველურ (და არა მარტო ქართველურ...) ყოფაში გავრცელებულ პატარძლის უბიწობის ტრადიციასაც. ეთნოგრაფიული ყოფილია ცნობილია, რომ ქორწილის მეორე დღეს ქალის მშობლები ესტუმრებოდენ ახალ მოყვრებს და თუ ქორწილის დამეს ყოველივე წესრიგში იყო და პატარძალი უბიწოდ ჩაბარდებოდა მეუძლის ოჯახს, მოყვრების შეყრა (განსაკუთრებით მდახლებისა) საამური და მხიარული იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვლიდა რა ქრის თჯახი თავს შეურაცხყოფილად, შესაძლოა პატარძალი საერთოდაც მიებრუნებინათ მშობლებისათვის. როგორც წესი, ამ საქმეს ქალები (ძირითადად დედამთილი და სიდედრი)

გაარიგებდნენ ერთიმეორეში. ცნობილია და აღიარებულია, რომ პატარძლის უბიწობას მამაკაცი ძირითადად პირველი ქორწინების დროს აქცევდა ყურადღებას. დაქვრივებულთა დაოჯახების შემთხვევაში საქმე სხვაგვარად წარიმართებოდა ხოლმე. ვფიქრობთ, ვახუშტი ბატონიშვილი მსჯელობს რა ქართველთა ზნე-ჩვეულებებზე, ფრაგაში - „ზნენი აქუნდათ ...ერთი ცოლისა ქმრობა, რამეთუ მოიყვანიან თვეს – თვეთი თანასწორთა“, სოფიალური თანასწორობის გარდა, ამ გარემოებასაც უნდა გულისხმობდეს (152, 15).

ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ხანაში საცხოვრისების უმნიშვნელოვანეს აღილს წარმოადგენდა ცენტრალური კერა, დედაბოძი და მათი მიმდგომი გარემო. განსაკუთრებული დანიშნულების ჩანს კერის უკან, კედლის გასწვრივ გამართული შემაღლებაც (298, 137). ამ შემაღლების რიცხალურ და საკულტო დანიშნულებას ადასტურებს მისი კარნიზის შემკობა-მოხატვაც (გუდაქერტყა, ციხიაგორა, ქვაცხელა) და ყოველდღიური ყოფისათვის უსარგებლო, უჩვეულო ფორმის ეწ. „ნაცრის ნაძერწობები“; სხვადასხვა ჭურჭლის და გადასაგანი კერების ან მათი იმიტაციების საგანგებოდ – საზედაშეოდ დაწყობა (130, 157). როგორც ირკვევა, თითოეული ასეთი საცხოვრებელი სახლი ამავე დროს „შინაურ“ სამლოცველოსაც წარმოადგენდა. ამსვე ადასტურებს შუა კერასთან დაკავშირებული ანთროპომორფული ქანდაკების მსგავსი თიხის ზესადგარები, რომლებიც ამა თუ იმ ოჯახის კერპის მიერ კერის განაყოფიერების აქტს განასახიერებს (187, 53). რადგანაც ამ სამოსახლოების ტერიტორიაზე დადასტურებული არ არის საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი (არ ჩანს საკულტო ნაგებობაც), გამოიტმული მოსახრების თანახმად, კულტის მსახურება, სახელდობრ, საცხოვრებელ ნაგებობებში ხდებოდა (76, 44). დასახლებას სამლოცველო აღბათ მის გარეთ ჰქონდა⁵ (76, 163), რომელიც მთელი სამოსახლოს იდეოლოგიური ერთიანობის სიმბოლო იყო; ცალკეულ საცხოვრისებში კი ოჯახები აფარებდნენ საკუთარი „ფუძის ანგელოზებისადმი“ მიძღვნილ მსახურებას.

ამ მხრივ არ შეიძლება არ გავიხსენოთ დღევანდელ ქართულ ყოფაში დადასტურებული ტრადიციული სუფრის ერთერთი უმნიშვნელოვანესი წესი. მხედველობაში გვაქვს „ფუძის ანგელოზის“ სადღეგრძელო, რომელიც ჩვეულებრივ, ნადიმის დასასრულის, ბოლო სადღეგრძელო ისმება. სუფრის თამადა, ქეიფის ბოლოს, სვამს იმ ოჯახის ფუძის ანგელოზის სადღეგრძელოს, სადაც მიმდინარეობდა სუფრა. იგი სადღეგრძელოში შესთხოვს ფუძის ანგელოზს, რომ მან

⁵ ისევე როგორც ეს თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაშია შენიშნული.

თავისი წყალობა არ მოაკლოს ოჯახს. მაშასადამე, სუფრის ყოველი წევრი საკუთარ ცნობიერებაში აღიქვამს მოცემული ოჯახის მფარველ ანგელოზს - „ფუძის ანგელოზს“. ე.ი. თანამეონახეთათვის არსებობს იმდენი ფუძის ანგელოზი, რამდენიც ოჯახია. სხვა ოჯახში ისინი კონკრეტული ოჯახის, სახლის ფუძის ანგელოზს დალოდავენ. საბედნიეროდ, თანამედროვე ქართველის ცნობიერებაში ძალუმად აქვს გადგმული ფესვები ტრადიციულ ხელვას, რომლის თანახმადაც ყოველ ოჯახს, საცხოვრისს ჰყავს თავისი ფუძის ანგელოზი, მფარველი ღვთავბა.

„ფუძის ანგელოზი“, ოჯახის მფარველი ღვთაება, ნაყოფიერების, დოვლათის, ხვავის, ბარაქის მომნიჭებული ღვთაებაა, რომელსაც შესთხოვენ წყალობას მის „ფრთხებქვეშ“ შეხიბნულ, მის წყალობა-მაღლს შემყურე თჯახისათვის.

ქართულ მითოლოგიურ გადმოცემებში, ყოველი ახალი ოჯახი ფუძის ანგელოზის პატრონი ხდება. ეს ანგელოზი იმ ადგილს არის, სადაც მათი ფუძე – საცხოვრისი მდებარეობს. ოჯახს სწამს ფუძის ანგელოზი, რომელიც ახალგაზრდის სახითაა წარმოდგენილი. ოჯახის სადღეგრძელოში ფუძის ანგელოზიცაა მოხსენიებული: „ოჯახის კეთილ ანგელოზს გაუმარჯო! იყავდეს ოჯახს ბოროფისაგან, ჯვარს სწერდეს კაცსა, საქონსა, ნაქონ-ნაყოლსა“(390, 73-74)

იმ ოჯახზე, სადაც არეულ-დარეულობა და მუდამ ჩხუბია, იტყვიან: „ფუძის ანგელოზი წავიდა და მათ სახლ-კარს ეშმაკი დაეპატრონაო“. სამოსახლოს გამოცვლის შემთხვევაში (რაც უკიდურეს შემთხვევაში ხდებოდა ხოლმე) ოჯახის ანგელოზს ახალ სხლში გადააბრძანებდნენ – „სახლის ანგელოზი უფლისაგანაა გაჩენილი და გამოგბავნილი. თუ ბოროფი ანგელოზია სახლში ჩაბუდებული, იქ მუდამ ჩხუბი და აყალ-მაყალია“(იქვე)

„თუ სახლი სხვაგან გადაიგანა კაცმა, ანგელოზიც უნდა გადაიგანოს. სანთელს აუნთებენ, შეეხვეწებიან. ანგელოზიც წამოვა და ახალ სახლში დაბინავდება. ანგელოზებს არ სჭირდებათ გზის სწავლება, თვითონ აგნებენ ახალ სახლს. გაბრაზებული ანგელოზი საშიშია ოჯახისათვის. თუ ოჯახი გაიყოფა, ის შეწუხდება. განაყოფი-დან წასულს თუ არ გაცყვა შეწუხდება“. მთხრობელი გადმოგვცემს – „სახლის ანგელოზი გამოიწვიეთ ახალ სახლში. ერთ შაბათ დღეს, თოთი კაცი წამოვიყენე, გავამზადეთ საჭმელ-სასმელი. ძველი სახლის კერაზე ვილოცეთ: კარგად ვიყოთ აქაც და იქაცო. ოჯახის უფროსმა შაქრის ნაფეხების დაყრა დაიწყო გზაზე, რათა ტკბილად წამოგვყო-ლოდა სახლის ანგელოზი ახალ სახლში. სახლის ანგელოზი იმყოფებოდა განჯინაში“ (იქვე). პირადადაც მახსოვს, ბებიაჩემი (რაჭელი ქალი გახლდათ) განსაკუთრებული მოწიწებით უვლიდა

ჩვენს სამგარეულოში განჯინას, სადაც სამგარეულო იარაღი, პურეული და ცხიმ-ერბი ინახებოდა, რაღანაც მისი გაძმოცემით იქ ანგელოზი იყო დაბრძანებული. ასე გვჯეროდა ჩვენც, ბავშვებს. გამომდინარე აქედან განსაკუთრებული მოწიწვებით და იღუმალების განცდით ვექცეოდით განჯინას, ადგილს სადაც ოჯახის დიასახლისები – ბებიაჩემი და დედაჩემი ოჯახის საზრდოს, ძირითადად ნაცხობ პროდუქტის (ხაჭაპურის, პურის, ლობიანს, ნიგბიან პურებს...) ან ხორბლეულ-ბურლეულებულს ინახავდნენ, და რომელიც ქალთა საგან-მვებლო იყო. „განჯინას“ მამაკაცები ნაკლებად ეკარებოდნენ, ისევე როგორც ქალები ნაკლებად ეკარებოდნენ ეზოში ადგილს, სადაც სამეურნეო და სამუშაო იარაღები იყო შენახული. განჯინას თუ ქალები ალაგებდნენ და უვლიდნენ, სახელოსნო-საკუჭნაოს მამაკაცები აწესრიგებდნენ. თუმცა აქვე განსაკუთრებით აღსანაშნავია ის ფაქტიც, რომ ცალკეულ, განსაკუთრებულად გამოუვალ ვითარებაში ხდებოდა შემთხვევები, როდესაც ირლვეოდა სახლშიდა სივრცის მკაცრად დადგენილი საბლვრები. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც ოჯახი ქალის ან ქაცის გარეშე რჩებოდა. ასეთ შემთხვევებში ესა თუ ის პიროვნება, გამომდინარე მეუღლის, ან სამოგადად ოჯახში ზრდასრული საპირისიორო სქესის დაკარგვიდან, თავს იდებდა გარდაცვლი ტახის წევრთა სამეურნეო და რიცხალური ფუნქციების შესრულებას. ამგვარი პიროვნებები გარეშეთა თვალში გარკვეული იღუმალი საბურველით იმოსებოდნენ და ერთგვარი პატივისცემითაც სარგებლობდანენ⁶. ამის მაგალითად გამოდგება თუნდაც ვაკასეული დამოკიდებულება სანათას ფენომენისადმი („ბატგრიონი“), რომელიც გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი, ხატშიც კი (რომ არაფერი ვთქვათ შიდა საოჯახო სივრცებე) თავს იდებს ხევისბრის, ხეცესის ფუნქციებს –

„ეს რადაც ცუდ საქმეს ჰნიშნაბეს,
მომასწავებულს ავისა.
საჯარეს დიაცს რა უნდა?
არ თუ ემინის დავისა?
მარტოს აუნთავს სანთლები,
და ხატიც უდიდებია;
მარტოს დაუკლავს საკლავი,
თვითონვე უტყავებია;“

⁶ ალბათ ამგვარი დამოკიდებულება ედო საფუძვლად ქართველი ერის ყოფაში ქვრივ-ობოლ-ოხერთა დახმარების გავრცელებულ ჩვეულებასაც („საწყლი დედაბრისასა თაგვით ყანასა მკინო...“), რაც საერთო-სახალხო მორალურ კოდექსში საღვთო საქმედაც განიხილებოდა.

მარტოდ-მარტოკას დიაცესა,
ხაფ-ღმერთი უხსენებია!“ (391, 72)

ვსაუბრობთ რა ოჯახის ანგელოზე, ისევ აპ.ცანავას დავესესხებით – „ოსეთიდან გამოთხოვილი ქალი დაწოლის წინ თუნდაც სუფთა სახლს მაინც დაგვიდა, შემდეგ ოთახის შუაში ორ პატარა სკამს დადგამდა: - ღამით ანგელოზები რომ შემოვლენ, უნდა დასხვდნენ და სახლიც სუფთა უნდა იყოსო. მათაც ხომ უნდათ ჭამა და დასვენება“. ამგვარი რამ, ოჯახის ანგელოზთა პატივდება პირადად მეც მახსოვს ჩემს ბავშვობაში - საახალწლოდ, ერთი კვირაც და შემდგომაც, ძველით ახალწლის გასულამდე, ჩვენთან ზემოთ (ორსართულიანი სახლი გვქონდა), „ზალაში“ ტკბილეულის სუფრა არ აიმლებოდა, დედა ამბობდა – „ღამით ანგელოზები მოფრინდებიან და სუფრა გაშლილი უნდა იყოს, დაისვენებენ, დაილოცებიანო“.

მსჯელობენ რა ოჯახური ღვთისმსახურების შესახებ, ხშირად აღნიშნავენ, რომ, როგორც წესი, ამ ღროს, წინა პლანზე გამოდის ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი საკრალურობით საბურველმოცული კულტმსახურების რიტუალი. ქართველი ერის ყოფიდან მრავალი ასეთი მაგალითის მოგანა შეგვიძლია ამ მოვლენის ასახსნელად და გასაცნობიერებლად. მაგალითად გამოდგება, თუნდაც თითქმის მოედს დასავლეთ საქართველოში დადასტურებული, ბოსლობის რიტუალიც. მართალია, მის შესახებ ბევრ ქართველ ეთნოგრაფს უმსჯელია, მაგრამ მაინც, კიდევ ერთხელ, აღვწერთ მას ჩვენს მიერ, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, 1980 წელს, რაჭის სოფლებში (სხვაგასა და ფუტიეთში) მოძიებული მასალების მიხედვით.

რაჭული ბოსლობა საქართველოს სხვა მხარეებში გავრცელებულ მსგავს დღეობათა ანბლოგორია, მაგრამ რიგი თავისებურებები ახასიათებს; იგი ძირითადად განკუთვნილია მსხვილფეხა საქონლის გამრავლებისათვის, ბარაქიანობისა და სიმრთელისათვის. ეს დღეობა რაჭის სოფლებში ხორციელის კვირაში იმართებოდა, რომელსაც მოსახლეობა ბოსლობის კვირას უძახდა. ამ შეიძლებაში კველა თჯახი უქმობდა, განსაკუთრებით კი ფუძეხნიერნი – მთელი კვირის მანძილზე; ახლად დაუკავშირებულნი კი ორი ან სამი დღე.

„ბოსლობის კვირაში“ მოსახლეობა რამდენიმე რიტუალს ასრულებდა, რომლებიც აგრეთვე შინაურ ცხოველთა და ფრინველთათვის იყო განკუთვნილი: „მელიაკვერი“, „გოჭი ხუთშაბათი“, „ღორიების ბოსლობა“; დაბოლოს, მაბათ დღეს საქონლის ბოსლობა, რომელიც ამ კვირის დღეობათა მორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო.

დღეობისთვის მზადებას ჯერ კიდევ წინდღით იწყებდნენ. ოჯახში ცხვებოდა განატეხები და შეკეცილები (ლობიანები) მამაკაცთა სულადობის მიხედვით. გათხედებოდა თუ არა შაბათი, მთელი ოჯახი ეზოში მოიყრიდა თავს. ყველა მხიარულობდა, იდგა ბავშვების ურიამული, რომლებიც შეძახილებით: „ბოსელ, ბოსელ ბუ; ბოსელ, ბოსელ ბუ“ – იქაურობას იკლებდნენ. შიგნიდან ჩაკეფილ სახლში რჩებოდა მარცო დიასახლისი.

ოჯახის უფროსი აიღებდა წინდღით გამომცხვარ განატეხებს, ჭიქა დვინოს, სანთელს, კისერზე შემოისვამდა უმცროს ვაჟს (თუ პატარა ვაჟი არ ჰყავდა კისერზე ჯორკოს, მომცრო გომის სკამს შემოიდებდა), დანარჩენ შეიღებს წინ გაიძოლებდა და შეძახილებით შევიღოდნენ ბოსელში. იქ დღეობას მიულოცავდნენ საქონელს და თან „საქონლის ანგელოზს“ შესთხოვდნენ პირუტყვის გამრავლებას, სიმრთველეს, ბარაქეს. საქონლის საერთო დალოცვის შემდეგ პატრონი სათითათო ჩამოუკლიდა ყოველ მათგანს და გვერდებზე კვერცხს მოუსვამდა, თანაც ლოცავდა: „იზრდებოდე, კეთდებოდე, ნადირს ერიდებოდე“. როცა ჯერი მთავარ გამწევ ძალაშე – ხარზე მიღებოდა, სანთლით გვერდებზე ბალანს შეატრუსავდა, ზედ დვინოს მიასხამდა და შემდეგ კვერცხს წაუსვამდა; თანაც განსაკუთრებით დალოცავდა. ამ დროსაც, პატრონი „საქონლის ანგელოზს“ ხარების გამრავლებასა და ძლიერებას ევედრებოდა.

პირუტყვის დალოცვის შემდეგ მლოცველი კვერცხს ბაგაში დამალავდა, რომელიც მეორე დილით ბავშვებს უნდა ეპოვნათ. ამ უკანასკნელთ კი ბაგაში ეს ძებნა-ბურგნავი, ერთობ ართობდათ და ახალისებდათ.

აქვე რამოლენიმე სიტყვით გვინდა შეეჩერდეთ რიტუალის იმ ელემენტებებს, როდესაც ოჯახის უფროსი ბურგზე შემოისვამს პატარა ბავშვებს ან შემოიდებს პატარა სკამს. აქ საყურადღებოა თავად გამომსახველობითი პოზა საქონელითდაცაებისადმი მავედრებელი ოჯახის უფროსისა. მასში, ალბათ, ტრანსფორმირებულად უნდა სახიერდებოდეს გამანაყოფიერებელ-სქესობრივი აქტი. აქტი, რომელიც ბოსლობის ერთ-ერთი ვარიანტის, ლეჩხუმურის (რაჭის მეზობელი კუთხე) მიხედვით, შედარებით უფრო ნატურალურადაა შემონახული. აქ ბოსლობა დღეს, ვახშმობის წინ სახლში გამეფებულ სიჩუმეში (ამ დროს აკვანში ბავშვებაც არ უნდა ეტირა) ოჯახის უფროსი და დიასახლისი მიდიოდნენ კერასთან და ჩამუხლულები იკავებდნენ თავთავიანთ ადგილებს. დათხილი დიასახლისი დაიძახებდა: „კოტ-მოზვერა, კოტ-მოზვერა“, რაზეც მამაკაცი გამოეპასუხებოდა - „მე ვარ შენი კოტ-მოზვერაო“. შემდეგ ასევე

დათხილი მიუახლოვდებოდა უკნიდან დიასახლისს, ამოიღებდა ფალოსს და გააქანებდა. შემდეგ წყვილი პოზაშეუცვლელად, ფორთხვით სამჯერ შემოუკლიდა კერას და ყოველ წრეზე გაიმეორებდა ამ ქმედება-დიალოგს. დასასრულ წამოდგებოდნენ, მამაკაცი ხელში ჭიქა ღვინით, ხოლო დედაკაცი – ლობიანით, დაილოცებოდნენ: „დმერთო საქონელი გაგვიმრავლეთ“ (17, 176). ბოსლობის რაჭულ ვარიანტშიც, ფფიქრობთ, ბაგშვის (ცალკეულ შემთხვამი ჯორულ-სკამის) კისერზე – ზურგზე შემოსმა-შემოდებით⁷, გარკვეულ წილად, ხაზი ესმებოდა საქონელთპატრონისადმი მიძღვნილი დღეობის გამანაყოფიერებელ ხასიათს.

ვებრუნდებით ისევ ჩვენს მიერ აღწერილ რაჭულ ვარიანტს. ბოსლობან გამოსული ოჯახის უფროსი სახლისკენ გაემართებოდა; მაგრამ შინ ვერ შედიოდა, რადგანაც კარი შიგნიდან დიასახლის ჰქონდა ჩარაბული. ოჯახის უფროსა და დიასახლის მორის კარის ბლურბლებე შემდეგი დიალოგი იმართებოდა:

კაცი: – „კარი კინისა“ 3-ჯერ

ქალი: – „არა მეუფისა“ 3-ჯერ

ქალი: – „საქონელმა რა შემოთვალაო?“

კაცი: – „ბოსლები დამზადეთაო.“

ქალი: – „ბიჭებმა რა შემოსოვალესაო?“

კაცი: – „ქალები დაგვიმზადეთ, ჩვენ მზადა ვართაო.“

ქალი: – „ქალებმა რა შემოსოვალესაო?“

კაცი: – „აკვენები დაგვიმზადეთ, ჩვენ მზადა ვართაო“. ამ დიალოგის შემდეგ ქალი კარს გააღებდა და შინ შემოსულ ოჯახის წევრებს სახეში წყალნარევ ქატოს მიათხეპებდა. ხალხს სჯეროდა, რომ ვისაც ეს ქატო მოეცხებოდა, ყვავილი არ შეეყრდნოდა; და თუ ეს სახადი შეხვდებოდა, სახეგბ ნაკენკი არ დაემჩნეოდა.

ყოველივე ამის შემდეგ ოჯახის წევრები მოწესრიგდებოდნენ და კერასთან გაშლილ სუფრას შემოუსხდებოდნენ. აქ ოჯახის უფროსი კიდევ ერთხელ დალოცავდა თავის საქონელს და „საქონლის ანგელობს“ საყოლის ბარაქიანობას შეავეღრებდა.

სანამ აღნიშნული დღესასწაულის, ამჯერად ჩვენთვის მთავარ საკითხებე, რიცეალის ჩატარების ადგილზე – კერაზე შევჩერდებოდეთ, რამდენიმე სიტყვით ჯერ თავად შინაური საქონლის მფარველ დვთავებას, რიცეალში დადასტურებულ „საქონლის ანგელობს“ შევეხებით.

⁷ „გუკუტური“-გურ. „კუტა“ - პატარ ბავშვი, „მოკუტალიება“, „გუკუტური“ - გურგზე ვისიმე მოსმა(23,37)

ჯერ კიდევ ვ. ბარლაველიძეს, ნაშრომში „ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოფნების ნიმუშები“, განხილული აქვს აღნიშნული ღვთაების შინაარსი და ხასიათი. ამიტომ მხოლოდ ღვთაების სახელზე გავამახვილებთ ყურადღებას. აღნიშნულ ნაშრომში ავტორი არკვევს ღვთაების სახელს „ბოსლას“ და დასძენს, რომ ეს სახელი თავდაპირველად მესაქონლეობის მფარველ ღვთაებას ერქვა და შემდგომ ეწოდა შინაურ ცხოველთა საღომს – ბოსლელს (17, 103).

ცნობილია, რომ ამა თუ იმ დღეობისათვის მჩადების პროცესში, მეტნაკლებად გამოკრთება ხოლმე იმ ღვთაების სახე და ხასიათი, რომლის პატივსაცემადაც სრულდება ეს დღეობა. ვფიქრობთ, ასეთ ფაქტს ვხვდებით რაჭულ „ბოსლობაშიც“. როდესაც ოჯახის დიასახლის ამზადებდა სადღეობო განატეხებსა და ლობიანებს, კერძოდ, მათი მოხვევის შემდეგ, ორნამენტით მორთვის – „დაჭიკჭიკების“ დროს წარმოსთქვამდა მაგიურ სიტყვებს – „ჯია ჯია, ბუა ბუა“....

სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია, რომ აღნიშნული სიტყვები მიმართვა იყოს „საქონლის ანგელოზისადმი“, სადაც შესაძლებელია – „ბუა“ ამ ღვთაების სახელს აღნიშნავდეს. ეს „ბუა“ ფონოლოგიურად საოცრად ემთხვევა ქართულ ყოფაში დღემდე გავრცელებულ ბაგშვების შესაშინებელ მითიურ არსებას, რომლის შესახებაც ხალხში გავრცელებული შეხედულებები დიახაც ემთხვევა იმ სახეს, რაგვარადაც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში „ბოსლობაში“ ასახული ღვთაებაა წარმოდგენილი. კერძოდ, ეს ღვთაება თავდაპირველად ნახევრადცხოველური სახის ბანჯგვლიანი არსება უნდა ყოფილიყო (17,109). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართული (გურული) დიალექტოლოგიური მონაცემების მიხედვით სიტყვა - ბუა, ბეწვისა და ქურქის შემსწერლობითაც იხმარება. ამრიგად, სრულიად დასაშვებად მიგვაჩნია ის, რომ ბოსლობის რიტუალში დადასტურებულ „საქონლის ანგელოზს“ გარკვეული სახით ტრანსფორმირება განხეცადა და მეორენაირად ქართულ ყოფაში ბავშვების შესაშინებელი არსების – „ბუა“-ს სახითაც გამოვლენილიყო.

აქვე არ შეიძლება არ შევეხოთ სვანურ ყოფაში დადასტურებულ გარე მყოფ, გარეულ, კეთილ არსებას – „ქშმერდვა“-ს. სვანების წარმოდგენით ეს არის ტყიური, გარეული არსება რომელიც გარეგან ბინადრობს და გარკვეული სახით პატრონობს კიდეც გარეულ სივრცეს: ტყებს, დასახლების გარეთა შემოგარენს. იგი, როგორც ამას თვითმხილველებიც (და როგორც ამას თავად ამბობენ, ასეთნი მრავლად არიან) ადასტურებენ, ბანჯგვლიანი, ტყისკაცია, რომელიც

სრულებით არ არის აგრესიული და ადამიანს, მის მიმართ გამოჩენილ ქცევაზე შესაბამისად პასუხობს – კეთილგე კეთილად და ბოროტგე ბოროტად. იგი ეხმარება კიდევ ტყე-ღრეში, ან სხვა უცნობ გარემოში განსაცდელში ჩავარდნილ, გზააბნეულ მგბავრებს; თუ ვინმესადმი კეთილად განეწყო, უბიძავს მას ტყის ხილს, აპოვნინებს ან სახლში მიუყვანს დაკარგულ საქონელს, ნადირს მოარიცებს თავისი რჩეულის საქონელს და ა.შ. თუმცა მრაველად ჰყვებიან მთხრობელები „ქმერდეს“ ფიზიკურ სიძლიერებე, მოუხელთებლობაზე და დაუმორჩილებლობაზეც. ეს არსება განსაკუთრებით აგრესიულია იმ პირთა მიმართ, რომლებიც მის დაჭრას მოიძომებენ. მაგ. სვანეთში, მთხრობელები უჩვენებენ კიდევ ადგილებს (ლენჯერთან, დაფლერში, მულახთან...), სადაც ქ მერდემ სასტიკად გაღახა მის დასაჭერად მისული მონადირეები თუ სხვა მისღამი აგრესიულად განწყობილი პირები.

ქმერდეს მსგავსი არსებების შესახებ ჰყვებიან რაჭველებიც, რომლებსაც ისინი „ტყის კაცებად“ მოიხსენიებენ; უთითებენ მათ საბინადრო ცალკეულ ადგილებზედაც. მათი წარმოდგენები მთლიანად ემთხვევა სეანთა წარმოდგენებს ხსენებულ არსებაზეც. გამომდინარე აქედან, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ბოსლობის რიცალი, ძირითადში ადამიანური საცხოვრებელი სივრცის გარეთა სივრცეში ბინადარი „არსებების“ მომადლინერებისათვის, მათი გარე სივრციდან შიდა დომესტიფიცირებულ სივრცეში შემოყვანისათვის ტარდებოდა, რის საშუალებითაც, ატარებდა რა ადამიანი რიცალს შინაურ ცხოველებზე, ცდილობდა მათი (ცხოველთა – ოლონ ახლა უკვე შინაურ ცხოველთა) შუამდგომლობით, საკუთარი მაგიური ბემოქმედების არეალში გარეთა, გარეული სივრცე შემოყვანა. გაეშინაურებინა იგი და ამით გაეტარდა თავისი მაგიური ქმედების არეალი.

მაშასადმე, ამ მდგომარეობაში ცხოველი და ახლა უკვე შინაური პირუტყვი, ხდებოდა გრა გარეთა „არსებების“ შიდა სივრცეში შემოყვანისა. ამიტომაც იწყებოდა დღესასწაული პირუტყვთა სადგომში (გარე სივრცესთან მაკავშირებელ არსებათა დომესტიფიცირებული სადგომი) და ამიტომ ბოლოვდებოდა მისი ფინალური ციკლი კერასთას – ოჯახის, ანუ შიდა სივრცის, საწყისი დვრიგის განმასახიერებელ ადგილთან.

რაც შეეხება თავად სიტყვა – ბოსელს. მიგვაჩნია, რომ იგი უნდა მომდინარეობდეს „ბო“ ძირიდან, რომელიც თავისთავად საქონლის ფონებიური აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. სწორედ „ბო“-ს-ელია, „ბო“-ს სადგომია ეს სივრცე, რომლის ბატონიც, იგივე ბოსელას – ბოსლას ბატონიც (ზოგიერთ ტექსტში – „ბოსლა

ბატონი“) იერარქიულად საერთო ოჯახური დვთაების, კერაში დავანებული ფუძის ანგელოზის ერთგვარ „შვილად“ გამოდიოდა. შიდა სივრცის ამგვარ იერარქიულობაში გარკვეულწილად აირკელებოდა გარე სივრცის იერარქიულობაც, რომელიც თავისთავად დადასტურებულია ქართულ წინარექრისტიანულ პანთეონშიც.

მაშასაძემე, მოცემული მაგალითის მიხედვით, საცხებით დასაშვებად მიგვაჩნია ვიგარაულოთ, ის რომ სამყაროსეული მსოფლადქმის გარიერაებე, ადამიანის შემეცნებაში, შიდა (ღომესტიფიცირებული) და გარე სივრცეების იერარქიული მოწყობა, საცხებით შეესაბამებოდა ერთიმეორეს და ამით ორივე სივრცის განსხვავებულობათა ერთიანობის საფუძველზე ხდებოდა საერთო სულიერი ფონის შეგრძნება. სწორედ ამ სულიერი ფონის, ამ საწყისი ღმრთივსულიერი ნაკადების აღქმა (კონკრეტულ შემთხვევაში „ბოსლობის“ მაგალითზე) უნდა გამხდარიყო შემდგომში რელიგიური მსოფლმხედველობის და საერთოდ დვთისშემეცნების საფუძველი, რაც თვისთავად განმაპრობებელი იყო კიდეც ადამიანურობის ისტორიის დასაწყისისა.

როგორც ჩვენს მიერ უკვე ტემოთადწერილი და ამასთანავე, ქართულ ეთნიკურ ყოფაში დადასტურებული მრავალი მაგალითი-დან სრულიად ნათლად იკვეთება, საცხოვრისის უმთავრესი კომპონენტს, მის დფრიფის კერა წარმოადგენდა. როგორც გვედავთ, იგია ის ადგილი სადაც დავანებულია, სადაც „გამოჩინებულია“ ოჯახის მფარველი დვთაება – „ფუძის ანგელოზი“. კერა დამაკავშირებელი ოჯახის წევრებისა და მფარველი ანგელოზისა, იგია შემაერთავი ხიდი, მათ შორის ურთიერთკავშირის გაბმის საშუალება. სწორედ კერაში ხდება ჯვარჩენა, დვთისშვილთა გამოჩენაც, რომელნიც შემდგომში კვრივად გაიხდიან ხოლმე მას (79, 40-41). სწორედ კერა თვისთავის სიმბოლო. კერაზე დანთებული ცეცხლი ოჯახის უკვდავებაა. სახლიდან გზად მიმავალი ოჯახის უფროსი მეუღლეს ან სახლში დამრჩენ მემკვიდრეს უბარებდა – „კერია არ გამიციო, კერიაზე ცეცხლი არ ჩამიქროო“. შემოსული მტერიც ხომ უპირველესად კერას დააქცევდა, დაარბევდა და შეაგინებდა.

მაშასაძამე, კერა წარმოადგენს ოჯახის ცენტრს, შუაგულს, რომელიც აერთიანებს, კრაგს, აღუღაბებს სისხლისნათესაობით და საერთო ქონებით ერთსულ ოჯახს – სოციალურ ერთეულს. ეს ოჯახი, ქონებრივ-საკუთრებითი და ნათესაობრივ-სისხლისმიერი ურთიერთობებით ისედაც ერთი მთლიანობაა, მაგრამ კერა ამ ერთობის ხილული, ხელშესახები გამოხატულებაა; ერთიანი, განუყოფელი ოჯახის სიმბოლოა.(იხ. ტაბულა XII-XIII).

თუ ერთიანი ოჯახი გაიყოფოდა, მოხდებოდა მისი სეგმენტირება, მირი ოჯახიდან გასული ნაგრამი საკუთარ კერას გაიჩენდა, რომელიც მირი კერის „უმცროს მოძმედ“ ითვლებოდა. „კერა“, „სახლი“, „ოჯახი“ ქართულ ენაში სინონიმებია (113, 93). კერა ოჯახური კერპომსახურების მთავარი ადგილია, თამამად შეიძლება ითქვას, რომ გაჩნდა რა კერა, გაჩნდა საოჯახო ღვთისმსახურებაც; კერა და ოჯახური რელიგია – გენოთეოგზით თანაფოლნი, თანაარსნი და თანაგიარნი არაან.

ამრიგად, სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ჩნდება რა კერა, რაც თავისითავგად საცხოვრისისა და ოჯახის ფორმირებასაც გულისხმობს, ჩნდება ოჯახური რელიგია – გენოთეოგზით; როგორც სოციალური ორგანიზმის (ოჯახის) ჩამოყალიბებელი ფენომენიც, მაშასადამე, უკვე წეოლითის ხანიდან, როცა ჩნდება პირველი სისტემური დასახლებები, კავკასიაში – და განსაკუთრებით მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, უნდა ვიგარაუდოთ ოჯახური რელიგიის – გენოთეოგზის ფორმირებაც. ეს მოვლენა საბოლოოდ დასრულებულ სახეს იძენს ენეოლითის ეპოქაში, რაც ვფიქრობთ ნათლად აისახა აღმოსავლეთ ამიერკასიაში შესწავლითი ნამოსახლარებიდან („შულავერი-შომუ თეფეს კულტურა“) მომდინარე მასალებში. სავარაუდებელია ისიც, რომ საოჯახო დგომება ამავდროულად ერთიანი სამოსახლოს თაყვანიცემის ობიექტიც უნდა ყოფილიყო, რამდენადაც ამ პერიოდში დასახლებები მონოგენური შემადგენლობისა იყო (354,136). უფრო მოგვიანო პერიოდში კი, ყოველი ასეთი სოციალური კოლექტივი, ნაყოფიერების დეთაქების გარეშემო იყო შეკრებილი. ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ მაგ. შიდა ქართლის ქრისტემდე II ათასწლეულის II ნახევრის საწესო კომპლექსები იკონოგრაფიულად სიცოცხლის ხის სახით, ნაყოფიერების დეთაქების ხატებს წარმოადგინენ (77, 194-202).

დ) „სახლი“ – „ხატი“ საქართველოში ძველად

მეტად საინტერესოა ურთიერთმიმართება ოჯახურ კულტმსახურებასა და სათემო კულტმსახურებას შორის. ქართული ეთნოგრაფიული ყოფილან მომდინარე მასალა ვფიქრობთ, რომ ამ მხრივაც მდიდარი და მრავლისმეტყველია. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ კუთხით განსაკუთრებით კარგად შესწავლილია ძველადმოსავლური სამყარო, რაც საშუალებას იძლევა ამ მასალების ჩვენაულ მასალებთან შედარებისა.

საერთოკავკასიურ და შესაბამისად ქართველურ კულტურულ გარემოსთან ტერიტორიულად ახლომდგომ უძველეს ცივილიზაციათა შედარებით კარგად შესწავლილ რელიგიურ სისტემათაგან ერთობ საყურადღებოდ გვეჩვენება ხეთების რელიგიის სოციალური სტრუქტურა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ხათური მასალა, რადგანაც ცნობილია, რომ ხათურ ენასა და შესაბამისად ხათურ ეთნოსს უკავშირებენ ჩრდილოდასავლურკავკასიურ ენათა ჯვაფებს და ზოგადად კავკასიური წარმოშობის ტომებს(44,20). ხათური ეთნოსი ცენტრალურ ანატოლიაში ქრისტიანობის III ათასწლეულის ბოლომდე ან II ათასწლეულის დასაწყისამდე უნდა არსებულიყო.

კავკასიურ სამყაროსთან უშუალოდ გამეგზობლებულ ხეთებში მოსახლეობის ძირითად მწარმოებელ უჯრედს, ისევე როგორც ძველი აღმოსავლეთის სხვა მრავალ ხალხთან, წარმოადგენდა ინდივიდუალური „სახლი“ - ხეთურად fir, farn; (ქართული სახელები ფირანა, ფარნა, გვარი ფირანიშვილი და სხვ.?), ამ სიგყვით ხეთები აღნიშნავენ არა მარტო საკუთრივ საცხოვრებელ სახლს (შენობას), რომელშიც ცხოვრობდა ოჯახი, არამედ ამ ინდივიდუალური ოჯახის მთელ სამეურნეო კომპლექსს, მის ყველა წევრისა (შეად. რომაული „familia“) და საოჯახო მეურნეობის ჩათვლით. სახელმწიფო მეურნეობის სისტემაში მყოფი დიდი „სახლები“ იქმნებოდნენ სწორედ ასეთი ცალკეული, წვრილი „სახლებისაგან“ (მეურნეობებისაგან) საკუთარი მუშახელით. ინდივიდუალური „სახლი“ - მეურნეობა შედგებოდა რამდენიმე აუცილებელი კომპონენტებისაგან - 4 შემადგენელი ნაწილისაგან, რომლებიც ქმნიდნენ ერთიან სამეურნეო კომპლექსს. ესენია: 1. საკუთრივ სახლი როგორც ნაგებობა, რომელშიც ცხოვრობდა ოჯახის ყველა სრულუფლებიანი წევრი, ე.ი. ოჯახის თავი, მისი მეუღლე და შვილები (უფროსების ჩათვლით); 2. სხვადასხვა ბომის მიწის ნაკვეთი. იგი შეიძლება ყოფილიყო სახნაფსათესი, ბაღ-ბოსტანი ან ვენახი დამხმარე სამეურნეო ნაგებობებთან ერთად; 3. საქონლი - გამწევი საქონელი, ფარა, ჯოგი, კოლფი, რემა და

სხვა; 4. მუშა-პერსონალი – მონები, რომლებიც მუშაობდნენ მეორნეობაში და მკვეთრად განირჩეოდნენ სახლის პატონის ოჯახის წევრთაგან.

აღიარებულია, რომ ხეთური რელიგია, თავისთავად საკმაოდ ორიგინალური და თვითმყობადი მოვლენა, წარმოადგენდა იმ ხალხთა და ტომთა რელიგიათა ერთობას, რომლებთანაც უხდებოდათ ურთიერთობა ხეთურ პანთეონში არა მარტო ცენტრალურ მცირე აბიაში გვიან გადმოსახლებული ინდოევროპელი ხეთუბის (ნესიფების, ლუვიელების, ფალაელების) კუთხით დათავაზათა, არამედ ანატოლიის ცენტრალური რაიონების აბორიგენული მოსახლეობის – ხათუბის, იგივე პროტოხეთუბის, დათავაზათა არსებობა (როგორც დღეისათვის ვარაუდობენ, სწორედ პროტოხეთური და ინდოევროპელი ცომების შერეგა-შერწყმის შედეგად ცენტრალურ მცირე აბიაში ქრისტიანულების II ათასწლეულის დასაწყისში ჩამოყალიბდა ხეთური ეთნოსი) (44,147).

ხეთუბს, როგორც ამას ხშირად აღნიშნავენ – „ათასი დათავაზა ჰყავდათ“. ხეთურ წყაროებში დამოწმებულ დათავაზათა რაოდენობა კი შესაძლოა უფრო მეტიც იყო. ეს გასაგებიცაა: ხეთუბის ყოველ დასახლებას (ასეთი კი მათ სამეფოში ათასიც იყო და მეტიც) თავისი საკუთარი დათავაზა ჰყავდა, მისივე საკულტო აღგილი ჰქონდა, გააჩნდა თავისი რიცხალური, მითიური და სადღესასწაულო სისტემები. ხეთუბის ქვეყნის მასშტაბით კი ეს ქმნიდა მართლაც მრავალრიცხვან, მრავალუფროვან და რთულ პანთეონს (44,179).

ხეთური რელიგია პოლიტიკური იყო, რომელსაც მონოთეიზმის არანაირი ნიშანწყალი არ გააჩნდა. იგი იმგვარად იყო აგებული, რომ უპირველეს ყოვლისა დახმარებოდა ადამიანს არ დაეკარგა კავშირი ბენებასთან, ჩაგსახა მასში რწმენა და რიდი გებუნებრივი ძალებისადმი. ცალკეულ თემს, მცირე დასახლებებისაც კი საკუთარი დათავაზა ჰყავდა. უფრო მობრდილი დასახლებებისა და მხარეთა ცენტრების ტაძრებში რამდენიმე (ხანდისხან ათეულიბით) დათავაზის – კერპის გამოსახულება იდგა, რაც ნათელი დასტურია ამ ღმერთთა „თანაარსებობისა“. ეს კერპები ძირითადად ტაძრებში „ცხოვრობდნენ“, ანდა ლია ცის ქვეშ საგანგებოდ ჩენილ საკულტო აღგილებში იყნენ დავხებულნი. ტაძრებში სრულდებოდა რელიგიურ დღესასწაულთა მთელი წყება: ყოველთვიური თუ წლიური, საახალწლო, საშემოდგომო თუ სხვა სახის რიცხალები. ამ საკულტო ცერემონიალებში მოხაწილეობდნენ მეფე და დელფინი, დიდმოხელენი და ფაძრის მსახურნი. ადგილობრივ დათავაზათა გარდა ხეთუბს ჰყავდათ „სახელმწიფო დათავაზანიც“ (44, 38).

დეთაებათა მსგავსი იერარქიული სტრუქტურა (საებნო, სასოფლო, სათემო, ერთობილ სახევი ...) ქართველ მთიელთა (და საერთოდ, ზოგადკავკასიურ) წინარეკრისტიანულ რელიგიურ სისტემაშიც გამოკრთის. ის, რომ ყოველ დასახლებას, თემს თავისი მფარველი ღვთაება ჰყავდა, ცალკე სამლოცველო პქონდა, ვფიქრობთ, ქართული ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მონაცემებითაც დასცურდება. ქრისტიანულ XV – VII სა-ის საბოგადოების სულიერი კულტურის შესასწავლად აღმოსავლეთ საქართველოში მეტად მნიშვნელოვანი ძეგლებია გამოვლენილი. ასეთებია ნაცარფორის, ყათლანიხევის და ხოვლეგორის ნამოსახლარებზე აღმოჩენილი სამლოცველოები და მელაანსა და „მელი-ღელეში“ გამოვლენილი – სამოსახლოთაგან განცალკევებით მდებარე სამლოცველობი (იხ. 143, 112-117). აღნიშნული სამლოცველოების აღწერაზე ჩვენ არ შეგებრდებით, რადგან ეს საკმაოდ დეტალურად არქეს მოცემული აკად. კონსტანტინე ფიცხელაურს თავის მონოგრაფიებში (იხ.143;) ამ გამოკვლევებში ავტორი სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დღესაც ხშირად გვხვდება აღნიშნულ საკულტო ნაგებობათა მსგავსი დაგეგმარების სამლოცველოები, შემაღლებული მოედნით, რომლის ცენტრალურ ნაწილში სალოცავი ნიშია განლაგებული. თამაშად შეიძლება ითქვას, რომ მოუხედავად სამათასწლოვნი სხვაობისა, სხენებული მასალა, ად ნიშნულ მხარეში მცხოვრები მოსახლეობის სულიერ-კულტურულ მემკვიდრეობითობას ნამდილად გვაგარაუდებინებს. ვფიქრობთ, ამის შესახებ მეტყველებს მდიდარი ეთნოგრაფიული მასალაც (იხ. 92; 93; 94; 95; 96; 121; 163 და სხვა).

მსგავსი სტრუქტურა შეიმჩნევა დასავლეთ კავკასიის მთიანეთშიც. მაგალთად, სვანური ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, ყოველი სვანური საკულტო ნაგებობა, რომელსაც მოგვიანო პერიოდში ამ მხარეში ქრისტეს რწმენის გავრცელების შემდეგ ამა თუ იმ წმინდანის სახელი შეერქვა, ერთი ან რამოდენიმე გვარისაგან შემდგარი სვანური თემის უტენავს მფარველი იყო; ამ თემში შემავალი მეომენი კი, თავის მხრივ, ამა თუ იმ სათემო ღვთაების „კაცებად“, სვანურად – „მარალ“ იწოდებოდნენ (196, 39-40).

ამ მხრივ, ვფიქრობთ, საინტერესო დღეობა იქნა ჩვენს მიერ აღწერილი ბალსმება სვანეთის სოფელ ჰადიში 1980-84 წ.წ. სვანეთის კომპლექსურ ექსპედიციაში (ხელ. ბ-ნი მიხეილ ჩართოლანი) მონაწილეობის ღროს, რომელსაც გამომდინარე მისი ერთობ თორიგინალური ხასიათიდან, შედარებით ვრცლად შევეხებით.

სოფელი ჰადიში, სადაც აღნიშნული დღეობა იმართება, მდებარეობს მდ. ჰადიშჭალის მარჯვენა ნაპირზე, ბლვას დონიდან

2100 მეტრის სიმაღლეზე და შედის ისტორიული თავისეუფალი სვანეთის შემადგენლობაში. სოფელი მდიდარია როგორც მატერიალური, ასევე სულიერი კულტურის (ამ სოფელში იყო დაცული, 897 წელს შატბერდის ლავრაში გადაწერილი ოთხთავი, რომელიც ამჟამად ჰადიშის სახარების სახელითაა ცნობილი.) პირველხარისხოვანი ძეგლებით; ორიგინალური ხასიათის კედლის მხატვრობით შემცირებული ოთხი ეკლესია, საცხოვრის ეკლესია, სახლები, კოშკები, ჭელური და ფერწერული ხატები ძირითადად განვითარებული შეა საუკუნეების ხანას განეკუთვნებიან. სოფლის მოსახლეობა 18 კომლს (1984 წ.) შეადგინა და ორი გვარის – ავალიანების და ქალდანების უბნებად არის გაყოფილი.

ქუდოსანი წმინდა გიორგის (ჯგარის ლიჩნიშ ლიფაფუ) ეკლესია სადაც აღნიშნული დღეობა იმართება, სოფლიდან 4 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ეკლესია XI საუკუნეებია აგებული და ჩვენამდე მცირედი დაზიანებებითაა მოღწეული. მოხატულია ოდნავ მოვარინებით. შედარებით უკეთაა შემორჩენილი ინტერიერში სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებზე შესრულებული სუენები წმინდა გიორგის ცხოვრებიდან. კედლებზე მრავლადაა გრაფიტული წარწერებიც.

ეკლესიისთვის, მოგვიანო პერიოდში, გარედან სამზადი (ნაბეჭი) და კოშკი მიუშენებიათ, რომელთაგან ახლა ნანგრევებიდაა შემორჩენილი. ეკლესიის მიდამო, დაახლოებით 200 მეტრის რადიუსში, ამჟამად მოზრდილი ლოდებითაა დაფარული, რაც აღრე აქ დასახლების არსებობაზე მიგვანიშნებს. ამ ვარაუდს უფრო ამყარებს ლეგენდა სოფლის მიტოვების შესახებ, რომელიც ჰადიშის მკვიდრმა, იმჟამად ეკლესიის მცველმა, გერმანე ქალდანმა გვიამბო: - ადრე, ჯგარაგ ლიჩნიშიდან დაახლოებით 1 კილომეტრის დაშორებით, ზევით, სოფელი არსებულა, რომელიც თეთნულდიდან დაწეულ მყინვარს დაუდანია. გადარჩენილა მხოლოდ სოფლის განაპირა მცხოვრები კაცი ოჯახით, რომელიც ეკლესიასთან დასახლებულა და იქ სახლი (ქორ) და კოშკი (მურვყამ) აუგია. აქ უცხოვრია ერთი პერიოდი. შემდეგ აქედანაც აყრილა და საერთოდ ჰადიშიდან დაბლა ჩასახლებულა, სადაც სოფელ წვირმისთვის მიუცია დასაბამი. მთხოვთებელის მიხედვით ეკლესიისთან ამჟამად არსებული კოშკის ნანგრევი და ლილოვანი ამ კაცის ნასახლარია.

ლიჩნიში სოფელ ჰადიში გამართულ საწესო დღეობათაგან უპირველესია და ამიტომ ადგილობრივი სვანები მას, ხშირად, ჰადიშობასაც უწოდებენ. დღესასწაული მიძღვნილია წლიდან წლამდე ამ სოფელში დაბადებული ვაჟებისადმი, მათი ბენიერებისა და ჯანმრთელობისადმი, რაც თავის მხრივ ქუდოსანი წმინდა

გიორგის თაყვანცემასა და მის მფლობელობაში მოყმეთა გაყვანაში გამოიხატება. დღესასწაულზე მოდიან აგრეთვე უძეო ოჯახებიც, რომლებიც სალოცავს ვაჟიანობას შესთხოვენ.

ლიჩენიში მოძრავი დღესასწაულია და კვირიკობის (28 ივნისი) შემდეგ ხუთშაბათის იმართება. ცალკეულ შემთხვევებში ხდება დღეობის გადავადება ერთი კვირითაც (მაგ. თუ სოფელში მიცვალებული ჰყავთ ჟყავთ).

დღესასწაულზე ძირითადად ჰადიშელები (როგორც ბემოთ აღვნიშნეთ სოფელში მხოლოდ ორი გვარი სახლობს – ავალიანები და ქალდანები) იყრიან თავს. მოდიან აგრეთვე თემიდან გათხოვილი ქალებიც თავთავიანთი ოჯახებით.

დღესასწაულის მთავარი მომენტია შესაწირის მიტანა წმინდა გიორგის ხატისადმი. შესაწირს შეადგენს: 3-6 მეტრის სიმაღლის ნაძვის ან ფიჭვის სარი (ლვაფი) მასზე შესაძლები ნაჭრით (დურშად); საკლავი – ხბო, მოზვერი ან ციკანი; 60-მდე ლემბირი (კანფის დანაყილთესლიანი სარიტუალო კერძები), 1 ლ. ზედაშე და თაფლის სანთელი. ამას გარდა მოღწენიშს (მღლუცელს) მოაქვს 20-30 ცალი ხაჭაპური, ერთი სამამაკაცო პური 10 ლიტრამდე რახი (საერთო ნადიმისთვის). შესაწირიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ღვატი და დურშად, რომელთა წარმოჩინებითაც განსაკუთრებით ამაყობს მოღწენიში. მათი მოგანა აუცილებელია მკვიდრი ჰადიშელისთვის ყოველ ვაკეზე, ხოლო სოფლიდან გათხოვილი ქალის (პასვიში) ოჯახისთვის პირველსა და მეორე ვაკეზე.

ლიჩენიშთან დაკავშირებით არსებობდა რიგი აკრძალვებისა თემის ყველა სრულასაკოვანი წევრისათვის. მაგ. დღესასწაულამდე ერთი კვირით ადარე ცოლ-ქმრულ ურთიერთობებს წყვეტლენი თემის ყოველ ოჯახში; დღესასწაულში არ მონაწილეობდენ ახალდაქირწინებული სამ თვეემდე და ახალმგლოვიარე ოჯახები.

დღესასწაულის გაძლიერის მიზნით სოფელი 4 ნაწილადაა გაყოფილი, და ისინი მორიგეობით ასრულებენ ამ მოვალეობას. იმ პირებს, რომლებიც დღეობას უძღვებიან „მემბირებს“ უწოდებენ. მათ ევალებათ მოლჩენიშთა მოგანილი შესაწირის უშაალოდ შეწირვა ხატისადმი და ლოცვა-ველრების აღვლენა მღლუცელთა სახელით. მათ უნდა გაეწიათ აგრეთვე დღესასწაულისწინა სამჩადისიც (ტერიტორიის გაწმენდა, შემის მომარაგება, ქვაბებისა და ჭურჭლის მომზადება ...).

მღლუცელები ჯერ კიდევ მზის ამოწვერვამდე თავს იყრიან ეკლესიასთან. იქვე გადავანთან გადმომდინარე წყაროზე განიბანებიან, რის შემდეგაც, განწმენდილო უფლება ეძლევათ

სამლოცველოს ტერიტორიაზე შესვლისა. ლიჩენიშვილები საკმაოდ ბევრი მღლოცველი იყრის თავს სრულიად სვანეთისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან. 1980 წელს 36 ოჯახი იყო ამოსული დღეობაზე, 1981 წელს 28, ხოლო 1982 წელს ქუდოსანი წმინდა გიორგის სადიდებლად 45 ოჯახმა მოიყარა თავი.

მსხვერპლთშეწირვა მზის ამოსვლისთანავე იწყება და იქვე ეკლესის გვერდით სრულდება. მოლჩენიშვილი თავის ზეარაქს მიუყვანს მემგირს, რომელსაც ამ რიტუალის შესრულება ევალება. ეს უკანასკნელი ერთ ხელში სანთლით და მეორეში ლემბირ-ზედაშით, შეავეღრებს წმინდა გიორგის მოლჩენიშვილს ვაჟს და ოჯახს. შემდეგ, ამავე სანთლით საკლას შებძლებები ბალანს შეგრუსავს და ამ ადგილზე ბედაშეს მიაპურებს. ამის შემდეგ მღლოცველს უფლება ეძლევა, იქვე ეკლესის გვერდით, თავადვე შესწიროს საკლავი საღოცავს. პატრიონს ზეარაკის მარჯვენა ბეჭი და გულ-ღვიძლი უბრუნდება, დანარჩენი ხორცი კი იქვე იხარშება და პურობის დროს საერთო სუფრაზე ნაწილდება. ცალკე იწვება ზვარაკის გულ-ღვიძლი, რომელიც განსაკუთრებულ კერძად ითვლება და მისი შექმა ყოველი მღლოცველისთვის სასურველია. იკვლება აგრეთვე სოფლის მიერ ნაყიდ ხარიც. ხარს დაკვლის წინ შეიყვანენ ნადაბაში (სამბადში), სადაც „მოლობანი“ ბემოთ აღწერილი წესისამებრ შესწიროავს მას საღოცავს. იგი თავის ლოცვაში ქუდოსან წმინდა გიორგის სოფელში ქუდის დამხურავთა (მამაკაცთა) გამრავლებას შესთხოვს.

მსხვერპლთშეწირვის შემდეგ მღლოცველი შედის ეკლესიაში და იქ მყოფ მემგირს გადასცემს ბედაშეს, ლემბირებს, სანთლისა და ფულს. ეს უკანასკნელი კი შესაწირს გადასცემს მოლობანს, რომელიც საკურთხეველთან ასრულებს მსახურებას. იგი წმინდა გიორგის მღლოცველის გვარში მამაკაცთა გამრავლებას შესთხოვს. დალოცაქს მოლჩენიშვილის ვაჟს, ჯანმთველობას, ბერნიერებას, გამარჯვებას უსურვებს მას. დალოცვის შემდეგ იგი რამდენიმე წვეთ ბედაშეს საკურთხეველზე დააქცევს, დანარჩენს კი იქვე მდგომ ჭურჭელში ჩაღვრის სადაც მღლოცველთა მირ მოტანილი ბედაშე გროვდება. მოლჩენიშვილის ბედაშის მხოლოდ მცირე ნაწილი უბრუნდება, რომელიც მან პურობისთვის მოტანილ დანარჩენ რახში უნდა გააბავოს.

შესწირვის რიტუალი, დაახლოებით შეა დღისთვის სრულდება, რის შემდეგაც მოლჩენიშვილი (ვაჟების მამები) თავიანთ მოტანილ ღვატებს შეაბამენ ნაჭრებს და აღმართული ღვატებით დგებიან ეკლესის მახლობლად შემაღლებულ ადგილზე. ეკლესიდან პოლცესია გამოასვენებს ხატს და მოლჩენიშვილისკენ გაემართება. მსელელობის დროს სრულდება წმინდა გიორგის სადიდებელი და კვირია სამ-სამჯერ. ღვატებადმართული მოლჩენიშვილის მწკრივთან

პროცესის მისვლის შემდეგ, ახლა უკვე საბოლოოდ, სჯაროდ შეძახილებით დაღოცავენ იმ წელს დაბადებულ ვაჟებს.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს მამაკაცის განსაკუთრებული როლი დღეობის მსვლელობაში. შესაწირის მიტანას, საკლავის დაკელას, ღვატების აღმართვას, ფულის შეწირვას მხოლოდ მამაკაცები ასრულებენ. ქალები მოშორებით დგანან და იქიდან შეჰყურებენ რიგუალის მსვლელობას. საგულისხმო ისიც, რომ მღლოცველნი (მოლჩენიშები) საღოცავში უქუდოდ არ მიდიან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ იმართება ქეიფი, ცეკვა-თამაში და სიმღერა, სადაც მამაკაცებიც და ქალებიც თანაბრად მონაწილეობენ. აღრე მხიარულების გამართვა ეკლესიის ებოში დაუშვებელი იყო, ამჟამად კი ეს ტრადიცია დავიწყებულია.

ლიჩენიშის მომდევნო სამშაბათს ოწყებენ თიბვას, რის ადსანიშნავდაც ხარი ახლა უკვე უშუალოდ სოფელში, მთავარანგელობის (თარინგზელი) ეკლესიის ებოში იკვლის.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალდაბადებული ვაჟის სახელობაზე შესაწირი მიაქვთ, ვაჟიანობას და საზოგადოდ შვილიერებას შესთხოვენ ზემო სვანეთის სხვა საღოცავებსაც.

მაგალითად, ლენჯერის თემის მჯერის ეკლესიაში მოსალოცად ძირითად უძეონი მოდიან. მღლოცველი მოაქვთ ზედაშე, ლემზირები, სანთელი და მოცყავთ საკლავი. ეკლესიის მსახური „მოლობანი“, უძეო ქალს კისერზე ჩამოაცვამს წირს - არყის ხის დაგრეხილ წნელებს და მეუღლესთან ერთად შეიყვანს საღოცავში. თან შეიგანენ შეწირული საკლავის შემწვარ გულ-ლვიძლს, სანთელს, შესაწირ ულს და საღოცავს ვაჟის შეძენას შეევეღრებიან. ამ რიტუალის შესრულება შესაძლებელია წლის ნებისმიერ დროს, ახალმთვარობის ორშაბათს.

ვაჟის შეძენას შესთხოვენ უძეონი ამავე სოფელის მეორე საღოცავს, ქაშუეთის წმინდა გიორგისაც. ქაშუეთობა იმართება აპრილის მეორე ნახევარში ახალმთვარობაზე. დღესასწაულში სოფლის მთელი ახალგაზრდობა მონაწილეობს. აცხობენ ლემზირებს და საღოცავს შესთხოვენ გვარის გამგრძელებელთა - ვაჟების გამრავლებას. ამ დღეს იმართება შეჯიბრი სოფლაში და მამაკაცთა დიდი პერობა, იკვლის ორი ხარი (დილა-საღამოს). ქაშუეთის წმინდა გიორგის ვაჟების შეძენას ევეღრებიან სხვა სოფლებიდან მოსული მღლოცველებიც.

შეწირულობანი ახლდაბადებული ვაჟების სახელზე მიაქვთ თანდილის დარინგზელის ეკლესიაშიც. ეს საღოცავი, რომელიც სოფლახუშთის (ლაგაღის თემი) მახლობლად მთაზეა აგებული, ვაჟების დამბადებელად და მფარველად ითვლება. აქ მოსალოცად მოდიან და შესაწირი მოაქვთ უძეო ოჯახებს ზემო სვანეთის სხვადასხვა სოფლებიდანაც.

ვაკების გაჩენისთვის მაღლს სწირავენ ქვემო სვანეთის სალოცავებსაც. მაგ. სკალდის მთავარანგელოზის ეკლესიაში (ლენტების რ-ხი), მრავლადაა მაღლიერ მშობელთა შეწირული ნივთები; ერთ-ერთ შეწირულ ყანწებები არის წარწერა: „4 გოგო ბესო ოთარის ძე ლიპარტელიანი სოფ. რცხმელური ახლა ბიჭი შემეძინა“. ამავე ეკლესიაში მრავლადაა შეწირული მრავალფერადი ნაჭრებიც.

ვაკების დაბადებასა და შვილიერებასთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო რიცხვალია დამოწმებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეებშიც. მაგ. ს. მაკალათია თავის წიგნში „მთიულეთი“ (იხ.92), გადმოგვცემს: – სოფ. ქავთარაანიდან (ფასანაურს გემოთ-პ.პ.) 4-5 კილომეტრის მანძილზე, სოფლების, კიუიანსა და წიფორს მორის მოთავსებულია წიფორის წმინდა გიორგის ხატი, რომლის სახელობაზე აგებული ეკლესია და ნიში ხატის ტყით დაფარულ ერთ გორაკზეა მოთავსებული. ნიში სავსეა ხატის უდლებით, განბალაკებით და სხვა შარნებით.

„ეკლესის გარშემო ჩამწერივებულია გრძელი ჭლოკები, რომლებზეც ურიალებენ თეთრ-წითელი ქსოვილის ნაჭრები. ხატს ამ დროშებს უცოლო ვაკები სწირავენ. ამ მიზნით ისინი ტყეში სჭრიან წიფლის ან ნაძვის მაღალ და სწორ ჯოხებს, რაც შეიძლება გრძელს, რომლებსაც წვერზე ფერად ნაჭრებს შეაბამენ. აღდგომბ დიღას, ვაკები ამ დროშებით წიფორის წმინდა გიორგის ეკლესიას სამჯერ შემოუვლიან და შემდეგ ამ ჯოხებს გალავანში ჩაასობენ. დროშას ხელს არავინ არ ახლებს სანამ თავად არ წაიქცევა და არ დაიშლება. ხალხის რწმენით ამ დროშის შემწირველს ხატი ცოლ-შვილის დირსად გახდის. წიფორის წმინდა გიორგის განსაკუთრებით ვაჟიანობას შესთხოვენ. ამ მიზნით მას ვერცხლის თასებსა და ღროშხს (ბავრიყის) სწირავენ. თუ ამან არ გასჭრა, მაშინ უძეონი ხუთწლიან კურატს მიპვრიან, დეკანოზს დაამწყალობებინებენ და იქვე დაპკლავენ. ამის შემდეგ თუ ვაჟი შეეძინებათ, მას წიფორის წმინდა გიორგის ყმად ზრდიან, თეთრებს აცმევენ და რამდენიმე წელიწადი ხატობაზე აფარებენ. სამსახურის გასვლის შემდეგ ვაჟს ამ თეთრებს გახდიან და იქვე ხატში დასტოვებენ“ (92, 23). ეს ღღეობა ჩვენს მიერაც იქნა დამოწმებული. მართალია ეს რიცხვალი ამგვარი სახით ყოფაში უკვე აღარ სრულდება, მაგრამ მიუხედავად ამისა იმ გვარის წარმომადგენლები, რომლებიც წიფორის წმინდა გიორგის საყმოდ ითვლებიან (ქავთარაძეები, ბიბილაშვილები, კიუიაშვილები) ახლაც სწირავენ ხატს სამაღლობელო ზვარაქს ვაჟის შეძენის შემთხვევაში.

ახალდაბადებული ვაჟის სახელობაზე საკულავი მიპყავთ ღომისის წმინდა გიორგის მღეთის სალოცავში და ალევის ოქროსკარიანი სამების (ქსნის ხეობა) ეკლესიაშიც.

ვაკების მფარველად ითვლებოდა მთელი რიგი რაჭული სალოცავებისა. სოფელ ზემო სხვაგაში(ამბროლაურის რ-ნი) არსებულ მთავარანგელობის ეკლესიაში, რომლის ნაწყრევებიც ხატის ტყით დაფარულ გორაკება შემორჩენილი, დედებს მოაქვთ შესაწირი (სანთელი, ფული) და თავიანთი ვაკების ჯანმრთელობისა და ბედნიერებისთვის ლოცულობენ. სოფელ სორში აღდგომიდან მეოთხე ხეთშაბათს წმინდა გიორგის ეკლესიაში გამართული ნაციხეურობაც ვაკიანობისადმი იყო მიძღვნილი, რომელსაც მრავალძლისა და ნიკორწმინდის სალოცავებიც „უბამდნენ მხარს, რადგან მათ ანგელობებს ერთმანეთიან მიმოსვლა და ურთიერთობა ჰქონდათ“.(მთხრ. ამბროსი მინდელი).

ლიჩენიშის თითქმის ანალოგიური დღესასწაულია დადასტურებლი ფშავ-ხევსურეთშიც, რომელიც ხატში გაყვანა-მიბარების სახელითაა ცნობილი. ხევსურეთში, როცა ვაჟი დაიბადებოდა, მშობლები მას „მიაბარებდნენ“ რომელიმე ხატს, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მას სამგბის მიაგორებდნენ ხატისკარს ან დროშასთან (18, 29). სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ჩვეულება გაანალიზებულია, როგორც დეთაების მიერ თავის საყმოს შეიღად აყვანის მისტერია, რის შემდეგაც ბავშვი ხატის მფარველობაში ექცევა (იქვე).

ვაკების დამბადებლად ითვლებოდა ხახმატის წმინდა გიორგის ხატიც. ამის შესახებ მოთხოვობილი აქვს გ. თედორაძესაც – „ხახმატის ჯვრის“ დანიშნულება იყო უშვილოთათვის შვილის გაჩენა; მეტადრე მას ეველებოდა ის, ვისაც შვილი არ ჰყავდა. ამ დანიშნულებისათვის ხახმატის ხატში განსაკუთრებული ნიში დგას – მწევრის საფლავი. აქ ორსულ დედაკაცებს (საგულისხმოა რომ ეს სალოცავი იშვიათი გამონაკვლისია, სადაც ქალს შეუძლია მისვლა და საკლავის მიყვანა-პ.) ან უშვილოს სფეხს დაადგმევნებოდნენ, რომ შვილი შესძენოდა, მეტადრე ვაჟი. აქ სალოცავად მოდიოდნენ არა მარტო ხევსურები, არამედ ფშავლებიც, თუშებიც და ქისტებიც.“ (62, 29).

ხახმატის ხატის შესახებ ჩვენ კიდევ გვექნება მსჯელობა, ამჟამად კი ისევ ლიჩენიშს დაუკარებულებით.

როგორც ზემოთ დღეობის აღწერიდან დავინახეთ, ეს დღესასწაული წმინდა გიორგისადმია მიძღვნილი, და ამ სალოცავსაც მოსახლეობა „ჯგარს გ ლიმნიშ ლიფაყუ“-ს ანუ გიორგი ლიჩენიშ ქუდოსანს უწოდებს. ამ დასახელებიდან ერთობ საინტერესოა სიტყვა „ლიჩენიშ“-ის (ძირი -ჩენ-) მნიშვნელობა.

ს. მაკალათია თავის ცნობილ გამოკელევაში –„ფალოსის კულტი საქართველოში“ წერს: – „სოფელ ჰადიშში დღესაც არსებობს სამლოცველო „ჯგრაგ ჩანიშიშ“-ად წოდებული (წმ. გიორგი ჭანე-

თისა), სადაც ყოველწლიურად „ლიჩანიშობას“ ანუ „ჭანეთობას“ ასრულებენ (97,131)“. როგორც ვხედავთ, ს.მაკალათიას სიტყვა „ლიჩენიში“ გოგონაფიულ ტერმინად მიუწნევია, რაზე დაყრდნობითაც აღნიშნულ ხატს ჭანეთის (ან ჭანეთიდან მოგანილ) სალოცავად თვლის. თავის მეორე წიგნში „ჯეგე მისერონის კულტი საქართველოში“, ს. მაკალათია ამ სალოცავს ახლა უკვე „ჩაინშის“ წმ. გორგოს სახელით მოიხსენიებს. აქვე აღნიშნავთ, რომ ჩვენ თხხების ვესწრებოდით ლიჩენიშობას და იმ ფორმით, რაგვარადაც ს.მაკალათია გვაწვდის სალოცავის დასახელებას, თანამედროვე ყოფაში არ დასტურდება და გვჭვდება მხოლოდ ფორმით – „ლიჩანიში“. ამ სახელით აქვს დღესასწაული დადასტურებული ქ-ნ მჩია მაკალათიასაც.

ჩვენის აზრით, სიტყვა „ლიჩენიში“ - გამჩენელს, დამბადებელს უნდა ნიშნავდეს და საერთოქართული ძირიდან –ჩენ– ძირიდან უნდა მომდინარეობდეს, რაც სრულად შეესაბამება თავად დღესასწაულის ხასიათს.

როგორც გვითოვ აღნიშნელ, ლიჩენიშობაზე მთავარ შესაწირს დვატი და დურშ -დროშა წარმოადგენს.

დვატი 3 - 6 მეტრის სიმაღლის სარია, რომელსაც ვაჟის მამები სწირავენ სალოცავს. დღეობამდე 3 - 4 დღით ადრე მოლენიში მიდის ტყეში, სადაც წინასწარ უკვე შეგულებული აქვს საჭირო სიმაღლის ნაძვის ან ფიჭვის ხე და სთლის შესაწირ დვატს.

დურშა – დვატზე შესაბმელი ქსოვილის ნაჭერია, რომელსაც სალოცავს ვაჟის მაღლიერი დედები სწირავენ. საერთოდ სვანეთში, ისევე როგორც საქართველოში და ბოგადად მთელს კავკასიაში, საკმაოდ გავრცელებულია სათემო ხაფებში ნაჭრების (საკადრისების, ხატის პერანგის, ლეჩაქის...) მიტანა. საკადრისებს უწოდებს ლიჩენიშებე შეწირულ ნაჭრებს, თავის ნაშრომში „სვანი ქალის სამოსი“, ც-ბეზარაშვილიც(იხ.21).

ქართულ ფოლკლორში, ისევე როგორც ტოპონიმებსა თუ უცხოენოვან წერილობით ძეგლებში, საკმაოდაა დაცული ხე-მცენარეთა თაყვანისცემის ამსახველი მასალები. პროკოფი კესარი-ელის ცნობით, აფხაზ-აფშილები თაყვანს სცემელნენ ტყეებსა და ხეებს, რომლებიც მათ ღვთაებებად მიაჩნდათ. წმინდა ნინოს ცხოვრება გვაუწყებს, რომ „სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა მას, რომელსა ეწოდების ურბნისი, სადა იგი იხილა ერი უცხო და უცხო ღმერთთა მსახური, რამეთუ თაყვანს სცემდეს იგინი ღმერთად მათდა ცეცხლსა, ქესა და ძელთა“(152, 274).

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, განსაკუთრებით მის მთიან მხარეებში, ხისა და ტყის კულტი გვიანობამდე შემორჩა.

მაგალითად სვანეთში, კალის თემში, დაცული იყო ცადაწევდილი ხეებით დაფარული ადგილები, როგორც წმინდა და სათაყვანებელი. ამ ადგილებიდან, სვანების რწმენით, ნაფოტის გატანაც კი ღვთის რისხვას გამოიწვევდა.

ასევე ხატის ტყეები მრავლად არის ფშავ-ხევსურეთში. კახეთში, აწყურის წმინდა გიორგისა და ალავერდის ეკლესიების ადგილზე ძევლად წმინდა ტყეები ყოფილა გაშენებული. აფხაზეთში, აგაზაკი, რომელიც თავს წმინდა ტყეს შეაფარებდა, ადათის მიხედვით ხელშეუხებელი იყო.

სავარაუდოა, რომ ლიჩენიშში დადასტურებული ღვატების დამზადება ნაძვისგან, განვითარების აღრუელ ეტაპებზე ქართველურ ფომებში ხის კულტის არსებობის გამოძახილი უნდა იყოს. ნაძვი, წმინდა ხედ ჯერ კიდევ შემერებს მიაჩნდათ. სამეფო ნერგი კოსმიური ხის ფუნქციას ასრულებდა: „რჩეულო კედარო, მშვენებავ ექვრის ეზოისავ, ურ-ნინურთა, შენს ჩრდილს შუმერის ქვეყანა მოწიწებით შეუკრძეს“(80, 125).

სვანერი და საზოგადოდ კავკასიის მთიანეთში მოსახლე ხალხების საწესო-გრაფიკულ ხელოვნებაში ნაძვის, როგორც მაგიური თვისებების მქონე ხის გამოსახვის მრავალი მაგალითია დადასტურებული. მაგალითად, ამგვარი გამოსახულებები დავადასტურეთ სოფ. ჰადიშმიც. აქ ნაძვის ხეებთან ერთად ჯიხვთა არვეუად გამოსახული.

ნაძვის ხე, როგორც ნაყოფიერების სიმბოლო, ფიგურირებს „საქმისათ“-ს რიცხალშიც. აქ ყველიერის ხეთშაბათს აგებული თოვლის მურყვამის (კოშის) თავზე ნაძვის ხეა აღმართული, რომელზეც ძველ კალათს, საცრის ძირს, ორ ხის ხმალს და ხისგანვე გამოოთლილ ფალოსს კიდებდნენ. ზედვე ჩაღისგან დამზადებულ ადამიანის ქანდაკებასაც ჩამოაცემდნენ ხოლმე (96, 134).

მთლიანობაში, როგორც პადიშობის დღესასწაულის აღწერიდან და მისი სახელწოდების ანალიზდან ირკვევა, ლიჩენიში ნაყოფიერების – „გამჩენელი“ ღვთაებისადი მიძღვნილი დღეობაა. ამდენად, კითვალისწინებთ რა ნაყოფიერების ღვთაების მიმართებას ფალოსის კულტთა (ს.მაკალათია), სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ლიჩენიშობაზე მოგანილი წმინდა ხისგან, ნაძვისგან, დამზადებული ღვატები, არაცნობიერად, გარკვეულწილად ფალოსის ალეგორიული გამოხატვაც შესაძლოა იყოს. როგორც ცნობილია, ძველ კულტურებში, ნაყოფიერების ღვთაებათა ფაძრებში უზარმაზარი ფალიური ძეგლების აღმართვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რაც თავის მხრივ, მღლოველთა მხრიდან ნაყოფიერებისა და შემოქმედებითი ენერგიის გაძლიერების სურვილის გამოხატვას განასახიერებდა.

დვატი, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მთავარი შესაწირია, რომლის წარმოჩინებითაც განსაკუთრებით ამაყობს მოლჩენიში. ყერადღება ექვევა დვატის ფიზიკურ ნიშნებსაც – სიმაღლეს და სისწორეს. აქვე დავამატებთ, რომ მისი მოგანა სალოცავში მამის პრეროგატივაა. მას ქალის ხელი ვერ შეეხება. მართალია, აქ დვატს პირდაპირ ფალოსის აღმნიშვნელად არავინ მიიჩნევს, მაგრამ როდესაც მოლჩენიში მას წამომართავს, მხოლოდ და მხოლოდ საქუთარი ძალით, სხვის დუხმარებლად (დვატი საკმაოდ დიდი და მძიმეა), დღეობის მონაწილენი მას სიცილ-სიცილით არაცნობიერად აიგივებენ კიდეც ფალოსთან.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ სავარაუდებელია დვატ-დურაშის ხატის დროშად აღქმაც. რამდენადაც თემში დაბადებული ყოველი ვაჟი ხატის მოყმედ, მის მხედრად, მის მეორმად ითვლებოლა, ხატის სახელზე მაღლიერი მამები გამჩენელ წმინდა გოორგის დროშებს სწირავდნენ. დროშას, რომელშიც სახიერდებოლა კიდეც თავად სალოცავი. აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ აღმ. საქართველოს მთიანეთში დროშა ხატის სახეა საზოგადოდ.

მაშასადამე, კიდევ ერთხელ აღნიშნავთ, რომ მოტანილი მასალების თანახმად, დღეობა „ლიჩენიში“ ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი დღესასწაულია და ამ შემთხვევაშიც, როგორც ეს საკმაოდ ხმირია საერთო კავკასიურ სინამდვილეში, ქრისტიანულ წმინდანს წინარე, წარმართული ხანის ღვთაების ფუნქციები შეეფასებია.

ქრისტიანული წმინდანის, ამჯერადაც წმინდა გიორგის მიერ ნაყოფიერების ღვთაების ფუნქციების მინიჭების ფაქტს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც, კერძოდ ხახმატის ჯვრის ფენომენიც ვაწყდებით(103, 57-79).

ხახმატის ჯვარში, რომელიც რჯულიანთ-ურჯულოდ სალოცავად (ამ ფენომენს მოგვიანებით ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით) ითვლება, ორ ღვთასშვილს ეთაყვანებიან – გიორგი ნაღვარმშვენიერს და სამძიმარ (სამძივარ) ხელი-ყელილიანს. აქ ძირითად ღვთისშვილად გიორგი ითვლება, ხოლო სამძიმარი გაღვთისშვილებული ქაჯის ქალია, გიორგის „მოღე“. დადასტურებულია, რომ ხახმატის ჯვარი უშეველოთა და დაუჯახებელთა ბედის გამხსნელიცაა (ბედის გამხსნელად ითვლება მთვლი რიგი ფშავის სალოცავებიც; მაგ. მოდის გორის (გოგლაურთის) თეთრი გიორგის „დაბრძანებული“ ნიშიც). ამ ფუნქციას გიორგიც და სამძიმარიც თანაბრად იჩიარებენ. ხახმატის ჯვარს ასევე საგანგებოდ მიმართავდნენ და საკლავს სწირავდნენ ახალდაქორწინებულთა სიმრთელისა, გამრავლებისა და ღვლათიანობისთვისაც. როგორც მიჩნეულია,

აქაც ორი დვთაების შერწყმასთან უნდა გვქონდეს საქმე „„სამძიმარი“ უფრო ძველი და ფართო მნიშვნელობის მქონე დვთაებაა. იგი არამც თუ დაკარგელა და მიჩრდილულა, არამედ ნაყოფიერებისა და ბარაქიანობის ფუნქციათა შესრულებაში გიორგიზე ძლიერი ჩანს. გიორგი სათემო ხატია, მოლაპქრე დვთისშვილი, ვაჟი დვთაებაა რომელიც პატრიარქალურ-გვაროვნული წყობილან მოყოლებული დიდი უფლებებით სარგებლობს. იგი თანდათან ჩრდილავს უფრო ძველ ნაყოფიერების დვთაებას – სამძიმარს, ერწყმის და მისი ფუნქციების გამზიარებელი ხდება. გიორგის სხივებეშ სამძიმარის სახელის მიჩქმალვა, მისი დობილად, ქაჯის ქალად გამოცხადება გიორგის კულტის განსამტკიცებლად უნდა მომხდარიყო მოგვიანებით” (103,42).

სამძიმრის ნაყოფიერების ქალღვთაებად გააჩრება ჯვარის „ხელკაცებთან“ მისი სექსუალური ურთიერთობების ფაქტსაც ხსნის. საზოგადოდ, რელიგიათმცოდნეობაში ცნობილია, რომ დვთის რჩეულობის (ადეპტობის) განვითარების სხვადასხა საფეხურზე ხალხის რწმენით, ადმიანსა და დვთაებას შორის გარკვეული ინტიმური ურთიერთობა სეფევდა. მაგალითად, შეამდინარეთში, ქურუმობის ადრეულ საფეხურზე დვთაება კავშირს ამყარებდა ან ქურუმ მამაკაცთან, ან ქურუმ ქალთან. ძველ ეგვიპტეში, ამონის გაძარში დამის განმავლობაში რჩებოდა ეგვიპტის დედოფალი, როგორც ამ დვთაების მეუღლე (იხ. 346).

უნდა აღინიშნოს რომ დვთაებრივი მიჯნურობის თემა არც ქართველური და შესაბამისად, არც საერთოკავკასიური სამყარო-სთვის იყო უცნობი. ეს თემა ძალუმად ფიგურირებს ამირანის მითსა და ნართების ეპოსში; ერთობ ხშირია აფხაზურ, ადიღეურ, ვაინახურ, დაღესტნის და ქართველური მოდგმის ხალხების მითებსა და გადმოცემებში.

ადიარებულია, რომ მხატვრული აბროვნება კაცობრიობის განვითარების უადრეს ეტაპებზე მითოსის ფორმით ვლინდება, რასაც უწინარეს ყოვლისა რელიგიური ცნობიერება განაპირობებდა. მითოსური წარმოდგენების უღრმეს შინაარსს ხედავენ რელიგიურ იდეებში სადაც გასულიერება, გაპიროვნება, ანუ პერსონიფიკაცია და „ხატოვანი“ წარმოდგენა (მეტაფორა) განიხილებიან, როგორც მითოსური აბროვნების ძირითადი მახასიათებლები. გამომდინარე აქედან, დვთის არსის შესახებ სერიოზული და ინტელიგიბელური საუბარი მხოლოდ სიმბოლურ და მეტაფორულ ფორმებშია შესაძლებელი, რამეთუ რელიგია მუდამ სიმბოლურ ენაზე მეტყველებდა...ამ მახასიათებელთა ინტერპეტაცია კი მხოლოდ მათი შედარებით-ისტორიული მეთოდით შესწავლის შემთხვევაშია ხელმისაწვდომი(29, 23-24).

რამდენადაც მითოსი აღმოცენდა და ჩამოყალიბდა ადამიანური გონების ემანსიპაციამდე, მითოსური ცნობიერება წინ უსწრებს ინტელექტუალურ, ლოგიკურ ცნობიერებას. მითოსი პირველადი შემცირდა ადამიანის მიერ გარესამყაროსი. მითოლოგია განიხილება, როგორც პირველადი მეტაფიზიკა, ხოლო მეტაფიზიკა, როგორც მეორადი მითოლოგია, რომელშიც ანთროპოლოგია (აქ ეს ტერმინი იხმარება მსოფლიო სამეცნიერო სამყაროში მიღებული მნიშვნელობით) და კოსმოლოგია თანხვდებიან და ჰქმნიან ტრანსცენდენტურ პრინციპს, ადამიანური ყოფის განმსაზღვრელს. მითოსური ეპოქის დასასრულიდან იწყება ისტორია, იწყება ემანსიპაცია და მეუფება ადამიანისა. პიროვნების აღმოჩენა აუქმებს მითოსურ ცნობიერებას და ამკითხურებს გონებას (იქვე).

მსგავსი მასალების საფუძველზე მკვლევარები ასკვნიან, რომ სარწმუნოებრივად ქურუმები ერთგვარად, ინიციაციურად სექსუალურ კავშირში იმყოფებიან დეთაებებთან, ისინი დეთაებათა მიწიერ მეუღლეებს წარმოადგენენ. საგვლისხმოა, რომ ამგვარი მიწიერი სარტყოების ყოლბ განსაკუთრებით ქალღვთაებებს მიეწერებოდათ, რომელთა მეტვეობითაც ისინი ნაყოფიერებასა და სასიცოცხლი ენერგიას განფენდნენ თავიანთ საუფლობე. მაგალითად ქალღმერთი იშთარი ასე მიმართავს გილგამეშს – „ყავავი ჩემი სატრო, მე ვიქწია შენი ცოლი... შენს წინაშე ქედს მოიხრიან მეფები, მოგართმევენ ძლვენს“ (80, 265). ასევე ხეთების დეთაება აფისის, ინანას შვილის შესახებ დარჩენილია გადმოცემები, სადაც იგი გამოყვანილია ახალგაზრდა, ლამაზ მწყებსად, რომელსაც ეტრულდა ღმერთების დედა, ნაყოფიერების დიდი ქალღმერთი. ამავე ხასიათისაა გადმოცემები იმიდასა და ოსირისის შესახებ. ბერძნულ მითოლოგიაში კი ეს მოვლენა აფროდიტეს მიერ მშვენიერი აღონისისადმი ტრუიალების სიუკეში აისახა.

ხახმატის ჯვარში წარმოდგენილი ღვთისშვილების, გიორგი ნაღვარ-მშვენიერისა და სამძიმარ ხელი-ყელღილიანის, ანალიზის შემდეგ თინათომ ოჩიაური დაასკვნის, რომ ხახმატის ჯვრის ცნებაში წარმოდგენილი ორი ღვთისშვილიდან ნაყოფიერებას სამძიმარი უნდა ასახოურებდეს; იგი უფრო ძველი ჩანს; გიორგის ვერ დაუძლევია სამძიმოს ძლიერი კულტი, შერწყმია მას და მისი უუნქციები გაუზიარება (120, 47).

ვფიქრობთ, ანალოგიური სურათი გვაქვს სვანური „ლიჩენიშის“ დღესასწაულთან და კავშირებითაც, სადაც წმინდა გიორგის ნაყოფიერების ღვთაების ფუნქციები აქვს მიეუთვებული. აქ ღვთაების სინკრეტულობა შედარებით უფრო სუსტადაა წარმოდგენილი აღმ. საქართველოს სალოცავებთან (თუნდაც ხახმატის ჯვართან)

შედარებით, რაც მირითადში განაპირობა „სვანეთში ქრისტიანული რელიგიის მეტად „დანერგვამ“, ვიდრე ამას ადგილი პქონდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“ (მ. მაკალათია).

როგორც სვანეთში ჩვენს მიერ შეკრებილი საველე მასალის მხედვით ირკვევა, აյ წმინდა გიორგის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას მონადირეთა მფარველობაც შეადგენდა. ეს ფუნქცია მიეწერებოდა უშგულის(ჩაქაშის), მესტიის(მოლჯ ჯგრავი), იფხის, იფარის და ზემოთ აღწერილი პადიშის წმინდა გიორგის სალოცავებს.

პადიშის ჯგრავ ლიჩენიში ხეობის სათავეებში მდებარე საჯიხუების (ლაკვცრა) ბატონ-პატრონადაც ითვლება. მას აკუთვნებდნენ ჯიხვებსა და მგლებს (ეს უკანასკნელი წმინდა გიორგის ძალებად ითვლებიან. თუკი მონადირე შეხვდებოდა რაიმე ნიშნით გამორჩეულ ჯიხეს, მაგ. წელზე თეთრი ბოლოთ, რომელიც არვეს წინამდოლობდა, მას იყი არ უნდა მოეკლა, რადგანაც ასეთი ჯიხვი წმინდა გიორგის რჩეულად ითვლებოდა და ღვთაების მიერ „მიჩნეული“ ნადირის მოკვლისათვის მონადირეს გარდაუვალი ხიფათი ელოდა. როგორც მიჩნეულია, ამ შემთხვევაში შედარებით მოგვიანო ხანის წარმოდგენასთან უნდა გვქონდეს საქმე, როდესაც რაიმე ნიშნით გამორჩეული ნადირის სახით უშუალოდ ნადირთვთაების გამოცხადება ხდება (61, 127).

სანადიროდ მიმაგალი პადიშევლნი გგად ლიჩენიშის წმინდა გიორგის ეკლესიაში შეივლიდნენ, აანთებდნენ სანთლებს და სალოცავს ნადირობაში შეწევნას შესთხოვდნენ. ეკლესიიდან გამოსულნი თეთნულდის კალთებზე კიდევ ორ ვითინთან შეჩერდებოდნენ სადაც ასევე წმინდა გიორგის შეავედრებდნენ საკუთარ წარმატებულ ნადირობას. ნადირობიდან ახლა კავე უცილობლად სხვა გზით მობრუნებულნი ისევ ლიჩენიშის სალოცავში შეისვენებდნენ, ნადაბაშში (ეკლესიის სამეურნეო მინაშენი) ნანადირევის გულ-ღვიძლს (ყვიქს) შესწირავდნენ და შემდეგ უშუალოდ ეკლესიაში, საკურთხეველთან სანთლეს აანთებდნენ. აქვე ტოვებდნენ ჯიხვის რქებსაც.

ლიჩენიშის წმინდა გიორგი შინაური პირუტყვის, კერძოდ ცხენთა და ჯორთა მფარველადაც ითვლებოდა. როგორც სერგი მაკალათია გადმოგვცემს, ამ სალოცავისადმი შეწირულ ერთ-ერთ ჯვარზე შემდეგი წარწერა ყოფილა ამოცვითურული – „წმინდათ გიორგი ჩაინშისა, მეოხ ექმენ ცხენსა და ჯორსა ჩემსა“ (ს. მაკალათია). ამ მხრივ პადიშის წმინდა გიორგი პარალელს პოულობს ხევსურეთში საჩალეს წმინდა გიორგის სალოცავთან. ამ ხატში ძირითადად ბუჩქურთას მცხოვრები მოდიოდნენ, რომლებიც სალოცავს სხვა მრავალ სათხოვართან ერთად შინაური პირუტყვის, განსაკუთრებით

კი ცხენების გამრავლებას სთხოვდნენ. საყურადღებოა, რომ მლოცველნი ხაფს ბვარაკად კვიცებს სწირავდნენ, რაც თავის მხრივ უპრეცენდენტო შემთხვევას წარმოადგენს ქართულ ტრადიციულ ყოფაში⁸.

ლიჩენიშის წმინდა გიორგის სალოცავში ვხვდებით ნალის მასიური შეწირვის შემთხვევებსაც. სალოცავის კარი შეწირული ნალებითა მოჭედილი. მათ შორის ბეგრი მხოლოდ სარიცხალო დანიშნულებისაა. ცნობილია, რომ ნალს როგორც რკინის ნივთს, მაგიური დანიშნულება მიეწერება. მას ავთ თვალისაგან დაცვის მიზნით აჭერებდნენ სახლის კარზე; დამთვარიანებული ბავშვის სახელზე გამოჭრიდნენ ნახევარმთვარისებურ ნალს, თავსშემოავლებდნენ მას ავადმყოფს და შემდეგ ეკლესიაში შეწირავდნენ.

ლიჩენიშის სალოცავში მრავლადაა შეწირული ტყვევი და ისრის პირები. ეს უკანასკნელნი საკმაოდ ძველია და დაახლოებით განვითარებული ფერდალიზმის ხანას განეკუთვნებიან. ისრებსა და ტყვიებს სწირავენ სვანეთის სხვა წმინდა გიორგის სალოცავებსაც. მაგ. სოფელ თავრარის ჯგრაგის ეკლესიაში შეწირული 313 ცალი ისრის პირი და 23 „გინტვეკის“ ტყვია დავაფიქსირეთ. უდაოა, რომ მლოცველი სალოცავს, ღრო და კამის შესაფერად, საგყორცნ-სასროლ იარაღს, როგორც მტრისა და ორგულის გამგმირავ ნივთს ისე სწირავდა. რამეთუ წმინდა გიორგი ბოროტების, ავგულობის და ქვენა ძალების დამთრგუნავი წმინდანია, რომელიც ხშირად საეთოქართველურ და სვანურ იკონოგრაფიაში უმეტესწილად ბოროტი ადამიანის (დიოკლეტიანეს) დამლახვრავ გმირადაა გამოხატული⁹.

საბოლოოდ, ვფიქრობთ, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ჰადიშის ლიჩენიშის სალოცავის ფენომენი საერთო კავკასიური ყოფისათვის დამახასიათებელი სინკრეტიზმის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია.

სვანეთის ისტორიული საბუთების მიხედვით, ქრისტიანული წმინდანის სახელობის ყოველი აქაური საკულტო ნაგებობის გარშემო „საყდრიოშვილები“ ერთიანდებოდნენ, რადგანაც მიწის უზენაესი მესაკუთრე „საყდარი“ იგივე „ხატი“ იყო. აქედან

⁸ აქვე არ შეიძლება არ გაგვახსენდეს I-III სს.თასები ცხენთა გამოსახულებით – ცნობილი ბორის თასი და სხვა.

⁹ მიგვაჩნია, რომ X-XIIIსს-ს ქართულ იკონოგრაფიაში ამ საკმაოდ გაურცელებულ სიუკეტს ქვეცნობიერად საფუძვლად პოლიტიკური სარჩულიც უდევს – დიოკლეტიანე საქართველოს მოქიშპე ბიზანტიის განასახიერებს.

გამომდინარე, ამ სალცავთა გარშემო მსხდარ „ლამბეუბებებში“ („საძმოებში“) შემავალ სოციალურ ჯგუფებს საყდრის მიწა „შვილობის“ პირობით ეჭირათ. რამდენადაც ცალკეულ ხევთა საყდრიონთა მფარველად სეტის მთავარმოწამე გამოდიოდა, „სრულიად სვანეთის ხევის“ მოსახლეობი – „სრულიად სუანნი“ – სეტის მთავარმოწამის შვილებად ითვლებოდნენ. ამ ხევთა გაერთიანება საყდრიშვილთა ურთიერთშორის დაღებული ფიცით მტკიცდებოდა. ფიცის საფუძველზე პირობა - ვალდებულებებით შეკრული ხევები წყაროებში ტერმინ – „ერთობილი“-თ აღინიშნებოდნენ. ამდენად, ერთობილი ხევის – „სრულიად სვანეთის ხევის“ გაერთიანების სიმბოლოს სეტის მთავარმოწამე წარმოადგინდა (25, 111-123).

სტრუქტურულად სვანური სატაძრო თემის ანალოგიური იყო ხევსურული, ჯგარისყმობის სახელით ცნობილი სატაძრო თემიც (18, 495-502). ეთნოგრაფიულად დადასტურებული მასალების თანახმად, ყოველი ხევსური მამაკაცი „საწულეობის“ წესს გადიოდა, რაც „ხატის“ მიერ „ახალწულის“ (ვაჟი ერთ წლამდე) „შვილობაში“ გამოიხატებოდა. თვით შვილობის აქცი კი, როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, ხატის(ჯვარის) დროშის ქვეშ შიშველი ბავშვის სამჯერ მიგორებით გამოიხატებოდა. მხოლოდ „საწულეობის“ წესგადახდილი ხელებოდა უფლებამოსილი, სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ ჯვარისყმობის (ხატისშვილობის) პირობით, დაეჭირა „ხატის“ მფარველობაში მყოფ სათემო მიწაზე სამოსახლო ადგილი(56, 176-182).

ვიცით, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ყოველ ხატს, ღვთისშვილს თავისი საყმო ჰყავდა. „საყმოში“ იგულისხმებოდა განეწყვეტილ ტრადიციაზე დაფუძნებული საზოგადოება, საკრალური შეაგელით, რომელსაც მისი მფარველი ჯვარი ძნე ყმათა(მოყმეთა) საერთო სალოცავი განასახიერებს. საყმოს აქცს საერთო რჯული და საერთო ანდრები; აქედან გამომდინარე საერთო წარსულის შეგნებაკხოვრების ერთნაირი წესით და ყოფაქსევის სტერეოტიპით (79, 9). ეს ხალხი, რომელიც ქმნის თავის თავგადასავალს, თავის ისტორიას, თავის ანდრებებს, საყმოშია გაერთიანებული, შეადგენს საყმოს... ტერმინი საყმოც იმგვარადვეა აგებული მორფოლოგიურად, როგორც სა-ძმო; მათ შორის სრული მორფოლოგიური და სემანტიკური პარალელიმია(79, 169). მაშასადამე, სამმოს, მითიური და რელიგიური შეხედულებებით განმტკიცებული სოციალური ერთეულის, ერთიანობის სიმბოლოს, ერთიანობის საფუძველს ჯვარი – ხატი წარმოადგენს.

ჯვარი და ხატი, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში იდენტური ცნებებია, აღნიშნავენ როგორც ამა თუ იმ ტომის ან თემის მფარველ და ბატონ-პატრონ ღვთისშვილებს, ისე ამ ღვთისშვილთა მიწიერ საბრძანისებს. გამომდინარე აქედან, ისინი წარმოადგენდნენ ადგილობრივი თეოკრატიული მმართველობის ცენტრებს და მათი მიმდებარე ვრცელი ტერიტორიები (ამ ხატებს მამულები ჰქონდათ ბარშიც) წარმოადგენდნენ განვითარებულ სატაძრო მეურნეობას(13, 11).

მაგალთად, არაგვის ხეობაში მდებარე 12 თემისგან შემდგარ ძირითად ფშავის თემთაგან¹⁰ თითოეულს გააჩნდა თავისი სათემო ხატი ნაგებობათ კომპლექსით და სათანადო მეურნეობით, რომლებიც თემის ადგილობრივ საბოგადოებრივ-საკულტო ცენტრებს წარმოადგენდნენ. გარდა სათემო ხატებისა, თემში შემავალ თითოეულ სოფელში წარმოადგენილი იყო ადგილობრივი მნიშვნელობის ერთი ან მეტი ხატი, რომელთა შორისაც უცილობლად იყო „ადგილისდედა ღვთისმშობელი“(13, 12).

სათემო ხატებთან ერთად არსებობდა საერთო საფშავლო ხატები – ლაშარის ხატი ხმელგორგე, საკვირაო კაწალხევზე, თამარის ხატი ღელებე და დამასტეს ხატი მათურნევზე.

მოხმობილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს ფშავის სალოცავთა იერარქიული კიბის მთელი არქიტექტონიკა. აქ, იერარქიულად დაბალ საფეხურზე იყვნენ განლაგებული სოფლის შიდა ადგილობრივი ხატები, რომლებიც თავისითავად ამ სოფელთა ერთიანობას ასახიერებდნენ. მათ შემდეგ, შედარებით მაღალ საფეხურზე სათემო ხატები იდგნენ, რომელთა შემდეგაც იერარქიულად უმაღლეს საფეხურზე მდგომი „ბუდე ფშავის“ სალოცავები აგვირგვინებდნენ ამ სარწმუნოებრივ „პირამიდას“.

მიგხმნია, რომ გარკვეულად, შესაძლებელია ერთგვარი სტრუქტურული მსგავსებების დაფიქსირება სვანეთისა და ფშავის სალოცავთა იერარქიულ არქიტექტონიკაში. ალბათ, შესაძლებელია პარალელები გავავლოთ და ვისაუბროთ ამ ორი კუთხის თეოკრატიული მმართველობის სტრუქტურული მსგავსებების შესახებაც¹¹. საფიქრებელია ისიც, რომ ამგვარი ურთიერთობების ჩამოყალიბებას საფუძვლად ისევ და ისევ ოჯახური რელიგია, გენითებიმი ედო საფუძვლად, რაც ყოველ ოჯახში „ადგილის დედისადმი“ ან „ფუძის ანგელობისადმი“ თაყვანცემაში სახიერდებოდა.

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა მხარეებს, მაგალითად მთიულეთს, გამოკვლეულია, რომ აქ

¹⁰ თუმცა დღეს ფშავს 15 თემადაც ჰყოფენ.

დასახლების ერთეული – სოფელი, უპირატესად ერთი გვარის ოჯახებით იყო დასახლებული. ისინი განვითარების გარკვეულ საუეხურგებელი ძეველი გვარის კომობას ჰქმნიდნენ. ეს იყო ტიპიური პატრონიზმიული (და არა გვაროვნული) დასახლება, რომელიც კარგად ცნობილი საოჯახო თემის გადმონაშთური ფორმის სეგმენტაციის შედეგად ყალიბდებოდა. ბევრ ასეთ პატრონიზმიულ წარმოხატების დღემდე შემორჩათ საერთო კოშკი, საღაც ინახებოდა საოჯახო კულტთან დაკავშირებული ინვენტარი და იმართებოდა საეთრო საოჯახო დღეობები. ამ რიგის დასახლება უბრუნველყოფილი იყო აგრეთვე თავდაცვის საერთო საშუალებებითაც. რაც მთავარია მას აერთიანებდა საერთო სამეურნეო ინტერესები, რაც გამოხატულებას პოულობდა სხვადასხვა დანიშნულების მიწის ნაკვეთების საერთო მფლობელობაში. მთიულებით და მისი მიმღვრმი ხევები, დასახლების სტრუქტურის თვალსაზრისით, განსახლების იმ საერთო სურათს ასახავდნენ, რომელიც ზოგადად ახასიათებდა საქართველოს დანარჩენ მხარეებს(179, 9-10).

როგორც ცნობილია, პატრონიზმია შედეგი იყო ოჯახის ბუნებრივი ბრდისა და დაშლისა. საწარმოო განვითარების ღონე და შესაბამისა საზოგადოებრივი პირობები იწვევდა ოჯახური თემის მეურნეობის ისე დაშლას, რომ მისგან გამოყოფილი ჯგუფები ერთიმეორეს შორის ინარჩუნებდნენ საზოგადოებრივ და იდეოლოგიურ ერთიანობას და ქმნიდნენ განსაკუთრებულ ნათესაურ ჯგუფს - პატრონიზმიას, რომელიც შედგებოდა ბევრი ან რამდენიმე ცალკეული, მაგრამ ერთმანეთთან მონათესავე ოჯახებისგან, რომლებიც ერთი საერთო წინაპრისგან მომდინარეობდნენ და პქონდათ საერთო სახლი(345, 4). თავის მხრივ, დიდი პატრი-არქალური ოჯახი, გვაროვნული ოჯახი, ოჯახური თემი წარმოადგინს ჯგუფს, რომელიც შედგება სამო-ოთხი-ხუთი ან ხანდახან მეტი მონათესავე შტოებისგან შემდგარი თაობებისგან. მისი სამეურნეო არსი მდგომარეობს მიწის ერთობლივ მფლობელობაში; საწარმოო საშუალებების, ოჯახური შინაური პირუტყვის და სხვა სამეურნეო საქონლის ერთობლივ საკუთრებაში, საერთო მწარმოებლობასა და საერთო მოხმარებაში.

¹¹ აქვე აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ მთიან ბოლში პირდაპირი კავშირების დარღვევა აღმ. და დას. საქართველოს მთიანეთის მოსახლეობას შორის, მოგვიან პერიოდში ოსთა შემოჭრასაც უნდა გამოიწვია. ამის მაგალითთან დებური კოლო-კავი საღაც აშკარად შენიშნება მთიულეურ კოლო-კავთან მორფოლოგიური კავშირები. ეს ერთიანობა კარგად შეინიშნება ქრისტემდე XII – VI სს-ს აქრეთლოგიურ მასალებშიც. ამ საკითხების განხილვას ჩვენ ცალკე სტატიაში ვაძირებთ.

პატრიარქალურ-გვაროვნული წყობის საწარმოო ძალთა განვითარების ღონე განაპირობებს ოჯახური თემის სიდიდეს. ბუნებრივად გამრავლებული თემი თანადათანობით სეგმენტაციას განიცემის, განიცოფა რიგ მცირე ოჯახურ თემებად, რომლებიც დრო და დრო იბრძებიან და თავის მხრივ ისევ იმსებიან. დიდი ოჯახი ისტორიულად უნივერსალური მოვლენაა. იგი ახასიათებდა თითქმის ყველა მოდგმის ხალხს არა მხოლოდ განვითარების დაბალ საფეხურზე, არამედ შემდგომაც. სწორედ ამდაგვარ სოციალურ ერთეულში, დიდ ოჯახში, განვითარების უაღრესი სფადიდან ხდებოდა ოჯახური რელიგიის – გენოთეობმის ფორმირება; უფრო ზუსტად, მათი ფორმირება ერთად, ერთიმეროს გვერდიგვერდ ხდებოდა – დიდი ოჯახისა, როგორც სოციალური ორგანიზმისა და ოჯახური რელიგიისა (გენოთეობმისა), როგორც ოჯახური ერთობის იდეური საფუძვლისა.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ როგორც ეს არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის ანალიზით ირკვევა, მოცემული სტრუქტურა ვრცელდება აფხაზეთ-სვანეთ-რაჭა-ფშავ-ხევსურეთის-ჩეჩენეთი-დაღესტანის მთელ ბოლგე და ამ ბოლს საერთო სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივი აგებულება ახასიათებს. იგი სათავეს იღებს ოჯახური სალოცავიდან გენოთეობმიდან, რაც საერთო კავკასიურ სივრცეში გამოკვეთილად უკვე ქნეოლით-ადრე ბრინჯაოს ხანებიდან დასტურდება.

ამ აბრის დასადასტურებლად გვინდა განსაკუთრებით შევჩერდეთ ერთ ფაქტზე. კერძოდ, ბერლინის (გერმანია) წინარე და ძველი ისტორიის მუზეუმში დაცულია კავკასიის სიძველეთა ცნობილი კოლექციები. ერთერთი ასეთი კოლექციის შემადგენელი ნივთები მოპოვებულია ჯერ XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში (1882-1902 წლებში) ცნობილი მკვლევარის, რედოლფ ფონ ვირხოვის მიერ. იგი კავკასიაში აღმოჩნდა 1881 წელს რუსეთის V არქეოლოგიურ კონგრესზე და დაინტერესდა ჩვენი მხარით; სადაც იგი იწყებს კიდევ არქეოლოგიურ საკვლევადიებო სამუშაოებს. მან ჩაატარა არქეოლოგიური გათხრები ყობანში, ყაბბეგთან, ყალაქენებთან, ყარაბახში...

1903 წელს ბერლინის მუზეუმის კოლექცია კიდევ 2000-მდე ბრინჯაოსაგან დამზადებული ექსპონატით შეიიღო. ამ ნივთების დიდი ნაწილი მოძიებულია თხეთში, კერძოდ კი სოფ. ქემბულთასთან (ზემო რუსთა) და სოფ. გალიათოთან (ფასკაუ) აღმოჩენილი სამარხების გაწმენდის შედეგად. რუდოლფ ფონ ვირხოვმა ეს ნივთები შეიძინა ვაჭარ კოსსნიერსკას ქვრივისაგან, ადელათიდა კოსსნიერსკასაგან. გამომდინარე აქედან ამ კოლექციამ „კოსსნიერსკას კოლექციის“

სახელი მიიღო, რომლის დაუნჯებამაც აქაურ საცავებში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბერლინის წინარე და ძველი ისტორიის მუზეუმი იმ პერიოდში კავკასიური კოლექციებით განთქმულ პარიზისა და ვენის მუზეუმებს დირსეულად ამოუყენა გვერდში.

ქრონოლოგიურად „კოსსნიერსკას კოლექცია“ მოიცავს ნივთებს ენეროლოტიდან სკვითურ-სარმატულ ხანამდე.

მოგვათხებით გემო რუთხსაბ და ფასკაუს სამაროვნებზე წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა აჩვენეს, რომ აქ მოპოვებულ მასალას, შეიძლება ითქვას, საკვანძო მნიშვნელობაც კი ენიჭება ე.წ. პროტოფონური პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩოებისა და გავრცელების არეალის დასადგენად; მაგრამ, რამდენადაც XIX საუკუნის ბოლოსათვის არქეოლოგიური გათხრები დილეტანტურ დონეზე, სათანადო მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვისა და ლოკატივის გარეშე გარდებოდა, იმდენად „კოსსნიერსკას“ კოლექციაში თავმოყრილი ნივთების დალაგება სამარხეულ კომპლექსებად სრულიად შეუძლებელია. აქ მხოლოდ მოსახერხებელია იმის გარკვევა თუ რომელ სამაროვანება ესა თუ ის ნივთი მოძიებული. ამ კოლექციის 1000-მდე ექსპონატი დალაგებულია შემდეგ ჯგუფებად: ცულები, კვერთხები, სატევრები და მახვილები, შებისპირები, ბალთები, შევილდსაკინძები, საკიდები, ბეჭდები, სამაჯურები, ანთროპომორფული და გორმორფული ფიგურები და სხვა. ამ მასალის ანალიზის საფუძველზე, დრ. ინგო მოტცენბეგერი შემდეგ დასკვნებს აკეთებს – „აღნიშნული მხარე, ქემბულთა და გალიათი (დღევანდელი დიგორი), ადრე ბრინჯაოს ხანის დასარულისათვის და შეა ბრინჯაოს ხანის დასაწყისისათვის ათვისებული და დასახლებული ოქნა სამხრეთ კავკასიიდან ამოსული ფომების მიერ, პირველ რიგში, ამ მხარეში არსებული სპილენძის მაღინის საბადოებისა და ხელსაყრელი საუღელტეხილო გადასასვლელებისა გამო. ამაზე ნათლად მეტყველებენ აქ მრავლად წარმოდგენილი ნივთები, რომლებიც თავისი ფორმებითა და დამზადების ტექნოლოგიით პირდაპირ ანალოგიურია მტკვარარაქსის ფინალური ეფაპის ძეგლებზე (კერძოდ კი საჩხერეში) შეწავლილი ბრინჯაოს ნივთებისა. ამასთანავე, შეა ბრინჯაოს ხანაში (ქრისტემდე 2000 – 1400/1300 წ.წ.) იმ ადგილების მახლობლად, საიდანაც მომდინარეობს „კოსსნიერსკას“ კოლექციაში შემავალი ნივთები, უნდა არსებულიყო ადგილობრივი სახელოსნო ცენტრი, სადაც მზადდებოდა კიდევ ეს ნაკეთობები, რომელთა თვითმყოფადი ფორმები მხოლოდ ამ მხარისთვისაა დამახასიათებლი; თანაც ეს სახელოსნო მარაგდებოდა ადგილობრივი (როგორც ეს ანალიზმა აჩვენა) რაჭა-დიგორის სპილენძის საბადოდან.

ის გარემოება, რომ ზემო რუთხის სამარხეეულ მასალებში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი მინიატურულ-პლასტიკური ნიმუშები, მეტყველებები იმაზე, რომ იქვე, სამაროვანის ახლო-მახლო, უნდა ყოფილიყო გვიანი ბრინჯაოს ხანის სამლოცველოც. (392, 257)

აღნიშნულ კოლექციაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რამდენიმე ნივთი, რომლებიც მოხსენიებულია სამაგრების სახელწოდებით. კერძოდ კი გამოყოფილია სამი სახის სამაგრები – ფირფიტსამაგრი (Plattennadel), სპირალფირფიტსამაგრი (Spiralplattennadel) და ფარშევენგისბოლოსებრი სამაგრი (Pfaupfedernadel). მეტად საყურადღებოა, ამ სამაგრების ზომები. ეს ნაკეთობანი საკმაოდ მოზრდილი (ზომები მერყეობს 45 – 65 სმ ფარგლებში) ნივთებია და ამდენად, მათ მიჩნევა სამკაულ-აქესუ-არებად, ვაჟიქობ, გაჭირდება; სამკაულად და სამშვენისად მათი გამოყენება უბრალოდ მოუხელობელია სიღიღისა გამო. ის რომ ეს ნივთები საკულტო დანიშნულებისაა, ამაზე თავად ნაშრომის ავტორი ამახვილებს ყურადღებას.

ჩვენც სწორედ ამ ნივთებს (იხ. ფაბ) გვინდა მივაპყროთ მკითხველის ყურადღება. როდესაც, ბერლინში ყოფნის დროს, ხსენებული საგნები დავათველიერათ, მექსეულად გაგვიჩნდა ვარაუდი – ხომ არ არის ეს ე.წ. სამაგრები ისეთივე „დროშები“ და ხევისბრის ინსიგნიები, რომლებიც მრავლადაბა დაფიქსირებული აღმ. საქართველოში მოძიებულ ეთნოგრაფიულ მასალებში? მითუმეტეს, რომ აღნიშნული კოლექციის საფუძველზე ნავარაუდევია სამლოცველოს არსებობა ნივთების მოძიების რეგიონში.

საგანგებოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გარკვეული მგავსება ხევისბრის ინსიგნიებსა და ხსენებულ ნივთებთან შენიშნული აქვს აკად. გ.ჩიტაიასაც პ.უვაროვას ვარაუდების საფუძველზე. აი რას წერს გ.ჩიტაია:

„საქართველოს მთიანეთის საკულტო ნაგებობებში ხშირად გვინახავს ყავარჯნები, რომლებსაც ხევისბერები იყენებენ საკულტო დღესასწაულების დროს და თან აფარებენ საღვთისმახურო ცერემონიების შესრულებისას. ყავარჯნები ძირითადად განკუთვნილია უმთავრესად თავებევის ბერისათვის და მისი ძალაუფლების ნიშანია, მისი სახელო ემბლემაა... (393, 364). ამგვარ ყავარჯნებს აღწერს პ. უვაროვაც, ოღონდ სხვადასხვა ფორმის სახელურით. იგი წერს, რომ - „жезл или аварджені (кавардже-ни?) состоит из высокого серебрянной рукояткой или верхуш-кой“. პ. უვაროვა იმასაც ამოწმებს, რომ ამ ყავარჯნებს ხავისბერები იყენებენ საეკლესიო დღეებში და გამოაქვთ ასეთ შემთხვევებში ღროშებთან ერთად. ამას გარდა პ. უვაროვა წერს, რომ ეს ყავარჯნები, ერთის

მხრივ, მოგვაგონებს ეპისკოპოსების კვერთხს. ხოლო, მეორეს მხრივ – უფრო ძველ ბრინჯაოს კვერთხებს, რომლებიც აღმოჩენილია ყობანსა და მრავალ სკვითურ ყორდანულ სამარხში – „по видимому вероятно были ничто иное как такие же знаки достойнства“ (Пр. Уварова, Археологические исследования на Кавказе, Материалы по археологии Кавказа, т.Х, стр.131)“ აქვთ გვინდა მოვიტინათ გერმანელი მოგზაურის გულდებშტედის ცნობა აღმოსავლეთ კავკასიის მთიელებში, კერძოდ კი ქისტების ყოფაში დადასტურებული ერთგვარი ხევისბრის ინსტიტუტის არსებობის შესახებ, რაც უცხოელი მოგზაურის მიერ ამ საერთოკავკასიური ფენომენის ხაზგასმად მიგვაჩნია – „ქრისტიანობის კვალი მათ ყველაზე მეტად შემორჩათ კავკასიელთა შორის. მათ სწამო ერთი ღმერთი, რომელსაც დაკლას უწოდებენ და არ იციან არც კერძები, არც სხვა ღმერთები და წმინდანები. როგორც აფხაზები, ისინიც კვირას უქმობენ ყოველგვარი სამუშაოს მიტოვებით. გაფხულში ისინი უფრო მცირე ხანს, გამთარში კი უფრო ხანგრძლივად არ სჭამენ ხორცს. მთელი ხალხი პატივს სცემს მოხუც ღვთისმოსავ განდეგილს, რომელიც თავის თავს უწოდებს ცანი სტაგს (წმინდა ადამიანს), ცხოვრობს მაღალ მთებში ძველ ეკლესიასთან და დიდმარხების შემდეგ დასაკლავ ცხვრებს აკურთხებს ხოლმე სახსნილოდ. ამ ღროს და აგრძელებ დაბადების, ქორწილის და დასაფლავების დღეებში ერთგვარ ცერემონიებს აქვს ადგილი. ისინი მაპმადიანების მსგავსად, რამდენიმე ცოლს ირთავენ, მაგრამ ღორის ხორცს კი ჭამენ, წინააღმდევ მაპმადიანთა წესისა¹².(394,72).

როგორც აღნიშნეთ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციულ საკულტო დღესასწაულების ღროს დაფიქსირებულია და შესწავლილია ნივთები, კერძოდ კი „დროშები“ რომლებიც მაგრიდულიად განისახიერებენ კიდევ თავად ამ „ხატებს“ - სალოცავებს. აღნიშნული ნივთები დავაფიქსირეთ და შესაბამისად ფოტო და ვიდეო მასალაზე აღვენებდეთ ჩვენც, 1997 – 2001 წ.წ. ფშავ-ხევსურეში საველე ეთნოგრაფიული მასალის შესაკრებად მოწყობილი ექსპედიციების ღროს. გადავიდეთ ხატის დროშების აბმის პროცესი ხევისბრის მიერ, დროშების შესვედრა ციხეგორს, დროშის მსვლელობა ხატის საბრძანის ტერიტორიაზე...

¹² უნებურად გვახსენდება აგაბეს ხევისბრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ხევსურებში ორ და სამცოლიანობის არსებობის შესახებ; ასევე მან გვითხრა, რომ სიამოვნებით მიირთმევს ღორის, ოდონდ ნანადიორევის, გარეული ტახის (ღორი და ქათამი(ასევე კვერცხი) აღმ. საქართველოს მთიანეთში უწმინდერი ცხოველ-ურინველია და ხევისბრები მას არა თუ ჭამენ, საერთოდ არ ეკარებიან) ხორცსაც.

აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ ერთ გარემოებასაც, რომელიც ჩვენის აბრით შეინიშნება ფშავისა და ხევსურეთის ხაფების (იგივე ჯვარის, იგივე ბატონის და ა.შ.) ფიტიკურად განმასახიერებელ ნიშნებს მორის. ჩვენის დაკვირვებით, ფშავში ხატს უპირატესწილად დროშა განასახიერებს, ხევსურეთში კი დროშასთან ერთად განძიც. მაგალითად, ხევსურეთში აფაბეს კვირაეს ხატში დიკარგა განძი და ამისა გამო, აფაბიონები გუდანის ჯვარში (ხევსურეთის სათაო ხატში) სრულფასონად ველარ მონაწილეობენ (მთხოვთბელი, აფაბეს კვირაეს ხატის ხევისბერი პეტრე გოგოჭური). ამგარი, განსაკუთრებულად განმასაზღვრელი დამოკიდებულება ხატის განძისადმი ვერ შეენიშნეთ ფშავში. ერთიც კია, შესაძლოა განძისა და დროშის ამგვარი ერთობა ხევსურეთში უფრო შემოვგრჩა ჩვენამდე, ვიდრე ფშავში.

აქვე გვინდა რამდენიმე სიტყვით შევეხოთ თვით განძის, კონკრეტულ შემთხვევაში კი ხატის განძის მნიშვნელობას. იგი ხომ ასწლეულთა მანძილზე საერთო სათემო თაყვანცემის დროს გაცემული, ერთგვარად აკუმულირებული, სახსარია ხატის საყმოს ყოველი წევრისა, ოჯახისა და საერთოდ თემს-სოფლისა. შეიძლება ითქვას, რომ იგი ერთგვარად განასახიერებს კიდეც ხატის აღმსარებელთა მუშაკობისა და თანაცხოვრების ერთობას გამოხატულს ამავე ხატის საბრძანებელ ტერიტორიაზე დროთა მდინარებაში. იგი ერთგვარი დვრიფად გამნისახიერებული საყმოს ერთობისა. საერთო სათემო ხატის დონეზე ამ დვრიფის დამვანებული, პტრონი, მოყურადე და წარმომჩნებელი მეგანძური ხევისბერია. ამდენად, სრულიად გასაგებია ის ფაქტი, რომ ამ დვრიფის, აკუმულირებული ენერგიის, ვერგამფრთხილებელი თემის სახელი საერთო, ძირ სალოცავში (რომელიც თავის მხრივ სახეა ერთობილი ხევსურეთისა) დამცრობილი და შელახულია.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ანალოგიური დამოკიდებულება სალოცავის განძისადმი შეიმჩნევა კავკასიის მთიანეთში (და არა მარტო კავკასიისაში, ბოგადად საერთოდ) არსებულ ტრადიციულ საკულტო ძეგლებში.

ვსებრობთ რა განძის მეპატრონზე, პასუხისმგებელზე საერთო სათემო დონეზე, რომელსაც თავისთავად, კონკრეტულად ფშავხევსურეთში, მეგანძური ხევისბერი - მამაკაცი წარმოადგენს, გვახსენდება ის გარემოება, რომ საერთოკავკასიურ ტრადიციულ სივრცეში, ოჯახურ დონეზე განძის, მინა საუნჯის გამგე-განმკარგავი დიდწილად დედაკაცია. გავიხსენოთ ქართულ (და არა მარტო ქართულ) ტრადიციულ ყოფაში დაფიქსირებულ-შესწავლილი ქალის შიდაოჯახური სოციალური ფუნქცია და მდგომარება. იგი ხომ განმასახიერებელია ერთგვარად შიდაოჯახური ფუძის ანგელომისა. ქართულ ტრადიციულ სუფრასთან ხომ სუფრის დასარულს თითქმის

ერთდღოულად (და ხანდისხან აიგივებენ კიდეც ერთმანეთთან) ისმება სადღეგრძელო ფუძის ანგელოზისა და ყოვლადწმინდა ღვთისემშობლისა (რომელთანაც ქვეშეცნეულად ასოცირდება კიდეც ხშირად ოჯახის დიასახლისის სახე). ოჯახურ ღონებები ქალის განსაკუთრებულ მდგრმარეობას უსვამს ხასს სადღესაწაულო ქალების (მხედველობაში გვაქვს გათხოვილი, ოჯახის პატრონი ქალების) მორთვა-მოკაგმება, რაღაცანაც ქალია ერთგვარი განმასახიერებელი შიდაოჯახური სივრცისა; პატარძლისითვის ნიშნის მირთმევა უფროსი დიასახლისის მიერ; შიდაოჯახური საქმეების განაწილება და შემდგომ გადაბარება უფროსი დიასახლისის მიერ რძლისადმი; ახალი რძლის გაყვანა წყარობები დედამთილის მიერ და სხვა...

დავუბრუნდეთ ისევ განსახილეველ საკითხს, კერძოდ ნივთებს „კოსსნიერსკას“ კოლექტივიდან, რომლებიც, ჩვენის აბრით, ალბათ, აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის (ფშავებევსურეთი) ეთნიკურ ყოფაში დღემდე შემორჩენილი ხატის დროშებისა და ხევისბრის ინსიგნიების მსგავსი ფუნქციების მატარებელი უნდა იყოს.

ისმის კითხვა: რამდენად შესაძლებელია ქართულ ეთნიკურ ყოფში დადასტურებული ელემენტების დაკავშირება მასთან გეოგრაფიულად და ქრონოლოგიურად ასე დაშორებულ არქეოლოგურ კულტურაში დადასტურებულ ნივთებთან? ხომ არ გამორიცხავს ამგვარ გრძაულს ანთროპოლოგიური, არქეოლოგიური, ლინგვისტური, საისტორიო მონაცემები?

ჩვენის აბრით ამგვარი პარალელების გავლება სავსებით შესაძლებელია და აი რატომ:

1. კონკრეტულ შემთხვევაში, რომ გეოგრაფიული ფაქტორი აქ ხელისშემშლელი ვერ იქნება, ვფიქრობთ საკამათო არ არის; რადგანაც უძველესი ხანებიდანნვე (მეტოლითიდან განსაკუთრებით) კავკასიის მთიანეთის მთაგარი ქედი და მისი გადასასვლელები ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას კი არ თიშავდა და აშორიშორებიდა, არამედ უფრო აახლოვებდა და აკავშირებდა ერთიმეორესთან. ამის ნათელი მაგალითებია თუნდაც კავკასიის მთიანეთის მოსახლეობის ყოფაში (სამწუხაროდ ამქამად უცხოთა თავდაუზოგავი მეცადინეობის შედეგად მივიწყებული) მძლავრად ფესვგადგმული მამამძუძეობისა და დამტობილების ინსტიტუტები ქართველებს, თსებს, ყაბარდიოელებს, აფხაზებს, ჩერქეზებს შორის; ერთი შეხედვით ერთიმეორესგან ხევებით, ქედებითა და მდინარეებით გამოცალკევებულ კავკასიის მთიანეთის მოსახლეობის აქტიური თანაცხოვრების ნათლი მაგალითებია მთათა წვერებზე და გადასასვლელებზე გამართულ ჯვართსაბრძანისთა და საღლუავთა მთელი სისტემა, რომელიც ფაქტიურად მთიანეთის მოსახლეობის შეხვედრისა და

დაახლოების უმთავრესი განმაპირობებელი ფაქტორიც იყო. მაგ. ლომისას სალოცავი, ანაგორისა და ხახმატის ჯვარი (რჯულაბნი-ურჯულოთ სალოცავი – ქრისტიან და მუსულმან მთიელთა საერთო სალოცავი), ალევის ოქროსკარიანი სამება, გერგეთის სამება და მრავალი სხვა; მთისა და ბარის სულიერ და ფიზიკურ ერთობაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ჩვენში გავრცელებული ანდაზები და ფრთიანი გამოთქმები – „ბარი მთითა ძლიერი და მთა ბარითა“, „ბარში რომ ჭერა დაიღევა, მთაში მოიკითხავეხო“... რაც შეეხება მთის საკომუნიკაციო არტერიებს (გზებსა და გადასასვლელებს) ცენტრალური კავკასიის მთავარი ქედის გაყოლებით, მათ ინტენსივობაზე ნათლად მეტყველებენ თუნდაც კახთა მეფე ალექსანდრეს მიერ შეწირული საეკლესიო ნივთები და ბარები ზემო სვანეთის (აღიში, კალა, უშეელი...) სალოცავებისადმი, სადაც კახთხელწიფეს სწორედ ამ გზების გაედით უმოგბაურია.

2. ახლა რაც შეეხება ანთროპოლოგიურ მონაცემებს. აი რას წერს ცნობილი მეცნიერი, რუსული ანთროპოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი ვ.პ. ალექსეევი იმ რეგიონის (დიგორის) მოსახლეობის ანთროპოლოგიური სურათის შესახებ, საიდანაც მომდინარეობს „კოსსნიერსკას“ კოლექციაში შემავალი არქეოლოგიური ნივთები: „დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ნათლად გამოკვეთილია ოსეთის ძველი და თანამედროვე მოსახლეობისა და მათი მიმდებარე მხარეების მცხოვრებთა ანთროპოლოგიური სურათი.

ოსები წარმოადგენს ცენტრალური კავკასიაში უძველესი დროიდან მცხოვრებ ადგილობრივ ეთნიკურ ჯგუფთა მემკვიდრეებს. ის მდგომარეობა, რომ ეს ანთროპოლოგიური ტიპი ძირითადად წარმოდგენილია ქართველური, ხახური და ავრულ-ანდიურ-დილოური ენობრივი ოჯახით (იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახი), ადასტურებს იმას, რომ ამჟამინდელი ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ადგილობრივი ენობრივი ჯგუფები აღრე მეტყველებდნენ ერთერთ ადგილობროვ, ამ იძერიულ-კავკასიურ, ენათა ოჯახში შემავალ ენაზე. თანამედროვე ოსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ადგილობრივი მოსახლეობის მორფოლოგიური სხვაობა ალანებისგან, სპეციფიური სხეადასხვაობა სარმატებთანაც, არ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ ოსთა წინაპრები ირანულებნივანი ხალხები იყვნენ. ერთადერთი დამაჯერებელი ახსნა თანამედროვე ოსურის ირანულნოვნებისა არის ის, რომ ალბათ ისტორიის ერთერთ მონაკვეთზე ადგილობრივი კავკასიურ მოსახლე ტომს შეუცვლია მშობლიური ენა და მიუღია მოსულ ალანთა ირანულენაოვანი მეტყველება. როდის მოხდა ეს ენობრივი ცვლილებები,

ამის გარევევა ენათმეცნიერთა საქმეა. ვარაუდის სახით კი უნდა ითქვას, რომ ეს ცვლილება ადრე შეა საუკუნეებში, კავკასიაში აღანური მოსახლეობის გამოჩენისა და მათი გაძლიერების შემდეგ უნდა მომხდარიყო¹³. ოსების წინაპრების – ადგილობრივ კავკასიურ ენაზე მოლაპარაკე ტომების გადასვლა სხვა, მოსული მოსახლეობის ენაზე არა არის ერთადერთი შემთხვევა ჩრდილო კავკასიაში. ანალიგიურ შემთხვევასთან გავაქვს საქმე ყარაჩაელებთან და ბალყარელებთანაც, რომლებიც ამჟამად თურქმანულ ენაზე საუბრობენ; ანთროპოლოგიურად კი ისინი ფიპიური კავკასიონური ფიპის წარმომადგენლები არიან. ამრიგად, მათთანაც უნდა ვივარაულოთ ის, რაც ვივარაულეთ თანამედროვე ტესტთან მიმართებაში – ალბათ, თანამედროვე ბალყარელთა და ყარაჩაელთა წინაპრებიც ადრე საუბრობდნენ კავკასიურ ენებზე და შემდგომში, შეა საუკუნეებში თურქთა მოძალების შედეგად შეიტანეს მშობლიური ენა და ამეტყველდნენ თურქმანულ ენაზე.“ (216,273)

უძველეს პერიოდში კავკასიაში მიმდინარე ეთნოგენეტურ პროცესებში გასარკვედად უმდიდრეს მასალას შეიცავს ცნობილი ლინგვისტის ნ. მარრის მეცნიერული მემკვიდრეობაც. მისი გამოკვლევების მიხედვით ქართულ ენას, თუმცა ნათესაობა აქვს სემიურ ენებთან, მაგრამ ის თავის მახლობელი მონათესავე ენებით და კილოკავებით განცალკევებულ ენათა ჯგუფს ეკუთვნის. ამ ენათა ჯგუფს ნ. მარრმა უწოდა იაფეტურ ენათა ჯგუფი. შემდეგ სხვა კავკასიური ენების შესწავლამ მარრი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ყველა კავკასიური ენა მცირე გამოკლებით (ოსური და თურქული), იაფეტური ენების ჯგუფს ეკუთვნის. სომხური ენა კი, რომელსაც ინდოევროპულ ანუ არიულ ჯგუფს აკუთვნებდნენ, მარრის გამოკვლევით შერეული ენა აღმოჩნდა, სანახევროდ იაფეტური, სანახევროდ არიული. როდესაც სომხები, არმენები, მოვიდნენ კავკასიაში, მათ აქ დახვდათ იაფეტელები, მათ შეერივნენ არიელი სომხები, და გამოტუშავდა შერეული ენა. ამით აიხსნება ნ. მარრის აზრით ის, რომ ძველი მწერლობითი სომხური ენა, გრაბარი, უფრო ნაკლებად ჰგავს ახალს, ხალხურ სომხურს, ვიდრე პოლონური ენა რესულს. შემდეგ იაფეტურ ენათა ჯგუფს მიაკუთვნა უძველესი წინა აზიის მკვდარი ენები – სუმერული, მითანური, ხეთური, ქალდური, სკვითური, ახალ-ელამური და ასურული. შემდეგ ამავე იაფეტური ჯგუფის ენად სცნო უძველესი ხმელთაშუა ზღვის ნაპირების ხალხთა

¹³ აღსანიშნავია, რომ ამ მოსახლებას საესკადით ადასტურებს ცნობილი თვი ენათმეცნიერის, ლექსიკოგრაფის, ეთნოგრაფის, ფოკლორისტის ვ. აბაევის გამოკვლელებიც.

ენები: ეფრუსკეთა ენა, იძერთა ენა, ბასკური, და შემდეგ ბალკანეთის ალბანთა ენაც. პირველად მარრი იმ აზრისა იყო, რომ იაფეტელთა სამკვიდრო კავკასია იყო და აქედან გადასახლდნენ და მოედგნენ სხვა ადგილებს. ხოლო შემდეგ შეიცვალა აზრი - არა კავკასია მარტოდ, არამედ მთელი ხმელთაშუა ზღვის ნაპირები უძველესი დროიდან იაფეტელებით იყო დასახლებული და ესენი შეადგენდნენ მესამე ელემენტს ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციის შექმნაში. იაფეტელები აღმოჩნდენ შეა აზიაშიც, პამირშე მოსახლე ვერშიტელების ენა იაფეტური არის მარრის გამოკვლევით (ბურუშები- პ.პ.) (395,122-123)

ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის გარკვევას მიუძღვნა ფუნდამენტური გამოკვლევა ივ. ჯავახიშვილმაც, რომელიც მივიდა იმ დასკვნებამდე, რომ თავდაპირველად ქართველური და ეწ. კავკასიური ენები ერთიდან იმავე ბუნებისა და უმჭიდროესად მონათესავე ენები ყოფილა და რომ შემდეგში, სხვადასხვა მიზეზის გამო, დროთა განმავლობაში, დაპშორდნენ ერთმანეთს და სამ-ხუთ დიდ მთავარ ენათა ჯგუფად ქცეულან. აქვე დიდი მეცნიერი დაასკვნის, რომ „ე.წ. კავკასიური ენები ჩვენი წინაპრების მომენტით ენები ყოფილა და ყოველი განათლებული ქართველი ვალდებულია ამ ენებისა და ტომების ისტორია ისევე იცოდეს, როგორც თავისი ერისა და ქვეყნისა.“ (396,XIII)

ცენტრალური კავკასიის მთიანეთის მოსახლეობის ეთნოგენეტური სურათის გასრკვევად მეტად საყურადღებოა დიალექტოლოგიური მასალაც, რომელშიც ნათლად გამოსცვივის ამ მხარის მოსახლეობაში (განსაკუთრებით კი მთის რაჭაში) აკრეფილი და შესწავლილი დიალექტოლოგიური მონაცემებიც. მიჩნეულია, რომ დასავლეთ საქართველოს გემო გონის დიალექტი - რაჭული (განსაკუთრებით კი მისი რიგნისთაური და გლოლური კილოკავები) ხასიათდება ზოგი იმ რანგის მოვლენით, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებთან (მოხევურთან, მთიულურთან) პოულობენ ანალოგიას. რაჭულისათვის, საერთოდ, ნიშანდობლივია არქაული გრამატიკული სისტემების პოვნიერება, ნაკლები ინტენსივობითაა აქ წარმოდგენილი დასავლეთ საქართველოს სხვა ქართული დიალექტებისათვის დამხასიათებელი ფონეტიკური ცვლილებებიც (397,397).

გლოლა, ღები და ჭიორა ადრინდელ საბუთებში (XV ს.) „მთიულეთად“ იწოდება. ამ კუთხის რაჭულები ახლაც თავიანთ თავს „მთიულებს“ უძახიან. ღები და ჭიორა მჭიდროდ უკავშირდება სვანეთს. რაც შექება გლოლას, ისტორიულად ხევთან და მთიულეთ-

თან ჩანს დაკავშირებული: არსებობს ვარაუდი (დამყარებული ხალხურ გადმოცემებზე), რომ გლოლელთა წინაპრები მოხევეები თუ მთიულები იყვენება. გლოველებს (გლოლელებს) ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ოსებთანაც, რაც აისახა კიდეც აქაურ გადმოცემებში. მტერ-მოყვრობა ოდითვან იჩენს თავს მათ შორის თავს, ხმირი იყო შერეული ოჯახებიც (ოსებსა და გლოველებს შორის). ოსებს რაჭველები დიგორლებს ეძახიან, ოსეთის დიგორს; პოეზიაში გვხვდება როგორც დიგორი, ასევე ოსეთი და დვალეთი. გლოვურს ემჩნევა აღმოსავლ ქართულ დიალექტებთან ურთიერთობის კვალი, აგრეთვე ოსურთან კონტაქტიც (რაც ძირითადად ლექსიკური ნასასხობებით ვლინდება). არქაული ვითარებაც ყველაზე მეტად გლოლურს აქვს დაცული.

რიგნისთაურ და გლოლურ პოეზიაში ჩნდება იმ რიგის ნიმუშები, რომლებიც უშუალო ანალიგიებს პოულობენ აღმ. საქართველოს მთის პოეზიასთან როგორც ლექსის სტუქტურის, ასევე მხატვრული სახეებისა თუ ლექსიკის თვალსაზრისით. (397,400).

3. საუბრობს რა არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით ქრისტემდე II-I ათასწლეულის მიჯნაზე ცენტრალურ კავკასიაში მოსახლე ტომთა კულტურისა და ყოფის შესახებ, ე.ი კრუპნოვი აღნიშნავს - „ამ პერიოდისათვის ჩრდილო კავკასიაში არსებობდა სამი თავისთავალი არქეოლოგიური კულტურა: მის ცენტრალურ ნაწილში – ყობანური, აღმოსავლეთ ჩეჩენთა და დაღესტანში – ყაიაქენთხარაზოული და ყუბანზე – ყუბანისპირული კულტურები. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კი ამ პერიოდში ჰყვაოდა მძლავრი კოლხური კულტურა. ყველა ეს კულტურები ასახავდნენ მხოლოდ აღგილობრივ თავისებურებებს ერთიანი საერთოკავკასიური ეთნიკური მასივისას, რომელიც წარმოადგენდა საფუძველს ერთიანი კავკასიური, ანუ იძერიულ-კავკასიური ენაობრივი ოჯახისა. (287, 237). აქვე ვვინდა აღნიშნოთ ის გარემოებაც, რომ ყობანურ კულტურასა და კოლხურ კულტურას ბევრი მკვლევარის (ბ. კუჭინი, ა. იქენი, ი. მეშჩანინოვი, მ. ივაშჩენკო, ე. გოგაძე...), მიერ შეინიშნება მთელი რიგი გენეტიკური ხასიათის მსგავსებანი, რაც ამ ავტორებს კოლხური და ყობანური კულტურის იგივეობასაც კი აფიქრებინებს. მიუხევად იმისა, რომ ამ შეხედულებას არ იტიარებს არქეოლოგთა მეორე ნაწილი (ე. კრუპნოვი, თ. ჯაფარიძე, ბ. ტეხოვი...), ისინი მაინც ვერანანირად გვერდს ვერ უვლიან გვიანბრინჯაო – ადრერკინის ხანაში (განსაკუთრებით ქრისტემდე II-I ათასწლეულების მიჯნა) ცენტრალურ და სამხრეთ კავკასიური არქეოლოგიური კულტურების შორის ეთნოგენეტიკურად საეთო-

წარმომავლობითი მბლაგრი ფონის არსებობას, რის დასტურადაც ე. კრუპნიკის სათაო ნამრომიდან ზემოთმოყვანილი ციფატაც კმარა.

4. დიგორი – დვალეთისა და მისი მოსახლეობის შესახებ მრავლად ვაწყდებით ცნობებს ისტორიულ წყაროებშიც. აი, როგორ აგვიწერს ცენტრალური კავკასიის ამ მხარეს და იქაურ მაცხოვრებლებს ცნობილი ქართველი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრონიშვილი: – „კაცი ჰგონე, ვითარცა არაგვისი, არამედ ისისი უმჯობესი“; „ხოლო რათოდენ ოსნი დავსწერეთ ამ ადგილთა შინა, პირველად სახლებულან ქართველი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გადმოსახლებულან ოსნი, და ქართველი ბართა შინა ჩამოსულან, ვინართგან მტერთაგან ბარს შინა კაცი შემცირებულან“ (152,363-364) იქვე აღნიშნავს: – „ხოლო შემდგომად ფარნაობის გამეფებისა, დარჩა ფარნაობის ძურძეება და დვალეთი, და სხუანი კეგნი იგინი დაშთნენ მეფეთა ოსთასა, და იწოდნენ ეგნი იგინი ოვსეთად, შემოსახლებითა და დამონებითა მათითა მათგანვე. ხოლო შემდგომად კუალად განიყო ძურძუკეთი ძურძუკად, ქისტად და ღლილეად, და ისახელა ესრეთ ანუ ძურძუკოს ძეთაგან ანუ შემოსულთა ოვსთაგანვე.“

არამედ დვალეთიცა განიყოფის კევ-კევად და იწოდების კევნი ესრეთ: კასრის კევად, ბრამაგად, კლელედ, ნარად, ბროვოდ და გახად. ხოლო რომელი დაშთნები მეფეთა ოსთა, სახელნი მათი არიან ესენი: ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორი და ბასიანი, და სახელნი ესე ეწოდნენ ანუ დაბებთაგან, გარნა უმეტეს შემოსულთა ოსთაგან, რომელი შემდგომან ჩინგიზ ყევნთა მოსვლისა, ბათო ყევნმა მოსრნა თვესეთი და მოაოქნა, ხოლო ოვსნი შემოილგვოდნენ კავკასიათა შინა, და იწოდნენ სახელითა მათითა კეობანი ესენი ესრეთ, ვითარცა აჩენს გუარნი მათინი...ხოლო შემდგომად მოოკრებისა თვესეთისა და შემოსვლისა მათისა კავკასიასა შინა, იწოდნენ: თვესეთი ჩერქებად ანუ ყაბარდოდ, და კავკასიასა შინა მყოფნი მათ შემოსულთაგან თვესეთად, რამეთუ აწუა გუარიანთა მათთა იწოდებენ ოსად, ხოლო სხუათა უგუაროთა – კუალად დუბლადვე. არამედ კევი, რომელი აღვწერეთ ქართლსა ბედა, არს დუალეთისავე, გარნა ვინართგან მტკცეც დაი ჟყრეს მეფეთა ქართლისათა, იგი უწოდეს შესვლილთა სახელითა კევად, ვინართგან არს კევი შეუნიერი. არამედ თრუსო კუალად არს დუალეთისავე, და ეგრეთ საცნობი ესეცა“ (152, 634)

აი როგორ ახასიათებს აქაურ მოსახლეობას ცნობილი გერმანელი მოგზაური გულდენშტედტი: – „ოსები უნდა იყვნენ ძევლი ყივჩალებისა ან უების ნაშთები...რასაც ისტორია არ ეწინააღმდეგება. ენობრივი მასალა გვიჩვენებს ასევე იმას, რომ ოსური ენა ...

სპარსულის იმდენად მონათესავე უნდა იყოს, რომ ისინი ერთი დედა-ენიდან მომდინარეობენ; როდესაც ყივჩაღები რუსებმა დაამარცხეს დონბე, ჩანს მათმა ნაშთმა, ახლანდელმა ოსებმა, კავკასიის მთებში გადაირჩინეს თავი. საერთოდ ისინი რელიგიაში და კანონებში უცოდინარნი არიან, ხოლო ჩვევებში უხემნი, უფრო მეტად ყაჩაღები არიან, ვიდრე ქურდები, ყალბნი და ფლიდნი, და ერთმანეთის და სხვის მიმართ ვერაგნი”(394,59)

მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულის (და კიდევ სხვა მრავლად არსებული მასალის) საფუძველზე ვფიქრობთ, რომ უძველესი ხანებიდან იმ რეგიონში, საიდანაც მომდინარეობს ბერლინის მუზეუმში დაცული „კოსსნიერსკას“ კოლექციაში შემავალი ნივთები, სრულიად ნათლადაა გამოკვეთილი თვითმყოფადი, საერთოკავკასიური ეთნიკურ-კულტურული ფონი. თავის მხრივ კი, ეს გარემოება, ჩვენის აზრით, ნამდვილად იძლევა იმის საფუძვლს, რომ თამაბად გაგავლოთ პარალელები დღევანდელ ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებულ და ხსენებულ კოლექციაში დაცულ არტეფაქტებს შორის. გამომდინარე აქედან, „კოსსნიერსკას“ კოლექციაში სამაგრებად მიჩნეული ნივთები უძველეს „ხატ-სალოცავთა“ დროშის და „ხევისბერთა“ ინსიგნიების თავსამაგრებად უნდა მივიჩნიოთ.

დასპენები

არქეოლოგია, (ქართულად სიტყვა-სიტყვით - სიძველეთმცოდნეობა), როგორც წესი, წყაროების მოძიების ერთ-ერთ ხერხად მოიაზრება; წყარო, მჯერად გათხრით მეთოდებით მოპოვებული, მეცნიერის, მკვლევარის მიერ ჩაყენებულია კვლევის ძირეული ობიექტის – ხალხის, **ერის** ისტორიის შესწავლის საქმეში. კონცეპტუალურად სწორედ ამგვარი მიღებმა ახასიათებს დიდი ივანე ჯავახიშვილის კვლევებსაც, სადაც შესწავლის ძირეულ თბიექტს, რომელიმე ცალკე აღებული სოციალური ერთობა ან პოლიტიკურ-კარტოგრაფიული ერთეული (თუნდაც საქართველო - ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) კი არ წარმოადგენს, არამედ მეცნიერის ყერადების მთავარი საგანი, ჭრეტითი შემეცნების სანუკვარი ობიექტია – **ერი, ჯიში;** რომლის ამქაეყნიური არსებობის სივრცისეულ ნაკვალევსაც მის წიაღშივე არსებული სოციალური ფენები, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური საბლვრები ან კიდევ სხვა ყოფითი მხარეები ნათელჲყოფენ. სწორედ ამისა გამო უწოდა მან თავის სათაო ნაშრომს – „ქართველი ერის ისტორია“ და ამიტომაც ცდილობდა იგი ამ ფორმით დაეკვიდრებინა ეს სახელწოდება საისტორიო საკალიფიკაციო ტერმინად. დიდი მეცნიერი პირდაპირ გვეუბნებარომ „ისტორიკოსის ამოცანაა გაარკვიოს იმ ჰიპოთეზათა სისწორე თუ მცდარობა, რაც მიღებული აქვს ისტორიის ფილოსოფიას; შეიტანოს ახალი მონაცემების ან კარა ნაკადი, რათა უფრო მართებულად იყოს ჩამოყალიბებული ამ დისციპლინის ესა თუ ის ძირითადი საკითხები, როგორიცაა დადგენა და განსაზღვრა ეროვნებისა, რასობრივი და ნაციონალური განმასხვავებელი ნიშნებისა, სახელმწიფოსი და სხვა მისთანა“ (189, 392). დიახაც, მას კაცობრიობის ისტორია ერების, ხალხების და საზოგადო ჯიშების ისტორიად მიაჩნდა და არა საბლვრებცვლადი პოლიტიკური ერთეულების (რაც ოდენ ერის, ჯიშის გარემოსთან ადაპტაციის შედეგს წარმოადგენს) ისტორიად. დიდი მეცნიერი საზოგადოების ისტორიას წარმომავლობითი სისხლისმიერი ერთობების, მოდგმათა სივრცელი არსობის რაკუსში სჭერებდა.

ცნობილი ფრანგი სტრუქტურალისტის, კლოდ ლევი სტორისის მიხედვით, კაცობრიობის ისტორიაში წვდომისათვის არ არის საქმარისი ფაქტების, მოვლენებისა თუ ცალკეულ ყოფით ნივთთა თვისისობრიობის დაფიქსირება. აუცილებელია ძირეულად ჩავსწვდეთ მათ არსს და მიზეზ-შედეგობრივად გავისიგრძებანოთ მათი ადგილი საზოგადოებრივ ყოფაში. ამის მიღწევა კი ეთნოლოგიის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია. თუ სოციოლოგია შემოიფარგლება

მხოლოდ აწმყოს გაგებით, მაშინ იგი ვერ მიაღწევს მიბანს, რადგანაც აწმყო წარსულის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია, ყოველივე, რაც აწმყოში ხდება, უკვე ისტორიის კუთვნილებაა. მხოლოდ ისტორია იძლევა უზოგადეს კანონთა და ღირებულებათა შეალის შესაბამისად აწმყოს ელემენტთა დაყოფის შესაძლებლობას. ამდენად, წარმოუდგენელია ისტორიისა და ეთნოლოგიის ურთიერთგათიშვა. შეუძლებელია ისტორიის არსებობა ეთნოლოგიის გარეშე; რამდენადაც, ყველა აღწერითი და დაკვირვებითი ხასიათის კვლევა ეთნოლოგიური პროფილისაა, მიღწნად ყოველი ისტორიკოსისათვის, მაშინაც კი როდესაც იგი საზოგადოების ისტორიის შორეულ ეფაპებს ეხება, ეთნოლოგიური მასალა (თუნდაც გათხრითი მეთოდებით მოძიებული-პ.პ.) ამოსავალი ხდება. რაც შეეხება ეთნოლოგიისა და ისტორიის მიმართებას, მეცნიერი თვლის, რომ მათ შორის არსებოთი სხვაობა არც კვლევის ობიექტი, არც კვლევის მიზანში და არც კვლევის მეთოდში არ შეინიშნება. მათ აქვთ ერთი და იგივე კვლევის ობიექტი – სოციალური ცხოვრება; ერთი და იგივე მიზანი – ადამიანის უკეთ შეცნობა და ერთი მეთოდი. განსხვავება მხოლოდ ერთშია: ისტორია ყურადღებას სოციალური ცხოვრების ცნობიერი მოვლენების მიმართ წარმართავს, ხოლო ეთნოლოგია უფრო ამ უკანასკნელის არაცნობიერ დარებულებათა კუთხით ამახვილებს თავის ყურადღებას [339, 9; 84, 260-260].

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზანი ამგვარად წარმოგვედგინა – ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალის საფუძველზე თვალი გაგვედევნებინა საცხოვრისის ფენომენისადმი სტადიალურად, ცალკეულ საზოგადოებრივ ერთეულებში, ამ უკანასკნელთა განვითარების-და მიხედვით; დაგვესვა საჯითხი საცხოვრისის, როგორც სივრცეული აღქმის გამომხატველი ობიექტური რეალობის შესწავლისა და გვეჩვენებინა ამგვარი კვლევის პერსპექტიულობა; შეძლებისდაგვარად წარმოგვეჩინა საცხოვრისის როლი ეთნიკურ ყოფაში იმ გეოგრაფიული და სოციალ-ეკონომიკური თავისებურებების გათვალისწინებით, რომლებიც კავკასიას და კერძოდ მის ცენტრალურ ნაწილს ახასიათებს.

ფაქტიურად, ჩვენი ამგვარი მიღვომა კონკრეტული ყოფითი ფენომენისადმი (ამ შემთხვევაში საცხოვრისისადმი), ქართულ საისტორიო მეცნიერებაში ჯერ კიდევ აკად. გ. ჩიტაიას მიერ შემუშავებული და აწ უკვე კარგად აპრობირებული კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის სივრცეულ პერსპექტივაში ერთგვარ გაფრცობას წარმოადგენს; რაც უპირველეს ყოვლისა ჩვენში საისტორიო

მეცნიერების განვითარების და ამის საფუძველზე დიდძალი ფაქტობრივი მასალის დაგროვების შედეგად გახდა შესაძლებელი.

რაც შეეხება ჩვენი ნაშრომის საკვლევაძიებო-თემატურ მიმართულებას, მიგვაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, აღბათ, მართებული იქნებოდა გვეხმარა გამოთქმა – **პალეოეთნოლოგიური კვლევის ცდა.** პალეოეთნოლოგია რომელიც სიცემ-სიცემით ძველ ხალხთმცოდნებას ნიშნავს და რომელიც, აღბათ, მეტნაკლებად სრულად შესაბამება ჩვენეულ კვლევის მიმართულებას, გარკვეულწილად შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ უფრო ისტორიის ასპარეზიდან გამქრალ ეთნიკურ ერთობათა შესასწავლად წარმოებულ კვლევას უფრო მიესადაგება; მაგრამ, ქართველური – იძერიული მოდგმა, რომელიც კავკასიის აბორიგენ მოსახლეობას წარმოადგენს, ათასწლეულთა მიღმა გახელვას არ გაურბის და თამამად უსწორებს თვალს მორეულ წინაპართაგან ჩვენსკენ მომართულ მზერას.

აღნიშნული კუთხით, ცენტრალური ამიერკავკასიის (მირი-თადად დღვეანდელ აღმ. საქართველო) ტერიტორიაზე მოძიებული არქეოლოგიური და ეთნოლოგიური მასალის ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა შემდეგი დასკვნების გაკეთებისა:

1. სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია ვივარაუდოთ ის, რომ სამყაროსეული მსოფლადქმის გარიფრაქტე, აღამიანის შემცნებაში, შიდა (დომესტიფიცირებული) და გარე სივრცეების იერარქიული მოწყობა, სავსებით შეესაბამებოდა ერთიმეორებს და ამით, ორივე სივრცის განსხვავებულობათა ერთიანობის საფუძველზე ხდებოდა საერთო სულიერი ფონის შეგრძნება. სწორედ ამ სულიერი ფონის, ამ ღმრთივსულიერი ნაკადების აღქმა უნდა გამხდარიყო შემდგომში რელიგიური მსოფლმხედველობის და საერთოდ ღვთისშემეცნების საფუძველი, რაც თვისთვავად განმაპირობებელი იყო კიდევ აღამიანურობის ისტორიის დასაწყისისა.

ვეხებით რა საცხოვრისის ფენომენს და სამყაროს სივრცულ აღქმას, გვინდა კიდევ ერთხელ აღნიშნოთ, რომ სივრცის „შინა“ და „გარე“ სამყაროებად დაყოფა უძველეს დროში, კერძოდ კი იმ პერიოდში უნდა მომხდარიყო, როდესაც სოციალურმა ჯგუფმა თავისი სამეურნეო და საცხოვრებელი ტერიტორია დაიმკვიდრა(138, 141). ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ეს ეტაპი აღრესამიწათმოქმედო კულტურების ჩასახვა-განვითარების პერიოდს უნდა ემთხვეოდეს. როგორც მიჩნეულია ამ პერიოდში საწარმოო ძალთა მიღწეული ღონე ხელს უწყობდა ერთ ადგილზე მუდმივ ბინადრობასა და მოსახლეობის გამრავლებას(265, 67).

გამომდინარე აქედან უნდა ვითიქროთ, რომ ცენტრალური ამიერკავკასიას ტერიტორიაზე მოსახლე ტომების ცნობიერებაში, ორ ძირითად ნაწილად სამყაროს სივრცისეული დაყოფის საბოლოოდ გაფორმება – „შინ“ და „გარე“ ცნებებად, ქრონოლოგიურად, ქრისტემდე VI ათასწლეულის ბოლოსა და V ათასწლეულის დასაწყისს ემთხვევა.

2. ცენტრალურ ამიერკავკასიაში (თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველო), საცხოვრისის სამშენებლო ტრადიციის განვითარებაში, მოყოლებული ენეოლითის ხანიდან განვითარებული ფეოდალიზმის ჩათვლით, დაფიქსირებული არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ვუიქრობთ, შემდეგი ძირითადი ეტაპები გამოიყოფა:

ა) **ალიბის წრიულ-გუმბათოვანი სამშენებლო ტრადიცია** („შელავერი-შომუ თეფქე“ კულტურა. ქრისტემდე VI-IV ათასწლეულები), რომლისთვისაც დამახასიათებელია ეწ. „პლანოკონვექსები“, ნაგებობათა წრიულობა, გუმბათოვანი გადახურვა. სამშენებლო მასალად მხოლოდ თიხა-ალიბის გამოყენება.

ბ) **ხის კარკასოვანი, თიხალევსილი ნაგებობების სამშენებლო ტრადიცია** („მტკვარ-არაქსის“ კულტურა. ქრისტემდე IV ათასწლეულის II ნახევარი - III ათასწლეულის I ნახევარი). დამახასიათებელია სწორკუთხა, კუთხებ-მომრგვალებული, მეტნაკლებად თანაბარი სიდიდის თიხით შელესილ ხის კარკასზე ნაშენი ნაგებობანი. გადახურვა ბანურია, თიხატყეპნილი, დედაბომბებ დაფუძნებული. შენობის ცენტრში გამართულია სტაციონარული მრგვალი კერა. ნაგებობას წინა მხრიდან დერეფანი აქვს მიმენებული.

გ) **ძელური შენობების სამშენებლო ტრადიცია** (კ.წ. „ადრეული ყორდანების გვიქა“ – ქრისტემდე III ათასწლეულის II ნახევარი), რომლისთვისაც დამახასიათებელია სამშენებლო მასალად მასიური ძელებისა და რიყის „ხურდა“ ქვის გამოყენება, ნაგებობების ძელურივე გადახურვა როგორც ბანური ასევე ორფერდა ტექნოლოგიით; თავეუბის, კოჭების, კეხის, საყრდები ბოძების გამოყენებით.

დ) **ქვის მშრალი წყობის სამშენებლო ტრადიცია** („თრიალეთის ბრწყინვალე ყორდანების კულტურა“ – ქრისტემდე III ათასწლეულის უკანასკნელი მეოთხედი - II ათასწლეულის I ნახევარი), რომლისთვისაც უპირატესად დამახასიათებელია ქვის მშრალი წყობით ნაგები სწორკუთხა ნაგებობები, საკმაოდ სქელი კედლებით, ბრტყელი, ბოძებზე დაყრდნობილი გადახურვით.

ე) **ფლეთილი ქვითა და თიხის ხსნარით ნაგები ნახევრადმიწური ნაგებობების სამშენებლო ტრადიცია** (გვიანი

ბრინჯაო - აღრე რკინის ხანის ძეგლების მიხედვით), რომლისთვისაც შენების პროცესში დამახასიათებელია აღნიშნული მასალის გამოყენება, თიხატკებილი იაფაკი, ცენტრში გამართული კერა („შეა ცეცხლი“) და დედაბომბები დაყრდნობილი ბაზური გადახურვა.

მომდევნო პერიოდების (ანტიკური ხანა, აღრეფეოდალური, განვითარებული და გვიანი ფეოდალური პერიოდები) საცხოვრისებით წარმოდგენილი სამშენებლო ტრადიციაში, ჩვენ უკვე არსებითი ხასიათის ცვლილებებს ვერ ვხედავთ: უცვლელია საშენი მასალა(ფლეთილი და რიყის ქვა), გადახურვის ფორმა(ბანური), ნაგებობის განთავსება(ნახევრადმიწური). ამ მოგვიანო პერიოდებში უფრო თვალნათლივ იქვეთება საცხოვრისის ძირითადი ტიპები რეგიონალური განმასხვავებელი ნიშნებით. განვითარებული ფეოდალური ხანის არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, მაგალითად, ალბათ უკვე შესაძლებელია გარჩევა „დარბაზის“ მესხური ვარიანტისა. განირჩევა მთის მხარის საცხოვრისებიც თავისი სპეციფიური ნიშნებით.

** ავტორს შევნებულად არ ვასახელდებორომადგნადაც ვთვლით, რომ პრინციპულად არ აქვს მნიშვნელობა თუ ვის ეკუთვნის სტატიაში გამოთქმული მოსამარებები, რამდენადაც მათში არ ელილია დღევანდელ ქართვლთა ერთი ნაწილის შეხედულებები საზოგადოდ.

– „ქრისტიანობა და ძველი ქართული კულტურა“ („Christertum und altgeorgische Kultur“) და მის შესახებ ჩვენს აზრს ქართველ მითობებს მცირედი რეპლიკის სახით მივაწვდით.

აღნიშნულ სტატიაში ტიტულოვანი მეცნიერი კიდევ ერთხელ იცავს იმ აზრს, რომლის თანახმადაც ქართული დამწერლობის შექმნა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას, ქართველი ერის მოქალაქეას უკავშირდება. იგი კვლავ აღნიშნავს აღიარებულ ჭეშმარიტებას, რომ ქრისტიანობა და კერძოდ მართლმადიდებლური აღმსარებლობა ჩვენს სამშობლოში, თავისი ლიტერატურული ტრადიციით, ეროვნული ენით და ორიგინალური დამწერლობით განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ქართველი ერის ერთიანობის საქმეში. იგი დასძენს, რომ იმ დროში ქართველად იწოდებოდა ყველა, ვინც ქართულ კელესიას ეკუთვნოდა და დვთისმსახურებას ქართულად ასრულებდა, მიუხედავად ეროვნული და სხელმწიფოუბრივი კუთვნილებისა. ამის დასტურად მოჰყავს გიორგი მერჩულეს ცნობილი თება. დასასრულ მეცნიერი გვთავაზობს, რომ რადგან 80 - იანი წლების ბოლოს რუსებმა სლავური ანბანის შექმნისა და გაქრისტიანების 1000 წლისთავი აღნიშნეს, ურიგო არ იქნებოდა თუ ჩვენც, ქართველებიც, ამგვარ იუბილეს მოვიწყობდით...

ერთი შეხედვით ერთობ კეთილშობილური ჩანს განზრახვა; მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის, რომ X საუკუნის ავტორის სიტყვები აქ არააწორადაა ინტერპრეტირებული. გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში, იმას კი არ ამბობს, რომ ქართველი ისაა ვინც მართლმადიდებელია და ქართულად ლოცულობს (თუმცა აღმსარებლობისადმი კუთვნილება, გარკვეულწილად, ნამდვილად განსაზღვრავდა ქართველი კაცის ცნობიერებაში ეროვნულობასაც), არამედ აღნიშნავს – „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულით ენითა უამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“ – თ ე.ი. სადაც ქრისტეს მცნების მსახურება ქართულად მიღის ის ტერიტორიად ქართლი – საქართველოთ. იგი საუბრობს არა ეთნოსზე, არამედ ქართველთა სახელმწიფოზე, რომლის სიმტკიცის ქვაკუთხედადაც ქართულად აღვლენილ მართლმადიდებლურ, დიოფიზიტურ, დვთისმსახურებას განსაზღვრავს.

მაშასადამე, თუკი ქართველობის ცნებისადმი სტატიაში ჩამოყალიბებულ მიღებობას გავიზიარებთ, გამოდის, რომ ქართველები როგორც ჯიში, მოდგმა ქრისტიანობის მიღების შემდეგ გავჩენილვართ და საერთოდ ქართველობის თვითშემეცნება ეს შემდგომა გაჩენილი. მანამდე კი ე.ი. ქრისტიანობაშდე, იგი არც არსებულა. მაშასადამე, არ იქნება ქრისტიანობა, არ იარსებებს ქართველობ.

მკითხველს იმედია კარგად მოეხსენება თანამედროვე ეფუძნელის მენტალიტეტი, რომლისთვისაც ყოველგვარი რელიგია ილუზორულ მოვლენას წარმოადგენს. დაეყრდნობა რა ეთნიკურად ქართველისავე განცხადებას, იგი ნამდვილად ჩათვლის, რომ ქართველობაც ასევე ილუზორული – არარსებული, რეალურ საფუძვლებს მო კლებული მოვლენაა, რომელიც შეცვლას ექვემდებარება. ამდენად, მისთვის სრულიად დასაშვებია ე.წ. „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ფარგლებში სასურველ თარგზე მიჭრას-მოჭრას ჩვენი მამა-პაპეული სამკვიდროს ფარგლები; ან დააქუცმაცოს კიდეც იგი ქართლად, კახეთად, იმერეთად, გურიად და ა.შ. ამის ნათელი მაგალითია ეუთო-ს რეკომენდაციები საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ. მათ რუკებზე ხაბი ესმება არარსებულ სამხრეთ ოსეთს; აჭარას, როგორც ცალკე სახელმწიფო წარმონააქმნის; აფხაზეთი ხომ ნომინალურად განიხილება საქართველოს ფარგლებში. ამრიგად, თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა სულ მაღე გაპქრეს კიდეც საქართველოს ხსენებაც კი.

ვეჭვობთ, ღრმად პატივუამულ მუნიციპალიტეტების გააბრებული არ პქონდეს (შესაძლოა მხედველობიდან გამორჩა კიდეცი) ის, თუ რა შეიძლება მოპყვეს მის ამგაბარ განცხადებას; რომ მასზე დაყრდნობით სრულიად შესაძლებელია აიგოს საქართველოს მტერთა შავბნელი ძრახვები.

ნე დაგიპრმავებთ თვალებს; მტერი ირგვლივ საქმარე გვახვევია – რუსეთი, თურქეთი, სომხეთი, თათრები და ყველა ის ვისაც ჩვენი მამა-პაპეული სამკვიდრო წარუტაცია ჩვენივე უილაჯობითა და უნიათობით.

რაც შეეხება ქართველთა ღმრთისმორწმუნეობას – ჭეშმარიტი ქრისტიანობა იუბილეების მოწყობით კი არ განისაზღვრება, არამედ ეკლესიური ცხოვრების დონით. ვიზრუნოთ ქართველი ერის დედა ეკლესისაკენ ჭეშმარიტად მოტრიალებისთვის, გულწრფელად ვილოცოთ, ვიმარხულოთ, გულში განვიმტკიცოთ უფლისა ჩვენის იესო ქრისტეს რწმენა და ეს იქნება ყველაზე კარგი იუბილე ჩვენი ერის ქრისტეს რჯულზე მოქუცევისა.

უნებურად მახსენდება ერთი ჩემი სტუდენტობის დროინდელი 1 სექტემბერი. მეორე კურსბე ვიყავით (1979 წ.). სასწავლო წლის დაწყების

დღეს, დილაადრიან ლექციაბზე მისულებს, უნივერსიტეტის ეტოში დიდი ცემპა-რამპა და ერთი ოპოპოია დაგვხვდა – უნივერსიტეტის წითელი პროფესურა, პარტიული და კომკავშირის კომიტეტები ‘ცოლნის დღეს’ აღნიშნავდნენ. ცნობილი ქართველი მედიევისტი, ბატონი გივი ქორდანია შეგხვდა უნივერსიტეტის კიბეებზე და ნანახით გულმუკლულმა გვითხრა – „ყმაწვილებო, ცოდნის

დღესასწაული ეს კი არაა, არამედ აუდიტორიაში შესვლა და საკადრისი ლექციის ჩატარება”-თ.

სეეფიცხოვლის დიდებული ტაძარი XI საუკუნის დამდაგს 19 წლის განმავლობაში, დღევანდელ პირობებთან შედარებით, ფაქტიურად შიმველი ხელებით შენდებოდა. XX საუკუნის დამლევს, აგომური ენერგიისა და სუპერ ამწევების საუკუნეში, მშენებლობის დაწყებიდან მე-8 წელს წმინდა სამების ტაძრის სამირეველიც კი არაა ჯერ გასრულებული. ყოველივე ამის მიზები ერთია – დღევანდელი ქართველი სულიერების მხრივ დაფაკი და უძლურია, თორემ XI საუკუნის დამდაგს საქართველო დღევანდელზე მეტად იყო მტერთაგან ფიზიკურად შექირვებულ-აოხრებული; თუმცა სულიერი სიმტკიცე და ძლიერება არ დაუკარგავს. ტაძარს ნეოკომუნისტური მმართველობის დაგვენილება კი არა, ჭეშმარიფად მორწმუნებული ქრისტიანი ერის სულიერი ერთობა აღმართავს.

და ბოლოს, „რა გვევარდება და რა გვებულებულება, მტერი საქართველოს კარს ეჯაჯგურება“ რა იუბილეობანა აგვიტყვდა. სჯობს დაქცეულ ქვეყანას მივხელოთ, გავამაგროთ მისი ისედაც შეკრეჭილი საზღვრები, გამოვევებოთ ლტოლვილები, უსახლკარონი, რომლებიც აგრე რიგად მოგვიმრავლდნენ ნომენკლატურის მიერ გაჩადებული ქვეყნის დამაქცევარი ომის შედეგად და ის თანხები, რომლებიც იუბილებზე მოწვეველ უხორელებს უნდა შევფენოთ, საქუთარ სისხლსა და ხორცს, მშობელ ერს მოვახმაროთ. იქნებ ამით ოდნავ მაინც შევიმსუბუქოთ ცოდვით ესოდენ დამბიმებული ხორცი.

ხშირად გავიგონებთ ხოლმე საუბარს ე.წ. მუსულმანური საფრთხის შესახებაც. ამჯერად ჩვენს მიბანს არ შეადგენს ქრისტიანულ-მუსულმანური ურთიერთიბების დარეგულირებაზე მსჯელობა, იმას კი აღნიშნავთ მხოლოდ – ჩვენის ღრმა რწმენითა და განსჯით, ამ წინააღმდეგობის დაძლევა თავისუფლად შეიძლება; თუკი იქნება ამის სურვილი. და ეს ვონებ, ქართველთ ხელეწიფებათ ყველაზე მეტად, რამდენადცაც ამ „კონფლიქტის“ გადაჭრის ერთეული საშუალება მათ ხელთაცაა. ჩვენი ერი, ორი კონფესიის – მართლმა-დიდებელი ქრისტიანობის და ისლამის აღმსარებელია.

უნდა მოხდეს კონფესიალურ დაპირისპირებათა დამლევა ეროვნულობაზე (ენა), საერთო სარწმუნოებრივი ღირებულებებზე (საერთო წმინდანები და წინასწარმეტყველები) და მართლმადიდებლური აღმსარებლობის თვისონიობაზე აქცენტირების საფუძველზე. ქართველთა შორის ამ საკითხის მოგვარება, პარალელურად დაარეგულირებს ურთიერთობებს იბერიულ-კავკასიური წარმომავლობის ერებს შორის, რის

საფუძვლადაც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ მათში არსებული საერთო ჩვეულებითი სამართლის ტრადიციული ფორმებიც (ამის მაგალითად ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაც კმარა). იბერიულ-კავკასიური ერთობის აღორძინება-გამკვიდრება საფუძველი იქნება საერთო კავკასიური სახლის შექმნისა, რომელიც წარმატებით გაართმევს თავს მსოფლიო ხალხთა თანამევობრობაში განგებისგან და კისრებულ ფუნქციას, მისიას – დაარეგულიროს და დააბალანსოს ქრისტიანულ და მუსულმანურ სამყაროებს შორის არსებული უთანხმოებანი.

მანამდე კი აუცილებელია, რომ ყოველმა კავკასიელმა ერმა, სულიერი დამოუკიდებლობა (რომელიც მათ მიუხედავად ჯოჯოხე-თური ბეჭოლისა არასდროს დაუკარგავთ) ხორციელ დამოუკიდებლობაში განფინოს, რამეთუ ამქვეყნიურ ცხოვრებაში სული და ხორცი ერისა განუყოფელია. ერს, რომელიც უპირველესად ჯიშთშეგნებაზე აღმოცენებული სულიერ-კულტურული კატეგორიაა, შეუძლებელია არ გააჩნდეს სახელმწიფო თავისუფლება. ამიტომ მოვიტანეთ წერილის დასაწყისში მაგალითი ჩვენი მომე ჩეჩენი ხალხის თანამედროვე ყოფილან. ერი რომელიც ცეკვავს ყოფაში და არა მხოლოდ სცენაზე (მარტოოდენ სცენა სულიერების სიკვდილია), აუცილებლად გაიმარჯვებს; მისი დამარცხება შეუძლებელია ამქვეყნიურ ძალთაგნ. ჩვენც კიდევ ერთხელ აღტაცებით შექმნახოთ მოცეკვავე თანამომმეთ – „ ჰა, ჰაფ მარჯაპ!“

P'aat'a Bukhrashvili

“...MARJAH...!”

“Marjah” - adroitly, lively, valorously - with this expression our brother Weinakhs encourage dancers performing their steps in the mystery of the dance; the dance in which a nation’s, a people’s genius is expressed (Grigol Robakidze), for it is the call of a soul to union with God, the cry of blood resounding across the millennia and reaching to the present; even as its incorporator, performer.

Since the time of the Russian conquest of the Caucasus there is underway a campaign with the express aim of separating the Georgians from other Caucasian peoples through the discreditation of the Georgians. Imperial viceroys undisguisedly expressed to the Tsar the leading role played by the upper levels of Georgian society in the conquest of the

Caucasus and the consolidation of Russian domination. The tsarist regime through its agents eagerly created favorable conditions for the Georgians to “voluntarily” assume the role of quasi-gendarmes and thereby to distance themselves from their brother peoples. Thus the “bat complex” was implanted in a certain segment of Georgian society: neither bird nor mouse, it was rejected by both, and left to roam in caverns and darkness.

We often hear discussions about the so-called “Muslim threat”. Our purpose is not to make judgments about the bases of Christian-Muslim disagreements, but only to state our profound belief that we can readily overcome this opposition, should we wish to do so. And this, I believe, is within the power of Georgians to achieve, since the only means of resolving this “conflict” is in their hands. Our people includes believers of both confessions: Orthodox Christianity and Islam. The overcoming of religious differences can come about through recognition of a common ethnicity, language and values, common saints and prophets.

The resolution of this issue among Georgians will be in parallel with a harmonizing of relations among Caucasian peoples, which can be built upon their common systems of traditional justice (consider the example of Vazha- Pshavela). The renaissance and consolidation of Caucasian unity will come about through the creation of a common Caucasian house, which will play a leading role toward realizing friendship among the nations of the world, through the reconciliation and resolution of the differences between the Christian and Islamic worlds.

Until then it is essential that each Caucasian people extend spiritual freedom - which they have never lost, despite hellish conditions - into physical freedom, so that the spirit and flesh of peoples will be indivisible in this life.

Each people, as an integral spiritual and cultural unity, must have political autonomy. Therefore, we chose as the title of this article an example from the contemporary life of our Chechen brothers and sisters. A people which dances in daily life and not only on the stage (to do so only on stage is cultural death) will always triumph; it cannot be defeated by the powers of this world. Let us once again call out to our dancing brethren: “Ha! Hat...! Marjah!”

**რესელი პოლიტიკური ცნობილება და
აგიტკავკასიის
ითხოვოლითიკური რეალობა****

ყოველი იმპერიის ცხოვრება, თავისითავად, ერთაშორის ურთიერთზემოქმედების პროცესს წარმოადგენს. იმისათვის, რომ ჩავწერ ამ მოვლენის დინამიკას, თავდაპირველად აუცილებელია გავერკვეთ იმაში, თუ რაგვარად მშერს თავად დამპყრობი ეთნიკური ერთეული საკუთარ თავს თავისსავე სახელმწიფოში და რა კუთხით აზოგადებს საკუთარი იმპერიის ადგილს სამყაროსეულ მსოფლალქმაში. იმპერიის შექმნა ხომ ყოველთვის გულისხმობს „საკუთარი სამყაროს“ მოწყობას და ამ „სამყაროსადმი“ სხვათა დამორჩილებას „სამართლიანობის“ გარდაუკალობის პრინციპის საფუძველზე. ამდაგვარ იდეალურ მოტივთა („სამართლიანობა“) მიღმა, თავად იმპერიის ხელისუფალთა მიერ, ხმირად ხდება ხოლმე სარგებლიანობისა და უსაფრთხოების გარკვეულ პრინციპთა უკულებელყოფაც კი. ამასთანავე, საჭიროა გარკვევა იმისა თუ რაგვარად უყურებენ, მეორეს მხრივ, დაპურობილ-დამორჩილებული ერები ამ „აუცილებელ სამართლიანობას“ და რაგვარად ესმით იმ სახელმწიფოს შინაარსი, სადაც მათ მაღალუნებურად მოუწიათ ცხოვრება. ალიანებულია ისიც, რომ იმპერიის ცხოვრების წესი თავისითავად გულისხმობს გარკვეული, ერთგვარი „კულტურული“ ყრუ კედლის არსებობასაც დამპყრობ და დამონებულ ერებს შორის, რომლის მიღმაც არცერთ მათგანს არ სურს დანახვა და მოსმენა მეორისა. 1813 წელს ირანმა და რუსეთმა ხელი მოაწერეს ურთიერთშეთანხმებას, რომლის თანახმადაც ირანი, რუსეთის სასარგებლოდ უარს აცხადებდა საქართველოს სამეფოს კუთვნილ მიწებზე და ამასთანავე ყარაბაღის, განჯის, შექის, შირვანის და თალიშის სახანოებზე. 1829 წელს ამავე სახელმწიფოებმა ერთმანეთს შორის გააფორმეს კიდევ ერთი, თურქმანჩაის ხელშექრულება. ამჯერად უკვე ირანმა რუსეთს დაუთმო ერევნისა და ნახცევანის სახანოები. ამრიგად, XIX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისიდან, კავკასია გახდა რუსეთის იმპერიის უშუალო შემადგენელი ნაწილი. რუსეთი მთელი მონძომებით შეუდგა ამ მხარის კოლო-ნიზაციას, მხარისა, რომელიც დასახლებული იყო სხვადასხვა წარმომავლობის ხალხებით. ეს ხალხები მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთმეორისაგან განვითარების დონით, სახელმწიფოებრიობის ტრადიციით, ენით, კულტურით, სამეურნეო მოწყობით ...

სანამ შევუდგებოდეთ ამ მოვლენის ანალიზს, ვფიქრობთ, უპრიანია ჯერ შევეხოთ თავად რუსთა დიდმპყრობლურ ბუნებას

* წერილი დაწერილია 1998 წ.-ს

და გავერკვეთ იმაში თუ რაგვარადაა მასთან დაკავშირებული საბოგადოდ რუსეთის იმპერიის კოლონიზატორული იდეოლოგია და ტაქტიკა.

როგორც არაერთგზის აღუნიშნავთ, მასობრივი კოლექტიური გადასახლებანი რუსულ სულს არ ახასიათებს. რუსული მოახალ-შენეობა არსებითად განსხვავდებოდა დასვლეთ ევროპული ანალოგიური მოძრაობებისაგან. ეს განსხვავება, უპირველეს ყოვლისა, საჩინო იყო თვით გადასახლების ხასიათში. რუსები ემიგრანტების სახით კი არ ტოვებდნენ თავიანთ მიწებს, არამედ ისინი იკავებდნენ თავიათ ყოფილ მეზობელთა სამკვიდრო ტერიტორიებს, რომლებიც იარაღის ძალით დაინარჩუნა მათმა „იმპერიატორმა“. ე.ი. რუსული კოლონიზაციის მთავარი დამახა-სიათებელი ნიშანი იყო ქვეყნის სამდგრების გაფართოება მეზობელი ტერიტორიების დაპყრობის ხარჯზე, რის შედეგადაც, რუსული მოსახლეობის ცნობიერებაში ეს მიწები უკვე რუსულ მიწებად იწოდებოდნენ და წარმოადგენენ რუსეთისავე ერთგვარ „გაგრძელებას“ ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მათ სწამდათ, რომ რუსეთის სახელმწიფოს საბლვარი გადის იქ, სადაც გადის რუსის ჯარის წინა ხაზი. ამგვარი გაგება რუსთა სამეფოს საბლვრისა ნათლად ჩანს მაგ., ა. ს. პუშკინთან. იგი თავის ცნობილ ნაწარმოებში „მოგზაურობა არზრუტში“ წერს: – „აი, არფაჩაი, მითხრა კაბა კმა. არფაჩაი ჩენი საბლვარია! რადაც უცნაური გრძნობით გავქუსლე მდინარისაკენ. ჯერ არასდროს არ მენახა უცხოთა მიწა. საბლვარი ჩემთვის იყო რადაც იდუმალი. მე თავმომწონედ შევაგელვე ცხენი მდინარეში და გავედი თურქულ ნაპირზე, მაგრამ ეს ნაპირიც უკვე შემოექრთებინა ჩვენს ჯარს: მე ჯერ კიდევ რუსეთში ვიმყოფებოდი“. რუსის გაგებით, მხარე, სადაც ცხოვრობენ რუსები, სადაც ვრცელდება რუსული მმართველობა – უკვე რუსეთია; მაგრამ საბოლოოდ იგი „რუსეთად“ მაშინ იქცევა, როცა იქ აიგება რუსული ეკლესია. ხმირად რუსი გლეხები – მოახალშენენი, რომელთაც ახალ სამოსახლოებები გაუცრუვდებოდათ იმედები და ერთი პირობა გადაწყვეტლენი კიდევ ამ მხარის მიზოვებას, საბოლოოდ მაინც იქნა რჩებოდნენ, რადგან არ სურდათ ახლადაგებული სამლოცვე-ლოს – ეკლესიის მიზოვება. როგორც წესი, რუსი მოახალშენები ადგილობრივ მკვიდრთა ახლომახლო სახლდებოდნენ, ადვილად პოულობდნენ მათთან საერთოს და სულაც არ გრძნობდნენ თავს განსაკუთრებულ – პრივილეგირებულ მდგომარეობაში. ისინი ხალისით სწავლობდნენ ადგილობრივთაგან ახალ, მათთვის უცნობ გარემო პირობებში მეურნეობის წარმართვას, იჯარით იდებდნენ მათგან მიწებს, მალე ითვისებდნენ ადგილობრივ სასაუბრო ენას. თავისთვალი ეს მოახალშენენ რუსი გლეხები (მუეიკები) სრულიადაც არ ისახავდნენ მიზნად ამ მხარეთა რუსიფიკაციას, მაგრამ ცნობილია,

რომ – „კვალიც კი წაიშალა ჩუდების, ვიატიქების, მეშჩერების, ისე რომ ეს ხალხები ფიტიკურად კი არ გადაშენდენ, კი არ განადგურდნენ როგორც ინდიელები ამერიკაში, არამედ ისინი გაითქვიფნენ ჩასულ რუსულ მოსახლეობაში; გადაგვარდნენ სულიერად, დაკარგეს რა საკუთარი სახე და მეობა“: ყოველივე ეს ხდებოდა თანდათანობით, შეპარვით, ზედმეტი აჩქარების გარეშე... რუსი მოახალშენების ეს „კავშირი“ აბორიგენ მოსახლეობასთან, უმრავლეს შემთხვევაში, რუსული რვაბოლოიანი ჯვრით იყო შემაგრებული. რუსული მონასტრები, ჭარბები, ეკლესიები რუსული კოლონიზაციის ერთერთი მთავარი დასაყრდენი იყო.

რუსი კოლონიზაციონები თავს მხოლოდ იქ გრძნობდნენ უხერხულად, სადაც თვითმყობადი განვითარებული კულტურისა და ეროვნული ცნობიერების მქონე მოსახლეობას შეეჩებებოდნენ. ასე მოხდა მაგალითად ამერიკასირეთში, სადაც ადგილობრივი ჩინელები ჩასულ რუსთაგან იბოლირებულად ცხოვრობდნენ და თითქმის არანაირ კონტაქტში არ შედიოდნენ მოახალშენე კოლონიზაციონებთან.

ანალოგიური ვითარება იყო ამიერკავკასიაშიც. 25 ოქტომბრის გადატრიალებამდელი რუსული მოსახლეობისათვის დამახასიათებელია თვითიდენგთივიკაცია რელიგიური პრინციპით – „ჩვენ“ მართლმადიდებლები (პრავოსლავნი); და თუ მართლმადიდებლები, შესაბამისად რუსები“. მათ წარმოსახვაში, საკუთარი არსით ყველა მართლმადიდებელი, რუსია. რუსეთი – ეს მართლმადიდებელი სახელმწიფოა და მისი მცხოვრებიც მართლმადიდებელნი არიან. ეთნიკურ წარმოშობას აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენჭება. რუსეთის სამღვრები ეს მართლმადიდებლური სახელმწიფოს საბრძვრებია. ყოველი ახალი ადგილი სადაც მართლმადიდებელნი ააგებენ თავის ეკლესიას, შედის „წმინდა რუსეთის“ საკრალურ საბრძვრებში, ამ საბრძვრებს აფართოებს მართლმადიდებელი ჯარი, რომელსაც შემდგომში მოჰყვება მართლმადიდებელი ხალხი. საბრძვარი გამოჰყოფს ორ სამყაროს – სამყაროს „მართლმადიდებლურს“ და სამყაროს სხვა სარწმუნოებრივს („ინოვერნი“, „პაგანნი“). რუსეთის, როგორც „მესამე რომის“ საბრძვრები, საბრძვრებია თვითმყრობელური უძლეველობისა. ის რაც ამ საბრძვრებს შეიგნითაა, რუსთა მიერ აღიქმება როგორც ერთგვაროვანი ტერიტორია, რომლის აღმინისტრაციული დაყოფაც ხმირად პირობითია და უმნიშვნელო. ასევე ნაკლებად მნიშვნელოვანია იქაური მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობაც. საბოლოოდ, ეს მოსახლეობა რუსულია; რამდენადაც იგი ცხოვრობს რუსეთის საბრძვრებში და იმართება რუსთხელმწიფოს მიერ; მასაც იგივე უფლებები მოვალეობები გააჩნია რაც მთელი იმპერიის დანარჩენ მოსახლეობას. სიგყვა „რუსული“ განსაბრძავს არა

ეთნიკურ ცნებას, არამედ სახელმწიფოებრივ მიკუთვნებულობას, მოქალაქეობას.

რესა მოსახლეობის ცნობიერებაში, კოლონიზაცია ყოველთვის მეფის ნებასთან იყო დაკავშირებული. ეს იყო ან ჯანყი (ბუნგი) მეფის ნების წინააღმდეგ (მაგ., კაბაკობა, რომელიც თითქოსდა გაურბოდა მეფეს, საბოლოოდ კი სამეფო სკი პტრის უერთგულესი იყო.), ან მეფის უზენაესი სურვილის აღსრულება. რესა ხალხის ცნობიერებაში მეფე – „ბატუშკა“ არა მარტო მათი გადასახლება-განსახლების სანქციას იძლეოდა, არამედ მისი უბენაესი სურვილი ისიც იყო, რომ მისი „შვილები“ მოედონ მეტობელ ქვეყნებს-მხარეებს, რათა გაარუსეოთონ ისინი. ამდენად მათ ღრმად სწამდათ ის, რომ ამუშავებდნენ რა უცხო მიწებს, სახლებოდნენ რა უცხო მხარეებში, ამით ისინი „აფართოებდნენ მართლმადიდებლობის საზღვრებსაც“; ამდენად ემსახურებოდნენ მეფე-დმრთის.

რესეთის იმპერიის სახელმწიფო კოლონიზაცორული პოლიტიკა სრულად შეესაბამებოდა რესა მოსახლეობის ცნობიერებას. იგი ძირითადში მიმართული იყო შემორითებულ მხარეებში იმპერიული მმართველობის განმტკიცებისაკენ, რაც უპირველეს ყოვლისა, იქ რესა „მუკიკების“ განსახლებით იყო შესაბლებელი. ამ მიზნით, რესეთმთავრობის მიერ იქმნებოდა გამაგრებულ ჟუნქტია რიგები ე.წ. „ლინიები“, რომლებიც გამოიყენებოდა ჯერ კიდევ დაუმორჩილებელი, თავისუფლებისთვის მებრძოლი ხალხების წინააღმდეგ. ამასთანავე, ისინი ასრულებდნენ მხარის აღმინისეგრაციული და ფისკალური მმართველობის ცენტრის უზნქციებსაც. ამგვარი ჟუნქტების ურთიერთობან და ცენტრთან დასაკავშირებლად საგანგებოდ ეწყობოდა გამაგრებული სოფლები („ამსკიე პოსელენია“) – სამხედრო სოფლები. ამგვარი დასახლებების მომ-სახურე (სამხედრო) მცხოვრებთა მოსამარაგებლად კი იმპერიული ხელისუფლება საგანგებოდ ეწყობდა ხელს ე.წ. „თავისუფალ მხენვლ-მთესველთა“ სოფლების შექმნას. არსანიშნავია ისიც, რომ ამგვარ „სოფელთა“ მოსახლეობა ძირითადად დამნაშავეთაგან, გასამართლებულთაგან და გასახლებულთაგან შედგებოდა. ამ პირებს აქ, ახალ სამოსახლოებზე, მიუხედავად ნასამართლობისა, სახელმწიფო საგანგებოდ ეწყობდა ხელს – მათ უწევდნენ შეღავათებს მიწათსარგებლობაში, ათავისუფლებდნენ გადასახადებისაგან და სხვა... ამგვარი, სახელისუფლო, სამთავრობო კოლონიზაციის პარალელურად მიმდინარეობდა „თავისუფალ კოლონიზაციაც“. მათი ერთობლივობა განამტკიცებდა რესეთის იმპერიის საერთო კოლონიზაცორულ პოლიტიკას.

კოლონიზაციის ადმინისტრაციას სრულიადაც არ ადარდებდა ადგილობრივი მოსახლეობის თავისებურებანი და თვითმყობადი ხასიათი. ადგილობრივი – „ტუბემცები“, დამპყორისა მიერ

უბრალოდ ორ კაცებით იყოფონენ – ე. წ. „შშვილობიანნი“ (რომლებიც არ ეწინააღმდეგებოდნენ რუსულ მმართველობას, სწავლობდნენ რუსულ ენას, შვილებს რუსულ სკოლებში მიაბარებდნენ აღსაზრდელად და ა.შ.) და „შშფოთვარენი“ (ისინი ვინც ეწინააღმდეგებოდნენ რუსთაბავონბას). ასე მაგალითად, XIX ს. კავკასიური ომის დროს, ადგილობრივი წარმომავლობის მთიელი ხალხები, რუსული ადმინისტრაციის მიერ შედგენილ დოკუმენტებში მოიხსენიებიან საერთო სახელით – „ჩერქევები“ და დახასიათებული არიან როგორც ყაჩაღები და ავისმექნელები.

ადგილობრივი, აბორიგენი ხალხებისადმი, მათი თვითმყოფა-დობისადმი ამგვარი უარყოფითი დამოკიდებულება კოლონიზა-გორთა მიერ უძირაფესად იმით იყო გაპირობებული, რომ ამ უკანასკენელთა ცნობიერებაში, ადგილობრივ მკვიდრთა ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო – ყველა ეს ხალხი ადრე თუ გვიან ან უნდა შერწყმოდა რუსებს და გადაჯიშებულიყო, ან უნდა გასცლოდა მამა-პაპეულ სამკვიდროს (მუპაჯირობა, დეპორტაცია) – თუნდაც ამოელეტილიყო. ასე რომ, რუსებს ეს ხალხები მხოლოდ ეთნოგრაფიულად თუ აინტერესებდათ და ისიც მხოლოდ სპეციალისტებს; მათაც იმიტომ, რომ კარგად გაეცნობიერებიანთ ადგილობრვთა ეთნოფისქოლოფური ტიპები და ასე,შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე გაექროთ ისინი. რუსი ეთნოგრაფები, გეოგრაფები, ლინგვისტები, ისტორიკოსები იმპერიულ ხელისუფ-ლებასთან ერთად ფეხშეწყობილი მოქმედებდნენ, ეკავათ რა სამხედრო-აღმინისტრაციული თანამდებობანი მეფისნაცვლის სამსახ-ურში (მაგ. ცნობილი რუსი ენათმეცნიერი პეტრე უსლარი წლების მანძილზე ქუთაისის ვიცე-გუბერნატორად მსახურობდა, რომლის თვალწინაც სვანეთის მთავარმა, კონსტანტინე დადემქელიანმა ხანჯლით დაპკლა ქუთაისის გუბერნატორი გაგარინი)...

ამა თუ იმ დაპკრობილი მხარის მთელი „საკუთარი“ მოსახლეობა, რასაკეირველია, რუსების მიერ განიხილებოდა საერთო-იმპერიულ ჭრილში. ადგილებზე ერთიანად უქმდებოდა რუსთმმარ-თველობამდელი, ტრადიციულად ჩამოყალიბებული აღმინისტრა-ციული ერთეულები და მათ მაგივრად კოწიწლებოდა სრულიად ახალი წარმონაქმნები; ხშირად ერთობ ხელოვნური საზღვრებითა და როგორც წესი, შეძლებისდაგვარად მოსახლეობის ჭრელი ეთნიკური შემადგენლობით. ყოველივე ეს მიზნად ისახავდა ადგილობრივ მოსახლეობაში ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირებითა გადვივებას, რათა მათ, შემდგომ, „გამშველებელ-პატრონად“, „მამა-მარჩენალად“ რუსული კოლონიალური აღმინისტრაცია მოვლე-ნოდათ. კავკასიაში შემოსვლის დღიდან რუსეთი ერთგულებდა იმპერიული მმართველობის მთავარ პრინციპს – „გათიშე და იბატონე“. კავკასიამ მრავალჯერ განიცადა რუსთმმართველობის

მიერ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ხასიათის ცვლილებები, რაც მიმდინარე ისახავდა საერთო-იმპერიულ პრინციპ მხარის პოლიტიკური და ადმინისტრაციული სისტემის უნიფიკაციას. ამის გამო მათ მიერ დაიშალა ყველა სახის ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტი და თანამდებობით დაინერგა საერთო უსული სახის ერთეულები. ანალოგიურად მოქმედა დამპურობის სამართლადწარმოების ადგილობრივ სისტემასაც. ეს პრინციპი პირ მმართველობისა ნგრძელდებოდა შემდგომშიც, მოდერნიზებული იმპერიის – სსრკ-ს პრაქტიკაშიც.

მოსახლეობის „უნიფიკაცია“ ხებობოდა სოციალური რეფორმების მეშვეობითაც. საბოლოოდ, კავკასიის მთელი საბოგადოებრივი იერარქია რუსულ საბოგადოებრივ იერარქიასთან იქნა შესაბამისობაში მოყვანილი. დაპყრობილი მხარის ქრისტიანი მოსახლეობის დიდგვაროვანნი თავიანთი უფლებებით გაუთანაბრეს რუს თავადაბნაურობას. ამ მოვლენამ რუსეთს ერთობ ხელსაყრელი სიტუაცია შეუქმნა: ეს გათანაბრებული თავადაბნაურები რუსეთის სამპერატორო კარის მსახურებად იქნება (აჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ი. ფალავანდიშვილი...). ადგილობრივი, გარუსებული დიდგვაროვანნი (ჩოხატე ეპოლეტებმორგებული) აქტიურად მონაწილეობნებს კავკასიის რუსულ ადმინისტრაციულ ერთეულთა მუშაობაში და არცთუ იშვიათად განსაზღვრავდნენ კიდეც იმპერიულ ინტერესებს; ეკავათ მაღალი, თანამდებობები, ხშირად მეთაურობდნენ კიდეც საარმოი კორპუსებს, მაგრამ საერთო ჯამში ისინი წარმოადგენდნენ რუსულ ხელისუფლებას. „ლორისმელიქოვი სომები გენერალი კი არა, რუსი გენერალი იყო სომხური წარმომავლობისა“ – როგორც ამას აღნიშნავდა ერთი მისი თანამედროვე პუბლიცისტი. საბოლოოდ, იქმნებოდა ერთიანი სოციალური, ადმინისტრაციული და სამართლებრივი სივრცე მთელი იმპერიის ტერიტორიაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსთმმართველობა სრულიადაც არ ბრუნავდა შემოერთებული ტერიტორიების მოსახლეობის განვითარებასა და კულტურულ დაწინაურებაზე, როგორც ეს ხდებოდა მაგ. ინგლისის კოლონიებში. ეს არც იყო მოსალოდნელი, რადგანაც, როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერია მხოლოდ სამხედრო ძალას უუძნებოდა და საეკუთრივ რუსი ხალხიც მოუვლება - მიუხედავი ჰყავდა. საცოდავი სანახავი იყო მათი სოფლები, სადაც სილატაკე და დუხშირი ცხოვრება სუფევდა. გავისხენოთ აკაკის ცნობილი ლექსი – „ნაბალადევ საქმროს“. როგორც სულით დატაკ ქვეყანას შეეფერება, რუსეთის იმპერიაც, დაავადებული სიღიძის სინდრომით, მხოლოდ საზღვრების გაფართოვებაზე თუ ბრუნავდა. მისთვის მთავარი იყო სიღიდე და არა ხარისხი, რომელსაც სამართლიანად უწოდებდნენ „თითის ფეხებზე შემდგარ გოლიათს“. თვით რუსი პუბლიცისტებიც კი

აღიარებდნენ, რომ რუსთხელმწიფებას არავითარი კულტურტუ-
გერული ფუნქციის შესრულება არ ძალუდა. მართალია ხანდახან
გაისმოდა ტრაფარეტული ფრაგები იმის შესახებ, რომ რუსეთმა
დამორჩილებულ ხალხებში („ინოროდცებში“) უნდა შეიგანოს
კულტურა, მაგრამ როგორც წესი, ეს ხდებოდა ერთობ პროგაულ
კონცექსში, როცა კულტურის ცნების ქვეშ იგულისხმებოდა
მეურნეობის წარმოების თანამედროვე ფორმები. ხოლო რა დონეზე
იმყოფებოდა მაშინდელ დაწინაურებულ ქვეყნებთან (ინგლისი,
გერმანია, საფრანგეთი...) შედარებით რუსული მეურნეობა, კარგადაა
ცნობილი. ამდენად, რუსული იმპერიული ხელისუფლება ცეცხლისა
და მახვილის მექს ვერც ვერაფერს სთავაზობდა დაჭრობილი
ტერიტორიების მოსახლეობას. ამ მხარეების მცხოვრებთა ერთი
ნაწილი, დახარბებული ჩინ-მენდლებსა და ზიბილ-პიპილებს,
დებოდა დამპყრობთა სამსახურში. ეროვნული ღირსებისა და
შეგნების მქონე პირები (მართალია შედარებით მცირერიცხვნი)
კი განაგრძობდნენ ფარულსა თუ საჩინო წინადმდევობას. ნათლად
ჩანს ეს ტენდეცია ილიასეულ ცნობილ ფრაგაში – „ჩვენც ვვლეთ
რუსეთი, მაგრამ არცერთი ხელობა თქვენი არ გვისწავლია; ჩვენი
ქვეყანა, მკვდარი თქვენგანა, თქვენებრ ჩინებგედ არ გაგვიცვლია“.

მაგალითად, იმ პერიოდის პეტლიცისფური წყაროების მიხედვით
– „ახლად შემოერთებული ყარსის ოლქის მცხოვრებთ სწყურიათ
განათლება და თვითმოქმედება. მაგრამ, მათში არ ხდება რუსული
ხელისუფლების მიერ მათი ამ მონდომების არავითარი წახალისება.
თვით ცენტრალურ რუსეთშიც ხომ თვითმოქმედება და განათლება
არც ისე დიდი ყურადღებით სარგებლობს და რა გასაკვირია, რომ
პერიოდებში ასე აეგდოთ ეს დარგები საზოგადოებრივი
ცხოვრებისა“. ან კიდევ, ერთერთი უერნალისტი სამართლიანად
სვამდა კითხ-ვას მეთხველთა წინაშე: – „კავკასიაში ჩვენი
მმართველობის ორმოცდათი წლის განმავლობაში რა გავაკეთეთ
სასარგებლო ჩვენთვის და იქაურებისთვის?“ თვით რუსი
ისტორიკოსები აღიარებნ, რომ იმ პერიოდისთვის, თუკი არსებობდა
რაიმე რეკომენდაციები რუსულ პოლიტიკურ წრეებში კოლონიზაციის წარმართვისათვის, იყო მოუქნელი და პრაქტიკაში
სრულიად გამოუსადეგარი. მთელი კავკასიური კოლონიზაციონული
პოლიტიკა იყო დაუშვებლად ჭრელი და ნაირნაირი... ალბათ
მსოფლიო პრაქტიკაში არ მოიძებნებოდა კოლონიზაციონული
სიტემის არცერთი მაგალითი, კავკასიაში რომ არ ეცადათ. მაგრამ
ამ მეთოდების ბემოქმედება კავკასიელთა ცხოვრების წესზე იყო
მცირედობის და უსუსური. მართალია, რუსი ავტორები
აღნიშნავნ იმპერიული პოლიტიკის უნიათობას, მაგრამ იმას კი არ
აღიარებენ, რომ კავკასია შინაგანად არასდროს შერიგებია მონობის
უდელს და მდგრადი შინაგანი ცხოვრების წესით თავგანწირულ

წინააღმდეგობას უწევდა მისთვის უცხო, თავსმოხვეულ იმპერიულ ცხოვრების წესს. აღსანიშნავია, რომ რუსული კოლონიზაციული პოლიტიკა კი არ იყო უსუსური, არამედ კავკასიური დამოუკიდებელი სული იყო ძლიერი და შეუძლებელი...

უპირველესი და უმთავრესი რასაც ვერ აღწევდა დამპყრობი კავკასიაში და კერძოდ საქართველოში იყო ის, რომ მომხვდურს არ ძალუდა ათასწლეულების განმავლობაში აქ ჩამოყალიბებული სამეურნეო-კულტურული ტიპების შეცვლა. სწორედ მათ მდგრადობაში იღო ამ ქვეყნის გადარჩენის საიდუმლო. მომხვდურის წინააღმდეგ ერთ სულიერად და ფიზიკურად განაგრძობდა წინააღმდეგობას. მისი საუკეთესო შეილები, მებრძოლი ქრისტიანობის მახვილაღმართული თავდადებით უპირისპირდებოდნენ მტერს. თუკი იმარჯვებდნენ ხომ კარგი, თუ არა და საკუთარი სიკედილით, წმინდა იდეისადმი თვითშეწირვით აძლიერებდნენ ერის დვრიგას (ალექსანდრე ბაგონიშვილი, ილია, ვაჟა, ქაქეცა წოლოფშვილი, მერაბი, გვიადი და კიდევ მრავალი ცნობილი თუ უცნობი გმირი). ისინი შემდგომში, წმინდანებად შერაცხული, გეციური საქართველოდან სულიერად განაგრძობდნენ ბრძოლას სამშობლოს მცრის წინააღმდეგ, ახდენდნენ რა უბარმაბარ გავლენას ცოცხლების სამშვინველებელ ცოცხლებისა, რომლებიც წინაპართაგან ნაანდერძევი ცხოვრების წესით შემშეობით ბიოცენომში იყვნენ შესული თავიანთ სამკვიდროსთან – კავკასიასთან და მასთახერთად ქმნიდნენ მყარერთობითას.

საქართველოში, ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა ძირითადად მიწისმფლობელი იყო და მიწათმოქმედებით იყო დაკავებული. ჩვენშმ ქალაქები ძირითადად ადმინისტრაციული ცენტრის (მმართველის რეზიდენციის) დანიშნულებას ასრულებდნენ, რომლის უმეტესწილად არაქართული მოსახლეობა სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობით იყო დაკავებული. მართალია აქ ხდებოდა გარკვეული კაპიტალის ბრუნვა-დაგროვება, მაგრამ ამ კაპიტალს არ ძალუდა გადამწყვეტი როლის თამაში ქართველთა სამკვიდრო-საუფლოს კვონიმიკურ ცხოვრებაში. ეს უკანასკნელი, ძირითადად მოსახლეობის საქმიანობის ავრარულ სფეროს ეფუძნებოდა, რომელშიც წარმართველი წილი ქართულ ეთნოსს ეკავა.

ამდენად, ქართველთა სახელმწიფოებრიობისთვის საწარმოო-სავაჭრო კაპიტალს, რომლის წილიც ერონულ შემთხვევალში ერთობ მცირე იყო და რომელიც ძირითადად ქალაქელ უცხოფომელთა ხელში იყო მოქცეული, არასდროს შეუქმნია საფრთხე. ამიტომაც ქართველი მეურნე-მიწისმფლობელი (სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების დასაყრდენი) მუდამ ლოიალურად იყო განწყობილი უცხოფომელი ჩარჩ-ვაჭარ-ხელოსნის მიმართ, რომელიც ფაქტიურად მისი მომსახურე-მომმარაგებელი იყო. შესაბამისად საქართველოში

არ ყოფილა არც ანგიებრაული მოძრაობა (ვაჭართა უმრავლესობა ჩვენში ებრაელები იყვნენ), არც ანგისომური გამოსვლები (ხელოსანთა მეტიწილი სომეხი იყო), რამდენადაც, თუკი უცხოფომელი მიწაბე დაჯდომას, დაფუძნებას მოიხდომებდა, იგი უნდა გაქართველებულიყო – ქართული ტერიტორიალურ-სარწმუნოებრივი სამყაროს შვილი უნდა გამხდარიყო და მის „მოყმედ“ უნდა ეცნო თავი.

რადიკალურად იცვლება ვითარება რესტმართველობის დამყარების შემდეგ, როდესაც კოლონიალური ხელისუფლება ქართველთა კუთვნილ მიწებზე მასიურად ასახლებდა უცხოფომელებს – სომხებს, მაღარებებს, გერმანელებს და ამით ართმევდა ქართველთ ეკონომიკური ძლიერების საფუძველს; ამასთანავე ქმნიდა მოსახლეობის ეთნიკურ სიჭრელეს, რაც მისი კოლონიური პოლიტიკის ერთერთი სტრატეგიული ხაზი იყო და რაბეც ჩვენ უკვე ვიღაპარაკეთ.

ამდენად, ქართული სახელმწიფოებრიობა ეკონომიკურად სოფლის მეურნეობას, გეორგიანობას, სამკეოდროსთან ქართველური ჯიშის ბიოცენობში შესვლის შედეგად გამომუშავებულ ეროვნულ, ამ სიცევის პირდაპირი გაგებით, შემთხავალს ეფუძნებოდა. ყოველივე ამას, რაც მთავარია, განაპირობებდა სამკვიდროსთან, ადგილის დედასთან, სისხლით-ნათესაობითი ურთიერთობებით განმტკიცებული სულიერი, ეგზოთერული და ებოთერული კავშირები. ყოველივე ეს – მატერიალური და სულიერი ერთობა, ღვთივბოძებულ გარემოსთან, ყოფით პირობებთან ადაპტირებულ ეროვნულ კულტურას ქმნიდა, რომლის თავისთავადობა და განსხვავებულობათა ერთობლიობა მსოფლიო კულტუროლოგიაში ერთობ მისადაგებული ტერმინით – „კულტურული შებლი“-ით აღინიშნება.

ასე გრძელდებოდა საბჭოთა იმპერიის შექმნამდე. თუნდაც მეფის რუსეთი, ცდილობდა რა ადგილობრივ მოსახლეობის ზოგადიმპერიულ ერთიანობაში უნიფიცირებას, მაინც ვერაფერს ხდებოდა, რადგანაც არ უცდია კავკასიაში ათასწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული სამეცნიერ-კულტურული ფაპების შეცვლა. ე.ი. აქ ძირიული ქართველი მოსახლეობა კვლავინდებურად, მეტნაკლებად მაინც ფლობდა სამკვიდროს და მისდევდა ჩვეული ცხოველის წესს.

კავკასიურმა და შესაბამისად ქართულმა სულმაც დიდი დარტყმა განიცადა გასაბჭოების შემდეგ „მანია გრინდიობა“-თი დაავალებულმა რუსეთის მოდერნიზმებულმა იმპერიამ მიზანშიმართულად დაიწყო ტრადიციულად ჩამოყალიბებული ნორმებისა და ურთიერთობების რდვევა. მაგ., საქართველოს კამპანიურ, ხელოვნურ ინდუსტრიალიზაციას ერისთვის დამახრეველი შედეგები მოჰყვა –

დაიცალა სოფლები, გაუდაბურდა ტრადიციულად ძლიერი მხარეები, ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი მოხვევილ-კონცენტრირებული იქნა 48 კვ. კილომეტრზე (თბილისში); ქართული მიწა კი უცხოვომელთა ხელში აღმოჩნდა.

ამჯერად მზადდება მეორე, უფრო ძლიერი დარტყმა, როდესაც განგრძანებულია ქვეყნის კ. წ. „დერეფნად“ გადაქცევა. თუკი განხორციელდება ეს ჩანაბითქო, საქართველო საბოლოოდ დაემსგავსება ორივე მხრივ დია საბძელს, სადაც ქარის მოგანილ ბბეს ქარივე წაიღებს. ქართველი ერი კი იმის მაგიერ რომ იყოს საკუთარი მიწის ჭეშმარიფი პატრონი, გახდება ამ დერეფნანში მიმომსვლელთა მსახური და ხელისშემყურე, რის შედეგადაც იგი საბოლოოდ დაკარგდეს ქვეყნის ფლობის, პატრონობის, მოვლის ათასწლოვან ტრადიციას. ყოველივე ამას საბოლოოდ მოჰყვება ერის, როგორც გარემოსთან მოდგმის, ჯიშის ბიოცენობში შესვლის შედეგად ჩამყალიბებული ერთობის გაქრობა და მგრის მიერ მიღწეული იქნება სანუკვარი ცუნება – საქართველო ქათველების გარეშე.

ამიერკავკასია გეოგრაფიულად წინა აზიის მომიჯნავე ტერიტორიას წარ-მოადგენს, რომელსაც რუსეთისგან მაღალმთიან მთათა სისტემა – კავკასიონის ქედი გამოკვლევს. XIX საუკუნეში ამ ბუნებრივი წინააღმდეგობის დაძლევა უფრო ძნელი იყო, ვიდრე ზღვის გადაღახვა. ამდენად, შეიძლება ითქვას, ამიერკავკასია რუსეთისთვის წარმოადგენდა ერთგვარ გამაგრებულ „ციხესიმაგრეს“ სხვა მატერიკებზე და ამგვარად განიხილავდა მას სტრატეგიული კუთხითაც. ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია თვალი გავადევნოთ აღმოსავლეთის საკითხს, რომელიც ამ პერიოდისთვის თრი დიდი იმპერიის – ინგლისისა (საბდევაო) და რუსეთის (სახმელეთო) დავის საგანი იყო.

XIX საუკუნეში ინგლისის აღმოსავლერი პოლიტიკის მთავარი სტრატეგიული გეზი ინდოეთზე ბატონობის შენარჩუნება იყო. აქედან გამომდინარე, ინგლისის ინგრესებში შედიოდა სხვა სახელმწიფოებისათვის ინდოეთამდე მიმავალი საბმელეთო და საბლვაო გზების ჩაკეთვა, რაც ძირითადში სამხრეთ ირანსა და სპარსეთის კურის ნაპირებზე გავლენის გაძლიერებით იყო შესაძლებელი. რუსეთის იმპერიის ინგრესებში შედიოდა თურქეთისა და იმიერკასპიის მხარეების დაპყრობა; ირანში საკუთარი პოზიციების შენარჩუნება-განმტკიცება; ჰეგემონობის დამყარება ბალკანეთში; ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე გასასვლელის მოპოვება; სომხეთის ზეგანის ანექსია, რაც თავის მხრივ იძლეოდა ახლო აღმოსავლეთის გაკონტროლების საშუალებას.

ამრიგად, შესაძლოა გამოიყოს ინგლის-რუსეთის დაპირისპირების ძირითადი მიმართულებანი: პამირი, ირანი, სომხეთის ზეგანი

და ბალკანეთ-კონსტანტინეპოლი. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გადიოდა ამ მიმართულებათაგან თრი: ირანისკენ და სომხეთის ზეგანისკენ. პირველს განსაზღვრავდა ირანის სწრაფვა – წინ აღდგომოდა რუსეთის გასვლას ინდოეთისაკენ დასავლეთის მხრიდან, სპარსეთის ყურის ნაპირებზე კონტროლის დაწესებით. რუსეთისთვის ირანი წარმოადგენდა თვითმიმანს, კოლონიზაციის სასურველ ობიექტს. აი სომხეთის ზეგანს კი, როგორც შემდგომი ექსანსიის ობიექტს, რუსეთისთვის პქონდა განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა, რომელსაც იგი საერთოდ არ განიხილავდა როგორც თვითმყობად დირებულებას.

მაშასადამე, კავკასიის ქედი რუსეთისთვის წარმოადგინდა ერთგვარი ციხის კედელს, რომელიც საიმელოდ იცავდა მის სამხრეთ საზღვრებს, ამიერკავკასია კი ერთგვარი, რუსეთისგან ქედსმიღმა, ნაკლებდაცული, ყველასთვის სათარეშო მოვდანი იყო – შესანიშნავი პლაცადარმი ირანისა და თურქეთისაკენ გასასვლელად. ამდენად, არც არის გასაკვირი, რომ დაპყრობილ ამიერკავკასიაში რუსეთის საშინაო პოლიტიკა ძირითადად სამხედრო-სტრატეგიული შეხედულებით განისაზღვრებოდა.

ამასთანავე, ამიერკავკასია ერთობ რთული ეთნოგრაფიული სტრუქტურით გამოიჩინებოდა. მის დასავლეთი ნაწილში განლაგებული იყო იმერეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოები, ძირითადად დასახლებული ქართველური მოდგმის ხალხებით, აგრეთვე სპარსელებით, თურქებით და სომხებით (თბილისში 80%-მდე); აქვე მდებარეობდა გურიის, სამეგრელოს და აფხაზეთის სამთავროებიც. ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებული იყო ირანისგან მართვადი რამდენიმე სახანო. ზოგში ჭარბობდა მუსელმანური, ბოგშიც სომხური მოსახლეობა. აქვე ერევნის ციხე-სიმაგრის გვერდით მდებარეობდა ეჯმიაზინი – ყველა სომქეთა სულიერი ცენტრი.

მაშასადამე, ამიერკავკასიაში, გამომდინარე მისი სტრატეგიული და ეთნოგრაფიული თავისებურებებიდან, რუსეთისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი მმართველობის ფორმა პროტექტორატი უნდა ყოფილიყო, მაგრამ აქვე ისმის კითხვა – იყო კი ეს შესაძლებელი გამომდინარე რუსელი დიდმპყრობლური ხასიათიდან?

მართალია, თავიდან რუსეთი თითქოს არ ახდენდა თავის ნამდვილი ბრახვების დემონსტრირებას და იქცეოდა ისე, ვითომო თანახმა იყო ამიერკავკასიაში სახელმწიფო ერთიეულების თვითმყობადობის შენარჩუნებისა, მაგრამ შემდგომში, სრულად გამოამდევნა თავისი დიდმპყრობლური შისწავებანი: ამიერკავკასია საერთოიმპერიული პრინციპების მიხედვით დაიყო რამდენიმე გუბერნიად, აქაური საზოგადოების სოციალური სტრუქტურაც საკუთარი შეხედულებისამებრ მოაწყო, გააუქმა

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. საბოლოოდ, მთელი რიგი რეფორმების გატარების შედეგად მან მიაღწია ამიერკავკასიის სოციალურ და აღმინისტრაციულ უნიფიკაციას დანარჩენი რუსეთის მხარეებთან.

ჯერ კიდევ გენერალ ერმოლოვის დროს, 1816-1827 წ.წ. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე შეიქმნა 30-მდე „შტაბ-კვარტირა“ – სამხედრო დასახლება, რომელთაც თავის მხრივ სათავე უნდა დაელორ მხარეში რუსული კოლონიაზეც ისათვის; მაგრამ მიუხედავად ამისა ამას არ მოჰყოლია „კოლონიაზეც ტალღა“, რამდენადც პოტენციურ კოლონისტებს აშინებდათ ათწლეულების განმავლობაში მიმდინარე კავკასიური ომები. რუსთმთავრობა, მართალია აქ ‘დასჯის’ სახით ასახლებდა სექტანტებს (მალაქნებს, სფაროვერებს), რაც თავისთავად კავკასიაში რუსული მოსახლეობის მომძლავრებას ისახავდა მიზნად, მაგრამ ეს მათ საქმეს მაინც ვერ შეველოდა: რუსული მოსახლეობის წილი ამიერკავკასიაში 5%-ს მაინც ვერ აჭარბებდა.

ერთობ საინგერესო სიგუარია შეიქმნა ამიერკავკასიის მოსახლეობის სამართლებრივი და სამოქალაქო ჰომოგენიზაციის მხრივ. საერთოიმპერიულ მექანიზმი მხარის მუსულმანური მოსახლეობის ჩართვა, რუსთმთავრობობისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, რამდენადც მათთან მიღვომის მექანიზმი იმპერიულ სახელმწიფო მანქანას უკვე გამომუშავებული ჰქონდა.

როგორც ერთი თანმედროვე აღნიშნავდა: „მათი ფარული შეღლი ჩვენდამი (რუსებისადმი—პ. ბ.) არ იყო უცნობი, ისინი საბოლოოდ მთლიანად შეეგუენ რუსულ მმართველობას და შეჩვეული აღმოსავლურ დესპოტიას, სიტყვაშეებრუნებლად ემთრჩილებოდნენ ახალ ხელისუფლებას. ამდენად, ამ კუთხით, წარმოადგენდნენ საიმედო ელემენტებს სახელმწიფოსთვის“.

განსხვავებული იყო ვითარება ქართველებთან და სომხებთან. უპირველეს ყოვლისა, ისინი იყვნენ ქრისტიანები, რაც მათ უკვე ათანაბრებდა რუსებთან; მეორე მხრივ, ისინი ოფიციალურად, კი არ დაი პყრეს, არამედ თავისი ნება-სურვილით შევიღნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. აქედან გამომდინარე, ყველა კავკასიის მმართველი გოლიციანამდე მოყოლებული იძულებული იყო ედიანებინა, რომ — „ადგილობრივები („ტუბემცები“) და განსაკუთრებით ქრისტიანები არიან ისინი, ვინც საკუთარი სურვილით მიენდონენ რუსულ სკიპორას და უნდა სარგებლობდნენ სრული თანაბარუსულებიანობით“. მეტიც, მათი ნაწილი აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის არმიის მიერ კავკასიის დაპყრობა-დაშოშმინებაში (მაგ., გრ. ორბელიანი). კავკასია, იმპერიამ მოიპოვა არა მარტო რუსული იარაღით, რუსეთიდან ჩამოვანილი სამხედრო ძალით, არამედ ადგილობრივთა („ტუბემცების“) იარაღით და სისხლითაც. ეს კიდევ ერთი გამარჯვება იყო რუსული საგარეო პოლიტიკისა.

რუსეთის საიდუმლო სამსახურებმა, რომლებიც პირველ რიგში რუს მეცნიერთა – ეთნოგრაფთა, გეოგრაფთა, ისტორიკოსთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს ეყრდნობოდნენ, კავკასიის საბოგადოებრივ ცხოვრებაში შეგად შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწიეს. ადგილობრივ „მორჩილ“ პირთა საერთოიმპერიულ სახელმწიფო სამსახურებში ჩართვით, მათი ჩინ-მენდლებით დახუნძვლით, ერთობ გაიადვილეს საქმე და კიდევ უფრო დააჩქარეს კავკასიის საერთოიმპერიულ სხეულთან შემცირდა-ინციეგრირება. ახალგამომცხვარი რუსეთუმე – ჩოხაბეგ ეპოლეტებმორგებული „ვრაცუები“ ჰკვე ნამდვილად ადარ იყვნენ თავისუფალი სულის, დირსების მაფარებელი მამულიმევილები, რომელთა ნაკლებობასაც აგრერიგად განიცდიდა დიდი ილია –

„მაგრამ მამული, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაბედ, ამდან ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუჩიარო!...“

მედროვეთა ინსტიტუტის გაძლიერება-განმტკიცებამ დამანგრეველი გავლენა იქონია ერის თვითშეგნებაზე; ისინი და მათი ნაშიერები, მათი თესლანაყარნი, ჩაკლული სულის „შანქერთები“ გააფრთხებით ებრძოლენ ყოველივე თავისთავადსა და დამოუკიდებელს. სწორედ ასეთებზე წერდა აკაკი – „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ბრძოლაში მკვდარი“. ისინი ხანჯლით დასდევდნენ ილიას, უწოდებდნენ რა მას „ბურთივით მრგვალს“, „ლიბერალს“, რითაც შეამბადეს კიდეც იდეური ფონი წიწამურის ტრაგედიისა; მოკლეს მერაბი, ბვიადი... მრავალჯერ დააგრიადეს სისხლის კალო საქართველოში. აი, დროთა განმავლობაში რა შედეგი მოჰყვა კავკასიელ „მორჩილთა“ (შესაბამისად ვაიქართველთა) რუსთხელმწიფების სამსახურში შესვლას, ჩოხაბეგ ეპოლეტის მორგებას – ამ საზიზღარ სიმბიოზს.

საბოლოოდ, ადგილობრივ მკვიდრო ექმნებოდათ ილუბია, რომ თვითმმართველი იყვნენ; რამდენადაც სამინაო-სამოქალაქო საქმეებს ძირითადში მათი წიაღიდან გამოსული ჩინოსანნი განავებდნენ. სინამდვილეში კი კავკასიელი ადგილობრივი მოსახლეობა ემსგავსებოდა „სინაზე გაბმულ ძალას“, რომელსაც აჭმევდნენ, სალაფავს უდგამდნენ, „ბალებზე“ იწვევდნენ (განსაკუთრებით ჩოხა-ეპოლეტებიანებს), უქმნიდნენ ილუბიას, რომ დამოუკიდებელი იყვნენ; სინამდვილეში კი ისინი მჭიდროდ ჰყავდა მიკრული იმპერიას ისე, რომ მათ აზრადაც კი არ მოსდიოდათ თავისუფლება, რომლის წყურვილსაც ცალკეული მამულიმევილი თუ გრძნობდნენ და შეძრწუნებული თანამემამელეთა მცონარობისგან, გულსაკლავად მოსთქვამდნენ – „ოჲ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსდა გვედირსოს ჩვენ გაღვიძება?!...“

გამოყენებული ლიტერატურა

- 1 პ. ფ. დუბრივინი. „კავკასიაში რუსთა მფლობელობისა და ომების ისტორია“. ტ. 1-6. სპბ., 1871-1888 (რუსულად).
2. კავკასიაში რუსული მმართველობის დამყარება. ვ.ა. პოტტოს რედაქციით. ტ. 1 - 12. ტიფლისი, 1901 (რუსულად).
3. დამორჩილებული კავკასია. კავკასიის ისტორიული წარსულისა და თანამედროვეობის ნარკვევები. სპბ., 1904. (რუსულად).
4. ს.ს ესაბეჭ. ისტორიული წერილი კავკასიის მმართველობის შესახებ. ტ. 1-2. ტიფლისი, 1907. (რუსულად).
5. ა. ა. კაუფმანი. გადასახლება და კოლონიზაცია. სპბ., 1905. (რუსულად)
6. ვ. პ. პოგონევი. კავკასიური ნარკვევები. სპბ., 1910 (რუსულად).

P'aat'a Bukhrashvili

The Russian conception of colonialism and Transcaucasian ethnopolitical reality

Summary

The career of any empire, it goes without saying, represents a process of interethnic interaction. In order to grasp the dynamic aspects of this phenomenon, it is first of all necessary to understand the colonizing ethnic group's self image, and how this is generalized to the globalizing imagination of the empire's role. The creation of an empire of necessity implies the formation of a "private universe" and the subordination of others to this universe on the basis of self evident principles of "justification". Beyond these idealized motives ("justification") on the part of the empire's leadership, there often occurs the neglect of certain principles of utility and security. It is therefore important to clarify how the dominated nations regard this "self-evident justification", and how they conceive the content of the state within which they are obliged to reside. It is also acknowledged that the existence of an empire implies the presence of a distinctive soundproof cultural wall between the conquering and dominated nations, beyond which neither desires to look and listen to the other.

Mass collective resettlement is not characteristic of Russian practice. Russian colonialism is fundamentally different from analogical phenomena in Western Europe. This difference is apparent, first of all, in the nature of resettlement. Russian emigrants did not leave their own territory but rather occupied the lands of their former neighbors, which by force of arms they subjugated to their Emperor. In other words, the most characteristic feature of Russian colonialism is the expansion of the state's borders at the expense





of neighboring territories, and as a consequence of this, in the imagination of the Russian population these lands were already considered as Russian lands, representing a sort of „extension” of Russia, in that word’s literal sense.

Russian colonizers only felt uncomfortable when they confronted populations with autonomous, developed civilizations and ethnic self awareness. This occurred, for example, along the Amur River, where the local Chinese population lived separately from the immigrant Russian colonizers, and had almost no contact with them. An analogical situation occurred in Transcaucasia.

The entire population of any given conquered people, to be sure, was viewed from the perspective of the Russian imperial framework. In some places traditional administrative units, formed before Russian colonization, were abolished in favor of completely new districts, often with artificial boundaries and, as a rule, with an ethnically heterogeneous population where that was feasible.

Russian historians themselves admit that during this period, whatever positive points colonization might have had in Russian political circles, it was largely unworkable and useless in practical terms. On the whole, Caucasian colonial policy was hopelessly variegated and scattered. Practically all colonial frameworks then known were attempted in Caucasia, but these methods had little effect on the Caucasians’ mode of life. While it is true that Russian writers have acknowledged the ineffectiveness of tsarist policy, they on the whole do not admit that on a deep level Caucasia never reconciled itself to the yoke of submission, and in keeping with its cultural principles resisted with unrelenting, self sacrificing determination the imposition of alien, wrong-headed imperia(canons. It is worthy of note that it was not so much the case that Russian colonial policy was ineffectual, as that the independence-minded soul of the Caucasian peoples was strong and unyielding.


ტაბ. I




ტაბ. I. 1. სამარია ქალაქის გეოგრაფიული და არქეოლოგიური მდგრადი განვითარების მასშტაბით დაგენერირებული კონსტრუქცია. 2. სამარია ქალაქის გეოგრაფიული და არქეოლოგიური მდგრადი განვითარების მასშტაბით დაგენერირებული კონსტრუქცია. 3. სამარია ქალაქის გეოგრაფიული და არქეოლოგიური მდგრადი განვითარების მასშტაბით დაგენერირებული კონსტრუქცია. 4. სამარია ქალაქის გეოგრაფიული და არქეოლოგიური მდგრადი განვითარების მასშტაბით დაგენერირებული კონსტრუქცია.

858. II

1



2




3






b

4




808.III

1




2



૪૦૪. IV

1



2



Ооб. V





Рисунок 4. Планы зданий



ঁোঁ. VI

1



2



3



4




5



6



858. VII




૪૮. VIII


1



2



3






4



5




Год. IX




ပုဂ္ဂ. X



1



2



ტაბ. XI



♂♂.XII

1




2



3




4




X, tabakadə 79 və 80 növlü odlarda bulunan türkükklər
Shums fossil in rooms no. 79 and 80, level X

ტაბ. XIII

1



2



3



4



ტაბ. XIV



Год. XV

